644
1961
/3

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცისფერი

11

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლიტერატურულ-მხატვრული და
საზოგადოებრივ - პოლიტიკური
ჟურნალი
საქართველოს ალკა ც. კ-სა და
მწერალთა კავშირის ორგანო

8547

11

1961

ნოემბერი

გამომცემლობა
„საბჭოთა მწერალი“

შინაარსი

ბ. ხარაიძე — ვარდისუბნელი ქალიშვილი . . 3
შ. ნიშნიანიძე — ლექსები 6
ხ. შერაზადიშვილი — ლექსები 8
გ. აბაშიძე — შემოღამება ქვევრში (მოთხრობა) 10
კ. კალაძე — ვაჟა სახალხო დღესასწაულზე (ლექსი) 33
შ. ფორჩხიძე — ლექსები 37
ო. იოსელიანი — მოთხრობები 40
ჯ. ჩარკვიანი — ხმელთაშუა ზღვის ნიუარები (ლექსები) 58
ა. სულაკაური — ბიჭი და ძაღლი (მოთხრობა) 65
ი. ჩადუნელი—ცხოვრების ზღურბლზე (რომანი) 78
უ. ბედია — ლექსები 88

ჩვენი ადამიანები

ჰ. ამირეჯიბი — კარგი საჩუქარი . . . 89
ს. წვერავა — გაზაფხულის სურნელი . . . 92

კრიტიკა და პუბლიცისტიკა

გ. ფანჩულიძე — ბურჟუაზიული და რევიზიონისტული შეხედულებების წინააღმდეგ ბრძოლა ლიტერატურასა და ხელოვნებაში . . 103
რ. კუსრაშვილი — ვ. ბარნოვის თხზულებათა პუბლიკაცია 108

საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხელოვნება

ლ. შანიძე — რევაზ თარხან-მოურავის გრაფიკა 112

კულტურის ისტორია

პ. ინგოროყვა — ილია ჭავჭავაძის ორი წერილი 119

მეცნიერებისა და ტექნიკის სიახლენი

ე. ხარაძე — ასტრონომთა მსოფლიო ფორუმზე 139

ჩვენი ინტერვიუ
ახალგაზრდა შემოქმედთა მონათხრობი . 144

ყოველი მხრიდან
ქრონიკა 155

რედაქტორი ვახტანგ ჭელიძე

სარედაქციო კოლეგია:

თ. ბადურაშვილი, რ. თვარაძე (პ/მგ მდივანი), კ. კალაძე, გ. შატბერაშვილი, ო. ჩხეიძე, გ. ციციშვილი, ნ. ჭავჭავაძე, ს. ჭილაია.

რედაქციის მისამართი: თბილისი, მახარაძის ქ. № 14, ტელ. № 3-07-02

ხელმოწერილია დასაბეჭდად 26|XII-61 წ. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 13,7. შეკვეთა № 1731. უე 09308. ქაღალდის ზომა 70×108. ტირაჟი 5.700.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარპოლიგრაფგამომცემლობის ბეჭდვითი სატყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.

Комбинат печати Главполиграфиздата Министерства культуры Грузинской ССР, Тбилиси, ул. Марджанишвили, № 5

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პლაკატი ჩვენი ჟურნალისათვის დახატა **ჯემალ ლოლუამ**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გურამ ხარაიძე

ვაზიანობელი ქალიშვილი

მატარებელი დაიძრა. გულო რამდენიმე საათის განმავლობაში გაუნძრევლად იჯდა ფანჯარასთან. დერეფანში, ზედ კუპის კარებთან ბოხხმიანი მამაკაცი რაღაც სალაღობო ამბავს ყვებოდა. დროდადრო სიცილი იფეთქებდა და მთხრობელს კარგა ხანს არ აძლევდა საშუალებას დაწყებული ამბავი განეგრძო.

გულოს გულით ეწადა დერეფანში გასვლა, მაგრამ რატომღაც ბავშვურად რცხვენოდა და ვერ გადაეწყვიტა. იგი თითქმის არავის არ იცნობდა. მაგრამ აქ კაცის გაცნობა არ იყო ძნელი. მატარებელში კაცის გაცნობა საერთოდ არაა ძნელი. და ამ მატარებელში მითუმეტეს არ იყო ძნელი კაცის გაცნობა. დელეგატები სახით უკვე იცნობდნენ ერთმანეთს.

მატარებელი, თითქოს ფანჯრებზე მოწოლილ სიბნელეს გაურბისო, რიტმული დაგადუგითა და ხმაურით მიიწევდა წინ. გაცხოველებული საუბარი თანდათან ცხრებოდა, მოსაუბრეთა ხმები თითოთითოდ, სანთლებივით ქრებოდა. გულომ თავი მაგიდაზე დადო. მალე შეუმჩნევლად ჩასთვლიმა. ისევ ბოხხმიანი მამაკაცის სიცილმა გამოაღვიძა.

ჯემპრი ჩაიცვა და დერეფანში გამოვიდა. დერეფანი თამბაქოს ბოლით იყო სავსე.

მატარებელი რომელიღაც სადგურს უახლოვდებოდა.

— ქალიშვილო, რატომ არ გვეკარებით? ძალიან გთხოვთ, ამაღამ ვახშამზე დაგვეწვიოთ.

მაღალი, მხარბეჭიანი ჭაბუკი კეთილად უღიმოდა ნახევრადღია კარებიდან.

ვახშამზე მხოლოდ ოთხნი იყვნენ, მაგრამ კუპის მაგიდამ მაინც არ იკმარა. ჩემოდანს გაზეთი გადააფარეს და ხორაგი ზედ დაალაგეს.

გულო ვერაფრით ვერ აიყოლიეს საუბარში. ის კი არა, მოკლე პასუხებსაც ძლივს იძლეოდა. ბოლოს იგრძნო, რომ ეს დუმილი უხერხულ მდგომარეობაში აყენებდა მასვე, მუჭში ჩაახველა და აკანკალებული ხმით ჰკითხა ტატიანა ჩხაიძეს:

— რამდენი ხარისხოვანი მწვანე ფოთოლი ჩააბარეთ მიმდინარე სეზონში სახელმწიფოს?

კითხვამ უნებლიეთ ღიმილი მოჰგვარა ტატიანას. უპასუხა.

გულო კი ფიქრობდა თავისთვის: აი, გაიზარდა, უკვე დიდია. საუბარი კი, უბრალო, ჩვეულებრივი საუბარი ვერა და ვერ ისწავლა. ოციოდე წუთს ჩუმად იჯდა, მერე კი კვლავ ჩაახველა მუჭში. სურდა რაღაც ეკითხა კოტე სანდუხაძისთვის, რომელიც მის პირდაპირ იჯდა. მაგრამ კოტემ დაასწრო, თვალები ეშმაკურად მოწკურა და თქვა:

— მე კი, პატივცემულო გულო, ჩემზე გაპიროვნებულ ნაკვეთზე მივიღე და სახელმწიფოს ჩავაბარე 180 ცენტნერი სიმინდი. ალბათ ეს გინდოდათ გეკითხათ, არა?

ყველას გაეცინა. გაეცინა გულოსაც.

თურმე სულაც არ ყოფილა საჭირო ოფიციალური შეკითხვების შედგენაზე ფიქრი, მერე რა, რომ მათ მთელი რესპუბლიკა იცნობს.

უბრალოდ, მეგობრულად, ძალდაუტანებლად საუბრობენ ისინი. და ამ საუბარში წუთითაც ვერ შენიშნა გულომ ცუდი საგაზეთო რეპორტაჟის ენა.

ვაგონი ძიგძიგებდა, ბორბლების ხმაურს უერთდებოდა გულიანი სიცილის ხმები — მაღალი ქუთაისელი დერეფნის ბოლოში კვლავ გატაცებით ყვებოდა რაღაც ამბავს.

გულები სიხალისით იყო სავსე, როგორც საყვარელი დღესასწაულის წინ იცის ხოლმე.

დელეგატების მატარებელი მოსკოვისაკენ მიიჩქაროდა.

•

ვინმეს რომ გულო ზოზიაშვილის ბიოგრაფია დაეწერა, აღმოაჩენდა, რომ იგი ისევე უბრალო და უპრეტენზიოა, როგორც მთლიანად მისი ხასიათი: უყვარს თავისი სოფელი ვარდისუბანი, უყვარს თავისი საქმე, თამბაქოს პლანტაციები, რომელზედაც ყოველთვის დიდ იმედებს ამყარებს. სიმართლე უნდა ითქვას: გულო თამბაქოს იმ სახით, რა სახითაც ჩვენ მას პაპიროსებში ვხედავთ, დასანახადაც ვერ იტანს. სხვა საქმეა კურდღლის ყურებივით დაცქვეტილი ნორჩი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოთლებისა და სუსტი, უმწეო ყლორტების მოვლა. როგორი სათუთი მოპყრობა, როგორი ზრუნვაა საჭირო, ყოველ ნერგს, როგორც ახალშობილს, განსაკუთრებული გულისხმიერება: ესაჭიროება, უფრო მაშინაა საფრთხილო, როცა სანერგიდან პლანტაციაში უნდა გადარგო.

სწრაფად, თვალდახელშუა იზრდება თამბაქო, ფოთლები ივსება მზის წვენით (მწარეა ეს წვენი, მაგრამ რას იზამ, სწორედ ამ სიმწარისთვის ეწევიან თამბაქოს).

შემოდგომაზე გულო უკვე აღარ ჩანს პლანტაციებში. ამ დროისათვის თამბაქოს უკვე წაუჭარბებია სიმაღლეში თავისი პატარა ჭირისუფალისათვის და სიყვითლემორეული ფოთლებით დაუფარავს იგი. სწორედ ამ დროს იწყება ნამდვილი შრომა — კალათები, ყუთები, ძაფზე ასხმული ფოთლები, სახმობი ჩელტები...

წლევანდელი სამუშაო ბოლომდე ვერ მიიყვანა, ჯერ ლაგოდეხში გამოიძახეს, მერე თბილისში.

შეშფოთებული იყო ისმაილ ზოზიაშვილი. უნდოდა გზაში გაჰყოლოდა ქალიშვილს, მაგრამ ვინ დაანება! ბიჭებს სიცილადაც არ ეყოთ მისი დაყინება:

— კარგი ერთი, ჰო, ნუ გეშინია, არავინ მოგტაცებს.

იცის მოხუცმა მამამ, მაგრამ რა ქნას. ალბათ სჯობდა...

გოგონას ხელი მოჰკიდა და ბაღში გაიყვანა, რომ ჩუმად მაინც მოლაპარაკებოდა, ერჩია, დაერიგებინა...

ზუსტად ასე გაიხმო ისმაილმა ბაღში გულო, როცა მას პარტიის რიგებში იღებდნენ. მაშინაც ასე ისხდნენ ისინი ამ ბაღში ჩუმად, ფიქრობდნენ ხმამაღლა, ხმადაბლა საუბრობდნენ, ოცნებობდნენ. მაშინ გულო ინსტიტუტში შესასვლელად ემზადებოდა. და, აი, ხვალ მისი გოგონა მოსკოვს მიემგზავრება. და ისმაილმაც აღარ იცის საიდან დაიწყოს. წინანდებურად დიდხანს ისხდნენ ისინი ბაღში სკამებზე. მამა ეწეოდა — ქალიშვილი ხელით ირიდებდა ბოლს.

— კარგი, შვილო, წადი, — თქვა ბოლოს მოხუცმა, — ღმერთმა ხელი მოგიმართოს. მაგრამ გახსოვდეს, ჭკვიანად იყავი, კარგად მოისმინე, კარგად დაიხსომე. იცოდე, ჩამოხვალ და მთელმა სოფელმა შენგან უნდა გაიგოს ამბავი... პატარა საქმე არაა, მთელი რაიონიდან შენ ერთი მიდიხარ ყრილობაზე. ვითომ ყველაზე უკეთესი შენა ხარ? — და მამა კმაყოფილი ღიმილითა და გამომცდელი თვალებით უმზერდა საყვარელ ქალიშვილს.

•

„საპასუხისმგებლო" დავალებით აღფრთოვანებული გოგონა ისარივით მიჰქროდა. ახტებოდა თხრილებს, ღობეებს, გვერდს უვლიდა მაღალ მესერებს. კოლმეურნეები სანერგიდან ახლადგადმოტანილ ნერგებს დაჭოთქოთებდნენ, მიწას აფხვიერებდნენ, პაწია ორმოებს თხრიდნენ. მამის პლანტაცია არც ისე ახლოს იყო. გზაზე მეზობლები ხვდებოდნენ, გულო ინტერესისაგან თვალებგაფართოებული ესალმებოდა მშრომელებს, ხელს მოიჩრდილებდა და მათს საქმიანობას შეჰყურებდა. მერე უცებ გაახსენდებოდა დავალება და მამისაკენ მიჰქროდა.

იმ საღამოს ისმაილ ზოზიაშვილის აივანზე თითქმის მთელმა სოფელმა მოიყარა თავი. შესანიშნავ სუფრაზე წყაროსავით ჩქეფდა ვარდისუბნის ღვინო. გულგახსნილი მასპინძელი არაფერს ზოგავდა, ოღონდ სტუმრებისათვის ესიამოვნებინა. ლოყები შეუფაკლდა ისმაილს. გულოს დიდი ხანია არ ენახა მამა ასე გახარებული. იგი ამ დღეს სწორედ იმნაირი იყო, როგორიც ყოველთვის სურდა გულოს ყოფილიყო.

გვიან ღამემდე ვერ დაიძინეს ბავშვებმა.

მშობლების სიხარული გულოსაც გადაედო. დიდხანს სეირნობდა იგი მარტოდმარტო ეზოში. ბიძის ნაჩუქარი კანფეტები უკვე შეჭამა. ახლა რაღა აკეთოს?

და უცებ გოგონას თავში ერთმა აზრმა გაუელვა.

მართლაც რომ მოახერხებდეს იმის განხორციელებას, რაზედაც ახლა ფიქრობს, როგორ გაკვირდება სტუმრად ჩამოსული ბიძა, რა დიდ სიხარულს იგრძნობს მამა. მთელი ვარდისუბანი გაიგებს, რა კარგი გოგო ჰყავს ისმაილს, უშიშარი და მშრომელი გოგო.

სახლის უკან, კედლებზე რამდენიმე წყვილი ბარი, ნიჩაბი და თოხი იყო მიწყობილი.

გულომ ის თოხი ამოირჩია, რომელიც დილდილობით მამას მიჰქონდა ხოლმე.

მეზობლის ეზოებში ღობიდან ღობეზე გადადიოდა პატარა ჩრდილი. ვეებერთელა მთვარეს გაეხახჩახებინა გარემო. სოფელი მარჯვნივ დარჩა. ისმოდა ძაღლების დაღლილი ყეფა. შორით მოდიოდა სიმღერისა და სიცილის ხმები. გულის რომელიღაც კუნჭულში შიში კაწრავდა გოგონას. ჩრდილებით მოფენილი მინდორი თითქოს რაღაც ხმებს გამოსცემდა.

როგორც იქნა, იპოვნა მამის პლანტაცია. შიში რომ გაეფანტა, რაღაც სიმღერა წამოიწყო, მერე თოხი მოიმარჯვა და ძირებს უმარგლიდა სუსტ, სიბნელეში შეუმჩნეველ ნარგავებს.

დილით დიდი მუხის ძირას იპოვნეს. გოგონას ღრმა ძილით ეძინა.

ხოლო ისმაილი გულჩაწყვეტილი დადიოდა პლანტაციაში და სინანულით აქნევდა თავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაღა გაეწყობოდა, საჭირო შეიქნა მიწის ხელახლა დამუშავება და კოლმეურნეობიდან დამატებით რამდენიმე ასეული ნერგის წამოღება. კიდევ კარგი, რომ გოგონას თავში არ მოუვიდა ერთი-ორი კვირით ადრე დახმარებოდა მამას...

გულომ მიაღწია მიზანს... ბიძა სიცილით კვდებოდა. ბოლოს და ბოლოს, მამამისსაც სიცილად არ ჰყოფნიდა გულოს გმირობის ამბავი.

მერე ყველამ დავიწყებას მისცა ეს შემთხვევა. გულოს კი ყველაფერი კარგად ახსოვს...

ფართობი, რომელსაც ოდესღაც მამა ამუშავებდა, გულოს განკარგულებაში გადმოვიდა (რა ქნას, მოხუცდა მამა, ძალა აღარ მოსდევს ძველებურად, რევმატიზმებსაც უჩივის ბერიკაცი).

და ყოველთვის, როცა გულო პირველ მარგვლას იწყებს, უნებლიეთ თვალწინ უდგება ბავშვობის სურათები, „დაუვიწყარი და სასაცილო შეცოდებებით და „დანაშაულით".

და თითქოს ბოდიშს იხდის პატარა, უმწეო, სუსტი ღეროების წინაშეო, ისე მორიდებულად აყრის თოხით მიწას ახალ ნერგებს, ცდილობს არსად გაკაწროს, ძირი არ დაუზიანოს.

რამდენი რამე, რამდენი ძვირფასი მოგონება აკავშირებს მას მიწის ამ ნაკვეთთან. თუ დღეს ვარდისუბანში ამდენს ლაპარაკობენ მის შრომასა და სიმარჯვეზე, გულო სადღაც გულის სიღრმეში ამ პლანტაციასაც უმადლის. მერე როგორ უყვარს მთელ სოფელს, რა დიდ პატივს სცემენ. ჯერ კიდევ შარშან სასოფლო საბჭოს დეპუტატად აირჩიეს, მალე ამიერკავკასიის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირზე გაგზავნეს თბილისში.

მამას კი ვერა და ვერ დაუჯერებია, რომ მისი გოგონა ასე შორს წავიდა, ასე დიდი სახელი დაიდო.

*

— გამოდის, რომ მარტო მე არ ვშრომობ სხვებზე უკეთესად, — თითქოს მამასთან შეწყვეტილ საუბარს აგრძელებსო, ფიქრობდა გულო. დელეგატები ნელნელა იშლებოდნენ, ბინავდებოდნენ. რამდენი რამ იყო ახალი უკანასკნელ დღეებში, ახალი შთაბეჭდილებანი, ფიქრები, ოცნებები ავსებდნენ გულსა და გონებას. გინდა იყო განსაკუთრებით სერიოზული, როცა ამდენ მოწინავე ადამიანს, ამდენ სახელგანთქმულ მოქალაქეს უმზერ. მინა, ფოლადი, ვარსკვლავები. ვარსკვლავები პიჯაკებზე, კაბებზე. ღიმილით ანთებული სახეები. ივდა ეე ერთ-ლა დარბაზის შუაგულში და ირგვლივ ანათებდნენ ვარსკვლავები და ღიმილიანი სახეები. ძნელია დაწვრილებით აუწერო თანასოფლელებს... უნდა თვითონ ნახო მოსკოვი, კრემლი, ყრილობათა სასახლე, ქერა, შავგვრემანი სახეები, ყუბანელი ბიჭები, უკრაინელი გოგონები, დონბასელი მეშახტეები და სადღაც დარბაზის შუაგულში ვარდისუბნელი გოგონა, რომელიც თვალებანთებული მიშტერებია პრეზიდიუმს.

პრეზიდიუმის მაგიდასთან მსხდომთაგან იგი თითქმის ყველას იცნობდა, რა თქმა უნდა, პორტრეტებით. სხვათა შორის, ნიკიტა სერგის ძე მან პირველად თბილისში, სპორტის სასახლეში ნახა. ერთხელაც რუსთაველის პროსპექტზე მოჰკრა თვალი.

ორატორი ორატორს სცვლის, არ ცხრება ტაში. და ყოველ საანგარიშო სიტყვაში, ყოველ გამოსვლაში გამოსჭვივის პარტიის სიბრძნე, სიმტკიცე, ერთიანობა.

ალბათ არ დარჩენილა ამ ვეებერთელა დარბაზში კაცი, რომელსაც გულოსავით არ ეფიქროს:

— ოცი წელი! ესე იგი, მე მაშინ ვიქნები...

როცა ჩვენი სამშობლო კომუნიზმის კარებს შეაღებს, გულო ზოზიაშვილი ზუსტად ორმოცი წლის ქალი იქნება...

— იმ დრომდე, რა თქმა უნდა, მამაჩემიც იცხოვრებს, — გაიფიქრა გულომ, — ჩემი შვილები კი...

იგი გატაცებით უკრავდა ტაშს და თანხმობის ნიშნად თავს უქნევდა ყოველ ორატორს. სულში ჩახჩახებდა მზე, ისეთივე ნათელი, როგორც თამბაქოს ოქროვან პლანტაციებში იცის.

რა ვუყოთ, რომ გულო ყრილობაზე სიტყვით არ გამოსულა, დამსწრეთათვის თავისი საქმიანობის, თავისი მეგობრების ამბავი არ უამბია, არაფერი უთქვამს ყუყუნა შუბითიძეზე, — ნონა მესხიშვილზე, რუსიკო ვაგალიშვილზე — შესანიშნავ ახალგაზრდებზე, რომლებიც მოსკოვში წასული მეგობრის პლანტაციას ცივ ნიავსაც არ აკარებდნენ...

სამაგიეროდ რამდენ საინტერესო და ცოცხალ აზრს ჩაიტანს მშობელ სოფელში გულო.

რაც მთავარია, ჩაიტანს გმირობის წყურვილს, ნათელი მომავლის ჩაუქრობელ რწმენას და შეურიგებლობის გრძნობას ყოველივე იმისადმი, რაც ხელს უშლის ადამიანებს შრომაში. და ეს განა ცოტაა? განა ამისთვის არ გაგზავნეს მოწინავე მეთამბაქოე გულო ზოზიაშვილი მოსკოვში, პარტიის XXII ყრილობის დელეგატად!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შოთა ნიშნიანიძე

ცის გახსნა

I

მე როგორ განვჭვრეტ დროსა და
მანძილს,
სადა მაქვს გრძნება
ვარსკვლავთმეტყველის,
ვარ ერთი ვინმე ალალი კაცი,
ჩემივე ბედის ჩუმად მჭედელი.
„ცა გაიხსნება და ათასფერი
გადმოიღვრება დიდი სინათლე,
ცა გაიხსნება და ყველაფერი
აგისრულდება, რასაც ინატრებ“...
ასე სჯეროდათ წარმართულ სულებს
და წმინდა მამებს ასე სჯეროდათ,
გამოანათებს ხილვა მისნური
ნახევარმთვარის და ჯვრის ჩეროდან.
სურვილს და ნატვრას სადა აქვს ბოლო?
ოცნებით მივსდევთ გზებს
გამიზნულებს,
ო, ყოვლის შემძლე ვარსკვლავებო,
ერთსა გთხოვთ მხოლოდ,
ყოველგვარ ნატვრას ნურც
ამისრულებთ!
რამე სანატრი თუკი არ დაგვრჩა,
ისე ცხოვრება რა სიამეა!
მიზნებისაკენ სწრაფვა და გარჯა
თვით ღმერთის ტოლად ხდის ადამიანს.

II

ჩემო პატარავ,
ბჭეშეუვალი
იყავი ჩემი მთვარეც და მზეცა,
მე ცა გამეხსნა შენი უარით,
შენი თანხმობით — შვიდივე ზეცა.
ცის გახსნა იყო, აბა რა იყო,
ჩვენი პატარა ოჯახის შექმნა.
ცის გახსნა იყო, აბა რა იყო,
მე რაც ღიმილი მრგებია შენგან.
ახალ ბინაზე რომ გადავედით,
ცა არ გაგვეხსნა? ესეც ბედია!
ჰო, ცა გაგვეხსნა, ცა უცაბედი,
ცა, ერთ სარკმელში რაც ჩაეტია!
ცის გახსნა არი ბწკარი ალალი
ეს ერთადერთი ჩემი ქონება,
ცის გახსნა არი, აბა რა არის,
შენ თუკი რამე მოგეწონება.
გახუნებულა ყველა ზღაპარი,
წინაპრის ყველა ნაოცნებარი,
ცის გახსნა არი, აბა რა არი,
დღევანდელი დღის საოცრებანი.
გაასკეცებით ზრდის სიამაყეს
ეს ძლიერების გაასკეცება,
ხვალ რამდენ ახალ სარკმელს გავაღებთ,
იმდენჯერ ალბათ ცა გამეხსნება.
გულს გადაგიხსნი, ჩემო მამულო,
და შემოგასევ ლექსებს მერცხლებად,
ხვალ შენს მგალობელს სასიხარულოდ
კიდევ მრავალი ცა გამეხსნება...

ეროვნული ბიბლიოთეკა

*

მწვანე კონცხიდან ქარი უბერავს,
დარის შეცვლაში არ დაეჭვდები,
და იზმორება, როგორც ღრუბელი,
სილაზე სველი ანაბეჭდები.
ზღვა ამიტატებს და მიალერსებს,
მეც ტალღასავით მიყვარს ტივტივი,
წყალში კენჭებზე და ნიჟარებზე
მიგლესილია მზე ქვირითივით.
გადამდებია ზღვის ჩუმი ღელვა,
მომთენთავია ზღვის სუნი მძაფრი,
და წუთიც სკდება მოულოდნელად,
როგორც ღადარში ჩაყრილი წაბლი.
მეც დამიკარგავს სიდარბაისლეს
რამე შემთხვევა და ფათერაკი,
გაზაფხულის დღე და სიხალისე
ტანზე მაცვია, როგორც პერანგი.
რჩება სურვილი ვინმეს გაცნობის
და მოლოდინი რაიმე ახლის,
მე დავიღლები ასე ანცობით,
რომ ნატამალი არ შემრჩეს დაღლის,
ალბათ იფეთქებს ეს წუთი მუდამ
და ალბათ მუდამ წამართმევს ხალისს.
ჩინური ქოლგა და წყნარი სუნთქვა
წიგნის კითხვაში გართული ქალის.
შეტეორები ღამეს დახლეჩენ,
ზღვას ვენახივით აამწვანებენ.

. . . . . .

მთვარე მოაბნევს ღია სარკმლებში
ფოსფორულ სიზმრებს, ოქროს
ზმანებებს...

*

პატარავდება მიწა თანდათან,
ზღვაზე წვებიან მწვანე ლანდები,
პატარავდება მიწა თანდათან
და ჩვენც თანდათან ვპატარავდებით.
ნაპირის ზოლი რჩება პირიქით,
წყლის ბალახებით გადანაფარჩი,
შევსრიალდებით ცისფერ ბილიკით
წყალქვეშა მღვიმის ცისფერ ზღაპარში.
იძირებიან შორი სივრცენი,
გადასხეპილნი გზათა შოლტებით.
და ერთი რამე აქაც ვიგრძენი —
ის უფრო გიყვარს, რასაც შორდებ.
იქ მიცდის ჩემი თავდავიწყება,
ჩემი გზები და ჩემი მიზნები!..
ნავის კიჩოზე მიწა იზრდება
და მეც მიწასთან ერთად ვიზრდები.

*

ზოგს თავიდანვე არ გაუმართლდა,
ზოგისთვის შველა იყო გვიანი,
დემონი იჯდა ჩემს სასთუმალთან,
თუ ანგელოსი ნათელფრთიანი?

მფარველად მყავდა სული ძლიერი,
სინდისი იყო ჩემი მრჩეველი,
ყოველთვის ვთვლიდი თავს ბედნიერად,
რადგან ვიყავი შეუმჩნეველი.

ზოგს ცხოვრებაში არ გაუმართლდა,
მე მათ გულგრილად გვერდს ვერ
ავუვლი,
მათთან ყოველთვის უხერხულად ვარ,
თითქოს მე მქონდეს დანაშაული.

*

ავტომობილი მიჰყვება აღმართს,
მიიხლიჩება უღრანი ღამე,
გზის პირს მწოლარე ხეთა ჩრდილები
წამოდგებიან და გადარბიან,
ავტოს ფარიდან დღე იყურება,
დღე შეკუმშული, დღე ერთი ბეწვა.
ავტომობილი მიაპობს ღამეს,
მთაში ფათურობს დღის თეთრი ხელი,
თითქოს მწევრისგან დაფეთებული
ბოსტანში გარბის თეთრი კურდღელი.
ავტომობილი მიჰყვება აღმართს
და სოფლებიდან
გამოიტყუებს მამლების ყივილს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაქარია შერაზადიშვილი

მხარგრძელნი

(ზოგიერთების გასაგონად)

ეს არემარე რომ გვაქვს ინახად,
განა უსაქმო ლხენით გავძელით,
ვინც ქართველობა შემოგვინახა,
იყვნენ ლომნი და იყვნენ მხარგრძელნი.

იყვნენ კუნთებით გადარკინულნი,
ესმოდათ თვისი ძვლების ჭახჭახი,
განა წყარო და განა ბინული,
უთქრიალებდათ ძარღვში ჭანჭახი.

ჩვენ კი გადავყვეთ ლამის ყაყაჩოს,
ბულბულს გავუღოთ ყველა კარები,
არა! სჯობია დავიყაშყაშოთ,
ავახრჭიალოთ ჯალამბარები.

მოვუშვათ სისხლის ყველა ონკანი,
დავძაბოთ მკლავთა ძელაყინები,
თუკი არა და ბარემ მომკალით,
რომ ამომევსოს სული ყინვებით.

ფრთა არ დავუშვათ, როგორც წნორებმა,
ღონე ჩავდენოთ ჭარბად მუხლებში,
რომ მუხებივით, ჩემო სწორებო,
ვიყოთ მკვრივნი და თითქოს უხეშნი.

ჩვენ ვაზის ძუძუ ისე გვჭირდება,
როგორც სჭირიათ ირმებს ვეძანი,
თუ რომ სიკეთეს გაუჭირდება,
ვიყოთ ყოვლის და ყველას შემძრავი.

ვინ არ გვაცდუნა, მარქვით: ყაყაჩომ,
ენამ ბულბულის, ფერმა არყების,
რა გამოვიდა, თუკი დაგვახრჩო,
რას ემგვანება — თუ გადავყევით?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

განა მარტოკა სტვენით გავძელით,
ეს არემარე რომ გვაქვს ინახად,
მათსავით ვიყოთ ლომნი, მხარგრძელნი,
ვინც საქართველო შემოგვინახა.

არაგვული

ჩემი სამშობლო მდინარე,
ჩემი სამშობლო ალაგი,
სხვადასხვა ფერის არაგვი,
თეთრი და შავი არაგვი.

არაგვული ვარ, გულს მტკენენ,
ორაგულს მეძახიანო,
მიწამაც ჭამოს ორგული,
ერთგულებაზე ვხმიანობ.

არაგვმა მომცა სიცოცხლე
და სილამაზის მარაგი,
იმ სამას არაგველთანა
ერთად შემისვამს არაგვი.

არაგვით დავპურებულვარ,
არ მიგემნია სხვა პური,
ჩემი მეფური სათავე,
არაგვზე წვიმის შხაპუნი.

ჩემი სახლი და სამეფო,
ჩემი სამშობლო ალაგი,
მხოლოდ და მხოლოდ არაგვი,
სხვადასხვა ფერის არაგვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრიგოლ აბაშიძე

მაღლა მეზა ქვევრში

ქვევრში ჩასვლისთანავე სიგრილე იგრძნო და ეამა. კიბე რომ ჩაათავა და შიშველი ფეხი ყინულივით ცივ ფსკერზე დადგა, მთელ სხეულში საამო ჟრუანტელმა დაურბინა. მერე კიბე მაღლა აიტანეს, რაღაც ჩასძახეს და წავიდნენ. ისე ღრმად იყო ქვევრში და ჩასვლისთანავე ისე გაერთო საქმით, მაღლიდან ჩაძახილი აღარც გაუგონია.

მუხლებამდე შარვალდაკარწახებული, წელს ზემოთ შიშველი იდგა ელიზბარი უშველებელ ქვევრში, ორივე ხელით სარცხს ჩაფრენოდა და ღონივრად უსვამდა ქვევრის კედლებს.

— შხა... შხუ... შხა... შხუ...

ისმოდა გაბმით და ეს მძლავრი შხუილი ზღვის მოქცევის ხმაურივით ყველა სხვა ხმას ფარავდა და აყრუებდა.

— შხა... შხუ... შხა... შხუ...

თანაბრად და სმენის დამხშობად ჩაესმოდა მის მიერვე ატეხილი შხუილი ელიზბარს და თავადაც ამ ხმაურის რიტმს აჰყოლოდა მკლავებისა და მთელი სხეულის მოძრაობით. მერე ფიქრითაც ამ მოძრაობასა და ხმაურს აჰყვა, მის კალაპოტში მოექცა და მის დინებას დაემორჩილა.

ქვევრი ღრმად იყო მიწაში და გარედან ხმა აღარაფრისა ჩამოდიოდა.

მაღლა, ქვევრის ახდილი თავიდან ცის პატარა ნაჭერი ჩანდა, ქუდისა თუ თეფშის ტოლა. ცის ამ პატარა ნაჭერს ხან ღრუბელი გადაუვლიდა, ხან ნიავით დარხეული რომელიღაც ხის ტოტის ჩრდილი წამოეფარებოდა წამიერად.

გარესამყარო დაყრუებულიყო, დაპატარავებულიყო და იმ თეფშისოდენა ცის ლურჯ ნაჭერზე დასულიყო. სულ ეს იყო, მეტი ქვევრიდან არც არაფერი ჩანდა, არც არაფერი ისმოდა.

სამაგიეროდ, თავად ქვევრში ყველაფერი გადიდებულიყო და მომძლავრებულიყო. უბრალო დახველება ლომის ბუხუნად ისმოდა, ჩუმი ამოსუნთქვა უზარმაზარი სამჭედლოს საბერველის ქშენად და მცირე გაფაჩუნება ქარის გრიალად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დევის ფილტვები ჩაედგა ქვევრს: ერთხელ ჩახველებას თუ ამოოხვრას, სარცხის ერთ გაშხუილებას თუ ერთხელ ამოთქმულ სიტყვას ცხრაჯერ აბრუნებდა, კედლიდან კედელს ახლიდა, აზვიადებდა, ამძლავრებდა და ადიდებდა.

თვითონ ელიზბარის ფილტვებიც საოცრად გაფართოებულიყო, გულმკერდი გაგანივრებოდა და მძიმედ, მაგრამ შესამჩნევად აუდ-ჩაუდიოდა.

სამოცი წლისა იყო ელიზბარი, მაგრამ ჯერ კიდევ ბრგე და გაუტეხელი. ახალგაზრდობაში ტანვარჯიშს მისდევდა და გიმნაზიაში საუკეთესო სპორტსმენად ითვლებოდა. შემდეგშიც, თუმცა საგანგებო წრთვნას მოეშვა, ჩვეულებად დარჩა დილის ვარჯიშობა. ალბათ, ამას უნდა უმადლოდეს, რომ ამ ხნის კაცს არც მუცელი დასტყობია, არც მხარბეჭი მოხრია და თავის ტოლებისაგან განსხვავებით ისევ მხნედ გამოიყურება. სამოცი წელი რა არი, მის მამა-პაპებს ასამდისაც ისე მიუღწევიათ, ცხენზე ჯდომა შესძლებიათ. ალბათ, ელიზბარიც შესძლებდა, ასამდე თუ ვერა, ოთხმოცამდე მაინც უყავარჯნოდ მიტანებას, მაგრამ...

ეეჰ! დარდს დაუდგეს თვალი! აგერ ათი წელია, რაც ტვინსა და გულში ჩაუბუდა ჭია. ვერ იქნა და ვერ მოიშორა ეს ჭია, ვერც ვერსად დაემალა, ვერც ვერსად გაექცა.

ღრღნის ეს შეუმჩნეველი, თვალით უხილავი მატლი ამოდენა კაცს დღისითა და ღამით, ზამთარ-ზაფხულ, მღვიძარსა თუ მძინარს და უკვირს ელიზბარს, რომ ამდენ ხანს ვერ გამოხრა, ვერ გამოფიტა და ვერ წააქცია.

ასე ხრავს ხოლმე ასწლოვან მუხასაც პატარა მატლი, ნელა და გაბმით, ბეჯითად და აუჩქარებლად და ბოლოს... ბოლო მაინც ყველასათვის ბოლოა და სულ ერთია, საბოლოოდ მატლი წაგაქცევს თუ მეხი.

ელიზბარმა უსიამო ფიქრის მოშორება სცადა, თავი გადაიქნია, თვალებზე ჩამოფარებული ვერცხლისფერი ფაფარი უკან გადაიყარა, სარცხს უფრო მაგრად ჩაეჭიდა, გაუსვა და სიმღერა თითქოს თავისთავად ამოგუგუნდა ქვევრიდან:

წუთისოფელი ასეა,
ღამე დღეს უთენებია...

ისედაც ბოხი, ვაჟკაცური ხმა ვეებერთელა ქვევრში ღონივრად დაირხა, უზომოდ გადიდდა, დევის ამ უძირო მუცელში ვეღარ დაეტია, მაღლა ავარდა და იმ პატარა ცის ნაჭერს მიატანა, რომელიც გარესამყაროსთან სინათლის გრძელი სვეტით აერთებდა ქვესკნელში ჩასულ ელიზბარს. ქვევრიდან ამოსულმა ხმამ დაგუბებული წყალივით გზა იპოვა, იქ, მაღლა, მზესა და სინათლეში, დიდ ქვეყანაში დაირხა და გაიშალა.

ალბათ, ელიზბარის ძმისწულის შვილებსაც მისწვდა ეს ხმა. თამაშს თავი ანებეს, მოირბინეს, ქვევრის ახდილ თავთან ჩაიჩოქეს და ქვესკნელში ჩასძახეს:

— ძია ელიზბარ, უუუ!

— უ-უ-უ-უ-უ...

ამოსძახა ქვევრმა მათივე ჩაძახილი. ბავშვებმა გაოცებით შეხედეს ერთიმეორეს, სახეზე ღიმილი გამოეხატათ და ის იყო, კიდევ უნდა ჩაეძახათ ქვევრში, რომ თავზე ვიღაც წამოადგათ.

— აქ რას აკეთებთ, ქვევრში არ ჩაცვივდეთ!

შეუტატანეს და დაიფრინეს.

ბავშვები კისკისით გაშორდნენ ჭურის თავს.. ცის პატარა ნაჭერი ისევ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაიხსნა და ისევ ჩაეშვა ქუდისოდენა ხვრელში შუქის გრძელი სვეტი.

ელიზბარმა სული მოითქვა, შუბლზე ოფლი მოიწმიხდა და მუშაობა განაგრძო. სარცხს ისევ ღონივრად უსვამდა, ისევ გაბმით ამოდიოდა ქვევრიდან შხუილი.

მაგრამ უცებ წამოწყებული და უცებვე შეწყვეტილი სიმღერა ვეღარ გააგრძელა — ისევე უეცრად ჩაუწყდა, როგორც წეღან მოადგა ყელში უეცრად.

ისევ სარცხის შხუილს აჰყვა და ძალით შეწყვეტილ ფიქრს დაუბრუნდა.

სამოცი წლის არი ელიზბარი. საოცარი დამთხვევაა: სამოცი კოკა ჩადის ამ ქვევრში და, მოკლედ, სამოციანს ეძახიან. ელიზბარის მამის სიცოცხლეში შხირად ავსებდნენ სამოციან ქვევრს. ვენახი ახალშენი იყო, კარგი მოსავალი იცოდა, ოციანი და ორმოციანი ქვევრები ვერ აუდიოდნენ.

ახალგაზრდობაში, რთველობაზე, ყველაზე მეტად ყურძნის წურვა და ქვევრის რეცხვა უყვარდა ელიზბარს. საულვაშე რომ გაუშავდა და მუხლში ღონე მოემატა, მას შემდეგ ყურძენს სხვას აღარავის აწურვინებდა. მუხლებდაკარწახებული, დაკრიალებული ფეხებით ჩადიოდა უზარმაზარ საწნახელში და ნელა, კუს ნაბიჯით დადიოდა მწიფე მტევნებზე. თვალსა და გულს ერთნაირად უხაროდა ფეხის თითებში სისხლივით რომ წასკდებოდა ღვთაებრივი წვენის ნაკადული, პატარა ხვრელს ნიაღვარივით მიაწყდებოდა და მერე დიდხანს, ზოგჯერ შუაღამემდე ისმოდა ინდურიდან კოკებში ჩამდინარი ესოდენ საამო სიმღერა წითელი თუ ქარვისფერი ტკბილისა.

ყურძნის წურვა ხომ უყვარდა, მაგრამ ქვევრის რეცხვა ყველაფერს ერჩივნა. ერთთავად სულ ხალხის გულში მოტრიალეს, მშფოთვარე ცხოვრებას აყოლილ ელიზბარს, არც თუ იშვიათად ეწვეოდა წუთები, როცა ქვეყნისაგან გამოთიშვა, საკუთარ თავთან მარტო დარჩენა, ცხოვრების ავ-კარგზე დაფიქრება და თავისივე თავთან გასაუბრება მოუნდებოდა ხოლმე. ქვევრის რეცხვა თითქოს საგანგებოდ ამისთვის იყო მოგონილი. ტყუილად კი არ ეტყოდნენ ხოლმე ქვეყნის ამბების უცოდინარებს, ჭურში ყოფილხარო. ჭურში ჩასული კაცი ქვესკნელში ჩავარდნილივით სამყაროსგან მოწყვეტილი იყო და იმისა არაფერი იცოდა, რაც მაღლა, სამზეოზე ხდებოდა.

სამაგიეროდ როგორც კი „ჩასავალ ქვევრში" კიბით ჩავიდოდა, საკუთარ თავთან განმარტოვდებოდა, იმ მეორე სამყაროს ჩაუკვირდებოდა, რომელსაც მის მეტი სხვა ვერავინ ხედავდა, მაგრამ რომელიც მის არსებასა და ფიქრებშივე იყო მომწყვდეულიც და გაშლილიც.

ეს სამყაროც იმ დიდი სამზეოს ნაწილი იყო, მასავით რთული და მრავალფეროვანი.

ქვევრში ჩასულ ჭაბუკს მომავალი უღრუბლო და ნათელი ეჩვენებოდა იმ ცასავით, ქვევრის თავიდან რომ ჩანდა თვალის მომჭრელ შუქის სვეტად.

მაშინ ჯანი ერჩოდა და გულმა დარდი არ იცოდა. მის შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა და ბევრი მტევანიც დაიწურა. მამისეული ვენახი მობერდა და მოსავალმაც იკლო. თავად ელიზბარი შორს იყო, სოფლად იშვიათად ამოდიოდა და ყურძენი უმისოდ იწურებოდა. აგერ ოცდაათ წელზე მეტიც იქნება, აღარც საწნახელში ჩასულა და აღარც ქვევრი გაურეცხია.

ამ შემოდგომაზე გულმა გამოუწია სოფლისკენ და სწორედ კარგ ფეხზე მოვიდა: ვენახებს არაჩვეულებრივად ესხა და სოფელი არნახულ მოსავალს ელოდა. მეზობლები, სახლიკაცები გაფაციცებით ტრიალებდნენ ჭურ-მარანში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარგახნის მივიწყებულ, უხმარ ქვევრებს ხდიდნენ თავს, რეცხავდნენ და მოსავლის დასაბინავებლად ამზადებდნენ.

ელიზბარის მოსვლით მის უფროს ძმას სოლომონს ასე არასოდეს გაუხარია. ისე დარბოდა მარანსა და სამზადში ეს სამოცდაათს მიტანებული ბერიკაცი, გეგონებოდა მიწას ფეხს არ აკარებსო. ცხვრის დაკვლა არ იკმარა, დეკეულის წამოქცევა მოინდომა და თავისას გაიტანდა, ელიზბარი რომ არ დამუქრებოდა, წავალ, მამა ხუ წამიწყდება, ახლავე წავალ და უკან აღარ მოვიხედავ, თუ ეგ უშობელი დაკალიო.

დეკეული გადარჩა, მაგრამ სოლომონი მაინც არ ისვენებდა, ხან ყურძენსა და ატამს მოურბენინებდა პატარა ბავშვივით, ხან მწვანე ფუჩეჩში გახვეულ ცხელ ტაროს მოართმევდა, ხანაც ტყიდან სოკო მოჰქონდა და ნაკვერცხლებზე შემწვარი ცვრიანი ნიყვებით უმასპინძლდებოდა.

— მოსავალი მოსკდა, პატარა ჭურებში ვერ ჩავტევთ, სამოციანი უნდა გავრეცხოთ.

თქვა სოლომონმა და ელიზბარისკენ გაიხედა.

— დიდი ხანია აღარ გვიხმარია; სამოციანს ბევრი რეცხვა დასჭირდება, მაგრამ...

— მაგრამ რა? — ჩაჰკითხა გამოცოცხლებულმა ელიზბარმა.

— მაგრამ ის, რომ...

სოლომონმა ამოიოხრა, ხელი ჩაიქნია და ძმას სახე მოარიდა. ელიზბარმა დაინახა: სოლომონს ქვედაყბა მოექცა და საცრემლე აუთამაშდა.

— მაგრამ ის, რომ კაცმა იმ დრომდის არ უნდა იცოცხლო, როცა აღარც თვითონ ვარგიხარ, აღარც ვინმე გყავს, რომ ყურძენი დაგიწუროს და ქვევრი გაგირეცხოს.

მიხვდა ელიზბარი რა სადარდელსაც ამბობდა უფროსი ძმა. მიხვდა და თავადაც მოიშალა.

სოფელში მოსვლის სიხარულით ცოტახანს მივიწყებული ნაღველი ისევ დაიძრა, ძარღვებიდან წამოვიდა და გულს მოაწვა.

სამი შვილის მამა იყო სოლომონი. სამიდან ერთიც აღარ შერჩენოდა. ომში დაღუპული უკანასკნელი შვილის ფეხზე ახლა ორი ბალღიღა დაკინკილებდა პაპის დიდ ეზოში.

ეს იყო და ეს...

მაგრამ ორი ბავშვი მაინც სიცოცხლე იყო და ცხოვრების მიმქრალი აზრის ნაპერწკლად კიდევ კიაფობდა.

ელიზბარი კი...

—ნეტავი შვილი მაინც დარჩენოდა, ერთი ბალღი მაინც დაეტოვებინა!

ვინ იცის, მერამდენჯერ ამბობდა ჩუმად, თავის გულში ერთადერთი შვილის დამკარგავი ელიზბარი.

— ეეჰ! რას იზამ, სოლომონ! — ამოიოხრა ელიზბარმა, — ცოცხლად ვინ დამარხულა! მოსავალი კარს მოგვდგომია და ორი კაცი როგორ ვერ მოვევრევით!

შეუძახა გულგატეხილ ძმას, მკლავში ხელი ჩაჰკიდა და ჭურ-მარნისკენ წაიყვანა.

მერე ის იყო, რომ ხუმარობისაგან წავიწყებული სამოციანი მოქებნეს და თავი მოხადეს. ელიზბარმა კოკით წყალი მოიტანა, სარცხი და ორხელი მოამზადა. ფერხთგახდა რომ დაიწყო, სოლომონმა არ დაანება.

— შენ როგორ ჩაგიშვებ ქვევრის გასარეცხად, განა სოფელში კაცი გაწყდა?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჩემს აქ ყოფნაში არც არასოდეს გაურეცხია სხვა ვინმეს სამოციანი, არც ახლა დავუთმობ არავის.

გაჯიუტდა ელიზბარი. სოლომონმაც ქვა ააგდო და თავი შეუშვირა: ძლივს მეღირსა, დასასვენებლად მოხვედი და ქვევრს როგორ გაგარეცხინებო.

წყლიან კოკას ხელი დაავლო, რომ ელიზბარს ფეხი არ დაებანა და მეზობლებში გაიქცა ქვევრის გამრეცხავის საძებრად.

ელიზბარი უკან აღარ გაჰკიდებია. ეზოდან გასულ ძმას ღიმილით გააყოლა თვალი და ღობეს რომ მოეფარა, სოლომონის პატარა შვილიშვილებს დაუძახა. საპონი და წყალი მოატანინა და ფეხის ბანას შეუდგა.

სიცილ-კისკისით უსხამდნენ წყალს ბალღები, მათი სიხარული ელიზბარსაც გადაედო, გულს დარდი გადაეყარა და გუნება მოუბრუნდა.

სოლომონი რომ დაბრუნდა, ქვევრში რა ხნის ჩასული იყო ელიზბარი. რთველზე ყველას თავისი გაჭირვება ჰქონდა და დიდი ხვეწნა-მუდარით, ძლივს რამდენიმე საათით წამოჰყოლოდა სოლომონს ვიღაც ღვთისნიერი.

ძმა ჭურში დაუხვდა, იწყინა, მაგრამ რაღას იზამდა!

დასახმარებლად მოსულმა ქვევრში რომ ჩაიხედა და ელიზბარის განიერი მხარბეჭი დაინახა, სოლომონს გაკვირვებულმა შეხედა.

— შე დალოცვილო, ამის პატრონს მე რად გჭირდებოდი, გამრეცხავადაც გეყოფა და დამლევადაც!.. — უთხრა და უკანმოუხედავად წავიდა.

სოლომონს მეტი რაღა დარჩენოდა, ჭურის თავთან დაჯდა და ძმას საყვედური ჩასძახა:

— ეს რა საქმე მიყავი! დასვენების მაგიერი ეგ არი?!

— ეს არის ჩემი დასვენება, სწორედ ეს არის, ჩემო სოლომონ, ამაზე კარგ დასვენებას ვერც ვერასოდეს ვინატრებდი, — ამოსძახა ელიზბარმა და ცოტახნის შემდეგ სათხოვარიც მოაყოლა, — ერთი, თუ კაცი ხარ, ბავშვებს დაუძახე, წყალი მოატანინე.

სოლომონს არავისთვის დაუძახნია, ჭურის თავს მოცილდა და წუთსაც არ გაუვლია, რომ სველი სურა ჩააწოდა.

წამით შეწყდა სარცხის შხუილი. ელიზბარმა სურა მოიყუდა. პირველივე ყლუპი გაოცებისაგან ყელში გაუჩერდა და გაფართოებული თვალებით ძმას ამოხედა: ჭაღარა თმა-წვერისაგან დაფარული სახე გაბადროდა სოლომონს და სევდით დაღლილ თვალებში ეშმაკური ღიმილის შუქი ჩადგომოდა. ღიმილმა გააბრწყინა მაღლა მიპყრობილი ელიზბარის თვალები. სურას დაწაფებული ტუჩის კილოებთანაც ღიმილი ათამაშდა. თავი ოდნავ გადააქნია და ყელში შეჩერებულ სასმელს გზა მისცა.

კარგა ხანს არ მოუცილებია ტუჩი სასმელისთვის. ხარბად სვამდა. მესამედზე რომ დაიყვანა, სურა მაშინღა მოიშორა.

ერთი სული მოითქვა, რა კაცი ხარო, ასძახა სოლომონს და სურა ხელახლა მოიყუდა.

ახლა უფრო დინჯად, პირისგემოთი სვამდა. სურა ნელ-ნელა დაბლა დაუშვა. შეანჯღრია, ნახევარი აღარ იქნებოდა.

— მომაშორე, თორემ მეტი მომივა!

სულისძლევით წაილაპარაკა და სურა მაღლა ააწოდა.

— არ გაწყენს, ჯანში წავა.

ჩაეხმიანა ძმის სიამოვნებით კმაყოფილი სოლომონი.

ელიზბარმა ნელა გაუსვა სარცხი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არა, რა კაცი ხარ! — ხმამაღლა ასძახის ელიზბარი, — რას ვიფიქრებდი, რომ წყლის მაგივრად ღვინოს მომიტანდი?!

— გეწყინა, წყალი რომ არ იყო თუ?

ეშმაკური ღიმილით თვალმიწურული ეკითხება სოლომონი.

— არა, ამაზე მეტი საწყენი ნუ მოგცეს ღმერთმა, როგორ მეწყინებოდა, მაგრამ მართალი გითხრა, არ მოველოდი. წყლის ჭურჭლით რომ მომიტანე, იმან მომატყუა, რას ვიფიქრებდი თუ ღვინო იქნებოდა! მაინც საიდან გააჩინე ასე უცებ და მერე ასე ცივი?!

— ბიჭმა იცის!

სიცილით თქვა სოლომონმა და გულზე ისევ ისე დაიკრა ხელი, როგორც ადრე იცოდა, ახალგაზრდობაში.

— გუშინ რომ ვსვით სხვა იყო. ესეც სახლის ღვინოა, არა?

— ჰო, სახლის არი.

— კარგი დაგიყენებია.

— კარგია. ცოტა მოვიდა შარშან, მაგრამ, რაც მოვიდა კარგი დადგა. სამაგიეროდ, წლეულს მეტი მოდის, მაგრამ შარშანდლისთანა ვერ იქნება.

— შენ წელსაც კარგ ღვინოს დააყენებ. შენი ბევრიც კარგია და ცოტაც.

— ჰო, მაგრამ, ისე დაიძახა წლეულს მოსავალმა, ისე მოსკდა რომ, ეტყობა, უკანასკნელია.

— უკანასკნელი მტრისას იყოს!

— დიდ მოსავალს ვამბობ. დაბერდა ჩვენი ვენახი, ელიზბარ, დაბერდა და ბევრს ვეღარ მოისხამს. ეს მოსავალი, ალბათ, უკანასკნელი დიდი მოსავალი იქნება.

— შე კაცო, კაცი ბერდება და ვენახი აღარ დაბერდება?

— ამ სამოციანსაც, ალბათ, უკანასკნელად ვრეცხავთ.

სოლომონმა ოხვრით აითრია წელი და წამოდგა. ძმის უკანასკნელმა სიტყვებმა შეაკრთო ელიზბარი.

ვინ იცის, იქნებ მართლა უკანასკნელად ირეცხება სამოციანი ქვევრი! იქნებ თვითონაც უკანასკნელად არი ამ ქვევრში?!

ეს სამოციანი ელიზბარის დაბადების წელს ჩაუგდია მამამისს ელიზბარისავე სახელობაზე. ახლა ქვევრიც სამოცი წლისაა და ელიზბარიც.

იქნებ მართლა უკანასკნელად ირეცხება მისი ტოლი ქვევრი!

იქნებ მართლა აღარ მოვიდეს მამისეულ ვენახში სამოციანის გასავსები ღვინო!

— არა, ღვინოც მოვა და ქვევრიც გაირეცხება, მაგრამ გამრეცხავი? გამრეცხავი ვინ იქნება?

ამ კითხვამ შეაჩერა ელიზბარი. ქვევრის რეცხვა შესწყვიტა, მკლავები გაშალა და ფეხი მოინაცვლა.

უცებ თავზე ჩრდილის დადგომა იგრძნო.

სოლომონი მთელი ტანით ამართულიყო ქვევრის თავთან და ეს დაჩიავებული, წელში მოხრილი მოხუცი დაბლიდან უცნაურად მაღალი, სვეტივით სწორი, თავით ცას მიბჯენილი ეჩვენა.

— ცოტახნით წავალ, ვენახს დავხედავ, — ჩასძახა სოლომონმა და წავიდა. ქვევრს რომ ჩრდილი ადგა, ისიც თან წაიყოლა, ქვევრის თავზე ისევ შუქის სვეტი დადგა, მშვიდი და უღრუბლო, ნათელი და თვალისმომჭრელი.

ისევ ომახიანად გაისმის ქვევრში სარცხის შხუილი, გაშტერებული თვალით ელიზბარი ისევ ქვევრის იმ კედელს მიჩერებია, რომელსაც ასე დაჟი-

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ნებით სეხავს მისი ღონიერი ხელი. სხვა თვალით კი, გონებისა და ფიქრის თვალით, სადღაც უკან იხედება, დიდიხნის წინ განვლილ შორეთში, ბავშვობისა და ახალგაზრდობის მზიანეთში.

აგერ, ცხენით შემოდის ეზოში მამამისი — ბარძიმი. ბავშვები მისცვივდნენ და ცხენი ჩამოართვეს. ელიზბარმა უფროს ძმებს აღვირი არ დაანება, ცხენს მოსართავები მოუშვა და ოფლის შესაშრობად ნელი ნაბიჯით დაუწყო ტარება.

დაღლილმა მამამ ბავშვებს მიუალერსა, ახალუხის ღილკილოები შეიხსნა, მის ლოდინში გაწყობილ, ხელუხლებელ სუფრას კმაყოფილებით გადახედა და ხელის ბანას შეუდგა.

ის იყო, ხელპირშემშრალებულმა პირსახოცი უმცროს ქალიშვილს ესროლა, რომ ეზოში შაოსანი ქალი შემოვიდა, ხელგაშლილი, ვედრებით წამოვიდა ბარძიმისკენ და ფეხებში ჩაუვარდა.

— მიშველე, შენი ჭირიმე, შვილი მიკვდება. შენს მეტი აღარც კაცია და აღარც ღმერთი ჩემი იმედი.

მამამ წამოაყენა, დაამშვიდა იმედგადაწყვეტილი დედაკაცი, ამბავი გამოჰკითხა.

— ახლავე წამოვალ, ნუ გეშინია!

ანუგეშა. ელიზბარს ოფლშეუმშრალი ცხენი ისევ უკან მოაყვანინა და უკვე უზანგში ფეხგაყოფილმა გადმოსძახა სახტად დარჩენილ მეუღლეს:

— მე გაღმა სოფელში მივდივარ, უჩემოდ ისადილეთ, ნუ დამიცდით.

დედა დაჩვეული იყო ქმრის ლოდინს. ბავშვები ასადილა, თავათ კი პირში ლუკმა არ ჩაუკარებია.

ზოგჯერ შუაღამემდე უცდიდა ეკატერინე ქმრის მოსვლას. ხშირად ნავახშმევი და კარგად გადაკრულიც დაბრუნდებოდა ხოლმე ბარძიმი. ორი ადამიანისთვის გაწყობილ სუფრას რომ დაინახავდა, მაშინვე მიხვდებოდა — ცოლს უმისოდ არ ეჭამა. დაგვიანებისთვის ბოდიშს მოიხდიდა, ცოლს შუბლზე ეამბორებოდა, გვერდით მოისვამდა და რაც უნდა მაძღარი ყოფილიყო, მეუღლის ხათრით მაინც მასთან ერთად ტკბილად ივახშმებდა.

სოფლის ფერშალი იყო ბარძიმი. მაშინ მთელ მაზრას ორი ექიმი არ ჰყავდა და სოფლის ფერშალს ღამეც არ ეძინა: სახადისა და საოფლისგანაც მას უნდა ემკურნალა ავადმყოფისთვის, ჭლექითა და ანთებით დაავადებულიც მას უნდა მოერჩინა და პირველი ქირურგიული დახმარებაც მას უნდა აღმოეჩინა. მაზრის განაპირა სოფლებიდან ხომ ქალაქამდე ვერასოდეს აღწევდნენ და ავადმყოფები ფერშლების იმედად იყვნენ.

საფერშლო სკოლაში შეძენილის ამარა როდი იყო ბარძიმი. ყოველდღიურად ცოდნას იღრმავებდა, პაციენტებს გულდასმით სინჯავდა და ავადმყოფობის მსვლელობას ბეჯითად აკვირდებოდა.

ამიტომ სნეულების გამოცნობაში იშვიათად ცდებოდა, მისი გამოწერილი წამალი თითქმის მუდამ სასწაულებრივად მოქმედებდა.

საშოვრისთვის დიდად არ ზრუნავდა, ღარიბებისაგან გასამრჯელოს არ იღებდა და ბედისაგან ბოძებულს სჯერდებოდა.

კარგი შეხვედრა იცოდა ბარძიმმა. ავადმყოფთან რომ შევიდოდა, თავათ ჯან-ღონით სავსე, ახოვანი და მხიარული, იმედის შუქს შეუტანდა, სატკივარს გაუიოლებდა, გაეხუმრებოდა და გაახალისებდა. უწამლოდ შველოდა მისი გამხნევება ავადმყოფს, რაგინდ გულგატეხილი და მივარდნილიც არ უნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოფილიყო, განკურნების იმედს ჩაუნერგავდა და სასიცოცხლოდ გამოაბრუნებდა.

გაღმა სოფელში მეორე ფერშალიც იყო. ის რომ ავადმყოფთან მივიდოდა, შორიდან შეხედავდა. სნეულის ფერი რომ არ მოეწონებოდა, სახლ'ძიმყოფლებს მკვახედ მიახლიდა: თქვე კაი კაცებო, მომკვდარა და ახლა მეძახით?! აქამდე სად იყავით?!

ამ სიტყვების შემდეგ აღარც ავადმყოფი ვარგოდა, აღარც მის დარიგებას ჰქონდა ძალა და აღარც მის გამოწერილ წამალს.

ოთხი ვაჟი და სამი ქალი ჰყავდა ბარძიმს. უფროსი ვაჟი — ალექსანდრე თბილისში სწავლობდა, სასულიერო სემინარიაში. ცხრაასხუთი წლის რევოლუცია რომ დამარცხდა, ალექსანდრე სოფელში მოვიდა ჩუმად, რამდენიმე ამხანაგთან ერთად. ჩუმადვე სადღაც გაქრნენ და მერე ცოცხალი აღარ უნახავს ელიზბარს.

ერთ საღამოს თოფის სროლა ატყდა ბარძიმის ვენახში.

უკვე მოზრდილი ბიჭი იყო მაშინ ელიზბარი და კარგად დაამახსოვრდა. ვიღაც ყაბალახით თავპირახვეული გარბოდა, ღობეებზე ხტებოდა და დროდადრო უკანდადევნებულებს ესროდა. ის ერთი, როგორც ჩანს, გაუსხლტა მდევრებს და სტრაჟნიკები ძალიან სწუხდნენ, მთავარი გაგვექცაო.

ის კი გაიქცა, მაგრამ ალექსანდრე მოკლული მოიტანეს შინ. თურმე თბილისელ ამხანაგთან ერთად მამის ვენახში იმალებოდა, ვიღაცას გეში აეღო, კვალი მიეკვლია და გაეცა.

თავს რომ დასხმოდნენ, სროლა აეტეხნა, ამხანაგს გაქცევაში დახმარებოდა, მაგრამ თვითონ ვეღარ გაესწრო და ორი ტყვია მოხვედროდა.

სამუდამოდ ჩარჩა ხსოვნაში ელიზბარს კუბოში გაშოტილი ახოვანი ვაჟკაცის მკაცრი სახე, თმაგაშლილი დედის მოთქმა და გამწარებული მამის ტუჩების კვნეტა.

ბარძიმი დამსახურებამ და ხალხში დიდმა გავლენამ გადაარჩინა: სახლი არ დაუწვეს და რევოლუციონერი შვილის მოკვლა აკმარეს.

მას შემდეგ გატყდა ბარძიმი, ცხოვრების ხალისი დაკარგა, გუნება დაუმძიმდა და სიცოცხლე მოეწამლა.

ერთ უბედურებას მეორეც მალე მოჰყვა.

პირველი მსოფლიო ომი დაიწყო თუ არა, ალექსანდრეს მომდევნო ძმა — ჯამბაკური საოფიცრო სკოლიდან პირდაპირ ავსტრიის ფრონტზე წაიყვანეს. ორი თვეც არ იყო გასული, რომ ბარძიმმა შავი ქაღალდი მიიღო, — დედამ ისევ თმები გაიშალა, ჯამბაკურის ტანისამოსი გამოიტანა და პირისხოკვით დაიტირა დაღუპული შვილი.

ორი ვაჟიღა დარჩა ბარძიმს — სოლომონი და ელიზბარი. ქალები გათხოვილი და დაბინავებული ჰყავდა და ახლა, უკვე გატეხილსა და სიბერეში შესულ მამას ამ ბიჭების ბედი აწუხებდა.

— ერთერთ შვილს არ ვასწავლი, შინ დავიტოვებ, რომ კერა არ გაქრეს და ჩემი კარმიდამო ნასახლარად არ იქცესო.

გადაწყვიტა ბარძიმმა და არჩევანზე დიდხანს არ უფიქრია: სოლომონი წიგნს მაინც გულს ვერ უდებდა, ვენახსა და ყანაში მუშაობა ემარჯვებოდა და მიწა ნამდვილი გლეხივით უყვარდა.

მამამ მეოთხე კლასიდან გამოიყვანა. ხალისით მოეკიდა ოჯახის მეურნეობას სოლომონი, მთელ დღეს ყანასა და ვენახში ტრიალებდა,

ბარძიმის სახ. სახელმწიფო ოულ-პუბლიკური ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

წალდგარჭობილი და მხარზე თოხგადებული ტყესა და მინდორში დადიოდა, ღობესა და ყორეს ამაგრებდა.

ომი არ თავდებოდა. ჯამბაკურის ბედით დაშინებულმა ბარძიმმა, სოლომონს ადრე მოჰგვარა ცოლი, ესეც რომ დამეღუპოს, შვილი მაინც დარჩებაო.

მეორე მსოფლიო ომში გაიწვიეს სოლომონის ერთადერთი ვაჟი, ოტია, ქერჩის უბედურებაში მოჰყვა და დაიკარგა.

ეს ორი ბალღი დარჩა ოტიას, ახლა რომ ბურთს თამაშობენ ეზოში. ისინიღა დადიან მოხუცი პაპისა და ბარძიმის დიდი ოჯახის იმედად და უხარია ელიზბარს, მათ რომ ხედავს. უხარია და თან გული წყდება, რომ მის შვილს ერთიც არ დარჩა.

ჭურში რაღაც ჩამოვარდა. ელიზბარმა ძირს დაიხედა. — წითელი ბურთი იყო. დასწვდა. აიღო და მაღლა აიხედა. დიდხანს ლოდინი არ დასჭირვებია, სოლომონის შვილიშვილებმა მოირბინეს, ქვევრთან ჩაიჩოქეს და ჩასძახეს:

— ძია, ელიზბარ, უ-უ-უ...

— უ-უ-უ-უ...

დაირხა მათივე ჩაძახილის ნახმევი და გაოცებულმა ბავშვებმა ღიმილით შეხედეს ერთმანეთს.

— კუდრაჭებო, უ-უ-უ...

ამოსძახათ ელიზბარმა.

— ბურთი ხომ არ ჩამოვარდნილა, ძია ელიზბარ?

— რას მომცემთ, რომ გაპოვნინოთ?

ბავშვებმა ისევ ერთმანეთს შეხედეს, თითქოს ერთიმეორეს ეკითხებოდნენ, რა მივცეთო.

— რასაც ისურვებ, ძია ელიზბარ.

ჩასძახა გოგონამ.

— მაშ, მოვიფიქრებ და დაგიძახებთ.

ესა სთქვა ელიზბარმა, და ბურთი მაღლა ამოისროლა.

ბავშვები ბურთს დაედევნენ და მათი კისკისიც მისწყდა.

ამ გოგონას ტოლი იქნებოდა ელიზბარი, მამამ რომ ქუთაისის სასწავლებელში შეიყვანა. ბინად კანცელარიის ნაცნობ მოხელესთან დააყენა. იმ მოხელეს კარგი ოჯახი ჰქონდა, ქმარშვილის მოყვარული ცოლი და ორი ბავშვი ჰყავდა. ვაჟი ლევანი, ელიზბარის კბილა იყო, ხოლო ქალი — ოთხი-ხუთი წლით მათზე უმცროსი.

ლევანი კარგი გულისა იყო და ტოლებმა ერთმანეთი ძმებივით შეიყვარეს.

ლევანის და — ტასო იმთავითვე უცნაურად შეეთვისა უცხო ვაჟს. ელიზბარს თუ არ ხედავდა, ბავშვი ერთთავად მოწყენილი იყო, აღარც ჭამის ხალისი ჰქონდა, აღარც თამაშის. ელიზბარის გამოჩენისთანავე გამოცოცხლება შეეტყობოდა, გამხიარულდებოდა, ხალისიანი ხდებოდა და ლეკვივით კუდში დასდევდა მოუშორებლად. ელიზბარიც ანებივრებდა პატარა გოგონას, მუხლზე დაისვამდა, ტოლსავით თავს უყადრებდა, ართობდა და ასეირნებდა. ისე შეეჩვია და შეუყვარდა გოგონას ეს ლამაზი და გულკეთილი ბიჭი, სახლიდან გასულს გაეტირებოდა ხოლმე.

ელიზბარი დაჭაბუკდა, ხმა დაუბოხდა და სახეზე ღინღლი შეეპარა. ტანიკოც წამოიზარდა, გულმკერდი შეუმაღლდა და ტანის დასრულება შეეტყო. ვაჟი გრძნობდა ასაკისთვის შეუფერებელი მეტისმეტი სიახლოვის უხერხუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობას და, როგორც შეეძლო ერიდებოდა, თავს შორს იჭერდა. ქალი კი ისევ ბავშვობდა და ჟინიანობდა. ჭაბუკთან არ მორცხვობდა, შეუგნებლად ეტანებოდა და ძველებურად ეთამამებოდა.

გიმნაზიის დამთავრებას ორი წელიღა უკლდა ელიზბარს, რომ ჩააკითხა დედამ სანახავად. ჭკვიანმა ქალმა მაშინვე შენიშნა ქალ-ვაჟის ურთიერთობის უჩვეულობა, მიხვდა, რომ ცეცხლისა და თივის ასე ერთად დატოვება არ შეიძლებოდა და, რაკი ლევანი მომავალი წლიდან თბილისში გადადიოდა, იძალა და ელიზბარიც იქ გადაიყვანა.

მარტო დარჩენილმა ტასიკომ მეგობრის მოშორება იჯავრა და ლოგინად ჩავარდა. სევდით გალეულ, სახეგაცრეცილ გოგონას ჭლექი აღმოაჩნდა.

ელიზბარმა ამოიოხრა, წამით წელში გასწორდა და ზურგით ქვევრის კედელს მიეყრდნო. თავი ასწია, აიხედა: ქვევრს ზემოთ ისევ თვალისმომჭრელად გამოჩნდა ცის თეთრი ნაჭერი, მშვიდი და უსასრულო ლაჟვარდი.

ბავშვობიდან სულ ასე მიჩერებოდა ელიზბარი ცის დაუსრულებელ სიშორეს, თითქოს იქ, ლაჟვარდის მიღმა ეძებდა რაღაც საიდუმლოს ახსნას.

სკოლაშიც, მერხზე მჯდარი, ერთთავად სარკმელს გაჰყურებდა. იმ სარკმელიდანაც ცის პატარა ნაჭერი და უცნაურად ღრმა, გამჭვირვალე ლაჟვარდი მოჩანდა. (მასწავლებლები ხშირად უჯავრდებოდნენ ოცნებაში წასულ ყმაწვილს უყურადღებობის გამო, მაგრამ ვერ იქნა და სარკმელში ყურება ვერ მოაშლევინეს).

სკოლიდან დათხოვნა იმიტომაც უხაროდა, რომ სოფლისკენ გაქანდებოდა. იქ ცაც სხვა იყო და ჰაერიც, ასპარეზს ნაპირი არ ჰქონდა და არტახებაწყვეტილი ოცნება ფრთას ლაღად შლიდა.

გარიჟრაჟიდან დაღამებამდე სანადიროდ ტყე-ტყე ხეტიალი მოაგონდა ელიზბარს და გულმა ისევ ისე დაუწყო ბაგა-ბუგი, ხესთან ჩასაფრებულს რომ ემართებოდა ხოლმე ნადირის მოახლოებისას. ნადირობით დაღლილობა გაიხსენა და ციცინათელების შუქით განათებულ სათიბში თივის ბულულზე თავის მიდება მოუნდა (საოცარი სუნი ჰქონდა ახლად გათიბულ თივას, მთის გამხმარი ყვავილებისა და ბალახის სურნელი. მისი ყნოსვით ვერ ძღებოდა, იგი არცერთ სხვა სურნელს არ ჰგავდა, შორს, ძალიან შორს მიჰყვებოდა დიდიხნით და საყვარელ სოფელს, მშობლიურ მინდორ-ველს ახსენებდა).

ელიზბარმა ფეხი მოინაცვლა. შიშველი წვივების დანახვამ ახლა მთის ჩქარ მდინარეში წვეტიან რიყის ქვებზე ფეხშიშველა სიარული მოაგონა და თვალში წითლად დაწინწკლული კალმახები აელვარდნენ.

რატომღაც ისევ უნებური ოხვრა აღმოხდა, ქვევრს ზურგი მოაცილა და სარცხი აახმაურა.

ლევანი პატარაობიდან ლექსებს სწერდა და გიმნაზიის ახალგაზრდა პოეტების აღიარებული მეთაური იყო. მისი გავლენით თუ სხვა მეგობრების აყოლით, ერთხანს ელიზბარმაც მოსინჯა კალამი. ამხანაგები აქეზებდნენ და წარმატებას უწინასწარმეტყველებდნენ. იქნებ ცუდი პოეტი არც ყოფილიყო ელიზბარი, მაგრამ რატომღაც თავისი თავი თვითონვე დაარწმუნა, რომ პოეტობა მისი მოწოდება არ იყო და ლექსების წერას თავი ანება.

გიმნაზიაში ხატვის შესანიშნავი მასწავლებელი ჰყავდათ, ეროვნებით პოლონელი. შორეული ქვეყნიდან გადმოხვეწილი ნიჭიერი მხატვარი საქარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თველოს ბუნების ნამდვილი ტრფიალი გამხდარიყო და მოწაფეებს მათი სამშობლოს განუმეორებელი ფერების სიყვარულს უნერგავდა.

ამ რომანტიკულად განწყობილმა კაცმა ელიზბარიც გაიტაცა და აიყოლია. საღამოებს ბაგრატის გორაზე ატარებდა და მზის ჩასვლამდე ეტიუდებს აკეთებდა, ხან კიდევ შინ იჯდა და მისი სურვილის მორჩილ ტასიკოს სხვადასხვა პოზებსა და რაკურსებში ხატავდა.

ნელნელა ფუნჯი და ფანქარიც მოსწყინდა ელიზბარს და თუმცა პოლონელი მხატვარი დიდ მომავალს აღუთქვამდა, ერთ მშვენიერ დღეს ხატვასაც თავი გაანება.

იმ დროს ქუთაისში დიდი მსახიობები თამაშობდნენ და ახალგაზრდობა თეატრს აწყდებოდა. ელიზბარიც შევიდა ერთხელ იმ თეატრში და მერე სხვა ყველფერი დაივიწყა. თითქმის ყოველ საღამოს სულგანაბული იჯდა ქანდარაზე, გაიუს გრაკხისა და კარლ მოორის მღელვარე მონოლოგებს ისმენდა და თავადაც იმ გმირების ბობოქარი ცხოვრებით ცხოვრობდა, რომელთაც სახელგანთქმული სცენის დიდოსტატი ანსახიერებდა. ფარდის დაშვებისას ყველაზე ხმამაღლა ყვიროდა მის სახელს, ტაშის დაკვრას ყველაზე გვიან სწყვეტდა და დარბაზიდანაც სულ ბოლოს გამოდიოდა.

შემდეგ გარეთ უცდიდა თეატრიდან გამოსულ მსახიობს სხვა უამრავ თავყანისმცემლებთან ერთად, რათა ქუჩაში გამოჩენისთანავე გარს შემორტყმოდნენ, ხელში აეტაცნათ და სახლამდე ასე მიეყვანათ.

თეატრიდან შინ მისული გვიანამდე არ იძინებდა, შექსპირისა და შილერის, ჰაუპტმანისა და იბსენის პიესებს თავაუღებლივ კითხულობდა და საყვარელი მსახიობის მთელი რეპერტუარი თითქმის ზეპირად იცოდა.

ერთხელ ზაფხულზე მამას სტუმრად მეორე ცნობილი მსახიობი ეწვია მოგზაური დასით.

ახოვანმა და სახიერმა, მომხიბვლელმა და ზრდილმა სტუმარმა წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ჭაბუკზე. მსახიობის ლომისებური ფაფარი, ქანდაკებრივი სახე და ზარივით ხმა სამუდამოდ ჩარჩა მეხსიერებაში ისედაც დღედაღამ თეატრზე მეოცნებე ჭაბუკს.

ელიზბარმა გაბედა და სუფრაზე ჰამლეტის მონოლოგი წაიკითხა. სტუმარმა გულწრფელად მოუწონა, ურჩია სასცენო მოღვაწეობას გაჰყოლოდა და დიდი მომავალი უწინასწარმეტყველა.

ბარძიმი აიმრიზა. არ ესიამოვნა. უნდოდა ეთქვა, ნეტავ, შენც არ შეგერცხვინა არტისტობით შენი სახელოვანი მამა და დიდი გვარიო, მაგრამ საპატიო სტუმარს აუგი ვერ შეჰკადრა, შუბლი შეიკრა და თუმცა სუფრას სასმელი არ აკლდა, ელიზბარს ღვინის მოტანა უბრძანა, რომ უსიამო საუბარი შეეწყვიტა...

გიმნაზიის დამთავრების შემდეგ მოსკოვს გაემგზავრა ელიზბარი და მამის სურვილით საექიმო ფაკულტეტზე შევიდა. ლექციებზე დადიოდა, მაგრამ სწავლას გულს ვერ უდებდა. მაშინ მოსკოვში დიდი თეატრალური ცხოვრება ჩქეფდა და სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტს ანატომიის ლექციებზე მეტად საქვეყნოდ ცნობილი თეატრების წარმოდგენები იზიდავდა.

მალე იქაც ნაცნობები გაიჩინა და ახალი მეგობრების რჩევით სათეატრო სტუდიაში შევიდა.

ერთხანს უნივერსიტეტშიც განაგრძობდა ლექციებზე სიარულს, მაგრამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მალე დარწმუნდა, რომ ერთსა და იმავე დროს ორი ღმერთის სამსახურს ვერ შესძლებდა და, მშობლების დაუკითხავად, მედიცინის შესწავლაზე ხელი აიღო.

იცოდა, რომ ბარძიმს აღაშფოთებდა შვილის ეს თავნებობა. მამის წყენისა ერიდებოდა და ყოველნაირად ცდილობდა, მშობლებს არ შეეტყოთ მისი თეატრში შესვლა.

მამის იმდენი რიდი და ხათრი ჰქონდა, რომ ზაფხულობით საქართველოში ვეღარ ჩამოდიოდა. მაგრამ ამქვეყნად სხვა რა დამალულა და შვილის საიდუმლოც მალე გამომჟღავნდა: რომელიღაც ქართველს მოსკოვის სცენაზე ელიზბარი ენახა, მისი თამაშით მოხიბლულიყო და ბარძიმისთვის პირველი შეხვედრისთანავე ეხარებინა.

ბარძიმს გულს კინაღამ შემოჰყროდა. მაშინვე შვილისათვის დეპეშა ეფრინა და დედის ავადმყოფობის მომიზეზებით სასწრაფოდ ჩამოსვლა შეეთვალა.

რუსეთი უკვე სამოქალაქო ომის ცეცხლში იყო გახვეული და იმ დეპეშას ელიზბარამდე ვეღარ მიეღწია.

კარგახანს ელიზბარისა აღარაფერი ისმოდა. ფრონტებზე უამრავი ხალხი წყდებოდა და უკვე დამბლადაცემული, დაუძლურებული ბარძიმი იმასღა ნატრობდა, უმცროსი შვილის უნახავი არ ჩავიდე საფლავშიო. იმის დარდი კი აღარ ჰქონდა გულგატეხილ მოხუცს, მისი შვილი ექიმად დაბრუნდებოდა თუ „კომედიანტად“.

რევოლუციამ გაიმარჯვა, ქვეყანა დაწყნარდა და ელიზბარიც დაბრუნდა საქართველოში. ელიზბარის გამოჩენამდე კარგახნით ადრე მისი ჩამოსვლის მაუწყებელი აფიშები გაჩნდნენ და სამშობლო დიდის ამბით შეხვდა უკვე მთელს რუსეთში სახელგანთქმულ მსახიობს.

და პირველად აქ გაიგო ელიზბარმა სახელისა და დიდების, საყოველთაო სიყვარულისა და პატივისცემის ფასი.

მისი სპექტაკლები უბრალო წარმოდგენებს როდი ჰგავდნენ, ნამდვილ სახალხო დღესასწაულებად გადაქცეულიყვნენ და ქართველი მაყურებელი ხელში აყვანილს დაატარებდა ქალაქიდან ქალაქში საყვარელ მსახიობს.

მაშინ დიდების ზენიტში იყო ელიზბარი და ახლა ზოგჯერ სინანული გაჰკრავს, რომ იქ არ შესწყდა მისი ცხოვრებისა და შემოქმედების გზა.

ადამიანი თავისი სახელისა და დიდების მწვერვალზე აღმავალი უნდა კვდებოდეს. ასეთი სიკვდილი ლამაზია და გულის დამწყვეტი...

მაშინ ელიზბარი შილერის „ყაჩაღებში“ ორივე მთავარ როლს თამაშობდა — ფრანცისას და კარლოსისას. ორივე როლს დიდის გზნებითა და შინაგანი სიმართლით ასრულებდა და ერთხელ სიკვდილს ძლივს გადაურჩა: ფრანცის თვითმკვლელობის სცენაში თავი ყულფში გაჰყო...

და მაშინ მოხდა ის შემთხვევა, რომელსაც ახლაც ხშირად იხსენებენ:

თოკი გაუსკვნელი აღმოჩნდა, ყელზე ნამდვილად წაუჭირა და ხრიალი დააწყებინა. სულგანაბული მაყურებელი დაძაბული ადევნებდა თვალს შილერის უბედური გმირის ტრაგიკულ ბოლოს და ვერ ხვდებოდა, რომ მსახიობი მართლა იხრჩობოდა, ნამდვილი სიკვდილით კვდებოდა.

იღბლად კულისებიდან შენიშნა ძველმა მსახიობმა. სცენაზე ავარდა, დანით თოკი გადასჭრა და ელიზბარი სიკვდილს გადაარჩინა...

ბურანში წასულს სიზმარივით დაამახსოვრდა, როგორ იხუვლა მთელმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარბაზმა შვებისა თუ გაოცებისაგან და სცენა ხალხით გაიჭედა.

ნაღდ სიკვდილს გადარჩა მაშინ ელიზბარი. გადარჩა, მაგრამ იქნებ სჯობდა, არ გადარჩენილიყო. ძალ-ღონითა და მომავლის დიდი იმედებით სავსე წავიდოდა ამ ქვეყნიდან და გულის დასაწყვეტი არაფერი დარჩებოდა.

— არა! სულ არაფერიო, ვერ იტყვის ელიზბარი. მაშინ, თოკიდან ჩამოხსნილი რომ მოასულიერეს, იქ მყოფებს ეს უთხრა:

— მადლობელი ვარ, რომ გადამარჩინეთ. ისე სიკვდილი არ მინდოდა. მეფე ლირი არ მეთამაშნა.

შემდეგ ეს სიტყვები გაზეთებმა დაბეჭდეს, მთელ საქართველოს მოედო და დიდის ამბით მოელოდნენ იმ დღეს, როცა სახელოვანი მსახიობი შექსპირის უკვდავ მოხუცს განასახიერებდა.

მაგრამ იმ დღემ დაიგვიანა და, ალბათ, უკვე აღარც არასოდეს დადგება.

ბევრჯერ დააპირა ელიზბარმა ლირზე მუშაობის დაწყება, მაგრამ რაღაც შინაგანი ხმა აფრთხილებდა, ჯერ კიდევ ადრეა, ლირი ცხოვრების გამოცდილება და სიბრძნეა, დაიცადე, ვიდრე მეტს არ გამოცდი და არ შეიძენო. დაიცადა ელიზბარმა და თურმე უბედურებას უცდიდა: ერთადერთი შვილი დაჰკარგა.

ლირის ტრაგედიაც არსებითად შვილების დაკარგვის ტრაგედია იყო, რადგან თავიანთი უმადურობითა და უდიერებით ისინი მოხუცი მამისათვის დაღუპულები, დაკარგულები აღმოჩნდნენ.

შვილის დაკარგვა საშინლად განიცადა ელიზბარმა, იგი სიცოცხლის აზრს პირველად ჩაუფიქრდა ღრმად და თავისი ცხოვრების მიზნის გარკვევაც სცადა.

სწორედ იმ ხანებში ერთხელ კიდევ გადაიკითხა შექსპირის ტრაგედია, მისი სიბრძნე ახლებურად გაიგო და იგრძნო, რომ დრო დამდგარიყო, ლირის როლისთვის მომწიფებულიყო.

მაგრამ სხვა უფრო დიდ სიბრძნესაც მისწვდა მაშინ ელიზბარი: ლირის როლმაც, ისევე, როგორც საერთოდ სცენამ და ცხოვრებამ მისთვის აზრი და მიმზიდველობა დაკარგა, რადგან შვილის სიკვდილის შემდეგ მას მხოლოდ საკუთარ უბედურებაზე ფიქრიღა შეეძლო.

საკუთარი უბედურების თამაში კი მკრეხელობად ეჩვენა დიდი ტრავმით ერთბაშად გატეხილ, ხანში შესულ მსახიობს.

ბუნებით ხალისიანმა და უდარდელმა კაცმა თავი ჩაღუნა, ცხოვრების სიხარულს ზურგი აქცია, სულიერად მოიშალა და მოეშვა.

დიდი მწუხარება მუნჯია და ელიზბარი ჩუმად, სულის ძალიან შორეულ სიღრმეში უხდიდა ხარკს თავის მწუხარებას, ამის გამო არავისთან ლაპარაკობდა და ცდილობდა გარეგნულად დარდი არ შეემჩნია.

დასანახავად და გასაგონად ვერ იტანდა იმ მხატვრებისა თუ მწერლების ნაწარმოებებს, რომელთაც მხოლოდ საკუთარი თავისთვის გასანდობი დიდი მწუხარება ტილოებზე და წიგნებში გადაეტანათ.

ერთხელ ნაცნობ პოეტს ბავშვი მოუკვდა. რამდენიმე დღის შემდეგ გაზეთში ლექსი წაიკითხა, რომელშიაც შვილის უდროოდ დაკარგვას დასტიროდა მამა.

ამ ლექსის გამო ბევრს მოუვიდა თვალზე ცრემლი, ელიზბარმა კი გაზეთი დაჭმუჭნა და ხელი ცივად გაუშვა. არაბუნებრივად, გულცივობად ეჩვენა ელიზბარს ყველაზე სათუთსა და საკუთარზე ასე აშკარად, საქვეყნოდ საუბარი...

ხმამაღლა ლაპარაკი გაისმა.

ქვევრის რეცხვა და ფიქრი ერთად შესწყვიტა ელიზბარმა.

ყური მიუგდო, გარკვევით ისმოდა:

— ცუდი საქმე გვიყავი, სოლომონ, მოგვჭერი თავი და ეგ არი.

— არ დამიჯერა, ჩემი ბრალი არ არი.

იმართლებდა თავს სოლომონი.

ჭურის თავზე შეჩერდნენ.

ელიზბარმა მაღლა აიხედა: სოლომონი და სამი ახალგაზრდა წრედ დამდგარიყვნენ ქვევრის თავზე.

ერთმა მუხლზე ჩაიკეცა და ელიზბარს ჩასძახა:

— რატომ შეგვარცხვინეთ, ბატონო ელიზბარ, თქვენ რატომ შეწუხდით ქვევრის რეცხვაზე?!

— თქვენს ნახვას ვეღირსეთ და ქვევრში სამუშაოდ გვემეტებით?! — დაუმატა მეორე ახალგაზრდამ.

— ასე უბირები კი არ ვართ, ბატონო, ამ სოფლის ახალგაზრდები, რომ ავსა და კარგს ვერ ვარჩევდეთ. მართალია, რთველია და კოლმეურნეობაში ბევრი სამუშაო გვაქვს, მაგრამ ის კი ვიცით, თქვენისთანა საპატიო კაცი ამგვარ საქმეზე რომ არ უნდა შევაწუხოთ.

— ამობრძანდით, ბატონო, ელიზბარ!

— ამობრძანდით და ერთ საათში გავაკრიალებთ მაგ ქვევრს.

— ჩემი ამოსვლა შეუძლებელია.

გადაჭრით სთქვა ელიზბარმა და რეცხვა განაგრძო.

— რათა, ბატონო? — ჩაჰკითხეს ისევ მაღლიდან.

— რათა და აქედან ამომსვლელი არა ვარ. — ისევ ცივად მოსჭრა ელიზბარმა.

გაკვირვებულმა ახალგაზრდებმა სოლომონს შეხედეს.

— ხომ გითხარით, არ იზამს-მეთქი, მეც ბევრი ვეხვეწე, მაგრამ არ გამიგონა.

ბიჭებმა ერთიმეორეს რაღაც გადაუჩურჩულეს.

— ამაზე ხომ გაგვაწბილეთ და გაგვაწბილეთ, ბატონო ელიზბარ, მაგრამ მეორე თხოვნაზე მაინც ნუღა გვეტყვით უარს: საადრო ყურძნის მაჭარი გვაქვს და ამ საღამოს თქვენთან ერთად გვინდა დაჭაშნიკება. — ჩასძახა პირველმა.

— აი, ამისთანა თხოვნა მესმის. მაგის უარი კი არ შეიძლება. სიამოვნებით მოვალ.

ამოსძახა გამხიარულებულმა ელიზბარმა.

— ძალიან დაგვავალებთ...

— მზის ჩასვლისას გელით... სოლომონ, შენც წამოყევი.

— ჯერჯერობით...

— ნახვამდის.

წამოხტნენ ბიჭები ფეხზე.

— ნახვამდის!

დაადევნა ელიზბარმაც.

— თუ არაფერი გჭირდება, ელიზბარ — ჩასძახა სოლომონმა, — ამ ხალხს გავყვები, გავაცილებ.

— გაყევი... გაყევი, სოლომონ, კარგი ახალგაზრდები ჩანან. — ამოსძახა ელიზბარმა, შუბლზე ოფლი მოიწმინდა და ისევ გაუსვა სარცხი.

ისევ გაისმა გაბმული შხუილი და ისევ გადაება ფიქრის გაწყვეტილი ძაფი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქუთაისში პირველად ჩავიდა საგასტროლოდ რუსეთიდან დაბრუნებული ელიზბარი. სპექტაკლის დამთავრების შემდეგ ლევანმა კულისებში მიაკითხა და შინ წაიყვანა. ტასიკოს რომ შეხვდა, როგორღაც დაიბნა. ქალს სახე აელეწა, ხელი უხმოდ გაუწოდა და ისე უცებ გაშორდა, თვალში არც შეუხედია.

სხვაგან რომ ენახა, ალბათ, ვერც იცნობდა სიყრმის მეგობარს.

უკვე ოცდაათს გადასცილებოდა, მაგრამ ძველებურად სხარტი ეჩვენა, სხვა მხრივ ძალზე გამოცვლილიყო, თვალტანადობა და სახიერება მომატებოდა, ავადმყოფობისაგან განკურნებულიყო, საექიმო ინსტიტუტი დაემთავრებინა და ახლა ქუთაისში მუშაობდა თურმე ექიმად.

ელიზბარი კარგ გუნებაზე იყო. სუფრას რომ მიუსხდნენ, თამადობაზე უარი ვეღარ თქვა და ბევრიც დალია.

როდის და როგორ დაწვა, აღარ ახსოვდა.

დილაადრიან რომ გაეღვიძა, ელდანაცემი წამოიწია — ლოგინში ტასიკო უწვა. ენა ჩაუვარდა და მიწისფერი დაედო.

ბინდბუნდად მოაგონდა, როგორ შემოჰყვა მთვრალს საძინებელ ოთახში ტასიკო, როგორ გაუშალა ლოგინი და წასვლისას, როცა ძილი ნებისა უსურვა, როგორ მოიზიდა საკოცნელად.

ტასიკო ნებას დაჰყვა და მერე... მერე ყველაფერი თავისთავად მოხდა, ანგარიშ-მიუცემლად და შედეგის გაუთვალისწინებლად.

— ეს რა ჩავიდინე! — თმებში ხელებწავლებული ჩურჩულით ამბობდა ელიზბარი, — რატომ არ დამიშალე, ხომ იცოდი, რომ ცოლის შერთვას...

— არ აპირებდი... ვიცოდი... ნუ გეშინია, არც მე ვაპირებ ცოლად აყიდებას.

— რას ამბობ, ტასიკო?!

— მე მხოლოდ ბავშვი მინდოდა შენგან, სხვისგან არავისგან... შენ გიცდიდი... დედა მინდოდა გავმხდარიყავი... შენი შვილის დედა.

ტასიკოს ხმა აუკანკალდა, თვალზე ცრემლი მოადგა, სახეზე ცხვირსახოცი აიფარა.

— დღეის შემდეგ თვალით ვეღარ მნახავ, ახლოს არ გაგეკარები... არც ბავშვის აღზრდით შეგაწუხებ.

ესა თქვა სლუკუნით, უკანასკნელად ლამაზი თვალებით უსიტყვოდ მიუალერსა გაოგნებულ, სასოწარკვეთილ ელიზბარს, ლოგინიდან ჩამოცურდა და ფარდის იქით გაუჩინარდა.

ის დღე ყველაზე მძიმე იყო ელიზბარის ცხოვრებაში. ლევანსა და მის დედ-მამას თვალში ვეღარ უყურებდა. ცოტა წაისაუზმა, სასწრაფო საქმე მოიმიზეზა და ქუთაისიდან იმ დღესვე წავიდა.

თავისი ცხოვრების მეტი წილი სასტუმროში ჰქონდა გატარებული. მსაზიობის მოხეტიალე ცხოვრებას შეჩვეული, ოჯახის შექმნასა და ცოლის შერთვაზე არ ფიქრობდა, თუმცა ქალების მოყვარული კი იყო.

წარმოსადეგსა და თვალტანადს, სახელოვანსა და ენაწყლიან ვაჟკაცს ლამაზები ბუზივით ეხვეოდნენ. ელიზბარმა დიდი დევნა და გადაყოლა არ იცოდა, ქალებს მალე უახლოვდებოდა და მალევე შორდებოდა. ცოლად შერთვის იმედს არავის აძლევდა და სატრფოების ჩამოშორებას ისევე ოსტატურად ახერხებდა, როგორც დაახლოებას.

ტასიკოსთან დამოკიდებულება გამონაკლისი იყო და ცოტა უცნაურიც. იმდენად უყვარდა მისი ოჯახი და იმდენ პატივს სცემდა ლევანსა და მის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშობლებს, რომ მზად იყო უარი ეთქვა მარტოხელა ცხოვრების სიამეზე და უყოყმანოდ შეერთო თავისი ბავშვობის მეგობარი.

მაგრამ ტასიკომ თავად არ ინდომა ზედმეტ ტვირთად აკიდებოდა საყვარელ ადამიანს, რომელსაც ხელოვნების გარდა სხვა ცხოვრება არც გააჩნდა და არც უნდოდა ჰქონოდა.

იმ დღის შემდეგ ტასიკოს აღარსად შეხვედრია. შორიდან გაიგო, რომ მშობლების სახლი დაეტოვებინა და ბიჭი შესძენოდა.

ბიჭი ელიზბარის გვარზე დაეწერა და სოლიკო დაერქმია. შვილი ერთხელაც არ ენახა ელიზბარს და ამიტომ ბავშვის სიყვარულის გრძნობაც არ ჰქონდა.

ჩვიდმეტი წლის შემდეგ გაეხმაურა ტასიკო თავისი შვილის მამას. პატარა ბარათში მოკლედ სწერდა, ამდენხანს არ შემიწუხებიხარ შენი შვილის გამო, მაგრამ ახლა შენს უნახავს ისე ნუ მომკლავ, ბავშვს შენი თავი არ ვაჩვენოო.

უკვე ხანში იყო შესული ელიზბარი. ახლობლისა და თავისიანის სითბო და სიყვარული ენატრებოდა.

იმ ღამესვე ქუთაისისკენ გასწია რაღაც ახლისა და შეუჩვევლის, ძლიერისა და უცნობი განცდის მოლოდინში.

ტასიკოს კარის ზღურბლს რომ გადააბიჯა, ლევანს შეეფეთა. სახედამწუხრებულმა, ამდენი ხნის უნახავმა მეგობარმა უსიტყვოდ გაუწოდა ხელი.

— როგორ არი?

იკითხა დაბნეულმა ელიზბარმა, ისე რომ თვალში ვერ შეხედა ლევანს.

— ცუდად... ძალიან ცუდად.

მიუგო ლევანმა და ავადმყოფის ოთახის მიხურულ კართან ატუზულ ჭაბუკს ანიშნა თვალით, აქ მოდიო.

ჭაბუკის მოტრიალება და ელიზბარის გაფითრება ერთი იყო: ელიზბარისკენ მისივე ახალგაზრდობა მოდიოდა, სწორედ ისეთი სახით, სიჭაბუკის დროინდელ ფოტოებზე რომ შემორჩა.

მაღალი, მხრებში ოდნავ მოხრილი, გამხდარი ჭაბუკი, ეტყობოდა, ღელავდა, დაბნეული თვალებით ხან ლევანს უყურებდა, ხან, ალბათ, უკვე სურათებიდან ნაცნობ ელიზბარს და გაუბედავი ნაბიჯით უახლოვდებოდა.

— ეს არი შენი ბიჭი, ელიზბარ!

უთხრა ლევანმა და თვითონაც აღარ ახსოვს ელიზბარს, მან მოჰხვია ხელი პირველად, თუ შვილი გადაეხვია. ერთხანს ასე იყვნენ, ერთიმეორეს ჩაკრულები. მერე ხელი გაუშვა, ოდნავ უკან დაიწია, ვაჟიშვილი აათვალ-ჩაათვალიერა, მოეწონა და ხელახლა გადაეხვია.

ტასიკო მეორე დღესვე აბასთუმნისკენ გააქანეს, ხოლო მამა-შვილი თბილისისკენ გამოემგზავრა.

სოლიკოს ბევრი ბარგი არ ჰქონდა, ერთი ჩემოდანი მარტო ინსტრუმენტებითა და რაღაც დეტალებით აავსო, მეორეც წიგნებითა და ტანისამოსით.

პირველად საუბარი არ ეწყობოდა.

კუპეში ორნი ისხდნენ მარტო და ერთმანეთს ჩუმად, ერთიმეორისაგან ფარულად აკვირდებოდნენ.

მერე მამამ ტანთ გაიხადა და დაწვა.

უცებ მუსიკის ხმა ჩაესმა. გაკვირვებულმა თავი წამოსწია. ვაგონში რეპროდუქტორი არ იყო, რადიოს ხმა კი სადღაც, აქვე, სულ ახლო ისმოდა.

სოლიკოს მამის გაოცებაზე გაეღიმა. ჯიბიდან მინიატურული მიმღები ამოიღო და მაგიდაზე დადგა.

— ჩემი აწყობილია.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

მორცხვად თქვა თავდახრილმა და გაწითლდა, მერე თითქოს რაღაც გაახსენდაო, — მამას დარცხვენით შეხედა და შეეხვეწა.

— გამოვრთავ, თუ გეძინება.

— არა, იყოს! კარგი მუსიკაა.

ელიზბარმა მაგიდისკენ მიიწია, აპარატს ყოველმხრიდან დააკვირდა, ხელითაც შეეხო, ფრთხილად.

— რა პატარაა!

მოწონებით სთქვა, მერე შვილს შეაცქერდა და გახარებულმა ჰკითხა:

— მართლა შენი ხელით აწყობილია?

— ჩემი ხელით... პირველი როდია!

უპასუხა შვილმა და ისევ გაწითლდა.

— ყოჩაღ! — მოუწონა მამამ. კიდევ რაღაც უნდოდა ეთქვა, საქებარი და სასიამოვნო, მაგრამ სიტყვას თავი ვერ მოაბა და გაიტრუნა.

არც მამამ იცოდა, არც შვილმა, რა ეთქვათ ერთიმეორისათვის, ერთიც უხერხულად გრძნობდა თავს და მეორეც მიუჩვეველ ურთიერთობაში.

ამიტომ ორივე სდუმდა და ჩუმად უსმენდნენ მუსიკას. ახლაც ყურში ჩაესმის ელიზბარს ის მუსიკა. ის იყო მისი ცხოვრების უპედნიერესი და ულამაზესი მუსიკა. ალბათ, სოლიკოც ასევე განიცდიდა მამის პოვნის სიხარულს, მამაშვილობის იმ განუმეორებელ მუსიკას, თვალები გაფართოებოდა, გაბრწყინებოდა და სადღაც შორეთში წასვლოდა მზერა. სდუმდნენ მამა და შვილი. ერთიმეორეს არ ელაპარაკებოდნენ. მუსიკა კი ისევ გაისმოდა, გულსჩამწვდომი მუსიკა და ორივე გრძნობდა, რომ ისინი ახლა ამ მუსიკით ესაუბრებოდნენ ერთმანეთს.

ეს ლირიკული ჰანგი მათ სულებს რაღაც უხილავი ძაფებით აკავშირებდა ერთმანეთთან და ორი მოსიყვარულე გული ერთი სიხარულით სცემდა.

სასტუმროში ვაქკაც შვილთან ერთად ცხოვრება შეუფერებლად მიიჩნია ელიზბარმა და მეორე დღესვე ცალკე ბინაში გადავიდა.

უთქმელი, სიტყვაძვირი აღმოჩნდა სოლიკო. მთელი დღეები წიგნს კითხულობდა, ან რადიოს დეტალებს ჩაჰკირკიტებდა.

მამა უსაზღვროდ უყვარდა. მის გამოჩენაზე სახე უნათდებოდა და მღელვარებას ვერ მალავდა.

აკვირდებოდა გვიან ნაპოვნ შვილს ელიზბარი და ტასიკოსადმი უზომო მადლიერებით იმსჭვალებოდა.

როგორ ჰარმონიულად აღეზარდა შვილი მარტოხელა ქალს! ფიზიკურად ჯანსაღი და განვითარებული, მუსიკისა და წიგნის მოყვარული, ტექნიკით გატაცებული ჭაბუკი მამას სანიმუშო ახალგაზრდად ეჩვენებოდა და დაუხარჯავად ამდენხანს შემონახულ მამაშვილურ სიყვარულს მასზე ერთბაშად, დაუნანებლად ხარჯავდა. ერთი წელი გაატარა შვილთან.

გასტროლებზე სიარულს თანდათან უკლო და ბოლოს თითქმის სულ აღიკვეთა მოხეტიალე ცხოვრება.

ვაჟი მამის ნიჭის დიდი თაყვანისმცემელი იყო და მის წარმოდგენებს უკლებლივ ესწრებოდა სპექტაკლის შემდეგ, გვიან, ერთად ბრუნდებოდნენ შინ და დიდხანს მეგობრულად საუბრობდნენ თეატრისა თუ მწერლობის, ხალხისა თუ ქვეყნის ამბებზე.

შემოდგომაზე სოფელში წაიყვანა ელიზბარმა სოლიკო. მაშინ სოლომონის

ერთადერთი ვაჟიც სახლში ტრიალებდა და ბიძაშვილები ღვიძლი ძმებივით შეეთვისნენ ერთმანეთს, სოფელს შეუჩვეველმა სოლიკომ რაღაც განსაკუთრებული სიყვარულით შეიყვარა მამაპაპეული კარმიდამო. ეზარებოდა იქაურობის დატოვება და იმ წელს უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელი რომ არ ყოფილიყო, სულ არ წავიდოდა სოფლიდან.

მამის მოწონებითა და დასტურით შვილმა რადიოტექნიკის სპეციალობა აირჩია.

გულმოდგინედ სწავლობდა სოლიკო. სტუდენტთა სამეცნიერო წრეში მოხსენებებს კითხულობდა, წინ ბრწყინვალე მომავალი ჰქონდა, მაგრამ...

ღმერთმა დასწყევლოს ის დღე, ომის დაწყების შავბნელი დღე.

უკვე სრულწლოვანმა სოლიკომ ჯარში გაწვევის უწყება მიიღო. დედისთვის არ უცნობებია, მაგრამ გუმანით თუ ეჭვით მიხვედრილი, მომჯობინებული ტასიკო თბილისში ჩამოიჭრა.

დატრიალდა ამხანაგ-ნაცნობებში და საექიმო კომისიაზე დაიმედებულმა გაგზავნა შვილი.

რა გტკივაო, რომ ჰკითხეს, თურმე გაწითლდა სოლიკო. დედის დარიგება — ესა და ეს ავადმყოფობა სთქვიო, ერთბაშად დაავიწყდა და ღიმილით უთხრა ექიმებს, არაფერიც არ მტკივაო.

ექიმებს რაღა შეეძლოთ, სოლიკო სამწყობრო სამსახურისთვის ვარგისად ცნეს და ჯარში წაიყვანეს.

ტასიკო გაჩენის დღეს იწყევლიდა, თავის თავს ადანაშაულებდა, იმის გამო, რომ შვილი სიმართლისა და პატიოსნების სიყვარულით გაზარდა. ბავშვობაში სულ იმას ჩასჩიჩინებდა, არ იცრუო, ტყუილი არასოდეს სთქვაო.

ასე ალალ-მართლად გაზრდილი ექიმებს როგორ მოატყუებდა, სიმართლე თქვა, არაფერი მტკივაო, და ყველაფერი გათავდა.

სოლიკო ლეიტენანტების სკოლაში გაგზავნეს და ექვს თვეში ბომბდამშენზე დასვეს რადისტად.

ამის შემდეგ დიდი დროც არ გასულა, ელიზბარმა ცნობა მიიღო, თქვენი შვილი გმირულად დაიღუპაო. შვილის წაყვანის დარდით ხელახლა ლოგინად ჩავარდნილი ტასიკო იმ დღეს ვერ მოესწრო, სიკვდილმა შეიბრალა და ცოტა ადრე წაიყვანა.

— ჰამოო!

— აქეთ მოსწი. ღობეს არ მოსდო...

ჩაესმა ელიზბარს და ურმის ჭრიალიც გაიგონა. მიხვდა, რომ ყურძნით სავსე ძარები მოჰქონდათ იმ ურმებს.

რა დიდი სიხარული იყო მისთვის, წინათ, ეზოში მოსავლის შემოსვლა, მერე ისიც ყურძნის მოსავლის! როგორ უხაროდა ხოლმე ურმის ჭრიალის გაგონება! პატარა რომ იყო, ხარებს წინ მიუძღოდა და გზას უმარჯვებდა, რომ ორღობეში ურემი ფრთხილად გაეტარებინა. ვაჟკაცობაში, როგორც ახლა, ქვევრში ჩაესმებოდა ხოლმე ურმის ჭრიალი, პაწია სამფეხა სკამზე შედგებოდა, ქვევრიდან თავს ამოჰყოფდა და სიხარულით აყოლებდა თვალს ყურძნით სავსე ძარიანი ურმის გავლას.

ახლა რა დაემართა ელიზბარს. მაღლა ახედვა ეზარება, თითქო ყურძენი კი არა, ჩალა მოჰქონდეს იმ ურემს.

შუბლზე ოფლი ღვარად სდის და პირი უშრება.

რეცხვა შესწყვიტა. საკუთარი გულის ბაგა-ბუგი მოესმა. ცოტა არ იყოს ეუცხოვა. დავღლილვარო გაიფიქრა. წყლის დალევა მოუნდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სოლომონ...

— სოო-ლოო-მოონ.

დაირხა ქვევრში მისივე ძახილი.

— აქა ვარ, ელიზბარ.

გაიგონა სულმოუთქმელი სირბილით მოვარდნილი ძმის პასუხი.

— თუ კაცი ხარ, წყალი მომეცი, ოღონდ წეღანდელივით ღვინო არ დამალევინო...

— ახლავე!

დაიძახა სოლომონმა და ქვევრის თავს მოცილდა. წუთსაც არ გაუვლია, რომ ქვევრში ჩამოღამდა და ელიზბარმა ნაცნობი ძახილი გაიგონა.

— ძია ელიზბარ, უუუ...

— უ-უ-უ-უ...

დაირხა ქვევრში მათივე ხმა. ბავშვებმა ნახმევს ყური მიუგდეს და ხიხარულით გადიკისკისეს.

ელიზბარმა აიხედა: სოლომონის შვილიშვილებს თავები ერთიმეორეზე მიედოთ, ქვევრზე დახრილიყვნენ და სინათლე, თურმე, იმიტომ აღარ ჩამოდიოდა.

— კუდრაჭებო, უ-უ-უ...

ასძახა ელიზბარმა.

— წყალი მოგიტანეთ, ძია ელიზბარ.

— აი, აგრემც გაიზარდენით.

ამოსძახა მადლიერმა ელიზბარმა და წყლიანი სურა გამოართვა.

ბავშვები მაშინვე წავიდნენ და მათი კისკისიც მისწყდა. ელიზბარმა წყალი მოსვა, სული მოითქვა და ეს მერამდენეჯერ ინატრა:

— ნეტავი, ერთი ბალღი მაინც დარჩენოდა ჩემს სოლიკოს, ახლა ამათი ტოლა იქნებოდა. — ამოიოხრა და ხმამაღლა ამოიძახა:

— ერთი მაინც დარჩენოდა... ერთი...

— ეეერ-თიიი... ეეერ-თიიი...

დაირხა გადიდებული და გაზვიადებული ხმა და ელიზბარი თვითონვე შეკრთა თავის ამოძახილზე.

თითქოს შეეშინდა არავინ გაიგოხოსო, მიიხედ-მოიხედა, და ისევ სარცხს ეცა, რომ მისი შხუილით ქვევრის გუგუნი ჩაეხშო.

როგორც გაიგო, რუმინეთში ჩამოეგდოთ ის ბომბდამშენი, რომელზედაც რადისტად იყო სოლიკო.

უკანასკნელ რაციას რომ გადასცემდა, ალბათ, გულში დედასაც უხმობდა და დედა მიწაში იყო, ალბათ, მამაზეც ფიქრობდა და მამა შორს ჰყავდა.

ომის დაწყებისა და შვილის გაწვევის პირველსავე დღეს საშინელი სიმარტოვე იგრძნო ელიზბარმა. ადრე მარტოობას შეჩვეული კაცი, ახლა სახლში ჩამოვარდნილ სიჩუმეს ვეღარ ურიგდებოდა. სულ თავისი ბიჭი ელანდებოდა, ყურში მისი ხმა ესმოდა, ბორგავდა და შინ ვეღარ ჩერდებოდა.

სხვა ვერაფერი იღონა, მსახიობების ბრიგადა შეადგინა და ჯერ ჰოსპიტლებში, შემდეგ ფრონტისპირა ნაწილებში იწყო გამოსვლა. მებრძოლები აღტაცებით ხვდებოდნენ, ტაშითა და მადლობით აცილებდნენ სახელოვან მსახიობს. იგი ყველას აკვირდებოდა, ყველგან თავისი შვილის ამბის მცოდნეს ეძებდა და სულ იმას ოცნებობდა, ეგებ, სადმე, მწყობრში ან ჰოსპიტალში სოლიკოს წავაწყდეო. შვილის დაღუპვის ამბავი რომ გაიგო, გარდაცვლილი ტასიკოს ბედი შეშურდა და მაშინ პირველად მიხვდა, რომ უკვე ბევრი ეცხოვრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განვლილ გზას გახედა და გულწრფელად ინანა, რომ მაშინ არ მოკვდა სცენაზე, ფრანცის როლის შესრულებისას, ყულფში თავგაყოფილი.

მაშინ რომ თოკიდან არ ჩამოეხსნათ, ამ სიმწარეს ვერ ნახავდა, შვილის დაკარგვის სიმწარეს, რომელსაც ვერც ერთი ტკივილი და უბედურება ვერ შეედრება.

ძაგრამ მაშინ ჯერ კიდევ არ ჰქონდა ნაგრძნობი და განცდილი ელიზბარს შვილის სიყვარული და განა მის ცხოვრებაში უფრო ფაქიზი და წმინდა, უფრო ლამაზი და ნათელი სხვა რამე იყო?

ყველაფერს ის აჯობებდა, ომის დაწყების წინა დღეს მომკვდარიყო ელიზბარი, ბედნიერებით ყელთამდე სავსე წავიდოდა, საყვარელი შვილი მიწას მიაყრიდა და ამ ქვეყნისაგან მადლიერების მეტი არა გაჰყვებოდა რა.

რომელიღაც რომაელი პოეტის ლექსი გაახსენდა: მე ერთი დღით მეტი ვიცოცხლე, ვიდრე უნდა მეცოცხლაო.

ადამიანებმა რომ ის ერთი, ზედმეტი დღე იცოდნენ, რამდენი დაასწრებდა უბედურების დადგომას, რამდენი წავიდოდა ამ ქვეყნიდან დიდებითა და ბედნიერებით ტკბობისას, რათა მომავალ დაცემასა და გამწარებას არ შესწრებოდა.

ელიზბარს მოეჩვენა, რომ ყურები უგუბდებოდა და თვალთ უბნელდებოდა.

წამით ისეთი განცდა იყო, თვითმფრინავის სწრაფად დაშვებისას რომ უგრძვნია. თვალთ ისევ მალე გაუნათდა, ყურში ჟრიალი შეწყდა და თავის სიმძიმემაც გაიარა. ქვევრის ძირში პაწია სამფეხა სკამზე დაჯდა. სურა დასდო და ოფლი მოიწმინდა. ქვევრში ნესტი და სისველე იყო, სუფთა ჰაერი მოუნდა, უნებურად მაღლა აიხედა.

უსაზღვროდ ლურჯი, კამკამა ლაჟვარდი ჩანდა და თვალის მომჭრელი შუქი დაუსრულებელ ნათელ სვეტად მიდიოდა მაღლა, ცისა თუ ქვეყნის დასალიერში.

მარცხენა ხელით სურას დასწვდა, ხელი დაბუჟებოდა, თითებს ხეირიანად ვერ შლიდა. ფეხი გაშალა, იქაც სიმძიმე იგრძნო. მთელი მარცხენა მხარე უბჟუოდა, დამძიმებოდა, მგრძნობელობა დაკლებოდა, თითქოს ნემსის გასაკეთებლად გაებრუებინოს ვისმე.

მარჯვენა ხელით აიღო სურა, ნელა მოიყუდა და ყელგადაგდებით დაეწაფა.

კარგახანს სვა, მერე მოეშვა და იმწამსვე მოეჩვენა, რომ ქვევრი შექანდა თუ დატრიალდა, თვალებში ბინდი ჩაუდგა და თავბრუ დაესხა.

რეტმა ისევ მალე გაუარა და მზერაც დაეწმინდა. დაღლა იგრძნო ელიზბარმა. ეწყინა, ჯერ ქვევრის ნახევარიც არ გაერეცხა და უკვე დაქანცულიყო.

წახულა ძველი ღონე, ახალგაზრდობასთან ერთად, შეუმჩნევლად, თვალსა და ხელს შუა გაპარულა.

ადგომა უნდა და წელი არ მოსდევს. მარცხენა მხარი ტყვიასავით დამძიმებია და დაბლა სწევს.

დაბერდა ელიზბარი. თავად არ სჯერა, მაგრამ სხვები ხომ ხედავენ, რომ დაბერდა. ყველაფერს თავისი დრო აქვს, აგერ მამისეული ვენახიც დაბერდა. სხვა ვენახი მოისხამს ყურძენს, იმ ყურძენს სხვები დაწურავენ, ქვევრსაც სხვები გარეცხავენ... სცენაზეც სხვები იქნებიან.

ამას წინათ თეატრში მორიდებით უთხრეს, პენსიაზე გადადი, დასის საპატიო წევრად დარჩები, როცა მოისურვებ, მაშინ მობრძანდი და ითამაშეო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იწყინა ელიზბარმა, ცოცხალი თავით თეატრს როგორ დავტოვებ, თუ თქვენ აღარ გინდივართ, სხვა თეატრში წავალ, ან ძველებურად ისევ რაიონებში ვივლიო, განაცხადა გაწიწმატებულმა.

ელიზბარი თეატრში დარჩა, მაგრამ ძველებურად აღარ ტვირთავდნენ, ყოველგვარ შეღავათს აძლევდნენ.

ახლახან კიდევ მსახიობების ჯგუფი ეწვია, იუბილე უნდა გადაგიხადოთო.

ჭირივით სძულდა ეს გაუთავებელი იუბილეები ელიზბარს.

ბევრმა მასზე უმცროსმა და ნაკლებ დამსახურებულმა მსახიობმა უკვე რამდენიმე იუბილე მოიწყო.

ეს დაბადების ორმოცდაათი წელიო, ეს მოღვაწეობის ოცდახუთი წელიო და ასე, ყოველ ხუთ წელში, წინა იუბილეს ღალა ბოლომდე აღებული რომ არ ჰქონდათ, ახალს იმართავდნენ, ყველაზე დიდ თეატრში ტახტს იდგამდნენ და უთვალავ ადრესებსა და მისალმებებს, უზომო შესხმას და ქებას თავდახრით ისმენდნენ, ვითომ დარცხვენილნი.

გარედან ყოველივე ეს სასაცილოდ ჩანდა და ელიზბარი საგანგებოდ შორს მიდიოდა ხოლმე, რომ ამ ერთფეროვან საზეიმო საღამოებს არ დასწრებოდა და პატარა კაცუნების დიდებისკენ სწრაფვის ამაოებისთვის არ ეცქირა.

— ჩემი აზრი იცით იუბილეებზე. ღმერთმა ისე ნუ გამასულელოს, იმ დიდ სავარძელში ჩავჯდე, უნიჭოებმა რომ გასცვითეს!

გადაჭრით უთხრა მოგზავნილებს.

ისევ აუბრჭყვიალდა თვალები ელიზბარს და ისევ შეტორტმანდა ქვევრი.

რატომღაც მოეჩვენა, რომ ქვეყანა მაღლა აყირავდა, აი, ისე, თვითმფრინავი რომ გვერდზე გადაიხრება და ყველაფერი — ტყე და მინდორი, ქალაქი და სოფელი მაღლა აქანდება ხოლმე უზარმაზარ კედელზე დაკიდებულ სურათივით.

თვითმფრინავის გახსენებამ დაკარგული შვილი მოაგონა.

რუმინეთში ჩამოაგდეს სოლიკოს ბომბდამშენი. ვინ იცის, იქნებ პარაშუტით გადმოხტა და გადარჩა. მერე დაჭრილმა რომელიღაც რუმინელის სახლს თავი შეაფარა, იქ ლამაზმა გოგონამ დამალა, მოუარა, ჭრილობისაგან განკურნა და თავიც შეაყვარა. იქნებ შვილიც ჰყავს...

უცებ გულთან რაღაცამ მწარედ უჩხვლიტა ელიზბარს, მერე ზედ მოეჭიდა და სუნთქვა შეუჩერა.

სახე გაუფითრდა. ცივი ოფლი დაასხა...

სული რომ მოითქვა და გულზე ოდნავ მოეშვა, ხაფანგში მომწყვდეულივით მოავლო თვალი იქაურობას: მარტო იყო მიწაში ღრმად ჩასულ ცივ ქვევრში, მის გაჭირვებას ვერავინ ხედავდა, ხმას ვერავის მიაწვდენდა.

დაძახება უნდოდა, მაგრამ ვიდრე პირს გააღებდა, გულზე რაღაცამ მაგრად დაარტყა და ზურგით ქვევრის კედელს მიანარცხა.

გაოცება ვერ მოასწრო, რომ დარტყმა განმეორდა, სარცხი ხელიდან გაუვარდა და ნელ-ნელა ჩაიკეცა.

ასე უცებ როგორ გამოეცალა, სად წავიდა ამდენი ღონე! ხელები ჩვრებივით დაშვებია, მუხლი დამპალი ბოძივით მოფამფალებია და თმის ძირებიდან ფეხის ფრჩხილებამდე ცივი ჟრუანტელი მოსდებია.

თავის დღეში ჯიბით წამალი არ უტარებია, სხვებს დასცინოდა, წარამარა რომ ვალიდოლს ყლაპავენ.

მიხვდა: ახლა მასაც სჭირდებოდა რაღაც წამალი, რაღაც საშუალება

(სნეულები სულ წუწუნებენ და სულ წამალს სვამენ, ავადმყოფობას ეჩვევიან და დიდხანს ცოცხლობენ. ჯანმრთელები, ელიზბარივით ავადმყოფობას შეუჩვეველი ჯანმრთელი ადამიანები, ერთბაშად ეცემიან და კვდებიან).

სიცივე ეუფლება ელიზბარს, აკლდამის სიცივე და სიბნელე.

ნუთუ კვდება?!

ამის გაფიქრებამ შეაკრთო, თითქო ღრმა ძილიდან გამოერკვაო, წამით გამოფხიზლდა, დაიძაბა. რამდენჯერ უნატრია შვილის დაღუპვის შემდეგ სიკვდილი, და ახლა, როცა საქმე საქმეზე მიდგა, როცა სიკვდილი მისი ნატვრის შესასრულებლად მოსულა, უცებ გაიღვიძა მის არსებაში სიცოცხლის სურვილმა: გარეთ მზეა და უნაპირო ლაჟვარდი, რთველი და სიხარული, გარეთ ბავშვები ბურთს თამაშობენ და რა იქნება, რომ მანაც უყუროს კიდევ ცოტახანს, თუნდაც ერთ-ორ წელიწადს, ცხოვრების ამ სიხარულს.

სიცოცხლის წყურვილი ფარულად კიდევ ჰქონია შემონახული და, ალბათ, როცა სიკვდილს უხმობდა ხოლმე, წამიერი ნატვრა ყოფილა, გულის, ან გონების მიერ ნაკარნახევი, მის დანარჩენ არსებასთან შეუთანხმებელი. ახლა გულიცა და გონებაც, მთელი მისი არსება — სხეულის ყველა უჯრედითა და გონების ყველა კუნჭულით სიკვდილის წინააღმდეგ ამხედრებულა, მისგან დასხლტომასა და თავის დაღწევას ცდილობს, მაგრამ...

რაღაც მოდის თუ უკვე მოსულიცაა.

იგი უხილავია და ხელშეუხებელი, არც ხელის შებრუნება შეიძლება, არც შებმა და შეჭიდება.

ძველად, ხევსურები სიკვდილის მოახლოებას რომ იგრძნობდნენ, ხმალს დაიჭერდნენ ხელში. თვალით უხილავის მოსაგერიებლად და შესაშინებლად თუ ეჭირათ ხელთ ხმალი. მაგრამ რა გულუბრყვილოები ყოფილან! სიკვდილი ხმალდახმალ როდი მოდის თურმე! — შენშივე შემოდის, შენს შიგნი სახლდება და შეუმჩნევლად გართმევს მთავარ ღონეს.

აი, რა ყოფილა სიკვდილი, რა ჩუმად ცოდნია მოსვლა!

რამდენჯერ და რამდენნაირად მომკვდარა ელიზბარი თეატრში: ლოგინში თუ ბრძოლის ველზე, სიბერით თუ საწამლავით.

მაგრამ თამაში და წარმოდგენა სხვა ყოფილა, ჭეშმარიტება — სხვა.

არცერთი ის სიკვდილი ამას არ ჰგავდა. იგი ახლა არც ჩონჩხების ჩხარუნით მოდიოდა, არც ცელს იქნევდა და არც ცივი ხმით დაჰკიოდა.

იგი არსად იყო და ყველგან იყო.

მთელი ცხოვრება ხეტიალში გაატარა ელიზბარმა, ერთ ადგილას დიდხანს არსად რჩებოდა და ხუმრობა უყვარდა: იმდენს დავდივარ, სიკვდილი ვერ მომაგნებსო.

დახე, სად მოაგნო სიკვდილმა, — ქვესკნელში!

გაახსენდა: მევენახე ხალხები ძველად ქვევრებში მარხავდნენ მიცვალებულებს. თავისი თვალით უნახავს მცხეთაში გათხრილი ქვევრ-სამარხები დროისაგან გამოფიტული ჩონჩხებით.

და აი, თავისი ფეხით ჩასულა ელიზბარი შორეული წინაპრების სამარხში.

ჩასულა და, ეტყობა, ამოსვლა აღარ უწერია. დაძახება უნდა, ყელიდან ხმა არ ამოდის. თვალი ერთიანად გადაენისლა. მაღლა ახედვა სცადა: ქუდის ოდენა ქვევრის თავი ქრებოდა, ბნელში ითქვიფებოდა, შუქის გრძელი სვეტი იშლებოდა და ლანდადღა ფარფატებდა. ასე ნელა ქრებოდა ხოლმე რამპის შუქი თეატრშიაც, ნელა ეშვებოდა ფარდა მოქმედების დასასრულს და ესეც ხომ დასასრული იყო, მოქმედებისა და სიცოცხლის დასასრული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვევრში რაღაც ჩამოვარდა, მხარზე დაეცა, მერე ძირს გაგორდა. შეხების გრძნობა კიდევ შერჩენია და ატყობს, რომ რაღაც მრგვალი საგანია. ალბათ ისევ ბავშვებს ჩამოუვარდათ ბურთი. ან, იქნებ ის ნათელი ბურთი მოსწყდა ცას, ქვეყანას რომ ანათებს, აკი ამიტომაც ჩამობნელდა!

ფეხთან გდია ის რაღაც ბურთია, არცა სწვავს და არც ანათებს.

უცებ სადღაც განათდა. გარეთ კი არა, მის თავსა თუ გონებაში: ფრთოსან თეთრ ცხენზე შემჯდარი ბარძიმი ეჩვენა, უკან მისი დაკარგული შვილი — სოლიკო შემოესვა. სადღაც მაღლა მიფრინავდნენ და ხელისქნევით ანიშნებდნენ, ისიც მაღლა წასულიყო.

ბარემ კი უნდა მაღლა ასვლა ელიზბარს, მაგრამ რა ჰქნას, ღონე აღარ აქვს, ხმასაც ვერ იღებს, რომ ვისმეს დაუძახოს და კიბე ჩაადგმევინოს.

ისევ შვილმა მოისაზრა და იღონა: თვითმფრინავზე გადაჯდა, ქვევრის ზემოთ, მაღლა დაეკიდა და თოკის კიბე ჩამოუშვა მამის ასაყვანად.

თვითმფრინავის გუგუნი მისწყდა, ჩვენება გაჰქრა და ელიზბარმა მთელ სხეულში სიცივე იგრძნო. სიცოცხლის ის უკანასკნელი სურვილიც გაქრა, წელან რომ ოდნავ კიაფობდა, ელიზბარი მოეშვა და ერთიანად მოდუნდა.

სიცოცხლეში ცოტას ფიქრობდა სიკვდილზე ელიზბარი. როცა იქნებოდა, ისიც უნდა მომკვდარიყო და ყოველთვის იმას ნატრობდა, უცებ, გაუწვალებლად გათავებულიყო.

აგერ, ეს ნატვრაც უსრულდება, კიდევ რაღაც წუთები და ყველაფერი გაუწამებლად დასრულდება.

მიდის ამ ქვეყნიდან და გულის დასაწყვეტი ბევრი აღარაფერი რჩება.

თუმცა ერთი გაახსენდა ელიზბარს: წელან იმ კარგ ბიჭებს შეპირდა საღამოს მისვლას, მაჭრის დასაჭაშნიკებლად, სიტყვის კაცი იყო ელიზბარი და სწყინს, რომ გულს დასწყვეტს ახალგაზრდებს მისი მიუსვლელობა.

სხვა კი... რაც ღონე ჰქონდა ემსახურა თავის ხალხსა და ქვეყანას, რაც შეეძლო გააკეთა. თუ რამეში შემცდარა, იმან გაასამართლოს, ვისაც ეს ქვეყანა შეუცდომლად უვლია.

მას ამ ქვეყნის სამდურავი არ მიჰყვება, თავისი წილი ტაშიც ერგო და დიდებაც, სიყვარულიც და დაფასებაც, სიტკბოცა და სიმწარეც.

ცხოვრება ეს ყოფილა და ყოველივე ამას რომ გამოცდი, მერე სულ-ერთია....

სადღაც მუსიკის ხმა გაისმა. ეს ხმა უკვე ამომდინარ სულში ჩაეღვარა და გათბა, ერთიანად გათბა, წელან გათოშილი ელიზბარი.

ვაგონის კუპეში პატარა მაგიდასთან ზის სოლიკო და მისი ხელით აწყობილი ჯიბის რადიო უკრავს ტკბილ, გულში ჩამწვდომ მუსიკას.

— უუჰ, რა კარგი ყოფილა!

უნდა ამოიძახოს, მაგრამ ყელში გრძელი ხრიალით ამოდის უკანასკნელი ამოსუნთქვა.

ქვევრი სდუმს და ხმა აღარ ირხევა.

ელიზბარი აღარ სუნთქავდა და ვერავინ გაიგებს, თუ რას გულისხმობდა იმ წარმოუთქმელ უკანასკნელ სათქმელში, რა იყო კარგი: სიკვდილი თუ სიცოცხლე?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარლო კალაძე

ვაჟა სახალხო დღესასწაულზე

ასი წლის ვაჟა... ასი წლის
შემდეგ დასცქერის მთაგორებს,
სადღაც, ჭირსა და ვარამში
ჩამქრალი დღე არ აღონებს.
ცისა და ქვეყნის კიდეზე
გადმოდგა შუა-კაცივით:
ნაბდით, ცხენდაცხენ, მოსისხარ
ყორნებთან ნაბრძოლ არწივით.

ასი წლის შემდეგ აქ ისევ
მზე ლამპარივით მინთია,
და ვაჟას ვხვდებით პირისპირ
ალუდა, მე და მინდია!
იჩქარის ვაჟა, დაიძრა
თითქოს ხევდახევ მთაბარი,
არაგვის ტალღაც ისე ჩანს,
ვით ლურჯა-ცხენის ფაფარი.

დაიძრა თითქოს ჯირითით
ისევ სამასი მამაცი,
თუ დავუჯერებთ ბილიკებს —
არაგვიც არის სამასი!
იჩქარე ლურჯავ, გულფიცხო,
არაგვო—არაგვიანო,
ხევს იქით იცდის ღრეობა,
ვაჟა არ დააგვიანო!

გზაში რომ ახლდეს მხარდამხარ —
ალუდას მისცა უფლება,
არწივთა ენით ხევსური
მინდია ესაუბრება,
დეკა და ღვია ახარებს,
ქედზე რომ ამოქარგულა,
ხარ-ჯიხვის შორი შეხედვა,
ბედმა რომ ისევ არგუნა.

ანბანიც კი არ წაშლილა
ბილიკზე ნალით ნაწერი, —
გაჰყევ კვალდაკვალ, არაგვო,
გაჰგლიჯე ბადე — ფაცერი!
ვაჟა იმ ნაბდით, იმ დარდით,
შენ რომ ოდესღაც ხედავდი,
საცაა გადმოგიქროლებს
ჩარგლის მთებიდან — მცხეთამდი!..

მოდიან, მთებიც მოდიან
ისე, ვით მამა-პაპანი,
ხან ელავს ტალღა მდინარის,
ხან ლურჯა-ცხენის ფაფარი!
ასე მგონია დრო აღსდგა
და არა ლანდი მაღლობთა,
ვგონებ: არაგვი კი არა —
თვითონ დრო მოგვიახლოვდა...

გაღმა ჩანს უკვე ცხრამუხა,
გზად უკვე მწუხრის ბინდია,
ვაჟას ხელმარცხნივ ალუდა —
ხელმარჯვნივ ახლავს მინდია.
— იქ იდგა მეფის კარავი? —
ორთავემ ერთად იკითხა.
— იქ იდგა უკანასკნელად,
ჰაი, ჰაი, რომ იქ იდგა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრამუხის ბეჭებს მიეყრდნო
მეფე, — წერს „ბედი ქართლისა“ —
და ვეღარ სჭრიდა მეფურად
თვალი გამჭრიახ სარდლისა...
ვერ დავთვლი მე შენს ჭრილობებს
მთავ სამას-არაგვიანო,
ვის არ აჩნია ნახმლევი,
ერთხმად არ აგვახმიანო!

აი, აქ ბებრის ციხე დგას,
აი, იქ — მოჰკლეს ილია...
და ვაჟას შუბლზე ჭაღარა
თმა ჯავრით ჩამოშლილია.
გასწი, შორს გასცდი წიწამურს,
იჭვით რომ აღარ გვაწვალო,
ბერბიჭაშვილი მკვდარია,
მკვდარი ხარ მეფის ნაცვალო!

ტალღით ეგ დაღიც წავრეცხეთ
მთებს, ვით რომაულ-სპარსული.
სადღაც აქ ერთვის მღელვარედ
ჩვენს მერმისს ჩვენი წარსული!
გასცდი მცხეთის კარს, არაგვო,
და ისე როგორც ყოველთვის,
მტკვარს ადიდებულს ახარე
შენი სიცოცხლე რომ ერთვის!

თვალწინ ხომ ზღვაა სიმძაფრის
და არა დაძაბუნების,
„ჯვარიც“ კი, მთას რომ თავს ადგას —
ერის გვირგვინი ბუნების!
იქ, სადაც სწამდათ არმაზი,
და სწამდათ სვეტი-ცხოველი,
იქ, სადაც ახალ სინათლით
განათებულა ყოველი,

სახალხო დღესასწაულზე
პოეტს გულდაგულ ელიან,
გუგუნებს მცხეთა: — მოვიდეს
ქვეყნად ვინც მოსასვლელია!
მორთულა მცხეთა, მტკვრისპირად
მთებიც ფეხმორთხმით სხდებიან,
საგუბრის ფართო სარკეში
ალვები ლამაზდებიან.

მცხეთის კარს ვეძებთ შორი გზით,
შორეულ მატარებლებით,
ზოგნი ვიჩქარით ქვეითად,
ზოგნი თავს ფრენით ვევლებით.
გვინდა მზე სანამ გვინათებს —
მოვასწროთ თვალის მოვლება, —
ჩვენი ახალი მცხეთაა,
ჩვენი ახალი ცხოვრება!

სჯერა დიდსა და პატარას.
ვაჟა თუმც ასი წლის არი, —
უნდა მიწაზე დაბრუნდეს,
ვით ცად ნასროლი ისარი!..
აჰა, რამდენი რა დაჰკლეს,
სწვდება ცას ალის ბრიალი,
აჰა, რამდენი საღამო
უცდის ტკბილ-საუბრიანი!

დაჰკრა საათმა და უცებ
ქვეყანაც გამხიარულდა:
ვაჟას ხელმარჯვნივ — მინდია,
ხელმარცხნივ ახლავს ალუდა!
მოვიდნენ, ხალხი დალოცეს,
გაჩაღდა სმა და ხალისი,
მათი ხანმეტი ქართულიც
გაისმა გასახარისი.

და ვით სიმღერა — სიმღერას —
ჯამი — ჯამს გაეკამათა,
შვილებს მარჯვენა შეუქეს,
ღვინწლი აღნიშნეს მამათა.
მღერის მესტვირე: — ვადიდოთ
მცხეთის მიწა და წყალიო,
მიწა გამოვწვით აგურად,
წყალს ცვივა ნაპერწკალიო.

ნაჩუქურთმევი, ნაძერწი,
მართლაც რა მთაა, რა მიწა!
ბრწყინავს უკვდავი სიახლით
იქ დამარხული წამიცა!
სადაც კი მიწას ლოდს ავხდით,
წლებმა რომ წარსულს დახურეს:
მუყემსის სალამურს ვპოულობთ,
თამარ-დედოფლის საყურეს!

სადაც კი მიწას ლამაზთა
კაბის ფრთა გაეკარება —
ია და ვარდი ამოდის,
ყაყაჩო შავ-შავ ხალება!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მცხეთაა სისხლით ალალით
და ოფლით გადანამული...
ვაჟავ, სამშობლო აყვავდა,
აყვავდა ჩვენი მამული!

და ქართულ სიტყვის სიცოცხლეს
სულს აბა ვინ არ შეალევს —
მიწაში უდგას ფესვები,
ცაში ტოტებით შრიალებს...
ქვა არ იქცევა ჩუქურთმად,
თიხა დარჩება თიხადა,
სიახლე ჩვენი თუ ქართულ
სიტყვით არ გამოიხატა!

ენა-წართმეულ სიკეთეს
არ უცოცხლია არასდროს,
ძალმოძრეობა დაეცა
და ღმერთმა ნუღარ გვანატროს.
მღერის მესტვირე: — ვაჟკაცის
დროზე აქ მოსვლას ვაშაო,
ნაბადი გვერდზე მოიგდე,
ლექსი გვითხარი ვაჟაო!..

წამოდგა ვაჟა. მხარბეჭით
დაჰფარა აღმოსავლეთი,
ხელთ ნაბდის ქუდი უჭირავს,
ვით შავი ღრუბლის ნაფლეთი.
ჩვენ ცალი თვალით გვიღიმის,
ცალი ფიქრს გადუბინდია,
შეჰყურებს ხალხი. შევყურებთ
ალუდა, მე და მინდია.

მიყუჩდა ყველა. მტკვრისპირად
ყრუდ ნიავქარიც არ წივის...
და ფრთების ცემა მოგვესმა
ვაჟას „დაჭრილი არწივის!“ —
ეს იყო კვნესა, ეს იყო
უბრალო სიტყვა ხალხური,
მაგრამ ჩვენ სუნთქვა შეგვიკრა,
მიიპყრო ჩვენი თვალ-ყური!

ძგერით ეძებდა გული გულს,
სილაღეს — სისხლი მჩქეფარი,
ლექსს შეხვდა ხალხის ვაშა და
ჯამების შეჯახებანი!

და ბოლო ბწკარი ჯერ კიდევ
როცა ჰაერში ეკიდა, —
შორს ვიღაც ადგა ლანდივით
შავი კლდის მონატეხიდან.

ახლა სხვა ლექსი გაბრწყინდა,
სხვა ცეცხლით გამობრძმედილი,
ვაჟა ზვიადი კაცია,
ზვიადი, მაგრამ კეთილი,
რომელ ერთს შეედავება,
რომელს, მთქმელსა თუ გამგონეს!
უსმენს ამ უცნობ ვაჟკაცის
ხმას და უსინჯავს ძალღონეს!

„სიტყვა ფრთიანი“ ყოფილა...
და გული შუქით ევსება, —
იტყვის: — წესია, სუფრაზე
გაინავარდონ ლექსებმა!
და როცა ჩუმი ჩოჩქოლით
ხალხიც იკითხავს: — ვინ არი?!
ვაჟას თვალები უცინის,
ცრემლებით ნაციმციმარი.

გაქრა უცნობი, გასწყვიტა
სიმღერა გაუწყვეტელი, —
ვინ არი, აბა, ვინ იტყვის,
მტკვაი თუ ქვათა კედელი!
ვინ იცის, იქნებ დასჩემდა
წესი იმ უცნობ ოსტატის —
აგრე უხსოვარ დროიდან
მცხეთის ციწაზე რომ დადის!

იქნებ კვლავ მირბის, მიაფრენს
შორს უგზოუკვლოდ მერანი,
სახე კი არა, სახელიც
გაქრა, ვით გულის ძგერანი!
ო, არა, მისი სამარე
ყორანმა როგორ გათხაროს,
კაცი ჩვენს თვალწინ ამაღლდა,
მისწვდა ცხრა-მთას და ცხრა-წყაროს!

ვინ თქვას, ასეთი რამდენი
დღესასწაული უნახავს,
ვინ თქვას, ასი წლის სიშორე
რამდენჯერ გადმოულახავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამდენჯერ ცისფერ არაგვის
ზვირთებს გზად გამოჰყოლია...
მე ის უცნობი ყოველთვის
უფროსი ვაჟა მგონია!

მცხეთაც მან ააგუგუნა
ისე, ვით ჩემი პოემა.
სხვა მასპინძელი ამ ქვეყნად
ვაჟას არ მოეპოება!
მისი ჟრთიანი სტრიქონი
იმავ არწივის ფრთის არი:

„მოყმეშან პირშიშველამან
შიბნ გაიარნა კლდისანი“...

და ვიდრე მათი ხმა ისმის,
მათი მღელვარე ქართული,
ძველს კვლავ ახალი ამაღლებს
ისე, ვით სართულს — სართული —
ღირს ხელი ვტაცოთ შალაშინს,
გავერთოთ ახლის შენებით
და მცხეთის მიწა მოვფინოთ
ჩვენც ლექსთა ბურბუშელებით...

1961 წელი, მცხეთა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შაღვა ფორჩხიძე

ვარდისფერ გზაზე

ტყეების მიღმა ლურჯი ფერის მიდის მდინარე
და თოვლისფერი ყვავილების ამტყდარა ტევრი.
თვალწინ მეხატვის გასაფრენად გზა ვარდისფერი
და ბზის ფოთლებით ავსებული მიდის მდინარე.

მივდივარ იქით მხიარული, მივდივარ იქით,
ან ამ ჩრდილებში ლურჯ ფერებთან ვინაღვლებ რაზე?
ველურ ყვავილთა თეთრი შუქი იფრქვევა გზაზე
და მე მივდივარ მხიარული, მივდივარ იქით...

მივდივარ იქით, ვყნოსავ ვარდებს და მახსენდები —
თეთრი მკლავებით და ჩალისფერ უბრალო კაბით.
და თავს მავიწყებს ბზის ფოთლებში სურნელი შამბის,
მივდივარ იქით, ვყნოსავ ვარდებს და მახსენდები.

ჰიდის მდინარე, ბზის ფოთლების ფერებით სავსე,
მივდივარ მეც და ახლა მხოლოდ ფიქრებს ვუნდები:
ოდეს ამ ტყეებს, ამ მდინარეს დავუბრუნდებით,
ეს ყვავილები თუ იბრწყინებს ნეტავი ასე?!.

მივდივარ იქით მხიარული, მივდივარ იქით,
მაგრამ ვარდები ყვითელ ფურცლებს ჰფანტავენ რაზე?
ნუთუ ბინდდება იდუმალად ვარდისფერ გზაზე
და მე მივდივარ მხიარული, მივდივარ იქით...

ეროვნული ბიბლიოთეკა

*

მე მეხმარება ყოვლის შემძლე კაცის ხელები, —
ვიჭერ ლურჯ სხივებს
    და ვმაგრდები
    ვითა ქვიტკირი!
მე სიყვარულის თვალშეუდგამ ციხედ ვშენდები...
და ჩემს ნაზ სულში:
    ხან თოვს,
    ხან წვიმს,
    ხან ვიღაც ტირის.

ვინ არის იგი,
    ციხესავით
მე რომ მაშენებს?
ვინ არის იგი,
    წვიმასავით
სულს რომ ატირებს?
ო, მასზე ფიქრი
    მე სინათლით
    მმოსავს,
    მამშვენებს,
ო, მასზე ფიქრით
    ტკბილ ჰანგთათვის
    თავი გავწირე...

დაე, დაიწვას სული ჩემი ლურჯ ნაპერწკლებად, —
ის ხან წვიმაა, —
    ხან მეხივით სივრცეს ეხლება...
გულს სიყვარულის მწველი სხივნი ჩხვლეტენ ეკლებად,
დაე დამიხსნას ყოვლის შემძლე კაცის ხელებმა.

მე ჩემს სამშობლოს ვემახსოვრები

ნუ იწყენ, მოვა დრო, გავთავდები.
ველარ დამათრობს ეშხი ცხოვრების!
მაგრამ შენ, სულო, არ დაღამდები, —
მე ჩემს სამშობლოს ვემახსოვრები...

მე გავიღვიძებ ფოთოლში ვაზის,
ნიავის ფრთებით ავაფრენ ჰანგებს.
მოისმენს თეთრი ასული ნაზი —
ვარდის ფურცლებზე დაადნობს ბაგეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარინდდებიან დიდი ტყეები,
და მდინარენი მშობლიურ ველის.
მოირკალება ცისარტყელები
და ლოდს დაფარავს ფერები მწველი.

გამიღიმებენ მორცხვად ქალები
ჰანგს სიყვარულის იტყვიან კდემით.
სხივს დამინთებენ ცისფერ თვალების
და გაბრწყინდება სიცოცხლე ჩემი...

წამოვენთები მათ თვალწინ წამით,
დავთვრები ღვინით ლერწმის ღეროდან!
რამეთუ ყოველ მთვარიან ღამით
გული მამულის მზისთვის მღეროდა...

ნუ იწყენ, მოვა დრო, გავთავდები...
ველარ დამატკბობს ეშხი ცხოვრების.
მაგრამ შენ, სულო, არ დაღამდები,
მე ჩემს სამშობლოს ვემახსოვრები!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლია
იოსელიანი

ბეღლისჯვილი

ქალიშვილი

ნახატი **თენგიზ მირზაშვილისა**

წვიმს.

ყოველთვის ახსოვს ეს ბეკოს...

გარეთ წვიმს.

ყოველთვის ეს ის ერთადერთი ამბავია მის ცხოვრებაში, რომლის დავიწყება არ შეიძლება. არ შეიძლება კი არა... დავიწყება ბევრის არ შეიძლება, მაგრამ სხვებს მაინც მოგონება ჭირდება, სხვები მაინც რაღაცას უნდა დაუკავშიროს, მიამგვანოს, ან ღამეს, უძილო, გრძელ ღამეს უნდა ჩაჰყვეს ფიქრებს. ეს კი...

გარეთ წვიმს.

ეს ყოველთვის ახსოვს ბეკოს. იმ დღიდან, იმ დღიდან თუ იმ ღამიდან.

ჰო, იმ ღამიდან.

აგერ ჰა, რამდენი წელია?.

ვინ იცის, ვინ მოთვლის. მგონი ყოველთვის, ყოველთვის, რაც ბეკო ქვეყნად გაჩნდა. ყოველთვის, თუმცა ეს მისი შეღერების, ყმაწვილკაცობის დროს უნდა მომხდარიყო. კი, მაშინ ბეკოს საულვამეც უნდა ჰქონოდა აშლილი, სხვა დროს ეს ამბავი არ მოხდებოდა, მაგრამ ბეკოს მაინც ჰგონია, რომ უამისოდ არ უცოცხლია.

ამით დაიწყო ბეკო და ამით დამთავრდება.

...და ახლა მით უმეტეს, როცა ასე აცივდა, როცა ცა ხელის ასაწევზე დაუახლოვდა მიწას, როცა ასე გულის გამაწვრილებლად ჭყაპუნებს წვიმა ლაფაროში, ბუუტავს კერია და ანჩხლი ქარი დაუგმანავ კედლებში დაშლიგინებს...

და ახლა მით უმეტეს.

ეჰ, ბედია, ბედი, თორემ ბეკოს ცუდად არ დაუმიზნებია.

კაცმა რომ თქვას, არც ცუდად მოუხვედრებია.

სამდურავი არ ეთქმის ბეკოს თავის თავთან.

წვიმს, ბეკო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წვიმს კი არა, მალე ჩამოთოვს კიდეც.

გახსოვს? იმ ღამესაც წვიმდა, თუმცა მალე არ მოუთოვია, მარა ისე ძალიან ცივი და ქარტეხილი ღამე კი იყო. ახლა კი მალე მოთოვს...

გახსოვს, ბეკო?.

გახსოვს, აბა რა დაგავიწყებს!

არა, მაინც რაფერ იყო?

რაფერ იყო თუ არა, მე შენ გეტყვი დაფიქრება დაგჭირდება!

ორპირა ფილთა, დრამით დარწყული ხუთი სროლა ტყვია-წამალი იშოვე და ცას ეწიე სიხარულით. ნაგეში ძაღლი შენ არ გყავდა და არც დღეს უჩანდა კაი პირი. გამოცდილი მონადირე კი არა, შენც ატყობდი, რომ სანადირო ამინდი არ იყო. ატყობდი, მაგრამ ასე კი არ იყავი, შე კაი კაცო, თავი მჩატე გქონდა და მუხლი მაგარი. თუ მხარზე ორპირა ფილთა გექნებოდა და ხუთი სროლა ტყვია-წამალი, სახლში რა დაგამაგრებდა, ამინდი როგორ დაგაფიქრებდა. ცას რომ სვეტი გამოვარდნოდა, გეგონა ცალი ხელით დავიჭერო. გეგონა კი არა — მართლა დაიჭერდი.

მინდვრებზე რომ გახვედი, ორივე პირი მიაცალე ყანჩას და ბუნდღა რომ ვერ დაატოვებინე, წარბიც არ შეგიხრია, სამი სროლა კიდევ გქონდა და არ გეზოგებოდა. მერე მთელი დღე იხეტიალე კლდე-ღრეში და არ გისვრია. საწვავს როდი ერიდებოდი, მაგრამ სათოფეზე არაფერს გადაყრიხარ. მერე ის იყო კუდამოძუებულ წითურ მელას მიაცალე და როცა თოფის მხოლოდ ცალი პირი გატენე და წელზე ბეღურაც არ გეკიდა, უკვე მომჭირნედ მოეკიდე ტყვია-წამალს.

სად არ იხეტიალე დაბინდებამდე. გადაუარე მინდვრებს, ჯაგნარებიან გორებს, ასწლოვანი ტყით დაბნელებულ მთებს. მთის კენწეროებს ნისლი მოედო და არც საღამო იყო შორს, მაგრამ ახალბედა მონადირეს ხელცარიელი დაბრუნებაც არ გინდოდა, როცა ერთი სროლა წამალი კიდევ გქონდა და მოუღლელი მუხლი. მერე სად იყო და სად არა, ახალგაზრდა ირემს თუ შველს გადაეყარე, არც გახსოვს, იქნებ არჩვიც იყო, მაშინ კი აღარ მოგითმინა გულმა და ესროლე. ესროლე და ერთი კი შეხტა, იფიქრე მოვინადირეო, მაგრამ იშვირა ფეხი და მოკურცხლა. არც შენ დაახანე. დაჭრილია და სადმე დავარდებაო და სდიე. ვინ იცის, სისხლის კვალი ნახე? იქნებ არც იყო დაჭრილი, იქნებ იყო კიდეც, მარა შენ დაღამებამდე ეძიე და არაფერი არ გინახავს, ეს იცი.

მერე?

მერე ღამე და ნისლი ერთად ჩამოწვა მთაში.

ქარი ძალობს გარეთ.

გახსოვს?

გახსოვს, აბა რა დაგავიწყებს!

მთის ამინდი არაა სანდო. შლიგინით გადაუარა ღონიერმა ქარმა ტყეს და ტყვიასავით ცივი, მსხვილი წვეთები აატკაცუნა ფოთლებზე.

დაბნელდა.

წვიმა გახშირდა. ინათა წამით და დაიგრუხუნა. წამოუბერა ისევ და სოველი ხეები დარეკა.

სადღა იყო გზა, როცა ხეებს ვეღარ არჩევდი ბნელში. შენ მიდიოდი თავქვე, თავდაღმართში, ხან რას წამოედებოდი და ხან რას. წვიმდა კოკისპირულად. მძვინვარებდა ქარი და გირისხდებოდა ზეცა.

შენ ფეხქვეშ სისველე იგრძენი. ეს პირველი ნიაღვარი მიიკვლევდა გზას. დაღმართი დალეულიყო, მერე აღმართი დაიწყო. წინ ალბათ ისევ მთა იყო, მთის

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქით ისევ მთა იქნებოდა. შენ მიდიოდი, სახლისაკენ თუ პირიქით, მაგრამ შენ არ შეგეძლო დგომა, შენ უნდა გევლო, გევლო... სულერთი იყო საითაც, შენ უნდა გევლო და ღმერთი იყო მოწყალე, ამ მთებში გადაეყრებოდი სოფელს თუ არა.

ღრიალებდა ტყე, ხევდა მეხი შენს თავზე ღრუბლებს, პირმოხსნილი ცა, რაც გამოეტეოდა, ისე უშვებდა. ხევში აყეფდა ღელე და მარტოდმარტომ, ცარიელი თოფის ამარამ, უგზომ და უსინათლომ პირველად იგრძენი შიში. თითქოს დაღლამაც ერთბაშად გიწია და როცა მთის წვერზე ახვედი და წინ ისევ ლუსკუმ ბნელს გახედე, წახდი ყაძახი. მუხლი მოგეკვეთა და სახლში დაბრუნების იმედი გადაგიწყდა. სადღაც მგელი აზმუვლდა, შენ ხის ტანს მოეხვიე.

კარგა ხანს დარჩი ასე. წვიმა არ იკლებდა და არ ცხრებოდა ქარი, სადღაც დაძრწოდა მშიერი მგელი და ამ გამძვინვარებულ ბუნებას ყმუილით ეველრებოდა ლუკმას.

შენ უნდა გევლო, შენ არ შეგეძლო დგომა და მოწყდი ადგილიდან. დაეშვი. შენ არ უწევდი ანგარიშს არც დაჯახებას და არც წაქცევას, შენ სიცოცხლის წყურვილი გეზიდებოდა წინ და გარბოდი, გარბოდი, სანამ ძალა გეყოფოდა. შენ უნდა გევლო ფეხით, მუხლით, გეფორთხა, დაგორებულიყავ დაღმართზე და გევლო. იმედი არ იყო, მაგრამ მაინც უნდა გევლო, ერთადერთი იმედი იყო ეს.

როცა ისევ ჩაათავე დაღმართი, მუხლამდე წყალში გავლა დაგჭირდა ძალაგამოლეულს, რომ ისევ მაღლა შეყოლოდი. წინ ისევ მთა გედო. ჯერ ამას როგორ აივლიდი და მერე იმას იქითაც რომ არაფერი ყოფილიყო!..

შენ მიდიოდი აღმა. მიდიოდი წვალებით, ბორძიკით, ოთხითაც კი, მაგრამ მიდიოდი. შენ ამ მთაზე ახვიდოდი, ამ მთამდი ააღწევდი, ამ აღმართს აივლიდი, ის რომ ღრუბლებზე მაღლაც ასულიყო, რადგან იმას იქით შეიძლებოდა გამოჩენილიყო სოფელი, სინათლე, ადამიანი.

...მაგრამ იმას იქით თუ კუნაპეტი სიბნელე იწვა, ისევ გრძელი დაღმართი, შორს მთა, მრისხანე ზეცა და აღრიალებული ნიაღვარი თუ გელოდა?!.

მშიერი მგელი ზმუილით შეღაღადებდა საშოვარს მამაზეციერს.

...და შენ ახვედი. შენ აიარე ეს ციცაბო აღმართი. იგრძენი, რომ სწორზე გაიარე. წინ ისევ არაფერი არ ჩანდა. შენ მუხლმოკვეთილმა გადადგი რამოდენიმე ნაბიჯი, რომ სადმე მოგეძებნა მეჩხერი ტყე და წინ გაგეხედა, რომ სინათლე დაგენახა: შორს, თვალმიუწვევზე, მბჟუტავი ჭრაქი, მბჟუტავი ნაპერწკალი, ან ერთი მკრთალი, მილეული ვარსკვლავი მაინც.

წინ ციცაბო დაღმართი გედო. გადადგი ორიოდე ნაბიჯი, რომ მომსხვრეულ ტოტს გამოედე, გამოედე და დაღმა ხელებგაშლილი დაეშვი, შენ გახსოვს, ბეჭით დაეცი რაღაცას და ზედ გადაეკიდე. შენ მიწაზე არ იყავი, შენ უზარმაზარ წაქცეულ ხეს მიმხობოდი. ბეჭიდან თბილი სისხლი ჟონავდა.

იწვა წყვდიადი და მძვინვარებდა ღამე.

შენ აღარ განძრეულხარ ადგილიდან.

არ გახსოვს მაშინვე იყო თუ დიდმა დრომ გაიარა, რომ შენ მოგეჩვენა ქვევით, ტყეში ციცინათელამ გაიფრინა, თუ მგლის თვალებმა გაიელვეს. რაც იყო სულერთია, მაგრამ რაღაც გამონათებასავით კი იყო. მერე? მერე კიდევ გამოანათა, მაგრამ ციცინათელაზე უფრო ძლიერი იყო ეს ნათება, არც მგლის თვალი უნდა ყოფილიყო. ისევ გამოჩნდა და...

არა, ეს სინათლე იყო...

შენ ამოძრავდი. შენ გადაბობღდი ხეზე და ქვევით მოადინე ზღართანი. მერე ჩაფოფხდი და დაინახე. დაინახე, რომ იყო სინათლე, სინათლე დადიოდა ტყეში.

შენ წამოდექი, წამოიმართე და ხეს მიეყრდენ, გინდოდა დაგეძახნა, დაგეყვირა. აქეთ, აქეთ ნათელოო! მაგრამ არა, ხმა არ ამოგიღია. იდექი და ხედავდი, ამაზე მეტი შენ რა გინდოდა, იქნებ ეს მოჩვენებაც იყო, ზმანებაც, მაგრამ ხომ იყო, ხომ ანათებდა და რომ დაგეყვირა, რომ აღრიალებულიყავი, ვაი თუ გამქრალიყო, ვაი თუ დამფრთხალიყო, ვაი თუ გამოგლვიძებოდა.

შენ ხედავდი, როგორ ახლოვდებოდა იგი, და აბა რაღად უნდა დაგეძახნა, როცა მან იცოდა შენი სამყოფელი, როცა ის ენას უგდებდა ქარს, შუბლს უხსნიდა ცას, აფრთხობდა ნადირს.

შენ დაინახე, როგორ გაგისწორდა სინათლე, რომელიც ნელი რხევით მოდიოდა. გაგისწორდა იქვე ახლოს, აგიქცია გვერდი და წავიდა. შენ შეგეძლო ისევ ჩაგერბინა დაღმართი, აგერბინა მთა და გადასულიყავ დაღმა, თუკი წინ ეს სინათლე გაგიძღვებოდა. შენ ჩაუყევი და იქვე ბილიკზე გახვედი! აედევნე სინათლეს. სინათლე კი მიდიოდა, ირხეოდა, ირწეოდა, ციმციმებდა და მიდიოდა. შენ შეგეძლო ცხრა მთა გადაგევლო...

და შენ მიდიოდი...

სინათლე შეჩერდა, შენ არ შეჩერებულხარ, შენ მიდიოდი და... შენ გაარჩიე, რომ სინათლე ქალს ეჭირა, ნამდვილად ქალს, რომელსაც ჰქონდა შიშველი წვივები, მუხლებს ზევით კაბა ფარავდა და შენ იწამე კეთილი ანგელოზი. შენ ისიც შენიშნე, რომ თავზე თავსაფარი ჰქონდა მოხვეული და წელზე სცემდა გრძელი ნაწნავები. მკლავზე კალათი ეკიდა. ღელის პირს ჩაუყვა, მერე სინათლე კალათიან ხელში გადაიტანა, თავისუფალი ხელით კაბა აიკაპიწა და მოდიდებულ ღელეში შევიდა შიშველი ფეხებით. შემოასხა წყალმა წვივებზე და შენ გაგიკვირდა, რატომ წყალზე არ გაიარა ფერიამ.

გავიდა. კაბა დაუშვა, სინათლე ისევ მარჯვენა ხელში გადაიტანა და გზას გაყვა. უკვე აღარ წვიმდა, ქარმაც იკლო და მხოლოდ აღრიალებული ღელეები და ხევები უწყრებოდნენ წარბშეკრულ ზეცას.

შენ მიდიოდი და მოუთმენლად მოელოდი ამ საოცრების დასასრულს.

ირხეოდა ფარანი, ირწეოდა, აფრქვევდა ნათელს და მიდიოდა.

შენ ხედავდი ამ სინათლეს და ქალის შიშველ ორ წვივს და მიდიოდი.

სინათლე შეჩერდა, შენ არ შეჩერებულხარ, შენ მიდიოდი და... შენ გაარჩიე, მთას და დაღმა ხევისაკენ დაეშვა. ხევში ისევ სინათლე გამოჩნდა მოდიდებული ხევის წყლის შუა გულზე.

ქალი წისქვილს მიადგა. იქვე იყავი შენც და გაგიკვირდა, რომ ქალმა ქალური ნაზი ხმით დაიძახა:

— მამა, გამიღე მამა!

— მამა! — ისევ მოგესმა, ახლა უფრო ხმამაღლა.

ეშინოდა, ეს შიში ახლა ერთი გაიზარდა, როცა საშიში აღარაფერი იყო. გადმოდიოდა მდინარე საგუბარზე და აქაფებული მიედინებოდა წისქვილის ქვეშ. პირამდე აევსო გადასაშვების კალაპოტი ხევის წყალს. შეტბორილი ღარის წისქვილი უხმოდ გატრუნულიყო, ყურს უგდებდა მდინარის თავში ცემას.

— მამა! — ისევ მოგესმა ახლა უფრო ხმამაღლა.

ალბათ მიძინებულ მეწისქვილეს ისევ არ გაუგია. შენ გამოხვედი ბნელიდან და კარებს მიუახლოვდი.

— ვინა ხარ! — აღმოხდა ქალიშვილს და ფარანი მაღლა ასწია.

შენ გინდოდა რაღაც გეთქვა, მაგრამ სველ თავსაფარში დაინახე გაფართოებული თვალები, სახეზე აციმციმებული წვიმის წვეთები და ისევ წახდი ყაძახი.

— ვინა ხარ, ხმა ამოიღე! — ქალი კარებს მიაწვა ზურგით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ნუ გეშინია! — თქვი შენ და უკან დაიწია.

— რას გავხარ, ადამიანო?! — ისე გკითხა, ეტყობოდა ეჭვი შეჰქონდა შენს ადამიანობაში.

შენ შენს გარეგნობას ახედ-დახედე. შენც დაეჭვდი, რომ განმარტე შენთვისაც და მისთვისაც.

— კაცი ვარ, ადამიანი!

ის ისევ აპირებდა რაღაცის თქმას, მაგრამ შენს მზერას წააწყდა და თვალები დახარა.

— ჰო, — თქვი შენ: სანადიროდ ვიყავი...

თოფი ჩამოიღე, რომელიც მხარიღლივ გქონდა გადაკიდებული.

მან ისევ შემოგხედა და კინაღამ ისევ გისუსტა მოღლილმა მუხლმა. მერე მიაბრუნა თავი და ფარღალალა კარებში შესძახა:

— მამა, რა დაგემართა, მამა!

წისქვილიდან ჯერ ხრინწიანი ხველა მოისმა, მერე გაჯავრებული პასუხი:

— რა ჯანდაბამ მოგიყვანა, ვინცხა ხარ!

— მე ვარ, მამა!

— აი, ჯარხანა შენს თავს, რა ღვთის რისხვამ გადმოგაგდო?

— გაგვიღე ბიძია, — ამოიღრიალე შენც... ქალიშვილმა უკმაყოფილოდ შემოგხედა.

მიხვდი, რომ უხერხულობაში ჩააგდე ქალი, მაგრამ უკვე გვიან იყო, საკეტი აჩხარუნდა. კარებში თავიდან ფეხებამდე თეთრი მოხუცი იდგა და წელს იკრავდა.

— ეშმაკი ხარ, მავნე! — კარებში შეაგება ქალიშვილს, შენ ეჭვით შეგავლო თვალი.

— მონადირე ვარ, ბიძაჩემო!—დამნაშავესავით დაიწყე თავის მართლება.

— ვინც არ უნდა იყო!.. — ისევ აგხედა, აგაყოლა თვალი და მიხვდა, რომ შენს დაზუზულ და შემოფლეთილ ტანსაცმელში ცუდი კაცი არ იყო, მაგრამ სასაყვედურო მაინც მოგინახა: ჯერ გამარჯობა უნდა გესწავლა, მერე დაგეწყო ნადირობა!

— ოო, საღამო მშვიდობისა, ჩემო ბატონო!

— გაგიმარჯოს! — უკვე პირშებრუნებულმა ჩაიბუზღუნა. მიფშუტულ კერიისაკენ წაბაჯბაჯდა, ღადარს ნიგუზარი აურია და როცა კუთხეში კედელზე მიმაგრებულ განჯინასთან ქალიშვილს შეასწრო თვალი, ისევ ხველანარევი ხმით ალაპარაკდა:

— ვერ დაეტევა სახლში, ეს ოხრისშვილი? — ნაღვერდალს ხმელი ფიჩხი დააყარა და მალე ცეცხლი აბრიალდა: დაჯექი, — მიგითითა შენ, ფეხზე უხერხულად მდგომს, მერე დაუმატა: არ გამიგონია ამ დაქცევაში ნადირობა!

ადგა, პალოებზე გადებულ ფიცრის საწოლთან მივიდა, ქალიშვილს, ისე რომ ზედ არ შეუხედავს, მიუგდო — მავნე ხარო, და სასთუმალში დაიწყო ფათური. ქალიშვილმა შენ შემოგხედა ისეთი თვალებით, ყველა ეშმაკი და მავნე გაგიხადა სალოცავად.

მეწისქვილემ ქისა თუთუნი და გრძელტარიანი თიხის ჩიბუხი მოიტანა. უკმაყოფილომ, წარბშეკრულმა გატენა, თავწანაკვერცხლებული ნიგუზარი დაადო, მოქაჩა, ისევ აუტყდა ხველა, მერე შენ გაგზომა თვალით და თითქოს უკანასკნელი, უსაფუძვლო ეჭვი ამოიფერთხაო გულიდან, კვლავ გკითხა:

— რაზე ნადირობ, ბიძია, ამ შუაღამეზე?

— დათვზე ვიყავი! — თქვი შენ და თვითონვე გაგიკვირდა. მერე, როცა შენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხარზე გადაღლეტილ ხალათს, გადატყავულ ბეჭისთავს და ტოტებშემოხეულ შარვალს დახედე, ისევ თქვი:

— დათვზე ვიყავი, ბიძაჩემო!

განჯინასთან მოფუსფუსე ქალიშვილმა ისევ გამოგხედა, მერე მამაზე გადაიტანა მზერა: აქ გაგიშალო სუფრა, თუ მაქ ცეცხლის პირსო, — ჰკითხა.

— რად მინდოდა, ვერ დაეტიე სახლში! — აღრინდა ისევ მეწისქვილე.

— მამა, ცხელი ვახშამი...

— ცხელი ვახშამი... — სიტყვა წაართვა მამამ და ყალიონით მიუთითა გრძელ სკამზე, აქ გამიშალეო — მონადირეს ეშიება, დათვთან ნაბრძოლია, ეტყობა.

ვინ იცის, იქნებ ეს უხეშად იხუმრა მეწისქვილემ, მაგრამ შენ, როცა ქალიშვილმა ისევ შემოგხედა, ჭკუაში დაგიჯდა.

— ჰო, ხელდახელ შევები! — თქვი შენ, გინდოდა გაგეგო, როგორ იმოქმედებდა შენი სიტყვები ქალზე.

— დათვს! — აღმოხდა მას.

მოხუცმა ჩაახველა.

— დათვს,—გაიმეორე შენ და მხარზე გადაფხრეწილ ხალათს შიგნით დაკაწრულ მკერდზე მოისვი ხელი.

მოხუცმა დანახევრებული ცხელი ყალიონი თითით ჩატენა და ზედიზედ მოქაჩა.

ქალიშვილმა ღომიანი ჯამები ჩამოდგა, რომელსაც ისევ ასდიოდა ცხელი ორთქლი და ყველის ჩანაფალ ორმოებში რძე ადგა.

— ჰმ, — ჩაილაპარაკა მოხუცმა, ყალიონი დარეკა და გარეთ გავიდა, ალბათ ხელის დასაბანად.

შენ პირისპირ შერჩი შენზე შემოჩერებულ ქალიშვილს.

მყუდროება ჩამოვარდა.

გადასაშვებზე გადავარდნილი მდინარე ხმაურობდა მხოლოდ და წისქვილის ქვეშ შხეილით მიედინებოდა მოდიდებული წყალი. პირში კაკალგამოჩრილ ხვიმირას უკვირდა, რომ დოლაბები უძრავად იდგა და დუმდა მოუსვენარი სარეკელა.

დირედან წისქვილის ფიფქი და მტვერი ჩამოცვივდა. ქალიშვილი შეკრთა და მაღლა აიხედა. დირეზე მსხვილ ვირთაგვას ჩამოეშვა კუდი და ზევიდან ცალი თვალით იჭყიტებოდა.

შენ გაგეცინა.

ქალიშვილი ისევ თვალმოუცილებლად მიჩერებოდა ვირთაგვას.

— გეშინია? — ჰკითხე შენ.

ვირთაგვა დაფრთხა შენს ხმაზე და თავს უშველა.

ქალიშვილმა შენს შემოფლეთილ ტანსაცმელზე გადაიტანა მზერა და ჩურჩულით გკითხა:

— მარტო იყავით?

— მარტო,—ჩურჩულითვე თქვი შენ. მერე მიხვდი, რომ შენ გმირი იყავი, უცებ გაიმართე წელში, იქვე ცალიანს იდაყვით მიეყრდნე და განაგრძე, — მარტო ვიყავი, აბა რა...

— მერე რომ დაეგლიჯეთ?

— დამგლეჯდა... დამგლეჯდა რა...

კარებთან ხრინწიანი ხველა მოისმა და... ქალი ისევ ნაკვერჩხლებს მიაჩერდა, შენ უკვე გაქცეულ ვირთაგვას დაუწყე თვალით ძებნა სხვენში.

მოხუცი კარადისაკენ წავიდა და იქიდან ნაქუჩალით თავდაცობილი შავი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოქი მოიტანა, მერე სუფრას მიუჯდა და პირის ცმაცუნით შეუდგა ცხელი ვახშმის ჭამას. დიდხანს არც დოქი მოგონებია და არც სტუმარი.

მერე ააესო ჭიქა, დალია, გაგივსო.

— დალიე, ჯანზე მოგიყვანს.

— მიირთვი — შეგეპატიჟა ქალიშვილიც.

ვახშმობას რომ მორჩით, მოხუცმა ისევ ყალიონი მონახა, ზურგით კედელს მიეყრდნო და იკითხა:

— რა ჰქენი, ბიძი, მოერიე?

შენ ქალიშვილისაკენ გაგექცა თვალები, როცა მის გაფაციცებულ სმენას წააწყდი, გეგონა რომ მართლა შეხვდი დათვს, მართლა შეები შიშველი ხელით და...

— მოვერიე! — თქვი შენ.

მეწისქვილეს ხველა აუტყდა.

ქალიშვილმა შენს გადაგლეჯილ ბეჭისთავს შეხედა ისევ.

— ხელი ჩავჩარე ღია პირში, ქუდიანი ხელი! — თქვი შენ, უფრო ქალიშვილის გასაგონად. მან თავი გაიქნია გაოცებისაგან და შენს ხელს დაუწყო თვალებით ძებნა. შენ, ცალიანზე მიყრდნობილს ხელი თავქვეშ გქონდა ამოდებული და აინუნშიაც არ აგდებდი, რომ ერთი ან ორი საათის წინ ამ ხელით დათვის კბილებს ითვლიდი.

— რაო, რაო? — იკითხა მოხუცმა, რომელსაც ეტყობა შენი ნათქვამი არ გაუგონია.

— ჰო, დავჭერი, — ახლა თავიდან დაიწყე შენ და წამოიწიე. ვესროლე ჯერ ერთი პირი, მერე მეორე... იბღავლა, წამოიმართა და წამოვიდა,—შენ შეამჩნიე ქალიშვილს სუფრის ასალაგებლად წამოწეული ხელი როგორ გაუჩერდა — წამოვიდა, — გაიმეორე შენ, შეჩერდი: ვხედავ მოდის, — ისევ თქვი და როცა ქალიშვილის საცრის ოდენა თვალებს შეეფეთე, სხვა გზა არ იყო, უნდა შებმოდი პირდაღებულ დაჭრილ დათვს, — მეცა!

— ვაი! — აღმოხდა უნებურად ქალიშვილს.

მოხუცმა ღადარში გადააპურჭყა.

— მერე, ბიჭო, მერე? — ხელი ხელში შეანცო და მუხლებს მოეჭიდა.

— გადმოვხტი უკან.... შენ უკან გადაიზნიქე და ისევ გაგიწყდა სათქმელი, მაგრამ ქალიშვილი ხახაში გიპირებდა ჩაძვრომას და დასახევი გზა მოჭრილი გქონდა, სხვა რომ არაფერი გქონოდა ხელით, უნდა დაგეხრჩო მარტო ეს დათვი კი არა, სადმე ვეფხვიც რომ გამოჩენილიყო.

— აჰა, მეძგერება სადაცაა და წამავლებს პირს, წამავლებს პირს და მორჩა, რაღა გინდა რომ ჰქნა, ვიტაცე ქუდზე ხელი, — უქუდო თავზე ხელი მოისვი, ვითომ ბუხრის ქუდი მოიგლიჯე და ქალიშვილს თვალებთან მიუტანე: — და ხორხამდე ჩავჩარე. ცალი წინა ფეხი ტყვიას მოეტეხა, ცალიღა ჩამომკრა ბეჭზე... — ისევ შეჩერდი, კიდევ რომ ჩამოეკრა, მერე რაღა უნდა გექნა, შენ მარტო ცალი ბეჭი გქონდა ჩამოგლეჯილი, მაგრამ მიხვდი, იარაღი უნდა გეხმარა და იძვრე უქარქაშო ხანჯალი, წელში რომ გქონდა გარჭობილი და აძგერე.

მეწისქვილემ ისევ გადააპურჭყა და სადღაც ულვაშებს ქვეშ გაეღიმა სამიოდე ჭიქა ღვინით და შენი მონაყოლით ნასიამოვნებს.

ქალიშვილს ისევ ვერ მოეფიქრებინა სუფრის ალაგება.

შენ დათვივით აგორებულ ცალიანზე იყავი მიყრდნობილი და გამარჯვებას ზეიმობდი.

გახსოვს ბეკო?

ისევ წვიმს ეს დასაქცევი!

— გახსოვს, აბა რა დაგავიწყებს!

ასე ზღაპარივით დაიწყო ბეკო შენი სიყვარული.

მერე?

მერე სხვა წისქვილის დაფქვილი არ გიჭამია და ერთი წლის შემდეგ სხვა ქალის გამომცხვარი.

მძიმე უღელი იყო ოჯახი, მაგრამ სიყვარული გყავდა მწედ, ტვირთს გიიოლებდა. მერე ამ უღელს ჯერ ერთი შვილი დააჯდა სიმონიკა, მერე გიგოლიკა. სამი წელი დაიგვიანა კოწიამ და მთელი წელი ჭირვეულობდა. ბოლოს პატარა თეკლამაც იხილა ქვეყანა და დაგიმძიმდა უღელი. ქედზე ბანალი გადაგძვრა, კისერზე ბებერები გაგიჩნდა. გიჭირდა კიდეც, მუხლიც გსუსტობდა ბევრჯერ, მაგრამ ზამთარი იწურებოდა და მიწა კავს ითხოვდა, უნდა გეწია უღელი. გაზაფხული მოდიოდა, მიწა თესლს იხვეწებოდა და რას იზამდი, უნდა გეხნა. ზაფხული მოვიდოდა და რავარც შვილს არ ეღალატება, ისე ამწვანებულ ყანას, შემოდგომა ხომ შემოდგომაა და ან დღე, ან ღამე რა დაგაძინებს კაცს. ზამთარი, ტყე და წისქვილი, ღობე და ხარდანი, ახალი კავი და უღელი, რთველზე გატეხილი ურმის ხელების თავი, ბორბლისთვის ბჟოლის მორგვი. სათოლავი სახლი და კერიას ნაპობი შეშა.

...და მიგქონდა უღელი, ეწეოდი ჭაპანს.

მერე?

მერე ახალი ცხოვრება მოვიდა.

ეს ცა თქვენია, ეს მიწა და ტყეო, წიგნი მოიტანეს, წაიკითხეო.

შენ ორი ანბანი ძლივს იცოდი და ერთმანეთს ვერ გადააბი. სიმონიკას მიეცი საკითხავად. სიმონიკამ წაიკითხა და თქვა: ეს გიგოლიკამაც უნდა წაიკითხოსო, სამი წლის მერე კოწიამ მოინდომა და ბოლოს პატარა თეკლამაც იკითხა და იკითხა.

შენ დღისთვის ღამის მიმატებაც დაგჭირდა, რომ უფრო ღრმად და მეტი მოგეხნა. ზოსიმია მჭედელს ფართო და ყუაღონიერი თოხი გააჭედიე და იმავე ზაფხულს ორჯერ მოპირე ბალახი, რომ არ მოგძალებოდა ყანაში. ურმით მოსავალი ჯერ ეზოში მოზიდე, მერე ქალაქში იყავი გამდგარი შაბათ-კვირას. სიმონიკა თავს იკლავდა: „სვიმონი“ უნდა გავხდეო. გიგოლიკამ „გრიგორიო“, კოწია ჭირვეულობდა: თხა თხაზე ნაკლები მგელმა შეჭამა, კოწია თქვენს თვალებში იყოს, „კონსტანტინედ“ ვარ დაბადებულიო: პატარა თეკლა ჯერ არაფერს ამბობდა, მაგრამ, რომ ეთქვა, თქმას დაუშლიდი თუ...

გიხაროდა, დღე და ღამეს ასწორებდი, წელებზე ფეხს იდგამდი, ორ კაპიკს იშოვიდი და ოთხს შვილებს უგზავნიდი...

მეზობლები შენს ბედს შენატროდნენ, გაკეთდა ბეკოიეს საქმე, რა შვილები ეზრდებაო!

ცალკე ცოლი იღვრებოდა სიხარულის ცრემლებად: ნასწავლი შვილები გვეყოლება, დავჯდეთ, შე კაცო, და გადავდვათ ფეხი ფეხზეო.

რომ ის იყო დაიქუხა.

იხმეს ქუდზე კაცი.

სიმონიკას უკვე „შლიაპის“ დახურვა მოესწრო და „შლიაპიანები“ აგერ გვჭირდება, ქარხანას ვაშენებთ ურალში, იარაღი უნდა ფრონტსო.

გიგოლიკას ახედ-დახედეს: შენ ბიჭო გრიგორ ბეკოვიჩი ყოფილხარო და საოფიცრო სკოლაში გაამწესეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოწია იმ დღესვე გაუდგა გზას და წლინახევრის შემდეგ კავკასიონის დაცვისას დაეცა.

გიგოლიკას იმდენი ჩინ-მედლები ჩამოჰყვა, გიგოლიკე ვეღარც შენ შებედე და ქალაქისაკენ გაისტუმრე „გრიგორ ბეკოვიჩი“.

თეკლამ: აგერა ვარ მე, თავი არ დაზოგოთ, უნივერსიტეტს დავამთავრებ და ნუ გეშინიათო.

გულმა რეჩხი გიყო, რაღაც კარგად არ გქონდა დაცდილი, ცოლს ჰკითხე: რავა ვქნათო. აცრემლდა საცოდავი: ჩემი შვილია, დედა ენაცვალოს, მაგის ამბავი მე მკითხეთო, მაგრამ საწყალს აღარ დაცლია მისი ამბის კითხვა.

შვილებმა კიღამ თავი მოიკლეს. ამ სახლში როგორ ვიტიროთ ჩვენი დედიკოო.

— ახალი სახლი უნდა აგვეშენებიაო — თქვა გრიგორმა.

— და.... და... და... — თავი გადაიქნია სვიმონმაც.

— რა ექნა მამაჩემს, ჩვენს გაზრდას მოუნდა, აწი ჩვენ ავაშენოთო — არ დაანება ძმებს მამის აუგი თეკლამ.

საგანგებო ქელეხით და მუსიკით დაასაფლავეს დედა, ქვეყანა შეანძრიეს, ან სად იყო იმდენი დიდკაცობა და ამდენი ლამაზი მანქანა. დიდი და ღრმა-აზრიანი სიტყვები დახარჯეს და მეორე დღეს გზას დაადგნენ.

— აბა, მაგრად იყავი ბერიკაცოო! — მხარზე ხელი დაგკრა გრიგორმა.

— და... და... და... — დაგითათუნა ბეჭებზე სვიმონმაც.

— მამა, გამოცდებს მოვრჩები და აქ გავჩნდები, ოღონდ ახლა მეჩქარებაო — ჩაგეხვია ქალიშვილი.

და დარჩი ამ ძველ ფარღალალა სახლში, საგანგებოდ გადიდებული ცოლის სურათის ამარა, დარჩი შენს დარდებთან, ტკივილებთან და მწუხარებასთან მარტო და წახდი ყაძახი.

ერთ თვეში მოტყდი და დაჩაჩანაკდი.

ქალიშვილის წერილი მიიღე: მამიკო, გადაღლილი ვარ და ყირიმში მივდივარ დასასვენებლად, ჩემო მამა, მალე გინახულებ, არ იჯავროო.

წერილს წერილი მოჰყვა: მამიკო, გავთხოვდი, მომილოცეო. სევასტის წავყევი, მეცნიერია, გრიგორის კარგი მეგობარი, რომ იცოდე რა ბედნიერი ვარ, ახლა ორივე გინახულებთ, აბა შენ იცი რავა კარგად იქნებიო.

ზაფხულის ბოლოს, წვიმები რომ დაიჭირა და შენს მიწიან სახლში წყალმა შემოჟონა, შენს ჭიშკარზე მანქანამ მოაყვირა, შენი ქალიშვილი კი არ გადმოვიდა, გადმოფრინდა.

— მამიკო, ჩემო მამა, მამა! — ტიროდა, იცინოდა, ტიროდა.

ცრემლებით აგევსო შენც თვალები. ამ ბოლო დროს ცრემლი დაგჩემდა მაინც.

სევასტიმ ორივე ხელი ჩამოგართვა და არაფრით პირველი არ შევიდა ვიწრო ჭიშკარში. თეკლა სახლში შევარდა და დედის სურათთან აქვითინდა. ბოლოს სევასტიმ შემოდგა ნაბიჯი და დააცემინა. ცოლმა დედის სურათთან მიიყვანა და აატირა. თვალცრემლიან სევასტის ისევ დააცემინა. მხარზე დაკრა თეკლამ ხელი, დედაჩემის მოსვლამდე არაფერი გეტკინაო. მაგრამ სევასტიმ ზედიზედ რომ დააცემინა, ცოლმა ურჩია ჰაერზე გასულიყო. კარებთან შეაჩერა და სურათზე მიუთითა: სვიმონმა ლაურეატს დაახატვინაო. სევასტიმ თავი დააქნია და ისევ დააცემინა.

საღამოს მატარებელზე ბილეთი გვაქვს აღებული, გაგვიფუჭდებაო და სევასტის მშობლებთან გასწიეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და შენ ისევ მარტო დარჩი, ჩემო ბეკო, შენს დარდებთან და მწუხარებასთან, მარტო...

გარეთ წვიმს.

ეს დასაქცევი. მაინც რომ არ დაადგა საშველი მაგის გადაღებას!

წვიმს.

ადრე ჩამოღამდა.

ცეცხლიც სულ ჩაქრა და მიიბჟუტა. ჭრაქი მაინც აგენთო.

ჭრაქი... ჭრაქი ხომ ჟანგმა გაგიხვრიტა, დასწყევლა ღმერთმა, არც საპნით დაგოზვა მოუხერხდა.

ჰო, მართლა, დღეს სოფლის დუქანში არ იყავი? ახალი ჭრაქი გინდოდა გეყიდა.

სადღაა ახლა, ჩემო ბეკო ჭრაქი, ნოქარს სასაცილოდ არ ეყო.

— ელექტრონს გამოგიყვანთო. — გირჩია თავმჯდომარემ ამას წინათ.

— მე შენ გეტყვი, შვილიშვილებს წიგნის საკითხავად დაჭირდესო — და არ ჰქენი.

არც შუშის ლამპები აქვთ ახლა მაღაზიებს.

ის იყო გამობრუნდი, რომ ნოქარმა შეგაჩერა, ფარანი ჰქონოდა, უბრალო, ნავთის ფარანი.

ჰოდა, ის ფარანი მაინც აანთე, თორემ უკვე ბნელა.

ჰო, მაქ ჩაფიცხებული მჭადი შეაბრუნე, თორემ კიდე დაეწვება, მიმქრალ ნაკვერცხლებზე რომ უდევს. ცეცხლი ბჟუტავს, კვამლდება ნედლი შეშა, მაგრამ მაგას დასაწვავად მაინც ეყოფა.

ჭამ ბარემ?

ჭამე, მარა, ეს დალოცვილი რამ გააქვავა ასე. კვამლს გაუკრავს და მჭადის გემო დაუკარგავს, სადღაც გამომშრალი ხმელი ყველიც გქონდა ნარჩენი.

ჭამე ბეკო, ჭამე.

რას იზამ ახლა, მოუკიდე ამ ფარანს, მოუკიდე დაწეულად და აგერ დირეზე მიჭედილ კაკვზე — კაჩხაზე ჩამოკიდე. ჩამოკიდე და მიწექი.

ცეცხლი ჩაქრა, ქარია ეს უღმერთო და წვიმს ისევ.

დაწექი ბეკო.

დაწექი?

დახუჭე თვალები და იქნებ დაგეძინოს.

არ ხუჭავ?

რას გინდა რომ უყურო.

სინათლეს, ფარნის სინათლეს?

ფარანი ირწევა ბეკო, დაკიდებისას დაირწა, თუ ქარი უბერავს და არწევს.

ირწევა, უბერავს ქარი და ირწევა... ირწევა და ანათებს....

გარეთ წვიმს. ტალახია მუხლამდე, მოდიდებული ღელეები ჩხრიალებს, სიცივეა, ძაღლი არ გაიგდება გარეთ.

ეს ვინ არის ბეკო?

ხედავ?!

აგერ სინათლე როგორ მოირწევა და ანათებს შიშველ წვივებს. მუხლებს ზევით კაბა ფარავს, წელზე ნაწნავები ცემს და მოდის, მოდის ამ თავსხმაში, ამ წყალ-ტალახში. ხელზე კალათი უკიდია, მეორეში ფარანი უჭირავს. აგერ ქვევით ჩაუხვია, ფარანი მეორე ხელში გადაიტანა, კაბა აიკაპიწა და შევიდა წყალში, მუხლებამდე შეასხა მღვრიე წყალმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოდის, მოდის!

და შენ გესმის:

— მამა, გააღე მამა!

შენ უყრუებ, არ იღებ ხმას.

— მამა!

— აი, ჯარხანა შენს თავს, რა ხვთის რისხვამ გადმოგაგდო! — წყრები, ბუზღუნებ.

— მამა!

— ეშმაკი ხარ, მავნე!

— მამა, ცხელი ვახშამი...

— ცხელი ვახშამი — სიტყვას ართმევ შენ — რად მინდოდა, ვერ დაეტიე სახლში! — და მაქვე სასთუმალთან უთითებ სკამზე: აქ გამიშალეო.

ცხელ ღომს ოხშივარი ასდის, ყველის ჩანაფლობ ორმოებს რძე ადგას.

— ჰმუ, მავნე!..

უბერავს ქარი და ირწევა ფარანი, ირწევა და ანათებს.... ანათებს... გარეთ წვიმს...

წვიმს...

ოცდაოთხი დღე

ჯაბას თვალებს რაღაც ის ცეცხლი ჩაუქრა. სიშავე გადაუვიდა, ქუთუთოებსაც მძიმედ ახამხამებს, თითქოს ბოლომდე არც კი ახელს თვალებს. ეს, განსაკუთრებით, გუშინ შენიშნა ცეცომ, გუშინ საღამოს, როცა სამსახურიდან დაბრუნდა ჯაბა. ცეცოს ეს ადრეც მოეჩვენა, ორი კვირის წინ და თავის თავზე გაეცინა — თვალებს როგორ არ ახელსო, მაგრამ გუშინ ისევ გაუჩნდა ეს აზრი და სასაცილოდ აღარ მოჩვენებია.

ამ დილით თითქოს ყველაფერი ჩვეულებრივად დაიწყო, როგორც გუშინწინ, იმის წინ, ერთი კვირის წინ, მაგრამ მალე ისევ აეკვიატა ეს აზრი. ბოლოს თავი იმით ინუგეშა, ქმრის გამოჩენისთანავე, ისტერიული ხარხარი აუტყდებოდა ახლანდელ ფიქრებზე და როცა ექვსის ნახევარზე ჩვეულებრივ უნდა დაბრუნებულიყო ჯაბა, ცეცოს მოთმინება აღარ ეყო, ფანჯარას მიაცივდა. გარეთ ჟინჟლავდა და რატომღაც ადამიანები ბეღურებს გავდნენ, სველ ბეღურებს, რომლებიც არ ჟივჟივებენ.

— ღმერთო ჩემო, როგორ შეიძლება ადამიანები ბეღურებს გავდნენ?

იქნებ მართლაც გვანან, — გაიფიქრა და ამაზე გაეცინა.

ჯაბა არ ჩანდა.

— რა იქნება ახლა ჯაბა გამოჩნდეს, — რატომღაც ძალიან მოუნდა ჯაბას გამოჩენა, უნდოდა აქედან, ამ ბეღურებში დაენახა...

მაგრამ ვაი თუ ისევ არ გასცინებოდა, ვაი თუ აქ ისევ არაფერი ყოფილიყო სასაცილო...

ამ ფიქრის შეეშინდა და ფანჯარას მოსცილდა. იქვე ჩამოჯდა, ხელები მოწყვეტით კალთაში ჩაიყარა და თავი ჩაღუნა. არ უნდოდა ეფიქრა, ან ეს რა ფიქრი იყო, რატომ უნდა გავდნენ ადამიანები სველ ბეღურებს, ან ჯაბა ხომ არ ჰგავდა...

ისევ შეეშინდა, თავი გაიქნია და თავისსავე ხელებს ჩააჩერდა. ხელები გათეთრებოდა, თითქოს უფრო ლამაზიც ეჩვენა.

დერეფანში ვიღაცამ გაიარა.

— ჯაბა!

არა, ის უკვე ჩავლილი იყო, როცა ცეცოს მოესმა მისი ფეხის ხმა.

საათს დახედა, ექვსის თხუთმეტი წუთი იყო.

თხუთმეტი წუთი აკლდა ჯაბას მოსვლას, ყოველ შემთხვევაში არა ნაკლები ათი წუთისა. ათი წუთი... ათი წუთი ახლა ძალიან ბევრი იყო.

ათ წუთში ჯაბა იქნებოდა სახლში და მერე მთელი ღამე არსად არ წავიდოდა. დღეს კინოში არ აპირებდნენ წასვლას. ორშაბათობით ახალ ფილმებს აჩვენებენ და საღამოს უამრავი ხალხია კინო-თეატრებში. გაუთავებელი რიგები, რიგები კიდევ არაფერი, იქნებ ბილეთიც ვერ იშოვო და საერთოდ, რა აუცილებელია ხალხში ჭყლეტა და დავიდარაბა. სამშაბათსა და პარასკევს, გინდა კინო იყოს გინდა თეატრი, შედარებით ყველაფერი თავისუფალია.

ჯაბამ იცის, ცეცოს სახლში მოეწყინება, ან როგორ შეიძლება ახალი ფილმი ან საინტერესო სპექტაკლი არ ნახო. ჯაბა არაფერს გაუშვებს უნახავს და ძალიან უყვარს ფილმსა და სპექტაკლზე მსჯელობა, იმიტომ რომ ცეცოს უყვარს.

ალაყაფთან მსუბუქი მანქანა გაჩერდა.

ცეცო ისევ ფანჯარას ეცა.

— ჯაბა არ იქნება, — თქვა თავისთვის, — ჯაბა რა ხანია ტაქსით აღარ დადის. ოჯახი... ბევრი რამ უნდა ოჯახს. ახალი ბინა კი მისცეს, მაგრამ მარტო ბინა... ისიც ხელახლა დასაგები შეიქნა პარკეტი, კარების გასაღებები და რა ვიცი...

დღეს წამოსულიყო ტაქსით ჯაბა!

გამვლელები ისევ გავდნენ ბელურებს.

— ან ცოტა ადრე წამოსულიყო სამუშაოდან დღეს ჯაბა, ვითომ რას იტყოდნენ?

არა, ახლა აღარ შეფერის ჯაბას ძველებურად ცერცეტი. ეს იცის ჯაბამ.

ადრე?

ადრე სხვა იყო. აბა რა, სად ცოლიანი კაცი, ოჯახი, მტერი და მოყვარე და სად...

მაშინ ბინაც არ ჰქონდა ჯაბას. სადღაც ამხანაგთან იყო შეყუჟული ქანდარაზე და ჭრაჭუნა ტახტიდან ფეხები ზამთარ-ზაფხულ საბანს გარეთ ჰქონდა. ოთხი სამუშაო გამოიცვალა, ერთხელ დაგვიანებისათვის ბრძანება დაუწერეს და მეორე დღეს ცეცოს პაემანი დღის სამ საათზე დაუნიშნა. ორ დღეს არ გაუვლია, ცეცოს სოფელში აჰყვა მშობლებთან. ერთი კვირის მერე გაახსენდა რომ მსახურობდა...

მაშინ სხვა იყო.

ცეცო მაშინაც ჩასჩიჩინებდა, არ გაეცდინა სამსახური, ასე ვერასოდეს ფეხს ვერ მოიკიდებო. აგორებული ჭურვივითა ხარ, ჯაბა...

— იი, — იტყოდა ჯაბა და წარბებს აძგიბავდა.

— არასოდეს არ გინდა დაწინაურდე?

— ერთი შენ...

— ჯაბა...

ჯაბა თვალებს მოჭუტავდა და ცეცოს ზევიდან დახედავდა.

— ხმას არ გაგცემ, იცოდე!

— რატომ?

— რატომ?!

— ჰო, რატომ ვითომ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცეცო გაცხარდებოდა და უხმოდ გაყვებოდა ქუჩას. ჯაბა ერთხანს იდგა, მერე გრძელი ნაბიჯებით აედევნებოდა და მხარდამხარ მისდევდა გაგულისებულ ქალს. მერე ფრთხილად დაადებდა მხარზე ხელს, კისერს წინ წაიგრძელებდა, ცეცოს თვალებში ალმაცერად ჩახედავდა, გამოაჩენდა ორ ბრტყელ კბილს და დამარცვლავდა:

— ცე-ცო!

ცეცო ისევ უხმოდ მიდიოდა და ცდილობდა სახეზე ერთი კუნთიც არ გახსნოდა უნებურად.

— ცე-ცო!

— თავი დამანებე! — უეცრად შეჩერდებოდა ქალი და წყრომით ახედავდა.

— რაზე ბრაზობ, საყვარელო?..

— სტყუი! — მიაძახებდა ცეცო და შებრუნდებოდა, ისევ წასვლას დააპირებდა, მაგრამ ჯაბა წინ გადაუდგებოდა. ის უკვე აღარ იყო მოკრძალებული. მისი თვალების გუბეებში სიწითლე ჩნდებოდა, ქვედა ტუჩი უვარდებოდა და უთრთოდა.

— რა სთქვი?..

— რა ვთქვი და... — ცეცოს ახლა არ შეეძლო თვალი მოეცილებინა გაბრაზებული ჯაბასთვის. ცეცოსთვის ახლა ქვეყნის ულამაზესი და უმშვენიერესი იყო ჯაბა, ჯაბა არასოდეს არ ტყუოდა და არავისთვის არ შეეძლო ეპატიებინა ცილისწამება — რა ვთქვი და...

— ჰო, რა თქვი? — უკვე ქვედა მეჩხერი კბილებით ამაოდ ცდილობდა ზედა ტუჩის დაჭერას ჯაბა.

— რა ვთქვი და... არ გიყვარვარ...

ცეცომ იცოდა, ეს კიდევ უფრო გადარევდა ჯაბას. ჯაბას უყვარდა ცეცო, თავდავიწყებით უყვარდა და ეს ცილისწამება იყო, ეს უკიდურესი ცილისწამება იყო.

— ცეცო! —იყვირებდა ჯაბა და მისი თვალები ბუდიდან ამოსაცვენად ამოიწევდა.

— ჰო, — იტყოდა ცეცო უკვე ნირწამხდარი და ისე მიამიტად ახედავდა ჯაბას, თითქოს ამ ქვეყნის არაფერი არ ესმოდა, თითქოს ვერაფრით ვერ მიმხვდარიყო ჯაბას გახელებას.

ჯაბას ახლა ქვედა ტუჩი კი არა, მთელი ყბა მოენგრეოდა, მთელ სახეზე ერთბაშად მოყვითალო — მოთეთრო ფერი გადუვლიდა და, სიტყვა რომ აღარ ჰქონდა, ცეცოს მკლავში წაავლებდა ხელს. ცეცო არ ეცდებოდა ხელის გათავისუფლებას, იგი არ გრძნობდა ტკივილს, გრძნობდა რაღაც უსაშველო ძალას, ძალას მამაკაცურს თუ ჯოჯოხეთურს და რამდენად ძლიერი იყო ეს მოწამებრივი ძალა, იმდენად დიდი იყო რაღაც გამოუცნობი, ქალური სიამოვნება.

— რა თქვი? — ქვედა მეჩხერ კბილებში გამოსცრიდა ჯაბა და ზედა ტუჩს დაიჭერდა.

— რაც ვთქვი ის...

ექვსის ოცი წუთი იყო უკვე.

ჯაბას მოსვლას ათი წუთი თუ არა, ხუთი მაინც აკლდა.

ხუთი წუთი...

რა მოხდება ვითომ, ხუთი წუთი...

ხუთი წუთი...

გარეთ ისევ ჟინჟლავდა ნაცრისფერი დღე.

ცეცო ფანჯარას მოსცილდა, ჩქარა გაიარა ოთახი და კარები გამოაღო. აჩ-

ქარებით გაიარა დერეფანი და ბოლოში შეჩერდა. დერეფნის ფანჯარას მიეყრდნო შუბლით, მერე გამოაღო. გარეთ ნოტიო, წყლით გაჟღენთილი ჰაერი იდგა. საწვიმრის მილები ხმაურობდნენ. ეზოში, მოტვლეპილ დამრეც მიწაზე წყლის წვრილ, უსწორმასწორო ნიაღვრებს კლასობანას უჯრედები წაეშალა. ნელა შემოვიდა მეზობლის მწვანე მანქანა ეზოში და ნელადვე გაუხვია გარაჟისაკენ. მძიმედ გადმოვიდა სიმსუქნე შეპარული მამაკაცი და ჯიბეების ქექვა დაიწყო, მერე გულის ჯიბეში იპოვა გასაღები და დინჯად ააჩხაკუნა გარაჟის ბოქლომი.

ცეცოს თმაზე თეთრი, წვრილი წვეთები დაასხდნენ დაცვარულ ბალახივით. მანქანა ერთბაშად არ გაეშვა და მიყუჩდა.

ცეცოს ბრაზი მოერია, რომ მანქანა იმ წამსვე არ დაიქოქა და დიდი დრო გავიდა, სანამ ისევ ეცდებოდა პატრონი მანქანის ხელახლა გაშვებას.

მანქანის ნაკვალევში თხელი, მღვრიე წყალი ჩადგა და ნელ-ნელა დაიწყო შევსება. წვრილი ნაკადები ზევიდან ისევ ჩამოდიოდნენ და თავს იყრიდნენ თვალის მიერ გაჭრილ ორმოში.

მანქანა ნელა დაიძრა გარაჟისაკენ, კარებთან შეჩერდა, ზანტად დაიხია უკან და ოდნავ, შეუმჩნევლად შეცვალა მიმართულება.

ნელა ივსებოდა ნაკვალევი და ცეცომ ახლა ცას ახედა. რატომღაც უნდოდა მსხვილი წვიმა წამოსულიყო, მალე აევსო თვალის მიერ გაჭრილი გრძელი ორმო, და მერე ქვევით, სადაც ყველაზე დაბალი იყო და სადაც პირველად დაიწყო წყალმა შეგროვება, გადმოეტეხა ნაპირი, გადმოეტეხა და წასულიყო ქვევით.

— ჯაბა!

ჯაბა სახლის ირგვლივ შემოყოლილ ასფალტს მოყვებოდა, თავაუღებლივ მოაბიჯებდა.

-- ჯაბა! — დაიძახა ცეცომ ახლა უფრო ხმამაღლა.

ჯაბამ მიიხედ-მოიხედა.

— აგერ ჯაბა, ზევით, ზევით ამოიხედე!

ჯაბამ თავი აიღო.

— ცეცო! — თქვა მან და გაიღიმა.

— მე ვარ! — თქვა ცეცომ, მაგრამ ეს კი არ უნდოდა ახლა რომ ეთქვა, რაღაც სხვა უნდოდა, უნდოდა რომ ჯაბას ასე, თავაწეულს ეცლო, ძირს არ დაეხედა, ჩაეკრა ფეხი მანქანის ნაკვალევში და შეგროვილ ნიაღვრისთვის გზა მიეცა.

ჯაბას მკლავი შეუთამაშდა, ცეცო მიხვდა, რომ ხელი უნდოდა დაექნია. მაგრამ იღლიაში შეხვეული დაუცურდა, კიდევ კარგი, დროზე მოაგონდა, უნებურად ახლა იქით წაიღო მზერა.

ნაკვალევი ნელა ივსებოდა მღვრიე წყლით. ორმო ღრმა არ იყო, მაგრამ თვალის ქვეშ დაცურებულ სველ მიწას ნაპირი გაეკეთებინა და წყალი ჯერ კიდევ ვერ გადატეხდა.

ცეცოს ახლა კიბეზე ესმოდა ჯაბას ფეხის ხმა.

— ერთი... ორი... სამი... ოთხი!

აჰა, მოხვეულამდე ამოიარა. ახლა ახალ საფეხურს უნდა შეყოლოდა, მაგრამ დააგვიანდა, ეტყობა იღლიაში ისევ შეისწორა შეხვეული, ან ხელიდან ხელში გადაინაცვლა.

კიბის თავში შეეგება ცეცო ქმარს, ჯაბას ისევ ღიმილმა გაუხსნა ბაგე და ზედა ფართო კბილები გამოუჩნდა, თვალებშიც ღიმილმა გადაურბინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დამაგვიანდა? — ჰკითხა ცოლს.

— არა, — თავი გაიქნია ცეცომ, — არ დაგგვიანებია, ჯაბა.

— აგერ თეთრი პურის ფქვილი ვიყიდე... შესვენებაზე ვიყიდე... სახაჭაპურედ რომ გინდოდა...

— კარგი გიქნია...

— აგერ ეს კიდევ... კარგი ხარისხის... ჩვენთან ჰქონდათ ბუფეტში... ცეცო, არ მოდიხარ?

— მოვდივარ.

— ჰო, კარი გამიღე, ხელები გაკავებული მაქვს.

ცეცომ ყველაფერს ერთად დახვია ხელი, სამზარეულოში გაიტანა, ბინა ნაუცბათევად მიუჩინა და ოთახში შემობრუნდა. ჯაბას პალტო გაეხადა, ხელში ამდილანდელი გაზეთი ეჭირა და სპორტის კუთხეს კითხულობდა...

— ჯერ ტანსაცმელი გამოგეცვალა!.. — წყრომანარევი ხმით თქვა ქალმა.

ცეცოს არ უნდოდა გაზეთი ეკითხა ახლა ჯაბას, მაგრამ რაკი თქვა, ახლა აღარ უნდოდა ქმარი დაყაბულებოდა, უნდოდა გაჯიუტებულიყო, ყურადღება არ მიექცია, ან გულმოსულს მაინც გადმოეხედა და ეთქვა: მაცალე ერთ წამსო, მაგრამ ჯაბამ გაზეთი ხელიდან გააგდო და თვალით პიჟამას დაუწყო ძებნა. ცეცოს არ უნდოდა, ჯაბას უცებ ეპოვა გამოსაცვლელი. არ უნდოდა, რადგან ჯაბა გამოიცვლიდა, ჩაეშვებოდა სავარძელში სუფრის გაწყობამდე და დაიწყებდა გაზეთის კითხვას. არა, ცეცო თუ ეტყოდა, ხმამაღლაც წაიკითხავდა, წაიკითხავდა ისე, როგორც ცეცოს უნდოდა, ისე ხმამაღლა, სამზარეულოში გასულიც გაიგონებდა, მაგრამ ახლა...

— სად არის პიჟამა? — იკითხა ჯაბამ.

— არ ვიცი, არ ვიცი, ჯაბა!

— სად წავიდოდა...

ჯაბამ ოთახში დაიწყო სიარული და ძებნა.

— იპოვის, — გაიფიქრა ცეცომ, — საწოლის თავს იქითაა გადავარდნილი.

ჯაბა საწოლთან დაიხარა.

— ჯაბა!

ჯაბამ შარვალი ტოტით დაითრია.

— რა იყო ცეცო!

— ჯაბა, იცი რა?..

— ჰო.

— ნუ... ნუ გამოიცვლი...

— რატომ, აკი...

— ჯაბა, ნუ გამოიცვლი, რაღაც მინდა გითხრა.

— მითხარი.

— კინოში წავიდეთ.

— კინოში?

— ჰო, კინოში.

— დღეს?!

— დღეს. დღეს ახალი იტალიური ფილმი ყოფილა, ჯაბა, ნუ მეტყვი უარს ხვალ არ მინდა, ნურც პარასკევს წავალთ, თუ გინდა.

— თუ...

— ჯაბა, დღეს, დღეს შენი ჭირიმე.

ჯაბამ გაიღიმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თუ კი ასე გინდა, მაგრამ... — ჯაბამ საათს დახედა, — ახლა სადაცაა დაიწყება, ბილეთები მაინც გვქონდეს.

— ხომ ისადილე დღეს შესვენებაზე?

— კი.

— ჰოდა ახლა ნურც ჭამას მოვუცდით.

— რა იყო ასე...

— ჯაბა...

— კარგი აბა, მე წინდაწინ წავალ, ბილეთებს დაგახვედრებ.

— ჰო, წადი.

ჯაბამ პალტო მოიცვა.

— არ დაგაგვიანდეს, ათი წუთიც არაა დარჩენილი.

— ახლავე — ცეცო კარადას ეცა.

ცეცომ აჩქარებით გაიარა დერეფანი და კიბეს ჩაჰყვა.

იშოვა ბილეთები? იქნებ უკვე აღარცაა... ჰო, რაღაა დარჩენილი დაწყებამდე, დღეს კვირა არაა, მაგრამ ახალი ფილმია, ხალხი მაინც ბლომად იქნება. იშოვნიდა ბილეთებს? ან იქნებ გადამყიდველისაგან იყიდოს! არა, არ იყიდდა გადამყიდველიდან.

ახლა არ იყიდდა ჯაბა გადამყიდველიდან.

წვიმას გადაუღია.

ცეცომ თვალით მოძებნა, მანქანის ნაკვალევში ჩამდგარმა წყალმა თუ გადატეხაო ნაპირი, მაგრამ ეტყობოდა წვიმას მაშინვე გადაეღო და ნაგზურში ისევ გუბედ იდგა უკვე დაწმენდილი წყალი.

ცეცომ იგრძნო, რომ დადაბლდა, დაიწია, მაგრამ ყურადღება არ მიუქცევია ისე განაგრძო გზა ატალახებულ ეზოში და პირამდე ავსებულ ნაკვალევს ქვედა ნაპირზე ფეხი დაადგა.

ფეხის დადგმისთანავე წყალი ჯერ ფეხსაცმლის ახლოს აიმღვრა, მერე როცა წყალმა გზა იშოვა და ნაპირებზე დაიწია, კიდეებშიც აიმღვრა და გარღვეულ ჯებირისაკენ დაიძრა. გადმოვიდა ნაწვიმარ სწორ მიწაზე, კალაპოტს დაუწყო ებნა, გაიშალა, დაიტოტა, კიდევ უფრო აიმღვრა და თავქვე წავიდა.

ცეცომ ასფალტზე დაირეკა ტალახიანი ფეხები და გასასვლელისაკენ გაუყვა.

ჯაბამ ალბათ უკვე იყიდა ბილეთები.

ახლა კინოში შევლენ და...

ცეცოს მოაგონდა, რომ ამ სამშაბათს კინოდან რომ გამოდიოდნენ, ჯაბამ წინ გამოასწრო. გამოასწრო, მაგრამ კარებთან ელოდა, იქვე კარებთან პაპიროსს ეწეოდა. ცეცოს მაშინ არ მიუქცევია ყურადღება, ან რა ყურადღების მისაქცევი იყო, ახლაც ისე მოაგონდა.

ცეცო გზაზე გავიდა და კინოთეატრისაკენ გაუყვა.

არა, რა დაჯდება ახლა ორ საათს გაუნძრევლად...

ჰო, მთელი ორი საათი...

ჯაბა დაღლილია და კიდევ უფრო დაიღლება.

ჰო, ბილეთები ნაყიდი ექნება ჯაბას.

ნახავენ კინოს, ახალი ფილმია, იტალიელები კარგ ფილმებს იღებენ.

ჯაბამ ერთხელ კიდევ სამსახური გააცდინა და ცეცოს არც ახსოვს ხეირიანად ის ფილმი, ეშინოდა მოხსნიანო, მაშინ არა, მაგრამ მეორე თვეში კი მოხსნეს, ცეცოს დღეობაზე რომ თამადად იყო, მეორე დღეს მთვრალს მაგიდაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაეძინა, გაეღვიძებინათ, დირექტორმა არ დაგინახოსო.

— ერთი თქვენი დირექტორიცო... — ეთქვა და ისევ დასძინებოდა.

მოხსნეს.

მაინც რა სულელი ბიჭი იყო ჯაბა და მაინც როგორ უყვარდა ცეცო. ცეცოს სულ არ ეგონა, ცეცოს კი არა, არავის არ ეგონა, თუ ასეთი ოჯახის კაცი დადგებოდა.

არავის არ ეგონა.

ერთხელ...

. . . . .

ცეცო შეჩერდა და საათს გახედა. საათი არსად არ იყო კინოთეატრამდე და გაუკვირდა.

რვის თორმეტი წუთი იყო.

კინო დაწყებულა, — თქვა ცეცომ და მობრუნდა. სად წამოვსულვარ? — უნდოდა გაკვირვებოდა, მაგრამ არ გაჰკვირვებია, თითქოს განზრახ აქეთ წამოვიდა, თითქოს იცოდა რომ აქეთ მოდიოდა და მაინც მოდიოდა.

უკან ჩქარა უნდოდა წასვლა, მაგრამ არ აჩქარებულა, პირიქით, შლიაპიან მაღალ ქალს ახედა და თავს კითხვა მისცა, ეს ქალი ქმრიანი იყო თუ ქალიშვილობაში გაჰპარვოდა ოცდაშვიდი წელი. რატომღაც ოცდაშვიდი წლისად მიიჩნია მაღალი ქალი.

თვითონ ცეცო კი ოცდასამი წლისაა და მეოთხე თვეა გათხოვილი, ჯაბას ცოლია.

არაფრით არ ეგონა, თუ ჯაბა ოჯახის კაცად ივარგებდა.

თვითონ ჯაბასაც არ ეგონა.

მაგრამ ჯაბას ძალიან უყვარს ცეცო, იცის ცეცოსაც უყვარს და ჯაბა რა, სულელი კი არაა, იცის ოჯახის ფასი.

— ჰო, აქ გადასახვევია, — გაახსენდა ცეცოს, — აქვე გადავჭრი ქუჩას და ორი ფეხის ნაბიჯზე კინოთეატრია.

გზაზე მანქანის გავლას დაელოდა, შეეძლო მეორე რძისფერ მანქანისთვის გადაესწრო, მაგრამ შეიცადა.

ძალიან დაგვიანდა?

უხდოდა ჩქარა წასულიყო, მაგრამ კინოთეატრის კარებთან ჯაბას შეასწრო თვალი და აღარ აჩქარებულა.

ჯაბა აჩქარებით მიყვებოდა გზას იქით, ალბათ ბოლთას ცემდა შესასვლელთან. მაგრამ იგი ჩქარა მიდიოდა და ასევე ჩქარა მოტრიალდა. მოტრიალდა და იმ წამსვე დაინახა ცეცო.

— სადა ხარ? — მაღლა ასწია ხელი მან და კიდევ უფრო ჩქარა ახლა აქეთ წამოვიდა.

ცეცო ისევ ზომიერი ნაბიჯით მიდიოდა, რომ ჯაბა ზედ მიაწყდა და გზა გადაუღობა.

— სადა ხარ მთელი დღეა?

— სად უნდა ვიყო! — მიამიტად იკითხა ქალმა და ისე ახედა ქმარს, თითქოს ამ ქვეყნისა არაფერი ესმოდა და ვერაფრით ვერ მიმხვდარიყო, რა აბრაზებდა ჯაბას.

ჯაბას ყბა მონგრეოდა და ქვედა სქელი ტუჩი უთრთოდა, მეჩხერი კბილებით ამაოდ ცდილობდა ზედა ტუჩის დაჭერას.

— წავიდეთ, ჯაბა!..

— სად?! — იყვირა მან და თვალებმა უპეებიდან გადმოსაცვენად ამოიწია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცეცო შებრუნდა ისე, რომ მკლავი მიუახლოვა ჯაბას ხელს, მაგრამ ჯაბას ხელი მაინც არ წაუვლია და ცეცოს გული დაწყდა სადღაც, მერე ზედ დახედა და მიხვდა: ჯაბას საჩვენებელ თითსა და ცერს შორის კინოს ლურჯი ბილეთები ეჭირა. ცეცო გაუქმებულ ბილეთებს დააჩერდა... ჯაბას ცერა თითის ფრჩხილი გასთეთრებოდა.

— არ წავიდეთ? — ისევ გაურკვევლად თქვა ცეცომ და ეცადა სახეზე ერთი კუნთიც არ გახსნოდა. თანაც ხაბიჯი გადადგა შესასვლელისაკენ.

ჯაბა უხმოდ სწვდა მკლავში და მოაბრუნა.

ცეცოს ხელის გათავისუფლება არ უცდია.

— სახლში — თქვა ჯაბამ და თითქოს აიტაცა ქალი, თითქოს ცალ ხელში აყვანილს უპირებდა სახლში მიყვანას.

— სახლში! —გამოსცრა მეჩხერ კბილებში მან ისევ და ცეცო წინ წაიხარა, სახეში შეხედა, დაიჭირა ზედა ტუჩი თუ არა.

— სახლში ჯაბა, სახლში — თქვა თავის გუნებაში ცეცომ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯანსულ ჩარკვიანი

ხმელთაშუა ზღვის ნიქარები

(1961 წელი)

სანდრო ბოტიჩელი—ვენერა

ზურაბ ნიჟარაძეს

ისე გარბიან თეთრი ლანდები,
რომ, მზეო, გიჭირს სულში შემოჭრა.
იქნება მართლა ვერ გიმკლავდები,
მოდი, მომშინჯე...
მოდი, შემბოჭე...
იქნებ მიწაზე არ მიდგას ფეხი,
რა იცი, იქნებ მთების კუზი ვარ,
იქნებ ვულკანმა სადმე მომტეხოს
და საუკუნოდ ვეღარ გიმზირო.
იქნება მეც მაქვს ბევრი სათქმელი
და მიჰყვებიან შორეულ რელსებს,
მოდი, ახადე ჩემს ჭურს სარქველი
და ღვინო ასვი ჩემს ფხიზელ ლექსებს.
ვარდებითა და ხორბლისფერ თმებით
და რაღაც უცხო ფერის თვალებით,
როგორც გრიგალში ძლიერი ფრთები,
მე ამ დაფნებით ვარ ნაწვალები.
მზეო, ჰე მზეო...
მზეო, ჰე მზეო...
მე მთელ სიცოცხლეს გავიღებ ჩემს წილს,
შენ ვერ მიყურებ,
ჰე, მზეო, მზეო,
ხელებგაწვდილი მე ვდგავარ შენს წინ;
მე ვდგავარ შენს წინ,
სული მელევა
დიდი სიცოცხლით გადარეული
და ნიჟარაში ჩამდგარ ვენერას
ზღვაში და ცაში უთრთის სხეული.

რომი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირენა

დღესავით მოვალ,
სიცოცხლედ მოვალ,
ყველაზე ნათელ დღესავით მოვალ,
თვალებით გეტყვი
ნათელი ყოვლის —
შენა ხარ ყოვლად,
შენა ხარ ყოვლად.
და ჩავისუნთქავ მთელ შენს გენუას
გემებით, ზღვით და ვიწრო ქუჩებით,
რომ ტკივილივით ტანზე დამაჩნდეს
ცხელი ქვიშა და ცხელი ტუჩები.
რომ გავიხსენო ზღვა უცნაური
და გაცილება თეთრი გემების,
სასაფლაოთა ჩუმი ხმაური
და დახატული გზებზე გველები,
რომ გამახსენდეს, როგორც ბარტყების —
საწყალი სახე კახპა ქალების,
ასე რომ ჩანს და ასე გატყვევებს
დიდი სიმდიდრე და ანგარება.
დღესავით მოვალ,
სიცოცხლედ მოვალ,
ყველაზე ნათელ დღესავით მოვალ,
თვალებით გეტყვი
ნათელი ყოვლის —
შენა ხარ ყოვლად,
შენა ხარ ყოვლად.

გენუა

მზის დამტვრეული სხივები

მაღალ შენობებს ცხელი მზე უმზერს,
დილა გავს თეთრი ზარების წკრიალს
და სანაპიროს შიშველ სხეულზე
მზის დამტვრეული სხივები ყრია.
მე ახლაც მახსოვს და თვალწინ მიდგას,
გვირილასავით სულ ერთი ციდა,
ის, როგორც ნისლი მოსული ციდან,
თეთრი ქორივით მოსული ციდან.
მე მას თვალებით ვეხმაურები
და სიზმრებს გვანან მისი თვალები

ეროვნული ბიბლიოთეკა

და როგორც მთვრალი მეზღვაურები,
ისე დადიან ზღვაში ნავები.
ლურჯი თოვლივით,
ლურჯი თოვლივით
თვალის მომჭრელი წყნარი ტალღები,
მე, როგორც სილა გამომყოლია
მისი ტუჩების ბაირაღები.

გენუა

ლამაზი ქალი სანაპიროზე

როგორც მეგობრის სტრიქონებს ახალს,
შენს ლამაზ მკლავებს ისე ვკითხულობ,
როგორც მეგობრის სტრიქონებს ახალს,
თან გახლავს ჩემი შური და სითბო.
მე შენს წინ ვდგავარ, როგორც უძლური
და მინდა მაინც მზესავით ჩანდე,
ამ ტალღებივით ამობურცული
ლამაზი მკერდი ადის და ჩადის...
შენ ადრე ჩემში იყავი თითქოს,
და შენ ხარ თითქოს რადაც მე მცნობენ,
შენ შფოთავ თვითონ
და გინდა უთხრა
მონანიებულ პატარა ცოდვებს,
რომ მე ვიყავი ის ხშირი სუნთქვა,
რომ მე გაესწავლე ლამაზად ჩაცმა
და მერე სწრაფად
და მერე უცბად
შენი სახელი ქალაქებს გასცდა.
...რომ მე გასწავლე სევდა და ეჭვი,
სილამაზე და ფერის სინაზე,
რომ შენ იყავი ლამაზი კენჭი,
მაგრამ ზღვაში და არა მიწაზე.
თუმც დაგაწვე ყველა ცდუნებას,
ანგელოსივით ხარ ზეციერი,
ეს მე გაჩუქე შენ უძლურება
და ამიტომ ხარ ასე ძლიერი.
როგორც მეგობრის სტრიქონებს ახალს
შენს ლამაზ მკლავებს ისე ვკითხულობ,
როგორც მეგობრის სტრიქონებს ახალს,
თან გახლავს ჩემი შური და სითბო.

სორენტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

გენუა

გემის შემოსვლა

ღმერთი მოწყალე
და ზღვა მოწყალე,
ოღონდ ინებეთ,
ოღონდ ინებეთ,
არის ვაჭრობა ცოცხალ-ცოცხალი
კიბოებით და ლოკოკინებით,
არის ცრემლი და არის ზეიმი,
მზე, როგორც ქალის თვალი მაცდური
და უამრავი თვალისეირით
სახე დაღლილი და დაქანცული.
ყვავილებით და დაწნულ ქუდებით,
ფერად-ფერადი ყელსახვევებით,
ბევრი თვალების იაგუნდებით
და უამრავი შესახვევებით
ხვდება ქალაქი, როცა ბრუნდება
შორეულ ცურვის მეზღვაურები,
თბილ ბუდეებში ზარები რეკენ
და ჩიტებივით სხედან გულები.
...და ხვდებათ უცხოდ პატარა ბავშვი
და დიდი ვნება სავსე მკერდების,
ქაცის სიშორე იღვიძებს ტანში
და ივიწყებენ ბავშვებს დედები.
ისე, ვით მწვანე ტალღების შრიალს,
შემოჰყვებიან სურვილს და ნდომას,
მეზღვაურები, რომლებსაც შიათ
შიწა და ქალი,
ოჯახი, თრობა.
თითქოს ზღვა დაგმეს
და გემიც დაგმეს,
მოაქვთ სიგრილე მშრალი ლოდების,
ცისფერ არწივებს აჩენენ განგებ
და ქუჩებს ხვეტენ შარვლის ტოტებით.
...და უხარიათ დახლებს და ქალებს
დიდი ლოდინის ნათლით შემოსვა,
და მთელი ღამე ეტყობა ქალაქს
პორტში პატარა გემის შემოსვლა.

ფლორენცია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვენეცია

შენა ხარ ქალი,
ლამაზი ქალი,
და გუნებაში შენ ხარ ყველასი,
შენი ტაძრები რეკავენ ზარებს,
უხმობენ აფრებს სხვა ზღვებში გაშლილს,
პატიოსანი, ძვირფასი თვალი,
ასე წმინდა და ასე ხალასი
მიწაზე ვერვის ვერ დაგაზმანებს
და მერე ისევ გისროლეს ზღვაში.
ახლა პატარა ლურჯი სახლებით,
ახლა პატარა თეთრი ხიდებით,
ახლა პატარა დედოფალებით,
ალვნებით და ოქროს კალთებით,
გონდოლებით და ქუჩის დახლებით
უფრო ინთები,
უფრო ბრწყინდები,
ახლა ცისა და ზღვის გაქვს თვალები
და სუყველა მზე ოქროდ გადნება.
ახლა შენ ზღვაში ისე ირწევი,
ახლა შენ ზღვაში ისე ანთიხარ,
რომ უფრო კარგი მე არ მინახავს,
შეშურდებოდა შენი ყველა ზღვას.
მე მინდა სულში გადავიწერო
სტრიქონებივით შენი სახლები,
შენი დიდებით შევიმოსები
და მერე ისევ დაგენახვები.

ვენეცია

ფრესკა სანტამარია

ოთარ ჭილაძეს

ნუ გააღვიძებთ, ფრთები აქვს ნაზი,
ნუ გააღვიძებთ, სული აქვს წმინდა.
ის სიზმარშია,
ბოროტ სულს დასდევს
და სხივი მოაქვს ღრუბლების ციდან.
ნუ გააღვიძებთ, თვალი აქვს ლურჯი,
ნუ გააღვიძებთ, — სხეული თეთრი,
ნისლში შიშველი ფეხი მოუჩანს,
ისე ვით შველი დაფეთებული.
ნუ გააღვიძებთ, თმები აქვს ვერცხლის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის ქრისტეს თმებზე აშორებს ეკლებს.
ანთებულია მაღალი ცეცხლი
და უხარია ზარების რეკვა.
ნუ გააღვიძებთ, სევდა აქვს თვალში,
ძლივს გადაურჩა ქარების შრიალს,
. . . .
მაინც უხმობენ ზარები ქარში,
სანტამარია,
სან-ტა-მა-რი-ა...

მილანი

სოლეტრამონტე — მზის ჩასვლა

მეზღვაური, რომელსაც გემმა გაასწრო

I

ბედნიერია უსასრულოდ აგვისტოს
ქარი,
ქუჩებში დადის, სახლებში შედის,
რტოებს ამტვრევს და დარაბებს
აღებს,
მე რა ვარ ქვეყნად, უბრალო მგზავრი,
ვარ კმაყოფილი ცხოვრების ბედის
და მცირე ქარშიც თვალებს ვერ ვახელ.
მე არასოდეს მიფიქრია არწივად
ყოფნა,
ბედნიერია რადგან არწივი,
მე აქ მიწაზე ვიღვრები ოფლად
ამ უმადური მიწის ნაწილი.
მე არასოდეს მინატრია დიდი სინათლე,
რადგან თვალებს სჭრის
უბედურ კაცს დიდი სინათლე,
ჩემს წელმოწყვეტილ დღეებს მივათრევ
და როგორც მკვდარ შვილს
სასაფლაოზე,
ისე დავსტირი კაცის ხელით დაკლულ
სიმართლეს.
ბედნიერია ადრიატიკის ტალღები
ლურჯი,
ის იხუტებს და
სიყვარულში ის აღრჩობს გემებს,
ბედნიერია სახედარიც,
ის არის მუნჯი,
მე ვარ ყვითელი,
მე ვარ მწვანე და მე ვარ გერი.
და ზღვებში სძინავთ ცისფერ ქარებს —
ღონემიხდილებს,
საცაა ჩემი სამოთხიდან დარეკავს ზარი.
მე ამ უმადურ მიწაში მსურს
მაინც სიკვდილი,
მე რა ვარ ქვეყნად,
გენუელი უბრალო მგზავრი.

II

მაღალი ღამის დაღლილი სახე
ფართოვდება და ცისკენ იზრდება,
ბრტყელ სახლებსა და მძინარე სახლებს
ჩამქრალ ჭაღებში უჩხრიალებთ
თეთრი სიზმრები.
თითქოს ცხოვრებაც მდორედ მიღელავს,
კუნძული მოსჩანს დაცლილ ტივივით,
მე მაგონდება შენი სიმღერა,
რომელსაც ჰქვია —
კაცის ტირილი.
ამ შუაღამით კაცის ტირილი
გახელილ თვალში ბოღმად გროვდება
და ტყვიასავით მკაცრი ტკივილი —
შენი სიმღერა მომაგონდება.
„მთვრალი ვარ და ძალით
კიდე ღვინოს ვსვამ,
თქვენ არ იცით ღამით
როგორ ტირის ზღვა,
თქვენ არ იცით ღამით

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორ ტირის ცა,
მე კი ღვინოს ვსვამ,
მე კი ღვინოს ვსვამ.
სატირალი მე მაქვს მაინც
იცრემლება სხვა,
მე კი ღვინოს ვსვამ,
მე კი ღვინოს ვსვამ,
ჩემს საყვარელ ცოლს ვინახავ,
შვილს ვინახავ სამს.
დილით ადრე თევზებს ვიჭერ,
საღამოთი ვსვამ.
სიღარიბე ჩემთან იყოს,
ოქრო ჰქონდეს სხვას,
მე ისეთი მეთევზე ვარ,
ვერ მიპოვით ცალს...“
...ვაი თუ დაგრჩეს ნავში სიმღერა
ვაი თუ ტალღა ვერ მოიგერო,
ნეტა ამაღამ ზღვა არ აღელდეს,
შენ სახლში ოთხი დარდი მიგელის.
ო, ღმერთმა მოგცეს დიდი შეძლება
გაჭირვების და ღელვების დროში,
ნეტავი ბადეს მოჰყვეს თევზები,
არ მოგიშივდეს ნეტავი ცოლშვილს...
უმთვარო ღამის დაღლილი სახე
ფართოვდება და ცისკენ იზრდება,
ბრტყელ სახლებსა და
მძინარე სახლებს,
აქვთ გალავანი მზისფერ სიზმრების.

III

დამტვრეული და დაღლილი ძებნით,
მთებში ვარ ახლა,
თოვლიან მთებში,
ჩაკეტილია ზვავებით გზები
და დღე აგდია ისე ვით ლეში.
ქვეყანა ჩემით მშიერ-მწყურვალი,
ყველაფერს ხვდება,
ყველაფერს ასწრებს,
და დრო ტკივილის დიდი მკურნალი
წუთივით ბევრი ტკივილით მავსებს.
ღმერთო, სიკვდილი თვალებს
მიშტერებს.
მოვა და მერე ველარ მიშველით,
ცაო, მიშველე...
ზღვაო, მიშველე...
მიწავ, მიშვილე ასე შიშველი;
და თუ სიმართლე მართლა დიდია,
ამ სიკვდილის წინ მინდა ვიცოდე,
შენ რატომ რჩები,
მე რად მივდივარ,
მეც ხომ შენსავით მიყვარს სიცოცხლე
ვინ ჩამოჰკიდა ამ მთებს ზარები,
სული წამართვეს და გამიბრუეს,
ო, ღმერთო, ღმერთო, რად გეზარები,
რა მომეცი და რას არ გიბრუნებ.

. . . .

ცაო მიშველე,
ზღვაო მიშველე,
მიწაო მიშვილე ასე შიშველი.

ნეაპოლი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აარჩილ სულაკაური

ბიჭი და ძაღლი

ნახატი დიმიტრი ერისთავისა

I

ბიჭი მარტო მიდიოდა...

ძველი ჩანთა იღლიაში ამოეჩრა და უხალისოდ მიაბიჯებდა ფილაქანზე. კარგად იცოდა: ოთხი მისი ტოლი ბიჭი, ოთხი მეტოქე ქუჩის კუთხეში ელოდა. ოთხივე ღონიერი, სწრაფი და მოქნილი იყო. თავზეხელაღებული ჩხუბისთავები, ალბათ, დილიდანვე იდგნენ ჩასაფრებულნი, თითქოს სხვა საქმე არა ჰქონდათ-რა.

ბიჭს ფეხები უკან რჩებოდა. ხანდახან რომელიმე დუქნის წინ უაზროდ შეჩერდებოდა, შეიხედავდა დუქანში, მერმე კეფას მოიფხანდა და გზას განაგრძობდა.

ქუჩაში მარტო მიდიოდა პატარა, შავგვრემანი ბიჭი. მაყვლისფერი დიდი თვალები ჰქონდა, წყლიანი და ნაღვლიანი ოდნავ.

მურა ნაგაზმა ძუნძულით ჩაუარა, თან შიშით მოხედა ბიჭს. ბიჭმა შეატყო, ბაღლი უცხოდ გრძნობდა ქალაქში თავს. თვალი გააყოლა... მგონი ეს ნაგაზი გუშინაც შეხვდა, გუშინაც ასე უპატრონოდ დაწანწალებდა...

თბილოდა. სექტემბრის მზე ჯერ კიდევ აჭერდა... ძველი დუქნები, დაბალი მტვრიანი სახლები მზეზე გახუნებული სარეცხივით იყო ქუჩაში გამოფენილი.

ქვაფენილზე ფორნის ცხენს ფეხი დაუსხლტა და წაიქცა. ბიჭმა დაინახა, როგორ გაკვესა ნალმა, როგორ მოეკვეთა მუხლები ცხენს. მეფორნემ შოლტი მოუქნია, ერთხელ, მეორედ... ცხენმა წამოდგომა სცადა. წინა ფლოქვებმა კიდევ გაჰყარეს ნაპერწკლები.

ხალხი სწრაფად მოგროვდა. ხმაურით, ჟრიამულით შემოეხვივნენ. როგორც დამნაშავეს, ისე წაადგნენ თავზე.

ვიწრო ქუჩა ეტლებით, საბარგულებითა და ფორნებით გაიჭედა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბიჭს ნათელმა აზრმა გაუელვა: ამ აურზაურში იქნებ მეტოქეებს დავუსხლტეო, სირბილით წავიდა ქუჩის კუთხისაკენ, მაგრამ ქუჩის კუთხემდე მისვლა არ დასჭირვებია, ვიღაცამ მაშინვე წაავლო ხელი და ღონივრად მოქაჩა. მის წინ ისეთივე ბიჭი იდგა, როგორიც თვითონ იყო, ოღონდ სახე დაჭორფლილი და ქოთანივით მრგვალი ქონდა.

— სად მიიპარები, შე წრუწუნა, შენა!

— ხელი გამიშვი!

— პუპუზ, გეო, კურკა! — გასძახა ჭორფლიანმა მეგობრებს.

მეგობრებმაც დიდხანს არ დააყოვნეს. ფორანთან შექუჩული ხალხიდან მაშინვე გამოძვრნენ.

ბიჭი შეშინებული აცეცებდა თვალებს, თან ცდილობდა ჭორფლიანს დასხლტომოდა. ვერ ახერხებდა. ამასობაში დანარჩენებიც მოვიდნენ და ალყა შემოარტყეს.

„ნეტავი რა უნდათ ჩემგან, — ფიქრობდა ბიჭი, — რა დავუშავე? ჩემთვის მივდიოდი...“

— სად მიდიხარ?—ჰკითხა ბიჭს ყველაზე მაღალმა და ყველაზე გამურულმა.

— სკოლაში.

— გესმის, პუპუზ, სკოლაში მიდის ბიჭი.

პუპუზამ ჩანთა გამოჰგლიჯა იღლიიდან და ქვაფენილზე დაანარცხა. ბიჭი ჩანთის ასაღებად დაიხარა. ძირს დახრა და ბიჭების პანჩური ერთი იყო. მგონი ოთხივემ ერთად ამოსცხო. ბიჭი ქვაფენილზე წაიქცა პირქვე და მტვერში ამოიგანგლა. ვიდრე ბიჭები იცინოდნენ, ჩანთას სწრაფად დაავლო ხელი. წამოდგა და მოჰკურცხლა. ბიჭები ყვირილით დაედევნენ.

„თუ დამეწიენ, ცემით მომკლავენ“, — ფიქრობდა გაქცეული, რაც ძალა და ღონე ჰქონდა გარბოდა, ბოლოს იგრძნო ბიჭები აღარ მისდევდნენ, მაგრამ ისეთი ქანი ჰქონდა აღებული, უცებ ვერ შეჩერდებოდა. თანდათან უკლო სირბილს, უკან მიიხედა. ბიჭები აღარსად ჩანდნენ.

დაღლილი, გულამომჯდარი იქვე ფილაქანზე ჩამოჯდა და მუჭით ცრემლი მოიწმინდა. დღესაც არ უნდა წასულიყო სკოლაში. მუქარით გახედა ქუჩას, მუშტი მოუღირა, წამოდგა და მტკვრისაკენ გაუხვია.

თუ ბიჭები სკოლაში არ გაუშვებდნენ, მთელ დღეს მტკვრის პირას რიყეზე ატარებდა. ხან ბანაობდა, ხან მზის გულზე იწვა და ნებივრობდა. შინ წასვლის დრო რომ მოაღწევდა, ჩაიცვამდა ტანსაცმელს და შინისაკენ მოუსვამდა.

ახლაც ასე დააპირა, ვიწრო და დამრეცი ქუჩით მტკვრისაკენ ჩაუხვია.

ეზოდან ვეებერთელა, კუდამოძუებული ნაგაზი გამოვარდა. რამდენიმე გაწიწმატებული ფინია ყეფით მოსდევდა. ბიჭმა ძაღლი იცნო, თან გაუკვირდა, ამხელა ნაგაზს ეს ჯუჯა ძაღლები როგორ მოერივნენ? მაინც დაავლო ქვას ხელი და ფინიას შეუტია. ფინიები მაშინვე შეცვივდნენ ეზოში წკმუტუნ-წკმუტუნით, მერმე ჭიშკრიდან გამოყვეს თავები და, საკუთარ ეზოში ყოფნით შეგულიანებულებმა, ყეფა დაიწყეს.

ნაგაზი ქუჩის გაღმა, ფილაქანზე დაჯდა. დაბნეული და შეშინებული იხედებოდა აქეთ-იქით.

ბიჭი ეზოს გასცილდა თუ არა, ფინიები მაშინვე გამოუცვივდნენ ნაგაზს და ყეფით დაედევნენ. ნაგაზმა ისევ ამოიძუა კუდი და გაიქცა. ბიჭმა ახლაც დაავლო ქვებს ხელი და გაანჩხლებულ ფინიებს დაუშინა.

დამრეცი ქუჩით მიდიოდა პატარა, შავგვრემანი ბიჭი მტკვარზე. წინ შეშინებული ნაგაზი გარბოდა, უფრო სწორედ, გაურბოდა ფინიებს, რომლებიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

თითქმის ყოველ ჭიშკართან ვერაგულად იყვნენ ჩასაფრებულები. ფინიებს თითქოს პირი შეეკრათ ნაგაზის წინააღმდეგ, ერთად ესხმოდნენ თავს, მოსვენებას არ აძლევდნენ. ბიჭი თავისი ძველი, დაფლეთილი ჩანთით დაერია ძაღლებს და მიჰფანტ-მოჰფანტა, ეზოებში შეჰყარა. ფინიებთან ბრძოლით გართულს, ვიღაც ახმახი კაცი გამოუვარდა, კეფაში წამოჰკრა და გინებით გააგდო. ერთი ლაზათიანი პანღურიც დაუპირა, მაგრამ ფეხი ვეღარ მიუწვდინა, ბიჭი გაექცა.

გზაჯვარედინზე ისევ ნაგაზი დახვდა, ჩაცუცქული თითქოს ბიჭს ელოდებოდა.

— შენი გულისთვის კეფაში მომხვდა, — უთხრა ბიჭმა და ძაღლს მიუახლოვდა. ძაღლი სწრაფად წამოხტა და ზურგზე ბეწვ-აშლილი გაშორდა. ათიოდე ნაბიჯზე გაჩერდა და ბიჭს დაუწყო ყურება.

— რას გამირბი, — უთხრა ბიჭმა, — მე არ გერჩი... პირიქით, მეცოდები... ამხელა ხარ და ფინიებმა დაგჩაგრეს.

ნაგაზი თვალებში მისჩერებოდა ბიჭს და არ ინძრეოდა. ბიჭმა ორიოდე ნაბიჯი გადადგა ძაღლისაკენ. ძაღლმა უკან დაიხია...

„აი სულელი, — გაიფიქრა ბიჭმა, — მე — შენკენ, შენ — ეშმაკებისაკენ... სულელო, მე ხომ შენ გეხმარებოდი? შენი გულისთვის მომხვდა კიდეც.“ მერმე ხმაღალა ჰკითხა:

— გშია? — ჩანთა გახსნა და პურის ნატეხი ამოიღო, — თუ გინდა, გაჭმევ. ნახევარი — შენ, ნახევარი — მე.

ძაღლმა პური თვალის დახამხამებაში შთანთქა. ფილაქანი, სადაც პურის ნატეხი დაუგდო ბიჭმა, ისევ დაყნოსა — ნამცეცი რამე ხომ არ დამრჩაო. მერმე ბიჭს მიაშტერდა, ოღონდ ახლა ხელებში შესცქეროდა.

— გეყოფა, — უთხრა ბიჭმა, — მეტს ვეღარ მოგცემ. დანარჩენი მე უნდა ვჭამო.

ბიჭი თავისი გზით წავიდა. ვიდრე რიყეზე ჩავიდოდა, ერთხელაც მიხედა ნაგაზს.

ძაღლი უკანა თათებზე იჯდა და მთელი გულისყური ბიჭისკენ ჰქონდა მოპყრობილი. ბიჭმა უცებ ბადიანი კაცი დაინახა. კაცი ფრთხილად ეპარებოდა ძაღლს, თან რკინის სალტიანი ბადე ჰქონდა მომარჯვებული. რამდენიმე ნაბიჯი კიდევ და ნაგაზი, ალბათ, ბადეში გაეხვეოდა.

ბიჭმა შეჰყვირა. ძაღლი არ განძრეულა. ბიჭი გრძნობდა, წამითაც რომ დაეგვიანებინა, ნაგაზს დაიჭერდნენ. მაშინვე პურის ნატეხი დაუგდო წინ, ათიოდე ნაბიჯზე. ძაღლი წამოხტა. რკინის სალტიანმა ბადემ ჰაერში გაიშხუილა. როგორც ჩანს, ძაღლმა ფათერაკი იგრძნო, სწრაფად გაიჭრა წინ წკმუტუნით, სალტე ზურგში მოხვდა და მერმე ფილაქანზე დაეცა ხმაურით.

ბიჭი და ძაღლი სირბილით დაეშვნენ რიყეზე. კაცმა ბადეს დაავლო ხელი და გინებით გამოუდგა გაქცეულებს.

ეს კაცი პირველად არ ენახა ბიჭს. მასაც იცნობდა და მის ფორანსაც, რომელზეც დიდი გალია ჰქონდა დადგმული. კაცი ქუჩა-ქუჩა დადიოდა და ქალაქის მაწანწალა, უპატრონო ძაღლებს იჭერდა. ახლაც მოინდომა ნაგაზის დაჭერა, მაგრამ ვერ მოახერხა.

ბიჭმა და ძაღლმა რიყე გაირბინეს და მტკვრის ნაპირზე გავიდნენ.

— საძაგელი კაცია, — უთხრა ბიჭმა ძაღლს, — მაგას უნდა ერიდო. ბადე თუ დაგაფარა, გათავდა, ვეღარ გაექცევი.

მტკვრის გაღმა ერთიმეორეზე მიყოლებული, ჯაჭვით დაბმული წისქვილები ძველი გემებივით იდგნენ. ბიჭს სადღაც წიგნში დახატული ენახა ნავსადგუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი და გაღმა მხარე მუდამ იმ სურათს აგონებდა. ქვაზე ჩამოჯდებოდა და, ვიდრე ბანაობას დაიწყებდა, დიდხანს გასცქეროდა წისქვილებს.

ბიჭმა ჩანთა რიყეზე მოისროლა და ტანისამოსის გახდა დაიწყო.

— არც შენ უნდა იყო კეთილი სული, — უთხრა ძაღლს, — ახლოს არ მოდიხარ, არ მეკარები. მე რომ არ შეგხვედროდი, ეს დღე სხვანაირად დაგიღამდებოდა.

ბიჭმა ტანზე გაიძრო და წყალში შევიდა.

— ეჰე, წყალი ცივი ყოფილა. — თქვა და ხელები დაისველა, მხრები და მკერდი დაიზილა წყლით, — თუ გინდა, შენც იბანავე, — მიუბრუნდა მერმე ძაღლს.

ბიჭი ჩქერში შევიდა და დინებას ცურვით დაჰყვა. ასე ჩაუარა წისქვილებს. მტკვარზე გადმომდგარ ხის აივნიან სახლებს. აივნიდან წაბლისფერ-ნაწნავებიანმა გოგომ დაუქნია ხელი და გაუცინა, გუშინაც ასე მოხდა. ბიჭს არ ეგონა, თუ დღესაც აქ იქნებოდა გოგო. უფრო სწორედ, აღარ ახსოვდა, გადაავიწყდა და ახლა რომ დაინახა, გაახსენდა, გუშინაც აქ იდგა და ასევე უქნევდა ხელს.

თვითონაც დაუქნია ხელი გოგოს. მერმე, რომ ეჩვენებინა, თუ რა მარჯვედ ცურავდა, ამოტრიალდა, ფეხები ჰაერში აიქნია და თევზივით გაუჩინარდა წყალში. როდესაც ამოყურყუმალავდა, აივანი უკვე შორს იყო და ნაწნავებიანი გოგო გარკვევით აღარ ჩანდა.

ბიჭმა ნაპირისაკენ მოუსვა და ახლა-ღა დაინახა, ნაგზი თურმე ნაპირ-ნაპირ მოსდევდა. ნაპირზე ამოვიდა, ძაღლს გაუღიმა.

— ცურვა აღარ შეიძლება, ყინულივით ცივი წყალია, — ბიჭს უნდოდა ნაგზისათვის თავზე გადაესვა ხელი, მაგრამ ძაღლმა არ მიიკარა, განზე გაუხტა, — არ მენდობი? კარგი, ასე იყოს... ისე კი იცოდე, მე უფრო სანდო ვარ, ვიდრე შენა გგონია.

ბიჭს ტანზე ხორკლები დააყარა, სხეული გაულურჯდა.

— წამოდი, გავიქცეთ, — უთხრა ძაღლს და ადგილიდან მოწყდა.

ძაღლი სირბილით დაედევნა. ბიჭს გაღმა უნდოდა გახედვა, ნეტავი ისევ თუ დგასო აივანზე ნაწნავებიანი გოგო, მაგრამ თვალი რიყეზე მომავალმა ბიჭებმა მოსტაცეს. იცნო, ვინც იყვნენ. გული შიშისაგან გადაუქანდა.

მეტოქეები ნაპირზე დაყრილ ტანისამოსისაკენ ჩქარი ნაბიჯით მიდიოდნენ. რაღა თქმა უნდოდა, ტანისამოსს წაიღებდნენ ან მტკვარში გადაუძახებდნენ.

ბიჭი ჯერ შეჩერდა, ერთ ადგილზე გაშეშდა, მერმე სიცივისაგან თუ შიშისაგან აკანკალებულმა გაუბედავად გადადგა ნაბიჯი. გარკვევით ხედავდა, როგორ უახლოვდებოდნენ რიყეზე დაყრილ ტანისამოსს ბიჭები. ჭორფლიანმა ფეხი წამოჰკრა ჩანთას, ცოტა დააკლდა, ჩანთამ კინაღამ წყალში მოადინა ტყაპანი. ახლა ტანისამოსი მოისროლეს განზე.

ბიჭმა ვეღარ მოითმინა და ყვირილით გაქანდა, მაგრამ მეტოქეებთან ახლო მისვლა მაინც ვერ გაბედა, შორიდან დაუყვირა:

— ხელი არ ახლოთ, ჩემია.

— შენიაა? მერმე რაა, რომ შენია... — გაეპასუხა პუპუზა.

— გინდა წყალში გადაგიყაროთ? — შეეკითხა ყველაზე მაღალი.

ბიჭი სწრაფად გაიქცა წინ და თავის ტანისამოსს ხელი დასტაცა, მერმე ჩანთისაკენ დაიხარა. ბიჭმა ჩანთის აღება ვერ მოასწრო, ოთხივე ერთად დაესხა თავს. წააქციეს, ტანისამოსი ხელიდან გამოგლიჯეს.

ძაღლის ღრენამ გამოარკვია ბიჭები, შემკრთალნი უცებ მობრუნდნენ. მათ წინ ვეებერთელა მურა ნაგზი იჯდა და იღრინებოდა. ბიჭებს ფითრმა გადაჰკრა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახეზე. შეშინებული ერთმანეთს მიეკვრნენ და ცივად გაუშვეს ტანისამოსს ხელი. ნაგაზი იღრინებოდა.

წაქცეული, შეცივებული ბიჭი წამოდგა, მაშინვე წაჰყო შარვალში ფეხები და ხალათი გადაიცვა. გაბრწყინებული, თითქოს შიგნიდან განათებული თვალებით შესცქეროდა ძაღლს. რიყის ქვებშორის მონახა ფეხსაცმელები და ბიჭებს მიუბრუნდა:

— ახლა?

ბიჭები არ იძროდნენ. სარგადაყლაპულებივით იდგნენ, შიშითა და ძრწოლვით უმზერდნენ აღრენილ ნაგაზს. მეტოქეებმა ბიჭს გადახედეს უსაზღვრო მოკრძალებით, რომელშიც ვედრებისა თუ მუდარის საკმაოდ დიდი წილი ერია, მაგრამ ბიჭი შურისძიებაზე არ ფიქრობდა, ის კმაყოფილი იყო იმითაც, რომ ტანისამოსი დაიბრუნა. თანაც იგრძნო, თუ ნაგაზი გვერდით ეყოლებოდა, ეს ღონიერი და მოჩხუბარი ბიჭები ვერაფერს დააკლებდნენ.

— წავიდეთ, — უთხრა ძაღლს.

ნაგაზი მორჩილად გაჰყვა.

ბიჭს უკან არ მოუხედავს. ისე გაიარა რიყე. არ იცოდა, მეტოქეებიც წამოვიდნენ, თუ იქვე დარჩნენ. თუმცა ახლა მისთვის სულერთი იყო. ვერც უკანიდან მოპარვით, ვერც წინ დახვედრით, ვერაფერს დააკლებდნენ მტრები. ამიტომ მოდიოდა ასე ამაყად. ხანდახან ნაგაზს გადახედავდა. დიდი შავი თვალებიდან შუქივით იღვრებოდა მადლიერება. ასე გაიარეს ვიწრო ქუჩა. ეზოს ფინიებმა დაუპირეს თავდასხმა, მაგრამ ნაგაზი ის აღარ იყო, რაც წეღან ნახა. მძიმედ მოძუნძულებდა ბიჭის გვერდით, ფინიებს ღრენით იცილებდა. ერთს კინაღამ პირი წაატანა. უნდა გენახათ, როგორი წკავწკავით გავარდა საწყალი ფინია და ეზოს შეეფარა.

ბიჭი თავის სახლს რომ მიუახლოვდა, დაფიქრდა. „ახლა რა ვუყო ამ ძაღლს? შინ ვერ მივიყვან, ვერც აქ დავტოვებ. გარეთ რომ დავტოვო, დაიკარგება“. ბიჭი საგონებელში ჩავარდა, არ იცოდა, რა ექნა, რა მოეხერხებინა ძაღლისათვის.

— ახლა რა გიყო, — მიუბრუნდა ბიჭი ძაღლს, — ეზოში რომ შეგიყვანო, მეზობლები გაგიჟდებიან. მაინც რამხელა ხარ, შე ოხერო. ცოტა პატარა რომ იყო, კიდევ მესმის. ამოდენა სად მიგიყვანო?

ნაგაზმა ნაღვლიანი თვალებით ახედა ბიჭს, მერმე თავი დახარა და ძუნძულით წაჰყვა, ჭიშკართან შეჩერდნენ. ბიჭმა ეზოში შეიჭყიტა. მეზობლის მოხუც ქალს ონკანი მოეშვა და სარეცხს წყალში ავლებდა, ჭრელი კატა დაბალი აივნის მოაჯირზე ნებივრად თვლემდა.

ეზო პატარა და მყუდრო იყო, რიყის ქვით მოკირწყლული, შუშაბანდებითა და აივნებით შემოზღუდული. მეზობლები ნახევარ ცხოვრებას ეზოში ატარებდნენ. აქ ჭორავდნენ და ეჩხუბებოდნენ ერთმანეთს, აქ თამაშობდნენ ნარდს და ისვენებდნენ. ბიჭი გრძნობდა, ნაგაზის მიყვანა მეზობლებს ააფორიაქებდა. ეს რამდენიმე ხანი ეზოში სიმშვიდე იყო ჩამოვარდნილი და ამდენ სიმშვიდესა და მყუდროებას ვეღარ გაუძლებდნენ. ნამდვილად აჯანყდებოდნენ, გადმოდგებოდნენ აივანზე და ატყდებოდა ერთი აყალ-მაყალი.

„პატარა მაინც იყოს, — გაიმეორა ფიქრში ბიჭმა, — უბეში დავმალავდი და ისე შევიყვანდი“.

ძაღლმაც შეიხედა ეზოში და იქაურობა მიმოათვალიერა. ბიჭის ფეხებთან დაწვა, წინა თათები გადააჯვარედინა და ზედ თავი ჩამოდო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არ მოგეწონა? — შეეკითხა ბიჭი. — ეზო მაინც იყოს დიდი... აქ მომიცადე, ერთს მივიხედ-მოვიხედავ და დავბრუნდები.

ბიჭი ეზოში შევიდა. ნაგაზი მაშინვე წამოდგა და შეჰყვა.

— ერიჰა! — წამოიძახა ბიჭმა, — ასე არაფერი გამოვა... კუდში სადამდე უნდა მდიო? — მერმე დაფიქრდა და უთხრა, — იცი რა, იქნებ უკეთესია, დავშორდეთ. შენ შენი გზით წადი, მე ჩემი გზით წავალ. შენი დიდი მადლობელი ვარ... არც შენ უნდა იყო ჩემით უკმაყოფილო.

ნაგაზი ადგილიდან არ იძვროდა. ბიჭის მოძრაობას უყურებდა. ბიჭი წავიდოდა, თვითონაც გაჰყვებოდა, დადგებოდა ბიჭი — ძაღლიც გაჩერდებოდა.

ეზოში ძია თედო შემოვიდა, ბუზუნა ბერიკაცი. ქათმებსა და კატებს ვერ იტანდა, სულ ეჩხუბებოდა მეზობლებს, ეზოს სვრიან და აბინძურებენო. მეზობლებთან ჩხუბს არ აკლებულობდა, სადღაც დადიოდა, განცხადებებს წერდა, უჩიოდა.

ბიჭმა დაინახა ძია თედო და აიწურა.

— ვინ მოათრია ნაგაზი? — შემოსვლისთანავე იკითხა ბერიკაცმა.

—რა ვიცი, შემომყვა.

— გასწი აქედან, შე სამგლე, შენა, — ბერიკაცმა ნაგაზს ჯოხი მოუქნია და ქუჩაში გააგდო. ბიჭმა ქუჩისაკენ გახედვა ვერც კი გაბედა. უკანმოუხედავად გადასჭრა ეზო და შუშაბანდის კარი შეაღო.

ჩანთა შუშაბანდშივე მიაგდო ტახტზე და ოთახში შეიჭვრიტა.

— მოხვედი, შვილო? — შეეკითხა დედა.

— ჰო, მოვედი.

— რატომ დაგაგვიანდა?

— რა ვიცი, ნელა მოვდიოდი.

— დაჯექი, ისადილე.

ბიჭი ფანჯარასთან დაჯდა. ფარდა გადასწია და ცალი თვალი ჭიშკრისაკენ გააპარა. ძაღლი არსად ჩანდა.

„ალბათ წავიდა, — გაიფიქრა, — წავიდოდა, მა რას იზამდა...“ თან გული დაწყდა, ქუჩაში რომ მიატოვა გზააბნეული, უპატრონო ძაღლი.

დედამ საჭმელი გამოუტანა შვილს და წინ დაულაგა.

— აკი ნელა მოვდიოდიო? თმა სულ სველი გაქვს... გირბენია.

— ცოტა ვირბინე.

ბიჭი უხალისოდ შეუდგა ჭამას.

„ახლა ფინიები ისევ დაჩაგრავენ... ეგ არაფერი, იმ ქოფაკმა თუ დაიჭირა და გალიაში ჩაამწყვდია, მაშინ ნახე... მაინც რამხელაა!.. ძალიან დიდია!“ ბიჭმა ისევ გააპარა მზერა ჭიშკრისაკენ. რამდენიმე ეტლმა ჩაიქროლა, ფორნებმაც ჩაიხრიგინეს... ხალხი მიდი-მოდიოდა.

მურა ნაგაზი აღარსად ჩანდა.

ბიჭს ლუკმა აღარ გადასდიოდა ყელში. ცხელი კერძის წვენი მიაშველა, მაინც ვერ გადაიტანა ლუკმა.

— რა მოგივიდა, ცუდად ხომ არა ხარ? — ჰკითხა დედამ.

— არა.

— დაჯლილი ჩანხარ... საჭმელს ვეღარ ერევი.

„ნეტავი არ გამეშვა. სარდაფში დავამწყვდევდი და მეყოლებოდა... სად უნდა იხეტიალოს იმ საწყალმა“. ბიჭმა მოათავა სადილი. პურის ნატეხი ჯიბისკენ გააცურა და გარეთ გავარდა. ჭიშკრისაკენ აიღო გეზი.

ნაგაზი ჭიშკართან იწვა. გადაჯვარედინებულ თათებზე თავი ჩამოედო და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქუჩას მოწყენილი გასცქეროდა. ბიჭის გამოჩენისთანავე წამოხტა. თვალები აუნაპერწკლიანდა და კუდის ქნევას მოჰყვა. ბიჭმა ჯიბიდან პურის ნაჭერი ამოაცოცა.

— გშია, შე საწყალო, ეს ციცქნა პური რას გიშველის?!..

2

ბიჭი არ შემცდარა. თუმცა მაინც არ ეგონა, თუ ასეთ აყალ-მაყალს გამოიწვევდა ძაღლის შემოყვანა ეზოში.

ეზოს მყუდროება დაირღვა.

ყველა დაჟინებით მოითხოვდა ძაღლის გაძევებას. მიზეზი ერთი ჰქონდათ ეზო პატარაა, ჩვენც ძლივს ვეტევითო...

ამოდენა ნაგაზი აქ თუ შემოიყვანეთ, ჩვენ უნდა გავსახლდეთო...

მაგრამ ბიჭმა ნაგაზი თავის სარდაფში შეამწყვდია და კარი გარედან ჩაუკეტა — რაზას ბოქლომი დაადო. ეზო მაინც არ ცხრებოდა, ყაყანებდა, ზრიალებდა, გაცხარებული იქნევდა ხელებს, ისევ ყაყანებდა. ასე გაგრძელდა დაღამებამდე.

დედის მუდარამაც არ გასჭრა. ბიჭი ჯიუტად იმეორებდა ერთიდაიგივეს:

— ძაღლი ჩემია... ჩემი ძაღლი არავის შეაწუხებს... მე მოვუვლი.

ნაგაზი თითქოს გრძნობდა, რომ ეს აურზაური მის გამო იყო ატეხილი. სარდაფიდან ჩამი-ჩუმი არ ისმოდა. ალბათ შეშინებული თავისთვის იწვა ძველ ჩვრებზე და ხმას არ იღებდა. საღამოს ბიჭმა მოაკითხა. ჯამით სალაფავი დაუდგა და კმაყოფილი დასცქეროდა.

— რა გქვია? — ისე ჰკითხა, თითქოს ძაღლს პასუხის გაცემა შეეძლო. — შეიძლება ყურშა გქვია, ან მურა. ყურები წაუჭრიათ და უფრო მურა გერქმევა. მურა... არაუშავს, კარგი სახელია, შეგეფერება. თანაც მურა ხარ, ცხვირ-პირიც გამურულივითა გაქვს.

ნაგაზს ბიჭის ლაპარაკისთვის არ ეცალა, გამწარებული თქვლეფდა სალაფავს.

— მამაშენსაც მურა ერქმეოდა, პაპაშენსაც... თქვენ ყველანი მურიები იქნებოდით... ასე ხდება ხანდახან... პაპაჩემსაც გიორგი ერქვა, მამაჩემსაც... მე ჯერ გია მქვია... გავიზრდები და მეც გიორგი მერქმევა... შენ კი ნამდვილი ბურა ხარ, პირწავარდნილი მურა... ახლა ღამე მშვიდობისა... წავედი... ხმა არ გამაგონო, ხომ ნახე, შენი გულისთვის რა ამბავი ატყდა...

მეორე დღეს, სკოლაში წასვლისას, გამოიყვანა ნაგაზი და გზას გაუდგა...

ქუჩაში მიდიოდა პატარა, შავგვრემანი ბიჭი, რომელსაც გვერდით მურა ნაგაზი ჰიჰყვებოდა. ქუჩის კუთხეში ისევ დახვდნენ ოთხნი. მაგრამ იმ ოთხთაგან ვერცერთმა ვერ გაბედა გზის გადაღობვა. ბიჭმა მათ წინ ჩაუარა. ზედაც არ შეუხედავს, ისე ჩაუარა, თითქოს იქ არც მდგარიყვნენ, იქ კი არა, თითქოს ქვეყანაზე არც არსებობდნენ.

ბიჭებმა ბოღმით სავსე შურიანი თვალები გააყოლეს მიმავალს. ვერაფერი უთხრეს, ანდა რა უნდა ეთქვათ, როცა ასეთი ნაგაზი მოჰყვებოდა გვერდით.

ძაღლი სკოლის ეზოში უცდიდა ბიჭს. ბიჭი ყოველ დასვენებაზე ჩამორბოდა დაბლა ძაღლის სანახავად. დიდ დასვენებაზე თავის ულუფას ჩამოუტანდა, შუაზე ყოფდა, ნახევარს ნაგაზს აჭმევდა, ნახევარს კი თვითონ მიირთმევდა.

ასე ვავიდ, რამდენიმე დღე...

ერთხელ, დიდ დასვენებაზე, ეზოში ჩამოირბინა ბიჭმა, ძაღლი, სადაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეგულებოდა, იქ აღარ დახვდა. ეზოს ყველა კუნჭული დაირბინა, მაინც ვერ მონახა. ვიღაცამ უთხრა: მეეზოვემ თუ სკოლის დარაჯმა გააგდოო.

ბიჭი ქუჩაში გავარდა. ნაგაზი იქვე იჯდა შემკრთალი, თვალებს ფეთიანივით აცეცებდა.

— აბა, რა გიყო, — უთხრა ბიჭმა, — არსად არ გაჩერებენ... ჯერ ეს შეჭამე და მერე მოვიფიქროთ, როგორ მოვიქცეთ. — პური შუაზე გაყო და ნახევარი ძაღლს გადაუგდო.

ორივენი ნადიანად შეექცეოდნენ თავთავიანთ ულუფას.

— ისევ შინ უნდა წაგიყვანო.. გარეთ ვერ დაგტოვებ... ან დაიკარგები, ან ვინმე დაგიჭერს... აქ მომიცადე, ჩანთას ჩამოვიტან... ხვალ, რა თქმა უნდა, სკოლიდან გაპარვისათვის მომხვდება, მაგრამ რა ვქნა, გარეთ ვერ დაგტოვებ...

ბიჭი და ძაღლი ისევ ერთად გაუდგნენ გზას შინისაკენ.

— დედამ მითხრა შენზე: მწყემსებისა იქნებაო, ალბათ ცხვრის ფარამ გაიარა ქალაქში და მაგ საწყალს გზა დაებნაო... ისე, ქალაქში რომ არ გიცხოვრია, გეტყობა... დაფეთებული დადიხარ, თანაც არავინ არ გიცნობს...

ძაღლი ძუნძულით მიჰყვებოდა ახლად შეძენილ პატრონს. სახე ადამიანივით ფიქრიანი და დაღვრემილი ჰქონდა. თითქოს ბიჭის ნათქვამმა იალაღებზე გაშლილი ცხვრის ფარა გაახსენა და ნაღველი მოერია. ვინ იცის, იქნებ უცხო ქალაქში ასე უპატრონოდ დარჩენილს, მართლა აგონდებოდა მთები. მართლა დარდობდა, წუხდა და ამ პატარა, შავგვრემანი ბიჭის გარდა ვერავინ გაუგო, არავინ გაიზიარა მისი ძაღლური სევდა.

კარგა ხანს უხმოდ იარეს. ბიჭს კიდევ რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ არ უთხრა, დუმილი არჩია. ისე კი სათქმელი ბევრი ჰქონდა. თუნდაც ის ამბავი, ოთხი ბიჭი რომ ხვდებოდა თითქმის ყოველ დღე ქუჩის კუთხეში. ორი წელი ისე დადიოდა სკოლაში, ზედმეტი სიტყვა არავის გაუცია, წელს კი ეს ბიჭები გამოტყვრენ საიდანღაც. ჯერ ერთი იყო, აი, ის, ჭორფლიანი, სწორედ იმ კუთხეში შემთხვევით შეეფეთა. ახედ-დახედეს ერთმანეთს. ჭორფლიანს, როგორც ეტყობა, არ მოეწონა და ჰკითხა:

— რა გქვია?

ბიჭმა უპასუხა. მერე თავის მხრით შეეკითხა:

— შენა?... შენ რა გქვია?

— გაიარე!

ბიჭს წასვლა უნდოდა და რატომღაც ვერ წავიდა. უფრო იმიტომ, რომ ჭორფლიანის პასუხი გაუკვირდა.

— თუ გინდა, ერთს მიგბერტყავ.

ვერც ეს გაიგო ბიჭმა, რატომ უპირებდა ჭორფლიანი მიბერტყვას და სწორედ იმის გამო, რომ ვერ გაიგო, ერთი წუთის შემდეგ ორივენი ქუჩის მტვერში გორაობდნენ, ერთმანეთს ურტყამდნენ, კბენდნენ, ფხაჭნიდნენ კატებივით. ბიჭს ტანისამოსი მტვერში და ჭუჭყში ამოესვარა. შემოეფლითა, ასე ხომ ვერ წავიდოდა სკოლაში, ტირილ-ტირილით დაბრუნდა შინ.

მეორე დღეს ერთის ნაცვლად ოთხი დახვდა...

ეს უნდოდა ეამბნა ნაგაზისათვის და თავი შეიკავა, ასე უცებ ყველაფრის თქმა რა საჭიროაო, სხვა დროსაც მოვესწრებიო. ამიტომ უხმოდ მიდიოდნენ. ბიჭს თავისი ფიქრი აწუხებდა, ნაგაზს — თავისი...

ქუჩის კუთხეს რომ მიუახლოვდნენ, ბიჭმა ოთხივე მეტოქე დალანდა. ისევ იქ იდგნენ, კედელზე აყუდებულნი. მათ ფეხებთან მგლისფერი ძაღლი იწვა, ცხვირწაწვეტებული, ყურებდაცქვეტილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტოქეებმაც თავის მხრიდანაც შენიშნეს სკოლიდან მომავალი ბიჭი და ნაგაზი. რაღაც გადაულაპარაკეს ერთმანეთს, ფეხებთან წამოწოლილი მგლისფერი ძაღლი წამოახტუნეს და გზაზე გამომწვევად დადგნენ. ძაღლი დაწოლილი გაცილებით პატარა ჩანდა. ეს იყო ღონიერი, გალაღებული, განებივრებული ნაგაზი. ბიჭს შეეშინდა. შემკრთალმა დახედა თავის ძაღლს, რომელიც თავჩაქინდრული, მოწყენილი მოძუნძულებდა და წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, რა ხიფათი ელოდა წინ.

სკოლიდან დაბრუნებულებს ათიოდე ნაბიჯზე გზა გადაუღობეს.

ბიჭმა შიშით უკან დაიხია. მურა ნაგაზმა ჯერ გაკვირვებით მოხედა ბიჭს, შეჩერდა, მერე წინ გაიხედა. უცებ ბეწვი აეშალა, ჯაგარივით დაუდგა ყალყზე. წინიდან მგლისფერი ძაღლი უახლოვდებოდა ღრენით. ნესტოები აუთრთოლდა, თვითონაც შეუღრინა, თეთრი, ელვარე კბილები გამოაჩინა.

ძაღლებმა ერთმანეთს შემოუარეს, წრე შეკრეს. ფრთხილად დაყნოსეს ერთმანეთი.

ღრენა გაძლიერდა.

მგლისფერმა შეუყეფა და ყელში ეცა. ბიჭმა თვალებზე აიფარა ხელი. მას ესმოდა, როგორ იბრძოდნენ ძაღლები, როგორ ფლეთდნენ ერთმანეთს.

ღრენა...

ყეფა...

ღავღავი...

ისევ ღრენა, ისევ ყეფა...

ბიჭმა თვალები გაახილა, ხელი სახიდან მოიშორა, მტვრის კორიანტელი იდგა და ვერ გაარჩია, რომელი ძაღლი იყო ზევით და რომელი — ქვევით, ერთმანეთში გადახლართულები იბრძოდნენ, გორაობდნენ, კბენდნენ, ერთმანეთს ათრევდნენ.

მეტოქეები თავის ფალავანს აქეზებდნენ, ათასგვარი შეძახილებით ამხნევებდნენ. ერთმანეთში ჩახლართული ძაღლების გარშემო ყიჟინით დარბოდნენ.

სეირის მოყვარული ხალხიც მაშინვე მოგროვილიყო. ყველა მგლისფერ ძაღლს აქეზებდა. მურა ნაგაზი მარტო იბრძოდა.

„ჩემი ჯობნის, — გაიფიქრა წამით ბიჭმა, — ამიტომ აქეზებენ მგლისფერს... ჩემი ჯობნის...“

ბეწვის დიდი გორგალი ტრიალებდა ქუჩის მტვერში, თან უცნაურ, რაღაც განწირულ ხმებს გამოსცემდა, ამ ხმებს სეირის მოყვარულთა ღრიანცელი ერთვოდა.

ქუჩა ბუბუნებდა.

ბიჭი გაფითრებული იდგა. გული ელეოდა, ძლივს სუნთქავდა. მზად იყო ძაღლების შუა ჩავარდნილიყო და გაეშველებინა.

მტვერში მურა ნაგაზი ამოიზარდა. ერთი წუთით სიჩუმე ჩამოვარდა. მტვერი დაცხრა, დაიწმინდა. მგლისფერი მიწაზე ეგდო და არ ინძრეოდა. მურა ნაგაზს ყურში ჩაევლო პირი, წინა თათებით თავსა და მხარზე აწვებოდა.

— გააშველეთ, მოკლავს, — დაიძახა ვიღაცამ.

— გააშველეთ.

— წყალი დაასხით.

— მუკო მოდის!.. ეგ არის ძაღლების უსტაბაში!

— მუკო მოდის.

ბიჭმა შორიდან გალიაშედგმული ფორანი დაინახა და მიხვდა, ვინც იყო მუკო. სწრაფად მივარდა ძაღლს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძაღლმა შეუღრინა. ბიჭი განზე გახტა. ხალხმა სიცილი დააყარა. ბიჭი მაინც არ მოეშვა ძაღლს.

— გავიქცეთ, — დაუყვირა, — მუკო მოდის და დაგიჭერს.

მურა ნაგაზმა პირი შეუშვა მგლისფერს, მაგრამ თათებით მაინც აწვებოდა და წამოდგომის საშუალებას არ აძლევდა.

— ჩქარა! — უყვიროდა ბიჭი, — ჩქარა, მუკო დაგიჭერს! — თან გასაქცევად იწვევდა.

მურა ნაგაზმა ირგვლივ მიმოიხედა. მოყაყანე ხალხი რომ დაინახა, თითქოს გონს მოეგო და შეშინდა კიდეც. მეტოქეს თავი მიანება, გაქცეულ ბიჭს გაეკიდა.

ბიჭი და ძაღლი ქუჩაში მორბოდნენ.

ბიჭმა ბორბლებისა და ცხენის ფლოქვების ხმა გაიგონა. უკან მოიხედა. ქვაფენილზე გახელებული ცხენები მოჰქროდნენ და თან გალიაშედგმულ ფორანს მოარახრახებდნენ. კოფოზე მუკო იჯდა. აღვირები მიეშვა და ჰაერში შოლტს იქნევდა.

ბიჭი და ძაღლი შეშინებულნი გარბოდნენ. გარბოდნენ მთელი ძალით. ბიჭი ფლოქვების თქარათქურით გრძნობდა, მუკო უახლოვდებოდათ.

ძაღლმა იგრძნო მოახლოვებული საშიშროება, წინ გავარდა. ახლა ბიჭი უკან მისდევდა. დაინახა, როგორ შევარდა ნაგაზი ეზოში და როგორ მოეფარა თვალს.

ფორანი ჭიშკართან წამოეწია. ბიჭს სირბილი აღარ შეეძლო, ჩაიკეცა, წაიქცა. ამოიღლიავებული ჩანთა რამდენიმე ნაბიჯზე გასრიალდა წინ.

ფორანმა რახრახით ჩაუქროლა, მაგრამ იქვე შეჩერდა. ბიჭი მუხლებზე წამოდგა. ფორნიდან ჩამომხტარ მუკოს მიაშტერდა. მუკომ სალტიანი ბადე გადმოიღო და ბიჭისკენ წამოვიდა ჩქარი ნაბიჯით. ბიჭმა მელოტი თავი, შავი, წვრილი თვალები და დიდი ულვაშები დაინახა. ულვაშები, რაც უფრო უახლოვდებოდა, მით უფრო იზრდებოდა, უსაშველოდ იზრდებოდა.

— ვისია ეგ ძაღლი? — ჰკითხა მოსვლისთანავე მუკომ.

ბიჭმა არაფერი უპასუხა.

— შენ გეუბნები, ვისია ძაღლი?!

— ჩემია!

— საიდან არის შენი, ვინ მოგცა?

— ჩემია!

— დღეიდან აღარ იქნება შენი!

— ჩემია! ჩემია!... — ბიჭს ცრემლი მოაწვა თვალებზე, აღრიალდა. სალტეს ჩაავლო ორივე ხელი და მუკოს ჭიშკარში შესვლის საშუალებას არ აძლევდა.

— ხელი გაუშვი! — იყვირა მუკომ.

— ჩემია! ჩემია! ჩემია! — ღრიალებდა ბიჭი.

ხმაურზე მეზობლები გამოცვივდნენ ეზოში. ბიჭი ამ დღეში რომ დაინახეს, მუკოს მივარდნენ, ლანძღვა დაუწყეს. ბიჭი წამოაყენეს. მაგრამ, გაიგეს თუ არა, რაშიც იყო საქმე, უკან დაიხიეს.

მეზობლებს შორის ბიჭის დედაც გამოჩნდა. გაოცებული ხან მუკოს შეხედავდა, ხან შვილს, რომელიც ჯერ ისევ ტიროდა, თან ბადის სალტეს ეჯაჯგურებოდა.

— რა მოხდა, რაშია საქმე? — იკითხა ფერშეცვლილმა, შემკრთალმა დედამ. — რა მოგვიდა, შვილო.

— ვისია ძაღლი? — მშვიდად იკითხა მუკომ.

— არ ვიცი, — უპასუხა დედამ, თან შვილის თავი მკერდზე მიიკრა. — ჩემმა ბიჭმა მოიყვანა.

— ძაღლი უპატრონო ყოფილა. — თქვა მუკომ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ალბათ, უპატრონოა, — უპასუხა დედამ.

— ჩემია, ძაღლი ჩემია!

— ნომერი აქვს? — მშვიდად მიუბრუნდა მუკო ბიჭს, თანაც იერი გადაჰკრავდა ისეთი კაცისა, რომელმაც თავისი საქმე კარგად იცის.

— რა ნომერი? — გაოცდა ბიჭი. ცრემლი მტვრიანი მუჭით მოიწმინდა და სახეზე ტალახის ზოლები დააჩნდა.

— უპატრონოა და ნომერი საიდან ექნება! — თქვა მეზობელთაგან ვიღაცამ.

— რა თქმა უნდა, უპატრონოა! — დაუდასტურა მეორემ.

— ნომერი არ ჰქონია... — ერთი წუთით ჩაფიქრდა მუკო, — ძაღლი უნდა წავიყვანო.

— რა ნომერი? — ისევ იკითხა ბიჭმა.

— უნომრო ძაღლებს ქალაქში არ ვაჩერებთ... — მუკომ ეზოში შესვლა დააპირა, მაგრამ ბიჭი დედას დაუსხლტა და მუკოს აეფარა.

— ხვალვე ვუყიდი ნომერს, ძია... ძაღლი ჩემია.

— ნომერი არ იყიდება!

— მაშ, ვუშოვი.. ნუ წაიყვან, ძია, შენი ჭირიმე.

— ძაღლი ჩემი შვილისაა, დღეიდან ჩემი შვილისაა!... — გულმა ვეღარ გაუძლო ბიჭის დედას და მუკოს შეუტია, — ახლავე წადი აქედან!

— თუ ნომერი არ ექნება, წავიყვან... მაინც დავიჭერ. დღეს არა, ხვალ დავიჭერ! — მუკო ბუზღუნ-ბუზღუნით გაეშურა ფორნისაკენ.

მეზობლები უხმოდ დაიშალნენ. ეტყობოდათ, უკმაყოფილონი იყვნენ, საქმე რომ ასე დამთავრდა. ეს უკმაყოფილება ოთახებამდე ვეღარ მიიტანეს, აივნებზევე აყაყანდნენ. ზევიდან დამნაშავესავით დასცქეროდნენ ნაგაზს, რომელიც შეშინებული და მოკუნტული სარდაფის კართან იწვა. ძაღლმა ნამდვილად იგრძნო, რომ ეს აურ-ზაური მის გამო იყო ატეხილი და ამიტომაც მიიკუნჭა ქვაფენილზე, დამნაშავის თვალებით უყურებდა ადამიანებს.

ბიჭი ნაგაზთან მივიდა და დახედა. ახლა-ღა შეამჩნია, სახე და კისერი მთლად გასისხლიანებული ჰქონდა. ჩაიკუზა და თავზე ხელი გადაუსვა. ძაღლი გაინაბა, თვალები მილულა, ზურგზე ბეწვი აღარ აჯაგრვია, არც დაუღრენია.

— ნუ გეშინია, — უთხრა ბიჭმა, — ხვალიდან ნომერი გექნება და ხელს ვერავინ გახლებს... იცი, რა არის ნომერი? არა? არც მე ვიცი. არა უშავს, დედას ეცოდინება და ის გვაშოვნინებს.

ბიჭს დედამ დაუძახა. ბიჭი შინ დიდხანს არ დაყოვნებულა, საჭმელი გამოუტანა ნაგაზს და სარდაფის კარი გაუღო. სალაფავი ძაღლს დაუდგა, თვითონ ძველ კასრზე ჩამოჯდა.

— ჭამე, — შეახსენებდა ხოლმე ნაგაზს, რომელსაც მაინც და მაინც არ სჭირდებოდა შეხსენება. — მაგრა კი იჩხუბე. არ მეგონა, თუ ასეთი ღონიერი იქნებოდი. თუმცა რა, შენ ალბათ მგლებთანაც გიჩხუბია... ისიც მაგარი იყო... კარგად გაგიძლო.

ძაღლი თავაუღებლად სანსლავდა სალაფავს.

— ერთი ვნახოთ, ხვალ როგორ დაგვხვდებიან ბიჭები... შეიძლება ორი ძაღლი მოიყვანონ. შენ ისეთი ხარ, ორსაც მოერევი და სამსაც... ძალიან ღონიერი ხარ. ნახე, მეც ვიქნები ღონიერი... ძალიან მინდა ღონიერი ვიყო.

ძაღლმა ჯამი მოასუფთავა და თავის ფალას-ფულასზე მიწვა. ეტყობოდა, დაღლილი იყო, ფეხზე დგომის თავი აღარ ჰქონდა.

— იცი რა, ჩვენ კიდევ წავიდეთ საბანაოდ... რასაკვირველია, თუ არ აცივდა... გინდაც აცივდეს, მაინც წავიდეთ. იქ, გაღმა, აივანზე ნაწნავიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოგო დგას ხოლმე. მე როცა ცურვით ჩავუვლი, ხელს მიქნევს. თუ წყალი ცივი იქნება, რიყიდან დავუქნიოთ ხელი... დაგვინახავს... შენ გგონია, ვერ დაგვინახავს. გამოლმიდან ვანიშნებ, ის ბიჭი ვარ, ცურვით რომ ჩამოვივლიდიმეთქი. გოგო მიხვდება, ვინცა ვარ და კიდევ დამიქნევს ხელს, შეიძლება გაიცინოს კიდეც... მაგრამ სიცილს ნაპირიდან ვერ გავიგონებთ, შორს ვიქნებით.

ბიჭს ისევ დაუძახა დედამ.

— ახლა დაიძინე, დაღლილი ხარ... საღამოს გინახულებ... იქნებ გავიაროთ კიდეც. მტკვრის პირას გაგატარებ.

ბიჭი მეორე დღეს სკოლაში არ წასულა. მთელი დღე ნომრისთვის სირბილს შეალია. ვინ იფიქრებდა, თუ ასე ძნელი იქნებოდა ნომრის შოვნა. ძაღლი ვეტერინარებმა გასინჯეს — ცოფიანი არ იყოსო. მერე სადღაც სხვაგან გაგზავნეს. იქაც დიდხანს იცადა. ბოლოს უთხრეს: მეზობლების თანხმობა მოგვიტანეო. ბიჭი გაფითრდა, სუნთქვა შეეკრა. ძლივს შეიკავა ცრემლები.

გულმოკლული დაბრუნდა შინ.

დედას შეეცოდა. თვითონვე ჩამოიარა მეზობლები და დიდი ხვეწნის შემდეგ თითქმის ყველა დაითანხმა.

დილაადრიანად გავარდა ბიჭი. თან მეზობლების მიერ ხელმოწერილი ქაღალდი წაიღო. ისევ ლოდინი დასჭირდა. დრო ნელა და დამქანცველად მიდიოდა. კედელთან ატუზული ბიჭი ხან ერთ ფეხს დაეყრდნობოდა, ხან მეორეს. იდგა. ელოდა, უსასრულოდ ელოდა, მაღალი კაცები მოდიოდნენ... ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ, საუბრობდნენ, პაპიროსს აბოლებდნენ. მერე დაიშლებოდნენ, ყველა თავის გზას მონახავდა, ბიჭი კი იდგა, ასე ჯიუტად იდგა და ელოდა. ქუთუთოები დაუმძიმდა. თვლემა მოერია. თავი კედელს მიადო...

მტკვრის ნაპირი დაესიზმრა: ვითომ ნაგაზი ნაპირზე დატოვა და თვითონ ტალღებში შეცურდა. ტალღები ჩვეულებრივზე დიდი და თბილი იყო. ღონივრად აისროდა ბიჭს ზევით, მერმე დააქანებდა, დაქანებისას სუნთქვა ეკვროდა, მაგრამ ეს იმდენად სასიამოვნო იყო, ხანდახან ყიჟინაც კი აღმოხდებოდა. წისქვილის უზარმაზარი ბორბლები ტრიალებდნენ და ტლაშუნის ნაცვლად საოცრად ტკბილ ბგერებს გამოსცემდნენ. მერმე ტალღებმა ნაცნობ აივნის წინ ჩაატარეს ბიჭი. მტკვარზე გადმოკიდულ აივანზე არავინ ჩანდა, ცარიელი იყო. უცებ მოაჯირს გადმოეყუდა შავულვაშიანი მელოტი კაცი, რომელსაც შავი, წვრილი თვალები ჰქონდა. მელოტ კაცს ულვაშები სწრაფად ეზრდებოდა, ნაწნავებივით ჩამოუგრძელდა. ულვაშის ბოლოები უკვე მდინარეს წვდებოდა, ტალღა ხვდებოდა და აქანავებდა. ბიჭს შეეშინდა, სწრაფად მიტრიალდა და ნაპირისაკენ მოუსვა. როგორც იყო, თვალი მოჰკრა ნაპირს, მაგრამ ნაპირზე ძაღლი აღარსად ჩანდა. მთელი ძალით უსვამდა მკლავებს, ტალღიდან ტალღაზე გადადიოდა, მაღლა ასროლილი ნაპირს გახედავდა... რიყეზე ქვები თითქოს გაზრდილიყვნენ, უზარმაზარ ლოდებად ქცეულიყვნენ.

— ბიჭიკო... ბიჭიკო...

ბიჭმა თვალები მოიფშვნიტა, მის წინ ვიღაც ქალი იდგა.

— ვის უცდი? — ჰკითხა ქალმა.

ბიჭმა უთხრა, ვისაც უცდიდა.

ათი წუთის შემდეგ იგი უკვე სახლისაკენ მირბოდა. გახარებული ისე მიჰქროდა, მიწაზე ფეხს არ აკარებდა. ხელში აბაზის ოდენა, ერთგან გახვრეტილი თუნუქის მრგვალი ნაჭერი ეკავა. ეს იყო ნომერი. თუნუქზე აღბეჭდილი იყო გაურკვეველი ასოები და ციფრები.

ეს იყო უფლება. ნაგაზს ნება დართული ჰქონდა ქუჩებში თავისუფლად სიარულისა.

ძაღლი სარდაფში იყო დამწყვდეული. ბიჭი მივიდოდა. თავის ძველ ქამარს კოხტად მოარგებდა კისერზე და ზედ ამ მრგვალ თუნუქს დაჰკიდებდა.

ვერც მუკო, ვერც მეზობელი, ვერც სკოლის დარაჯი, ვერავინ ხელს ვერ ახლებდა ნაგაზს... უცებ გაახსენდა, ასეთი თუნუქი მგლისფერ ნაგაზსაც ეკიდა.

ბიჭი გარბოდა, ეზოს რომ მიუახლოვდა, შეჩერდა, სული მოითქვა, სახე მაინც ულიმოდა. ისე, თავისთვის იღიმებოდა. ქუჩის ბოლოში ოთხი ბიჭი, ოთხი მეტოქე დაინახა. მუშტით დაემუქრა. დაემუქრა, მაგრამ სახიდან ღიმილი მაინც არ მოშორებია.

ერთი რამ განსაკუთრებით ახარებდა, ქუჩაზე სიმყუდროვე და სიმშვიდე სუფევდა. ყველაფერი დაწყნარდა, ყვლაფერი ისეა, როგორც უნდა ყოფილიყო.

ეზოში შევარდა, იქაც სიმშვიდე დახვდა, მყუდროება...

უცებ, თითქოს კეფაში დაჰკრეს, თვალები დაუბნელდა.

სარდაფის კარი ღია იყო, კარგად ახსოვდა დაკეტილი დატოვა, ახლა კი სარდაფის კარი ღია იყო.

ფრთხილად მივიდა, თითქოს ეპარებაო, ღია კარის წინ დადგა. სარდაფიდან სიცარიელემ გამოხედა, ბნელმა და ნესტიანმა.

ბიჭს მუხლები მოეკვეთა. ქვაფენილზე პირქვე დაეცა და აქვითინდა.

მეზობლები აივნებზე გადმოდგნენ. დედა, როგორც ჩანდა, შინ არ იყო, არ გამოჩენილა.

ვიღაც მოვიდა ბიჭთან, წამოაყენა.

— სად არის ჩემი ძაღლი? — იკითხა ბიჭმა გაბზარული ხმით.

პასუხი არავინ გასცა.

ბიჭი მხარზე ვიღაცის ცივსა და მძიმე ხელს გრძნობდა, არც შეუხედავს, ვისი იყო.

— სად არის ჩემი ძაღლი? — კვლავ იკითხა უმისამართოდ. მზერა აივნებს მიაპყრო. მეზობლები უხმოდ გაბრუნდნენ, არავინ უთხრა, რა იქნა ძაღლი.

ბიჭი ჭიშკრისკენ გაიქცა.

ქუჩაში ოთხი ბიჭი შეეფეთა, ოთხი მეტოქე. მეტოქეები დამცინავად იღიმებოდნენ, მაგრამ ბიჭს რომ შეხედეს, უეცრად ნირი წაუხდათ.

— რა იქნა ჩემი ძაღლი? — ახლა იმათ შეეკითხა განრისხებული ბიჭი.

ბიჭებმა უკან დაიხიეს.

— რა იქნა?!

— მუკომ წაიყვანა... — ჩურჩულით თქვა ჭორფლიანმა.

— თქვენ მოიყვანდით... თქვენ გაუღებდით კარს.

ბიჭებმა ერთმანეთს გადახედეს. მერე შემკრთალი მზერა ბიჭს მიაპყრეს. ბიჭმა ორ მეტოქეს ხელები მკერდში აძგერა, ორივე კედელს მიახეთქა და იქვე ჩაკეცა. მერმე დანარჩენებს მიუბრუნდა, მაგრამ მათ უკვე გაქცევა მოესწროთ. მხდლურად, ლაჩრულად გარბოდნენ დამფრთხალები. ბიჭმა წაქცეულ მეტოქეებს ზიზღით დახედა და გაშორდა.

ბიჭი მარტო მიდიოდა ქუჩაში...

მამაკაცური, დიდი ნაბიჯებით მიდიოდა პატარა, შავგვრემანი ბიჭი, რომელსაც მაგრად ჩაებღუჯა ხელში თუნუქის მრგვალი ნაჭერი...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იორამ ჩაღუნელი

ცხოვრების ზღურბლზე

რომანი

თავი პირველი

შუაღამისას გაიღვიძა. დიდხანს იფშვნეტდა თვალებს, სიბნელეში თავს წამომდგარი მამა შეამჩნია, ტანსაცმელს მისწვდა და ჩაცმას შეუდგა.

აივანზე ცოტახანს შეჩერდნენ, მამამ ბოძთან მიდგმული ვარცლი მძიმედ ასწია, ცოტა იქით უფრო მომცრო ვარცლი იდო, ის ბავშვმა ზურგზე წამოიკიდა და ეზოს გასასვლელისაკენ გაემართნენ.

უხმოდ გაიარეს ჭიშკარი.

ბავშვი გარინდებული მიდიოდა, თითქოს რაღაც იდუმალ ძალას დაუმორჩილებიაო, ჩაფიქრებული გასცქეროდა მდუმარე სოფელს.

შუაღამე გადასული იქნებოდა, პატარა აღმართს რომ შეუდგნენ და ტყეში შევიდნენ. შუაგულ ტყეში დაკლაკნილი საურმე გზა გადიოდა. ირგვლივ სიჩუმე იყო გამეფებული.

მოულოდნელად სულ ახლოს ხმელი ტოტების ლაწალუწი გაისმა. დამფრთხალი ნადირის ხმაურზე გამოღვიძებული შაშვის ჭახჭახმა და მიკიოტის კივილმა დაარღვია დუმილი.

ბავშვი შეშინდა, გალურსული მისდევდა მამას.

ისევ ჩქარა მიყუჩდა ტყე.

მოხუცი დროდადრო მხარზე მოკიდებულ ვარცლს ინაცვლებდა და სახელოთი შუბლზე ოფლს იწმენდდა.

ბავშვი ცდილობდა მოხუცს არ ჩამორჩენოდა. გაუჭირდა კიდეც, დაიღალა, ოფლში გაღვარულს უნდოდა მამისათვის შეეხედა, შველა ეთხოვა, მაგრამ მოხუცი ხმაამოუღებლივ მიდიოდა წინ.

არჩილი მოულოდნელად გაჩერდა, ტვირთი მხრებიდან ფრთხილად ჩამოიღო, მერე ბავშვს მიეშველა.

— დაისვენე! — უთხრა ხმადაბლა. კურამი შეკრთა, მძიმედ ამოისუნთქა.

— დაიღალე? — ჰკითხა არჩილმა. დალაპარაკებისაც კი შეეშინდა გურამს, უარის ნიშნად თავი გააქნია.

— მალე გათენდება, ცოტა დაგვრჩა სავალი. — ბავშვის დასამშვიდებლად ჩაილაპარაკა არჩილმა. ვარცლი ისევ მხარზე წამოიკიდა, ბავშვის ტვირთიც იღლიაში ამოიჩარა და გზას გაუდგნენ.

დაფერდებულ გზას ჩაჰყვნენ. არჩილსაც გაუჭირდა სიარული, მუხლებმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმტყუნა, აჩქარებით სუნთქავდა. გურამს შეეცოდა მამა, ხელი მაჯაში წაავლო, უსიტყვოდ ჩამოართვა თავისი ტვირთი. მოხუცის ნიკაპზე ოფლის წვეთები მოგორავდნენ, პირისახე სახელოთი მოიწმინდა, გამშრალი ტუჩები ენის წვერით დაისველა.

წყაროს პირას ჩამოსხდნენ. არჩილმა სახეზე წყალი შეისხა, მერე გურამს მიუბრუნდა. ბავშვს შეაჟრჟოლა და პირის დაბანაზე უარი უთხრა, წყალი კი მოსვა.

წამოჟინჟღლა.

არჩილმა ნაბიჯს აუჩქარა.

— ამ ტყეს თუ გავასწარით, იქნებ აღარ დავსველდეთ, — თავისთვის ჩაილაპარაკა არჩილმა.

წვიმამ უხშირა. ცამ დაიჭექა. ელვამ გაანათა იქაურობა. ხოშკაკალა წამოაყარა. რცხილის ქვეშ შეაფარეს თავი.

— აუ, ეს სატიალო, თუ სოფლამდის მიაღწია, გაანადგურებს მოსავალს.

ერთი პირობა იმატა ხოშკაკალამ, მაგრამ ზენა ქარმა ღრუბლები გადაყარა და ცა ისევ მოიწმინდა.

— გადავრჩით! — გახარებულმა არჩილმა გზა განაგრძო.

გათენდა.

შარაგზას გვერდი აუქციეს, ბილიკით წავიდნენ. მინდორში ნახირი გამოეფინა, მწყემსები ყიჟინით მიყვებოდნენ საქონელს.

მამლების გაბმული ყივილი და ძაღლების ყეფა მოისმა.

— მოვედით? — იკითხა გურამმა.

მოხუცმა თავი დაუქნია.

სოფელს გორაკი ფარავდა. ცოტაც და სოფელიც გამოჩნდა.

ტაფობში რამდენიმე სახლი იდგა. ალაგ-ალაგ საკვამურებიდან ბოლი ხრჩოლავდა.

სოფლის შუაგულში ისე შევიდნენ, არავის გამოლაპარაკებიან.

აგურის პატარა ნაგებობასთან რამდენიმე კაცს მოეყარა თავი.

კაკლის ხისაგან ამოკვეთილ ნავში, კედელში ჩატანებულ მილიდან მაჯის სიმსხო წყარო გადმოჩქეფდა.

არჩილი სოფელს ათვალიერებდა.

როგორ შეცვლილა. სადღაა ძველი ქოხმახები, მეცხვარეთა ზამთრის სადგომებს რომ გავდა. ჩამობღლარძული, დაკონკილ ტანისამოსიანი ადამიანებიც გამქრალან. ორსართულიანი ქვითკირის სახლები წამოუჭიმავთ, კარგად მოვლილი სასახლკარე ადგილები, კაკლისა და მუხის ხეები.

არჩილი პირველად შეცბა, ერთი პირობა კიდეც გაიფიქრა; სხვა სოფელში ხომ არ მოვხვდიო.

სოფელმა წარსული გაახსენა.

თითქოს გუშინ ყოფილიყოს, იმ დროს ზემო უბანში ცხოვრობდნენ. ბნელი და გრძელი ბოსლის ცალ მხარეს საქონელი ებათ, ბოსლის მეორე ნახევარში საძინებელი იყო, თოფ-იარაღში ჩამჯდარ ვაჟკაცებს ცნობისმოყვარე თვალებით უჭვრეტდა.

ღამით სოფლის თავკაცები მათთან შეიკრიბნენ. როგორ უნდოდა დიდი ხნის უნახავი ძმა გადაეკოცნა, ვერა ბედავდა, ერიდებოდა.

კონკებში გახვეული არჩილი თავს იმძინარებდა, ცალი ყური მათკენ ქონდა და სმენად გადაქცეულიყო.

„იარაღი ჩამოვიტანეთ, რაზმის წევრებს უნდა გავუნაწილოთ“. — ესმოდა

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

გრიშას სიტყვები. წეკოს ბოლისაგან სული ეხუთებოდა. მამალმა რომ იყივლა, წამოიშალნენ, მეორე დღისათვის ადგილი დათქვეს, ნახშირის გორაზე უნდა შეკრებილიყვნენ. რიჟრაჟზე ჩაეძინა, მოულოდნელად ვიღაცამ შეანჯღრია.

— აოჰილ, ახლავე ჩაიცვი, ბოჟამში მეცხვარე ბესო მოძებნე, უთხარი არ დააგვიანო-თქო. ხომ გაიგე, აბა ჩქარა! — უთხრა გრიშამ.

ეს იყო უკანასკნელი შეხვედრა ძმასთან.

მაშინ პირველად იყო ამ სოფელში. ახლაც ახსოვს, ცხვრის ტყაპუჭში გამოხვეული ახოვანი ვაჟკაცი, ტანზე ვერცხლის მოსევადებული ხანჯალი ეკიდა. მიიღო, ცხელი რძითა და ჭადით გაუმასპინძლდა, ყალიონი პირში გაიჩარა და დაბარებული გულდასმით მოისმინა. არჩილი თავის სოფელში ჩქარა ჩამობრუნდა. სახლს ყაზახები შემოხვეოდნენ, მამა ძირს დაეგდოთ და უწყალოდ სცემდენ. ვიღაცამ დაიძახა:

— ეგ ძაღლისშვილი იმის ძმა არისო!

ნაცემი გვიან გამოერკვა. ყაზახებს სახლი გადაებუგათ.

რეხულას ხეობა ორ კვირას ცეცხლის ალში იყო გახვეული. რაზმელები თავგამოდებით იცავდნენ თავს, ბოლოს კი ყველაფერი მიწყნარდა, სოფლებში ეგზეკუციები ჩამოდგა.

რაზმელებისაგან გაიგო: უმოწყალოდ ნაგვემი გრიშა, კასპის მისადგომებთან, მტკვრის ნაპირზე ტყვიებით დაეცხრილათ.

გაპარტახებული ოჯახი, მშობლები და ორი პატარა ძმა მიატოვა, ქალაქში წავიდა ბედის საძებნელად. მუშებთან მოხვდა, გვერდში ამოუდგა მათ და მხოლოდ მაშინ იგრძნო, რომ ისიც ადამიანი იყო ამ ქვეყანაზე.

ახსოვს მენშევიკების ბატონობის უკანასკნელი დღეებიც. თბილისის მუშებთან ერთად არჩილიც იბრძოდა, აკი სამახსოვროდ დაუტოვეს კიდეც ფეხის ტერფში ბერდანკის ტყვია.

„რა ბედნიერი ვიყავით“, — გაივლო გულში. „როცა ვფიქრობდით ნამდვილ ცხოვრებას ვეწიეთ-მეთქი, ახლა ამ მუხთალმა მტერმა აღარ დაგვაცალა“.

შვილზე დარდმა მოტეხა ჯანმაგარი მოხუცი.

„ეჰ, ჩემო თენგიზ! ასე ყოფილა შვილო!“ — გაივლო გულში და თვალები აუწყლიანდა. ვერ შერიგებოდა მოხუცი შვილის დაკარგვას. უფროსი ვაჟი იყო, მთელ იმედებს მასზე ამყარებდა.

არჩილი მიესალმა სოფლელებს, მერე ვარცლი დაბლა დადო. ბავშვს მიუბრუნდა. გურამს უკვე მოესწრო ვარცლის ჩამოღება.

თმაშეევერცხლილი ახოვანი მოხუცი არჩილს მიუახლოვდა და იფნის გრძელი სახრე ვარცლს მიუკაკუნა.

— ვარცლებია? — და აღარ დაუცადა პასუხს, — ნედლი ხისაგან ხომ არ არის?

არჩილმა შუბლიდან ოფლი ჩამოიწრიტა და ამოიოხრა:

— ხვალ რა პირით შემოგხედოთ!

მოხუცმა, რომელსაც გრძელი ულვაშები ამშვენებდა, არჩილს გაუღიმა და ერთხელ კიდევ დაუკაკუნა სახრე ვარცლს.

— ხმელია, — დაასკვნა თვითონვე, — ძვირს აფასებ?

— რას გაიმეტებთ?

— ხორბალი გენდომება, ალბათ?

არჩილმა რომ ხმა არ გასცა, ახოვანმა მოხუცმა ისევ გააგრძელა:

— წლეულს ცუდი მოსავალი ავიღეთ, ამინდმა ხელი არ შეგვიწყო.

არჩილი ერთ ადგილზე გაუნძრევლად იდგა და ფიქრობდა; სოფელში

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროებით გამოხიზნა ოჯახი. ყველას თავისი თავი გაჭირვებია, თვითონ ქალაქში მუშაობს, ხელფასით რჩენა ახლა ძნელი იყო. არა და ცარიელ-ტარიელი სახლისა და ერთი ციდა მიწის მეტი სოფლად არაფერი გააჩნდა.

მათ საუბარს სხვებიც შემოუერთდნენ, ყველანი სათითაოდ სინჯავდენ ვარცლებს. მყიდველი კი არავინ ჩანდა.

— ერთი ჩანახი ხორბალი გეყოფა, თორემ შენც იცი, მეტს არავინ მოგცემს.

არჩილს ხმაც არ ამოუღია, ორივე ვარცლი ერთმანეთში ჩააწყო და უსიტყვოდ გადახედა ჭაღარა მამაკაცს, წავიდეთო.

— ზაქრო! მოდი აქეთ, ნუ შეაწუხებ დოოულ ადამიანს, სახლამდის წამომიღე შენს გაზრდას. — მიმართა ახოვანმა მოხუცმა მზისაგან გარუჯულ ახალგაზრდას, რომელმაც უსიტყვოდ წამოიკიდა ვარცლები.

— სადაური იქნებით? — იკითხა მან და ერთხელ კიდევ ჩაათვალიერა ბავშვი და მოხუცი.

— იგოეთიდან გახლავართ, საჩალელის გვარისა.

— სიმონაანთი ხომ არა? მამაჩემისაგან გამიგია, გვარს გიქებდათ.

არჩილს გაეღიმა.

— გვალვა თუ იყო სოფელში, თორემ იგოეთელი კაცი მთაში რაზე ამოხვიდოდი?

არჩილმა ამოიოხრა. ცნობისმოყვარე მოსაუბრეს შეხედა და თითქოს სხვათაშორის ჰკითხა:

— თქვენ რა გვარისა იქნებით?

— თოგოიანთი ვარ, კოტეს მეძახიან.

— ჰოდა, ჩემო კოტე, სოფელს რა უჭირს, ქალაქში კი რა დაგიმალო...

— კიდეც არა და გამიკვირდა, — წაილაპარაკა კოტემ და სახლამდის ხმა აღარ ამოუღია.

ვიწრო ორღობე გაიარეს, ძეძვით შეღობილ ეზოს მიადგნენ. უცხოთა დანახვაზე დიდი ქოფაკი შემოენთო ღობეს. კოტემ ერთი კი დაუტატანა და ძაღლი საცოდავი წკმუტუნით მიეფარა თვალს. ეზოში შემოსული უცნობების დანახვაზე ოჯახის დიასახლისი თავშლის სწორებით გამოემართა მათკენ.

— მართა, აბა ნახე, როგორ მოგეწონება?

კოტემ ჩანახს პირი მოუბა, ტომარა გაშალა და შიგ ჩაუშვა ხორბალი. არჩილმა ტომარას ხელი წამოავლო და წასვლა დააპირა.

— რა გადამთიელივით იქცევი, პურუჭმელი გინდა წახვიდე? ბავშვი მაინც შეიბრალე. — საყვედურით მიმართა კოტემ არჩილს და მარნიდან ახლა ცოლს გასძახა:

— მართა! ტაბაკზე გააწყე რამე, თან ჟიპიტაურიც მოაყოლე.

გურამი კოტეს ჩაფსკვნილსა და ჯმუხ ტანს თვალს ვერ აშორებდა. არასოდეს ენახა ისეთი გრძელი ულვაშები, როგორც ამ უცნობ კაცსა ჰქონდა. უნებლიეთ მამას შეადარა იგი. მამა გამხდარი და დაბეჩავებულიც მოეჩვენა. ამ ბოლო დროს სულ გამოიცვალა მამა, ფიქრობდა ბავშვი, წინათ უფრო მხიარული იყო. მამის ლოყებჩაცვენილ სახეს შეხედა, შეეცოდა, ისე შეეცოდა, ცრემლი ყელში მოებჯინა. ეს დიდი ხნის წინათ არ იყო, და მაინც ბუნდოვნად აგონდება, ერთ საღამოს ფოსტალიონი მოადგა მათ სახლს, ცოტა ხანს რაღაც ჩოჩქოლი ისმოდა, მერე შეცხადებაც ჩაესმა.

ამის მერე მამა გაცინებული არ უნახავს. გრძნობდა გურამი, ძმის თავს

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაღაც უბედურება იყო, მაგრამ მშობლებთან ლაპარაკს ერიდებოდა, ისედაც გულჩათუთქულები იყვნენ ისინი.

მარანში სამფეხა სკამზე ხონჩა იყო შემომდგარი. მოხარშული დედალი, თონის პურები, ცხვრის ყველი და შინნახადი არაყი, პირდაპირ ნანატრი სადილი იყო მამა-შვილისათვის.

— ომში დაღუპულთა სადღეგრძელო იყოს! — წყნარად წამოთქვა კოტემ და მოზვრის რქისაგან გამოთლილ ყანწით სულმოუთქმელად დალია შინნახადი **არაყი.**

არჩილს სახე მოეღრუბლა.

— რაო, შვილი ხომ არა? — თანაგრძნობით შეეკითხა კოტე.

არჩილმა თავი დაუქნია.

კარგახანს დუმდენ ორივენი. მერე კოტე წამოდგა, იქვე ჩამოკიდებულ ღორის ბარკალს მისწვდა, ნამყენის სასხლავი დანით ჩამოათალა კარგა მოზრდილი ნაჭრები და სამფეხაზე დააწყო. ერთხელ კიდევ შეავსო ყანწები.

არჩილმა იუარა.

— საყოვლადწმინდო შევსვათ. — მუდარით შესთხოვა კოტემ. მერე ისევ წამოდგა, კიდობანს თავი ახადა, აივანზე გავიდა და ტომარა შემოიტანა, ტომრის პირი გახსნა და გურამს მიუბრუნდა:

— მოდი, ბალღო, პირი გაუწიე.

გურამი სწრაფად წამოხტა, ტომარას მისწვდა და ორივე ხელით პირი ფართედ გაუშალა. კოტემ ტომარა პირთამდე გაავსო და არჩილს შეეხმიანა:

— ერთი კოდია პირწმინდად, როცა შეიძლო მაშინ გამისწორდი.

მაღალ ჭალებიან ურემში კოტეს ხარები შეება.

— სახლამდის ჩაიტანე, თუ დაგჭირდეს წისქვილშიაც მოიხმარე, მშივრები არ დახოცო საქონელი, სამხრის კუდამდე გამოატანე ვინმეს. მინდვრიდან კოლმეურნეობის სიმინდი გვაქვს შემოსაზიდი. — არიგებდა კოტე და თან ტომრის დადებაში ეხმარებოდა.

აღარ იცოდა არჩილმა რითი გადაეხადა მადლობა, გულაჩუყებული დაემშვიდობა კოტეს.

ტაატით მიდიოდნენ ხარები. არხეინად ეწეოდნენ ურემს, ჩანდა ტვირთი უმსუბუქებოდათ, კოფოზე წამოსკუპებული გურამი, დროდადრო სახრეს იქნევდა, გამოუცდელ მეურმეს მაგრად ჩაევლო ხელი ჭალისათვის, თავის ნებაზე მიეშვა ხარები.

მინდვრად ხალხი გამოფენილიყო, სიმინდს არჩევდნენ, ხვავად ეყარა ყვითელი ტაროები და გურამს უკვირდა, რატომ ემდუროდა კოტე წლევანდელ მოსავალს.

აღმართს შეუყვნენ.

გზაჯვარედინზე რომ გამოვიდნენ, მზე შუბის ტარზე იდგა, თვალწინ გადაეშალათ მთელი სოფელი. გურამმა იგი ბოჟამს შეადარა და უპირატესობა მშობლიურ მიდამოს არგუნა.

უფრო ლაზათიან და მიმზიდველ ადგილას იყო გაშენებული. ყოველმხრიდან ტყიანი მთები შემოხვეოდა, კავკასიონის მთიდან კი რეხულა მიექანებოდა, სოფელს შუაზე ჰყოფდა. ვინ იცის რამდენჯერ უთევზავნია ამ მდინარეში, ხელცარიელი არასოდეს დაბრუნებულა. მამა ყოველთვის აქებდა, სიყოჩაღეს უწონებდა. ბავშვს აქებებდა მამის ქება, მეორე დილით უფრო ადრე დგებოდა, აიკიდებდა გოდორს და მთელ დღეს ქოთნით ხელში დარნებთან ფეხით უქშევდა თევზებს. ასე გრძელდებოდა მთელ ზაფხულს, მერე კი სწავლა იწყებოდა.

ქალაქში სწავლობდა. გურამი არ ცუღლუტობდა, მეოთხედი დამთავრდებოდა თუ არა, სიხარულით მირბოდა სახლისაკენ, უნდოდა მშობლები ჩქარა გაეხარებინა კარგი ნიშნებით. უფროსი ძმა თენგიზი ოთხი კლასით იყო წინ, დაამთავრა თუ არა საშუალო, ომი დაიწყო და ისიც ჯარში გაიწვიეს.

ურემი ჭრიალით მიადგა ეზოს, არჩილმა ხარები ეზოსკენ შეაბრუნა. გურამი კოფოდან ჩამოხტა და დედისაკენ გაემართა.

— იცი, დედი, რა კარგი სოფელი ყოფილა ბოქამი, ძალიან მომეწონა.

პატარა ნანა კარის ზღურბლზე დოინჯშემოყრილი დამდგარიყო და ძმას ათვალიერებდა.

ნატომ ტომარას პირი მოხსნა, ეზოში ჭილოფი გაშალა და ხორბალი წამოყარა.

არჩილმა ტაბიკებს ერთი მხრიდან სამალდეები შეხსნა, უღელი ცალი ხელით მაღლა ასწია და ხარები გამოუშვა. გურამმა ხარები მდინარესთან მიიყვანა. თვითონ მდინარის ნაპირთან, რიყეზე ჩამოჯდა, ნიავს შუბლი შეუშვირა.

ხიდის ყურზე ბავშვების სიცილი გაისმა, გურამმა გაიხედა, მეზობლის გოგონები იყვნენ. ეთერსაც მოჰკრა თვალი.

ბავშვებმა სულ ახლოს ჩაურბინეს. ეთერი შეჩერდა, შავი თვალები გურამს შეანათა და ჰკითხა.

— რას აკეთებ?

— ხარები მოვრეკე წყალზე.

— რა შენი საქმეა მენახირეობა? — ტუჩაბზეკით ჩაილაპარაკა გოგონამ და ჯურამს ალმაცერად გადმოხედა.

— მამაჩემმა მთხოვა.

— წამო ვითამაშოთ, აგერ, — ხელი გაიშვირა ორღობისაკენ, — იქ ვიკრიბებით.

გურამი ადგილიდან არ დაძრულა. ეთერი კი ერთ ადგილზე ვერ ჩერდებოდა.

— ადექი, რაღას აგვიანებ!

— დრო არა მაქვს, — წაილაპარაკა გურამმა.

— სოფლელი ბიჭივით იქცევი, — მიაძახა ადგილიდან მოსხლეტილმა გოგონამ და წინ წასულ ბავშვებს გამოუდგა.

გურამი აღარ გაჩერებულა, ხარებს სახრე გადაუჭირა და ეზოში შელალა, ხმა აღარავისთვის გაუცია, მთელი ღამის უძილო, დაღლილ-დაქანცული ტახტზე მიწვა და ჩაეძინა.

თავი მეორე

მცელავებიდან ყველაზე წინ მზისგან გაოუჯული გიორგი მიდიოდა, რომელსაც მეტ სახელად ბევრი ლაპარაკისათვის „ყაყანა“ შეარქვეს სოფელში. ყაყანას ფეხდაფეხ დაბალი ტანის წვერგაფანჩული გულკეთილი მოსიკა მიყვებოდა. დანარჩენები კი ახლადფეხადგმული მცელავები იყვნენ. ერთი კვირა იყო, რაც გურამი კოლმეურნეებს ეხმარებოდა. თითქმის ათიოდე შრომადღე გამოიმუშავა.

უნდოდა ცელვაშიაც ეცადნა ბედი, მხოლოდ ამის თქმა ვერ გაებედნა.

ერთი კვირაა, რაც ფოცხი მისცეს, მერე ხელურებით ძნასაც ჰკრავდა. ხელის გულები ალაგ-ალაგ წითლად დაეწინწკლა. მუხლის თავები ეწოდა.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

პირველ ხანებში ხელებში მოხვედრილი ეკალი ისე ემწარებოდა, ძლივს იკავებდა თავს, თვალებზე კურცხლები არ ჩამოცვენოდა. მუხლებს ინაცვლებდა ძნის შეკვრის დროს, ბოლოს ერთი პირობა მუხლებსაც აღარ აკარებდა ძნას. მაგრამ ვეღარ გაუძლო ზეზელა დგომას და ისევ მუხლის თავები მოიმარჯვა.

თანდათან შეეჩვია, ხელის გულები გაუმაგრდა. ბოლოს კი ისე გათამამდა, რომ სხვების წაბაძვით ძია მოსიკასაც შესძახებდა ხოლმე გასამხნევებლად.

მოსიკა კი ჩერდებოდა, ცელის ტარს მიწაში ჩაარჭობდა, ცერა თითით ფხას მოუსინჯავდა, მერე გრძელი, კუთხიანი სალესავით ცელს პირს აუწკეპავდა და ისევ განაგრძობდა ცელვას.

შუადღისას მზემ დააჭირა, შეისვენეს. ბებერ მუხას მიაშურეს. მუხის ქვეშ გრილი სიო ქროდა.

გურამი წამოწვა. დაღლილ-დაქანცული ტანს ვეღარ ამოძრავებდა. სხვები აინუნშიც არ აგდებდენ დაღლილობას. სახელდახელოდ გამზადებულ სადილს შეექცეოდენ.

— გურამ!

გურამმა თავი ასწია.

— აქეთ მოიწი, ვისადილოთ. — უთხრა მოსიკამ.

შიმშილს სულაც არ გრძნობდა, მაგრამ მოსიკას ხათრი ვერ გაუტეხა. მასთან მიჩოჩდა.

— ეს ერთი ჭიქა მოსვი, მადაზე მოგიყვანს. — თავისი ჭიქა გურამის ჭიქას მიუჯახუნა და სულმოუთქმელად დალია.

მომქავო ღვინომ გურამს წყურვილი მოუკლა, მადიანად ილუკმებოდა.

არც მეორე ჭიქაზე უთხრა უარი მოსიკას.

მზე დასავლეთისაკენ გადაიხარა. გახალისებულმა გურამმა ბოლოს გაბედა და მოსიკას სთხოვა, ცოტა ხანს მაცელინეო.

— ფრთხილად, ქვებზე არ შეაფშვნა ცელი!..

გურამს ცელი წინ გაეშვირა და ვეღარ მოეხერხებინა მისი მოსმა.

— მარჯვენა ფეხი გადადგი, მარჯვენა, ჰო, აი აგრე, — არიგებდა მოსიკა.

— ახლა მარცხენა, ცელი ცოტა მაღლა გეჭიროს.

გურამს მარჯვენა დაეღალა, მაგრამ არა, არ ივარგებს ახლა შერცხვენა.

— ნუ ჩქარობ, შვილო, ნელა და ფრთხილად ამუშავე მარჯვენა, — შეეხმიანა ახლა ყაყანა, რომელიც გურამს წინ უძღოდა.

მოულოდნელად გურამის ცელის წკრიალი გაისმა, ქვას მოხვედრილმა ფოლადმა ცეცხლის ნაპერწკლები ამოაფრქვია. გურამი გაჩერდა. ცელი შეათვალიერა, მთელი იყო, მოსიკას მოღიმარი სახე შეამჩნია, თვალი ჩაუკრა.

— არაფერია, გურამ! წინ გასწი, არ გაჯობონ ბებრებმა. გურამს გაეღიმა. ცელს ისევ მოუსვა. ხელმარცხნივ მიწყობილ თავთავებს მოსიკა ჰკრავდა.

აღმოსავლეთიდან მონაბერმა ქარმა იმძლავრა, აგრილდა.

— აუ, ეს ვერანა ღრუბლებს აქეთ მოაქანებს. — შენიშნა მოსიკამ.

— პატარა წვიმა არგებს კიდევაც გაფიცხებულ ყანას, — დაუმატა ყაყანამ.

— რომ გადაამეტოს, ხვალ მოგვაცდენს.

— არა მგონია. ქარი ისე ქრის, ღრუბლებს შორს გაჰფანტავს.

— შენს პირს შაქარი!

გრილმა ნიავმა გურამს ძალა შემატა. მაგრამ ეს რა ემართება, წელს ძლივს იმაგრებს. მაჯები მოწყვეტაზე აქვს. ძლივსღა მისდევს წინ მიმავლებს.

— გურამ, არ გიხამოს, ახლა მე მომეცი ცელი, — გაისმა მოსიკას ხმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„არა, როგორ არა, დაიღალა, მაგრამ სირცხვილია, როგორ უნდა დაჯაბნოს ვაჟკაცი ცელმა!“ — ფიქრობდა გურამი და თითქოს არ გაუგია მოსიკას სიტყვები, კიდევ ერთხელ მოიკრიფა ძალ-ღონე.

მზე ღრუბლებს მიეფარა. სულ ახლოს მწყრები კრუტუნებდნენ. ოფლის მოწმენდის დროც აღარა აქვს. ოფლისაგან კი სახე ეწვის. ნეტავ მალე დაღამდებოდეს, არ ტყდება, თორემ მეტი აღარ შეუძლიან. რა ძნელი ყოფილა ცელვა, სხვა დროს ხელსაც აღარ მოჰკიდებს.

მის ღობალზე, წვიმა წამოვიდა. დარბილდა ყანა, უჭირდა ცელს, მანეულივით იგრიხებოდა ყანა ცელის პირზე.

წინ მიმავალი ყაყანა შეჩერდა.

— მოვიდა დამასვენე, თიბვა შეუძლებელია. — წარმოთქვა მან და ცელი მხარზე შემოიგდო.

გურამს ცელი კინაღამ მინდორში დარჩა, ძლივსღა მოისაზრა უკანვე მიეტანა მოსიკასათვის. ფეხებს ძალათი მიათრევდა.

— ყოჩაღ! — შეაქო მოსიკამ.

გურამს არცკი გაუგია მოსიკას ნათქვამი, სოფლისაკენ მიმავალ შარა-გზაზე შეკრებილ კოლმეურნეებს შეუერთდა.

თავი მესამე

ირიჟრაჟა. გურამი სწრაფად წამოდგა, ტანთ გადაიცვა და დერეფანში გამოვიდა. რუზე პირი დაიბანა. ცივმა წყალმა გამოაფხიზლა. გამხნევებული ოთახში დაბრუნდა. ნანას ეძინა, დედისა და მამის ლოგინები კი აკეცილი იყო. გაეღიმა. არასოდეს არ ახსოვს გურამს, დილით გაღვიძებულს მშობლები ლოგინში დახვედროდნენ. ნანას მიუბრუნდა, ლამპის შუქზე მკრთალი, გაცრეცილი მოჩანდა ბავშვი, საბანი გადაეძრო და წვრილი, გრძელი მკლავები მხარგრძივ გადაეყარა. გურამმა საბანი გადააფარა. კარში გამოვიდა. კარგად გათენებულიყო. სადაცაა მზე თავს ამოყოფდა. გურამმა ბოძზე ჩამოკიდებული საველე ჩანთა ჩამოხსნა, შიგ საჭმელი ჩაიწყო და არც კი უსაუზმია, ეზოში გამოვიდა.

ბაღის კუთხეში მოფუსფუსე მამას მოჰკრა თვალი. არ ისვენებდა არჩილი. ჯერ იყო და პატარა ჯინი დაწნა, მერე საბძლის კეთებას შეუდგა. გურამმა თვალი მოავლო ბაღჩას, სიმინდის მოსავალს კარგი პირი უჩანდა. „საბძელი კი ალბათ იმიტომ გააკეთა, ძროხის ყიდვას თუ აპირებსო მამა“. — გაივლო მან და ორღობიდან გამოსულ თანატოლებისაკენ გაემართა.

გზაზე თანატოლებს წამოეწია. მათთან შეხვედრამ ისიც გაამხიარულა.

მინდორში კოლმეურნეებს უკვე მოეყარათ თავი. ძია მოსიკა მისკენ წამოვიდა, ხელში თეთრტარიანი ცელი ეჭირა და გურამს გაუწოდა.

— დაიმსახურე, ჯილდო იყოს ჩემგან.

— კიდევ მაცელინებთ?

— არ შემარცხვინო, — ღიმილით ჩაილაპარაკა მოსიკამ და გურამს ცელ' გადასცა.

— გმადლობთ, ძია მოსე. — უთხრა გურამმა და ცელს ფხა გაუსინჯა.

— ალესვის დროს არ იჩქარო, ხელი არ შეიჭრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალგაზრდებმა ღიმილით შეათვალიერეს ახლად ნაკურთხი მცელავი, ზოგს შეშურდა კიდეც.

მოსიკას თითქოს რაღაც დაავიწყდაო, ჯიბეები მოიქექა, იქიდან გრძელი, პრიალა სალესავი ამოიღო და გურამს გადააწოდა.

გურამი ჩაფიქრდა. როგორ უნდოდა ახლა ამ ახალგაზრდების წინაშე არ შერცხვენილიყო. გუშინ კიდევ არაფერი, გაუძლო, წვიმაც დროზე შეეშველა, თორემ ვინ იცის, შესძლებდა კი დღის ბოლომდე მიჰყოლოდა მცელავებს?!

— გურამ, ცელვა დაიწყეს.

გურამი სწრაფად გამოერკვა, მცელავებს ამოუდგა გვერდში.

ყაყანა გიორგი მის წინ იდგა, გურამს მოხედა.

—გუშინ სული აღარ მომათქმევინე, ბიჭო, ნუ ფიცხობ, დინჯად იმოქმედე.

გურამს გაეღიმა. გიორგის სიტყვებმა გაახარა. დახე, ეს ვეება ვაჟკაცი თურმე დაღლილა კიდეც, მერე და გურამსა სთხოვს ნუ იჩქარებო!

— ძია გიორგი, თქვენოდენა მე სად შემიძლიან.

— რას ამბობ, ბიჭო, შენ რომ ცელვას ისწავლი, სოფელში ვეღარავინ გაჯობებს.

გურამი ვერ მიუხვდა გიორგის—დასცინოდა თუ მართალს ელაპარაკებოდა.

— აბა, ბიჭებო, დავცხოთ! — შესძახა გიორგიმ და ცელების შეწყობილმა სისინმა ყანა აალაპარაკა.

გურამს უკვირდა, დღეს ცელი უფრო მსუბუქი ეჩვენა. არც დაღლილა, წინ მიმავალი გიორგი თუ შეისვენებდა ხოლმე ხანდახან, თორემ სულაც არა ფიქრობდა გაჩერებას.

მზე კარგად იყო ამოწვერილი, როცა მინდვრის თავში კომბაინის გუგუნი გაისმა.

ახლა გიორგი ხშირად ჩერდებოდა.

— ძია გიორგი, ავად ხომ არა ხართ?

— შემატყე დაღლა?

— არა, ისე გკითხეთ?

— არა, შვილო, დროა უკან გადმოვინაცვლო, დავჩაჩანაკდი, ვეღარ გიძ-ლებ.—თქვა გიორგიმ და გურამს თავისი ადგილი დაუთმო. გურამი ყოყ-მანობდა.

— სწორე გითხარი დილას, მალე ყველას გაგვასწრებ!.. აი დედასა, ახალგაზრდობაში მეც შენსავით არ ვიცოდი რა იყო დაღლა, ახლა... — ხელი ჩაიქნია, — გული აღარ მივარგა.

მზე აიწვერა, სიცხე ჩამოწვა. წინ მიმავალმა მოსიკამ, რომელმაც იმ დღეს ისევ ცელვა არჩია, გიორგის მაგალითს მიბაძა და გურამი გაუშვა პირველი.

— დროა შევისვენოთ, — თქვა ყაყანამ და მუხისაკენ გაუძღვა ხალხს.

— პირველად ვიგრძენი დაღლა, — დაიწუწუნა ყაყანამ და გურამს გა-დახედა.

— ყველანი დაგვჯაბნე.

— აღარაფერი გვეთქმის, — შეაწიეს ყაყანას სიტყვა.

— რას აქეზებთ მაგ ბავშვებს, თავი ხომ არ უნდა მოაკვლევინოთ?

— წაქეზება კი არა, დაყვავება უნდა, ფრთებმოტეხილი წეროებივით ჩამოგვიტოვა უკან.

— მაშ მოდი და ახლადნაკურთხი მცელავის სადღეგრძელო იყოს, — და-ლოცა გურამი მოსიკამ.

გურამი თავჩაღუნული იჯდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსალამოვდა. სამუშაოს მორჩნენ. გურამი ამაყად მიაბიჯებდა ტოლებთან ერთად.

წითელი საყდრის ნანგრევებთან შეჩერდა, დაბლა გაშლილ სოფელს გადმოხედა და უცებ მათ ეზოში თავმოყრილმა ხალხმა მიიპყრო მისი ყურადღება.

— რა მოხდა ნეტავი? — ერთი კი გაივლო გულში, ცელი გვერდით მომავალ მეზობლის ბიჭს მიაჩეჩა და სირბილით დაეშვა სოფლისაკენ.

ეზოში აქოშინებული შევარდა. დედას წინსაფარი აეკრა კაბაზე, ცხელ წყალში ყელგამოჭრილი ქათმები ჩაეყარა და პუტავდა. გურამი რომ დაინახა, ორივე ხელი გაშალა და შვილი გულში ჩაიკრა.

— თენგიზის წერილი მივიღეთ, შვილო! — ნატომ ოთხად დაკეცილი რვეულის ფურცელი მიაწოდა გურამს.

გურამმა სხვა რომ ვერაფერი მოახერხა, დედას ჭაღარა თმაზე ხელი გადაუსვა, მერე თავშეყრილ მეზობლებს მიუახლოვდა, მიესალმა და ქვაზე ჩამოჯდა.

— ყველაფერს, რაც კარგია, ომი წაგვართმევს, ვაი შვილებო, — წაილაპარაკა მოხუცმა მეზობელმა და ყალიონი თუთუნით გატენა.

— ჩვენი სოფელი აბა რა ქვეყანაში გასარევია და უკვე ას ოცდაათი ვაჟკაცია ჯარში გაწვეული. — წააშველა არჩილმა სიტყვა.

— ძველ დროში, გეხსომება, მე და შენი ძმა, ჩემო არჩილ, ერთად გაგვიწვიეს ჯარში, გუშინდელ დღესავით მაგონდება ცოლშვილთან დაშორება, ჩქარა მოვალ-მეთქი. ეე...ე... — ყალიონი მოქაჩა, ჩანდა, მთლიანად ამომწვარიყო, ახლა ხელის გულზე ამოატრიალა და ფერფლი გადმოაპნია.

— იბრუნა დრომ, რა არ ვნახე, რას არ მოვესწარი და თითქმის რვა წელიწადი კი გამომიღამდა სხვის მიწა-წყალზე.

ერთი საათიც არ იქნებოდა გასული, ნატომ სახელდახელოდ გაშლილ სუფრასთან მიიწვია ყველანი.

— არჩილ, ამ ბიჭს რომ ვუცქერი, შენი ძმა გრიშა მაგონდება, კარგი ვაჟკაცი დადგება.

არჩილმა გაიღიმა, ულვაშებზე ხელი გადაისვა, სანაცვლოდ მეზობელს ახლა მან უსურვა დღეგრძელობა.

კიდევ დიდხანს ისმოდა მათი ლაპარაკი.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

უშანგი ბედია

*

არა მბეზრდება სიარული,
ვარ მაღალი და მიხარია...
სართულის სირბილი —
ფართო კიბეები,
მაღალია და მიხარია...
თბილისის ათასხუთასი წელი,
მაღალია და მიხარია...

გათენებული ლექსებად ქართლი,
მაღალია და მიხარია...
მტკვარი ზედ შუაგულზე მოუდის —
მაღალი მიწის მზე და მირონი.
შენ მკვიდრო, ძეო ივერიისავ,
გეამაყება მზით სიარული,
შენი მიწაწყლით, სულით და ხორცით,
ვარ მაღალი და მიხარია...

*

რამ გათქმევინათ ესოდენი დიდი
სიმწვანე...
ჰყვავის აკვნის ბავშვივით
დღეს ნუში და ტყემალი...
მთელი ჩვენი სიცოცხლე
აპრილს ეამაყება,

ახლა არც ზამთარია
უუფლო,
უნდობელი,
რამ გათქმევინათ ესოდენი დიდი
სიმწვანე,
მზეო,
სიცოცხლევ და სივრცეებო!

*

არ არის სიტყვა და სიყვარული
პოეტისა და მიწის გარეშე,
მე მივაცილე ჩემი სურვილი
აპრილის იმ თეთრ იასამნამდე...
ვარ პოეზია მიწის და წვიმის

და სიყვარული გაუკვირველი,
პირველად გული იბადება და
ასევე გული კვდება პირველი...
არ არის სიტყვა და სიყვარული
პოეტისა და მიწის გარეშე...

*

ძახილი ჩემი იკარგება შენს ახლოს,
სადღაც.
წრიალებს გარეთ მყვირალა ქარი,
მე ხელში ვიღებ შენს ერთერთ სურათს
და გარეთ უფრო წრიალებს ქარი...
ხმამაღლა ვაღებ ოთახის სარკმელს

და მე დუმილი მიცოტავდება,
ვუყვირი სივრცეს,
ამ ქარს და მაინც —
ძახილი ჩემი იკარგება შენს ახლოს,
სადღაც.

*

გზა მიიჩქარის,
ჩქარობს წამი,
სურვილი ჩქარობს,
მდინარეები
ლამის საკუთარ თავსაც გაექცნენ...

ქანაობს ქარი,
ადიდებულა მზის წინ ამინდი...
და მიწა ჟონავს,
არ მეეჭვება დღეს მე სიცოცხლე...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჭაბუა ამირეჯიბი

ერთი საჩუქარი

შარშან შემოდგომაზე რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში მილსაგლინავ საამქროს მაცნობდა საამქროს უფროსის თანაშემწე ირაკლი ჟორდანია. ჯერ ქვედა სართული მოვიარეთ, ელექტროძრავების, გენერატორების, მართვის პულტების ადგილი, შემდეგ ზემოთ ამიყვანა, მექანიზმები მაჩვენა, საგულდაგულოდ ამიხსნა მილების დამზადების პროცესი. ყოველნაირად ეცადა ყველაფერს მივმხვდარიყავი, რიგიანად გამეგო, ამომწურავი წარმოდგენა შემქმნოდა ამ უზარმაზარ საამქროზე. ირაკლი ახალგაზრდა კაცია, ახოვანი და მარდი. მოვიქანცე იმის დევნაში. ერთი რამ მეცა თვალში: ხუთ-ექვსჯერ მითხრა, ეს მექანიზმი ჩვენი კონსტრუქციაა, აქაური, ოთარმა გააკეთა, ბლიაძემო. დავინტერესდი, ვთხოვე გაეცნო. მიიკითხ-მოიკითხა. არსად ჩანდა. ვიღაცამ უთხრა, ალბათ დგან-400-ზეაო. გზა იქით გვქონდა. მივედით. პეტრე ბენდიანიშვილი და ავთანდილ ლომიძე გამაცნო. პეტრე დგან-400-ის ოსტატია და კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი. ავთანდილი ამ დგანის უფროსი მგლინავია. კარგი ახალგაზრდები არიან, თავაზიანი, გულთბილი, შრომაში სახელმოხვეჭილი.

დგანიო, როცა იტყვიან, მექანიზმების ვეებერთელა სისტემას გულისხმობენ და არა მხოლოდ მგლინავ აგრეგატს. დგანი მრავალ ასეულ ძრავსა და მოწყობილობას შეიცავს. რამდენიმე ათასი კვადრატული მეტრი ფართობი უკავია. ასეულობით ურთულეს ოპერაციას ასრულებს, სანამ გავარვარებული ფოლადის მორს რონდებზე დასატვირთად გამზადებულ მილად გადააქცევს.

თვით მგლინავ აგრეგატს რამდენიმე მუშა ემსახურება. ცხელა. გავარვარებული ლითონის ბუღი და ტრუსის სუნი დგას.

მგლინავი სამართულს უმარჯვებს, აგრეგატში ათავსებს.

მართვის პულტზე, ცოტა მოშორებით, ოპერატორი ბერკეტს რთავს.

მიმწოდებელი მექანიზმი მოვარვარე ნამზადს მოაპრიალებს, ზარითა და ზათქით აგდებს აგრეგატის ხახაში, იქ, სადაც მუშამ სამართული მოათავსა. ხახა ღრჭიალითა და ნაპერწკლის ფრქვევით ათრევს ნამზადს. ათიოდ წამში ისპოლინური სამუშაო სრულდება: მგლინავის მიერ შემარჯვებულმა სამართულმა ღრუ გაუგანივრა ფოლადის მორს, ვალცებმა ზედაპირი დაუგლინეს. აგრეგატმა ზურგის მხრიდან გადმოისროლა უკვე მილად ქცეული ფოლადის მორი და მიმღებ მექანიზმს გაატანა.

ოპერატორმა კიდევ რაღაც ჩართო.

მიმღები მექანიზმი დამუხრუჭდა.

როლანგზე თითქმის სატელეგრაფო ბოძის ოდენა, გავარვარებული მილი ელვარებს, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ არის ის, რაც საჭიროა. მილი უკან უნდა დაბრუნდეს და გაიაროს მრავალი ოპერაცია, რომ სასურველი პროფილი დაუმუშავდეს, საბოლოოდ ჩამოყალიბდეს.

მუშა ვეებერთელა მაშით იღებს აგრეგატიდან მილის გავლის წინ შემარჯვებულ სამართულს. გზა ხსნილია.

ოპერატორი ბერკეტს რთავს.

მიმღები მექანიზმი უკან მოასრიალებს მილს. აგრეგატი შეითრევს, იმავე როლანგზე დააბრუნებს, საიდანაც პირველად მიიღო იგი. მილი დევს, შემდგომ ოპერაციას ელის.

ყოველივე ეს ათიოდ წამში ხდება. ამ მცირე ხანში მგლინავმა სამართულის შემარჯვება და კვლავ გამოღება უნდა მოასწროს. ოპერატორმა პულტზე რამდენიმე ოპერაცია უნდა შეასრულოს. ადამიანებმა სწრაფად, მარდად, დაძაბული გულისყურით უნდა იმოქმედონ.

დამსწრეები მოვათვალიერე.

პეტრე ბენდიანიშვილი რაღაც დავალებას

ეროვნული ბიბლიოთეკა

აძლევდა მუშას. ირაკლი ჟორდანია და ავთანდილ ლომიძე მუშაობის პროცესს შესცქეროდნენ. კიდევ ერთი კაცი იყო ჩვენს სიახლოვეს, ბრგე, ოცდათხუთმეტიოდე წლისა. ბოგირის მოაჯირზე იჯდა, ისიც აგრეგატს დაჰყურებდა.

— მთელი საამქრო დავიარეთ. ამ სიმძიმე სამუშაო ხელით არსად არ სრულდება. აქ რაღა ამბავია, ვერაფერი მოუხერხეთ? — შევეკითხე ირაკლი ჟორდანიას.

ირაკლიმ თავი გადაიქნია, დამნაშავესავით გაიღიმა.

— ძალიან მძიმეა! — თქვა ავთანდილმა — ზოგი სამართულა სამოცდაათ კილოგრამამდე იწონის. წადი, ატრიალე ცისმარე დღე ხელებში, თვიდან თვემდე, წლობით... ამოდენა კაცი ვარ, ძალიან მიძნელდებოდა, სანამ მგლინავად ვიდექი. — ხელი ჩაიქნია. — თანაც მაგ სიცხეში!

პეტრე ახლოს მოვიდა, საუბარში შემოგვიერთდა, თუ შეიძლება საუბარი ეწოდოს დგანის ყურისწამღებ ხმაურში ყვირილს.

— მძიმე? ეგ — თავისთავად. — თქვა პეტრემ — თქვენ ის უნდა ნახოთ, ხანდახან... როცა გაისვრის ხოლმე.

— რას გაისვრის?

— ე მაგ ოთხფუთიან სამართულს.

— როგორ?

— როგორ და ადამიანები ვართ... ერთი პატარა უყურადღებობა, ან მგლინავმა დროზე ვერ გამოარიდა, ან ვთქვათ, იცრუა რომელიმე მექანიზმმა... სხვადასხვა მიზეზით ხდება; პირიქითა მხრიდან გამოქანებული მილი ეძგერება ხოლმე სამართულს, ყუმბარასავით ისვრის.

— ეგრე არც კაცის დაშავებაა ძნელი საქმე.

— სულ ადვილი. — ჩაურთო ავთანდილმა — მაგრამ ეს დგანი იღბლიანია. ეგ არის, კოკა წყალზე ტყდებაო, ერთხელ ალბათ აქაც მოგვიხდება ფათერაკი.

ის ბრგე კაცი ბოგირის მოაჯირიდან ჩამოხტა, მოგვიახლოვდა.

ირაკლიმ ახლაღა შენიშნა იგი.

— ოთარ, აქა ხარ? მოდი აქ, ჩვენს სტუმარს შენი გაცნობა უნდა. ეს არის ოთარ ბლიაძე, იმ მექანიზმების ავტორი. — მაცნობა ირაკლიმ... და საუბარი განაგრძო. — ამ ოპერაციის მექანიზაცია, ყველაფერს გარდა, დიდ თანხებსაც დაზოგავდა, პროცესიც დაჩქარდებოდა...

ოთარ ბლიაძემ სიტყვა ჩამოართვა:

— ეს ხელით ჩხიკინი აფერხებს ყველაფერს, თორემ აქამდე დგანი სრულად იქნებოდა ავტომატიზებული. ერთი სიტყვით, ეს საკითხი კარგახნის წინ არის ყელზე მომდგარი, მაგრამ რას იზამს კაცი!

— სხვა ქარხნებში ასეთ დგანებზე როგორ სრულდება ეს ოპერაცია! — ვკითხე ოთარს.

— ასეთ დგანებზე? ასეთი დგანი სულ ორია ევროპაში. მეორე რუმინეთის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაშია, სხვაგან არსად არის.

— რუმინელები როგორღა მუშაობენ?

— როგორ იმუშავებენ! ჩვენმა ინჟინრებმა დაუდგეს. ჩვენგან ისწავლეს მილების გლინვა. აქამდის დავდივართ ერთმანეთთან, ვმეგობრობთ, ერთმანეთს ვეხმარებით, გამოცდილებას ვუზიარებთ.

— იქ როგორღაა საქმე, ოკეანეს გადაღმა?

— იყო ჩვენი ხალხი. ნახეს. ჩვენ ვჯობივართ. იქ ამასაც ხელით აკეთებენ და ბევრს სხვას ისეთსაც, რაც ჩვენთან დიდიხანია მექანიზებული და ავტომატიზებულია.

— გამოდის, რომ...

— გამოდის, რომ — ჩამომართვა ირაკლიმ — დღემდე, მთელს მსოფლიოში, ყველა ტიპის მილსაგლინავ დგანებზე ეს ოპერაცია ისევე პრიმიტიულად სრულდება, როგორც აი აქ, ჩვენს თვალწინ. და ეს ფაქტი, თავისთავად გადაულახავ დაბრკოლებას წარმოადგენს დგანების სრული ავტომატიზაციის გზაზე. ასეა, ძმობილო!

— თქვენ სცადეთ რამე?

— ვცადეთ. ორჯერ ვცადეთ სხვადასხვა კონსტრუქცია. არაფერი გამოვიდა.

— სამართულების შეცვლის მექანიზაცია მოხერხდებოდეს, იმ ჯიხურს ხედავთ? — ოთარ ბლიაძემ მართვის პულტზე მიმითითა — იქ ერთი ელამი დედაკაცი დაჯდებოდა ხელსაწყოებთან, სქელი რომანით ხელში, და ამხელა საამქროში კაცს ვერ დაინახავდით. ყველაფერს ავტომატები გააკეთებდნენ. წრიული ღუმელიდან ნამზადის გამოთრევით დაწყებული, მზა მილების პლატფორმებზე დატვირთვით გათავებული.

— საშველი აღარა ყოფილა და ეს არის! — ვთქვი მე.

— არის. — მიპასუხა ოთარმა — გასაღები იმაშია, რომ უნდა შეიქმნას მექანიზმი კაცის ხელებით, ადამიანის ჭკუით.

— ასე თუ ისე, ყველა მექანიზმი მაგ პრინციპზე მუშაობს.

— სწორია, მაგრამ აქ სახელდობრ ხელებია საჭირო... ადამიანი ფიცარს ხერხავს: ხელი სწორხაზოვნად მოძრაობს წინ და უკან. აქედან მექანიკური ხერხი. აქ კი სამართულის აღება, შემარჯვება, გამოღება, გარიდება და კიდევ ხელებისა თუ თითების მრავალი მოძრაობაა საჭირო. რთული ნახაზია. მექანიზმი კი მაქსიმალურად უბრალო უნდა იყოს, ამაშია საქმე.

ეს შარშან შემოდგომაზე იყო.

1961 წლის იანვარში ოთარ ბლიაძემ განცხადება შეიტანა, კომუნისტური პარტიის რიგებში მიღება ითხოვა.

კრებას თავისი ბიოგრაფია მოკლედ უამბო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალდაბაში დაიბადა 1926 წელს, სახერხი ქარხნის თვითნასწავლი მექანიკოსის ოჯახში. ბავშვობიდანვე შეუყვარდა საზეინკლო იარაღი, ხელი გაიწაფა. ათწლედი იქვე დაამთავრა. საშუალო სკოლასთან ერთად რკინიგზის მორიგეთა კურსებიც. მერე რკინიგზაზე იმუშავა მუშად. 1944 წელს ზესტაფონის ფეროში დაიწყო მუშაობა. 1947 წელს თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის საინჟინრო ინსტიტუტში შევიდა. სტუდენტობაშივე დაოჯახდა. 1952 წელს დაამთავრა მექანიზაციის ფაკულტეტი და განაწილების მიხედვით ოჯახიანად დონბასში გადასახლდა. იქ რკინა-ბეტონის ნაკეთობათა ქარხნის მთავარ მექანიკოსად იყო. მეტალურგია უყვარდა. ყრმობაშივე იგრძნო, რომ მისი ნამდვილი ადგილი სალითონე საქმეშია. გულმა ვეღარ მოუთმინა, 1954 წელს რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში გადმოვიდა. საშტატო ერთეულები არ აღმოჩნდა თავისუფალი. მილ; საგლინავ საამქროში დაიწყო მუშაობა მოწყობილობის შემკეთებელ მუშად და ბრიგადიროობაც იკისრა. შემდეგ ოსტატად დანიშნეს. შემდეგ... ამჟამად დგან-150-ის მექანიკოსია. სთხოვს კრებას დაკმაყოფილოს მისი თხოვნა, მიიღოს კომუნისტურ პარტიაში.

— განცხადება რომ მოიტანა ოთარ ბლიაძემ — თქვა პარტორგანიზაციის მდივანმა — ასე მითხრა, დარწმუნებული ვარ, კომუნისტური პარტიისთვის შესაფერისი კაცი ვიქნებიო...

— მართალი უთქვამს, შესაფერისია! — დაიძახა ადგილიდან ხანში შესულმა მუშამ — მშრომელი, მუყაითი კაცია.

— ურიკების მექანიზაცია მაგან არ განახორციელა?

— პატიოსანი, თავმდაბალ, გულისხმიერი ადამიანია!

— ჰიდრავლიკური წნეხი გააუმჯობესა!

— საცობების დამამზადებელი მანქანა?..

— და დამცველი რგოლების მკეთებელი მოწყობილობაც!

— ამხანაგებო! — დაიბრუნა სიტყვა ხანში შესულმა მუშამ — ათამდე რაციონალიზატორული წინადადება, გაუმჯობესება და გამოგონება აქვს საამქროში ოთარ ბლიაძეს. საჭირო კაცია საამქროსთვის. ასეა თუ არა?

— საჭიროა!

— ოღოხდაც:

— მაშინ პარტიისთვისაც საჭიროა!

— რით დაიმსახურა ეს? იმით, რომ საამქროსი და პირადი არასოდეს გაუყვია. პატივს სცემს საზოგადოებრივ საქმეს, თავდადებული კაცია.

— პარტიისათვისაც ასეთი იქნება!

ამ ხმაურ-ყრიამულში ორმოციოდე წლის მუშამ ასწია ხელი, სიტყვა მოითხოვა.

თავმჯდომარემ ხალხი დააწყნარა, სიტყვა მისცა.

— ოთარმა ყველაფერი როდი თქვა. მე ერთ რასმე შევესწარი, ჩემი თვალითა ვნახე.

კრებამ მოლაპარაკეზე გადაიტანა გულისყური.

— ეგ ჩვენებური კაცია, მეც ბორჯომის ხეობიდანა ვარ. როცა მაგან უმაღლესი დაამთავრა, ახალდაბაში ჩამოვიდა დედამამასთან, დასასვენებლად, სანამ დონბასში წასვლის დრო მოუვიდოდა. მკისა და ლეწვის ალო იდგა: სალეწი მანქანების ნაკლებობა იყო, პური ფუჭდებოდა... რა მოსავალი იყო იმ წელიწადსა!?

გვერდით მჯდომმა იდაყვი წაუცაცუნა მოლაპარაკეს:

— დაჯე, კაცო, რა დროს მოსავალია.

— დამაცადე, რა ვთქვა! — გადაულაპარაკა ორატორმა მეზობელს და კვლავ კრებას მიმართა — იმას ვამბობდი, პური ფუჭდებოდა, კოლმეურნეობის თავმჯდომარე ოთართან მივიდა, ესე იგი ამხანაგ ბლიაძესთან, რამე გვიშველეო. ერთი ცხენებით საბრუნავი სალეწი მანქანა ჰქონდათ; იმოდენა მოსავალს ცხენი რას მოერეოდა... ისეთი იყო ის სალეწი მანქანა, მარტო ლეწავდა. არც ანიავებდა და არცა. წამოვიდა ოთარი, გადააკეთა, ბენზინის ძრავზე აამუშავა, სანიავებელიც მოუწყო, თავად ანიავებდა, მექანიკურად. ძალიან მიეშველა, რომა მეტი არ იქნება; იმოდენა პური გადარჩა...

— ეგ ამბავი რაღა შუაშია!? — წამოუძახა მეზობელმა.

— რაღა შუაშიო! დასასვენებლად იყო წამოსული. მაინც არ დადგა, მთელი ზაფხული იმუშავა სექტემბრის ნახევრამდისინ. სხვა მაგის ადგილზე იქ ფეხს არ მიადგამდა. ინჟინერი ვარო, წამოეგდებოდა მხართეძოზე და ჰაი გიდი! ხალხის ანგარიშის გაწევა იცის, საერთო საქმე უყვარს, თავიდანვე ეგეთი იყო. შენ კიდევ იმას გაიძახი, დაჯე, რა შუაშიაო. იმ შუაშია, რომ სწორე უთქვამს, საჭირო კაცია პარტიისთვის. მე ისე მგონია, უნდა მივიღოთ.

ორატორი დაჯდა.

ოთარ ბლიაძე 1961 წლის იანვრიდან სკკპ წევრობის კანდიდატია.

ამ კრების შემდეგ ოთარ ბლიაძე, ირაკლი ჟორდანია და წერეთელი შუაღამემდე ბჭობდნენ სამართულების შემცვლელი მექანიზმის შესახებ. აქ გადაწყდა საბოლოოდ მისი განხორციელების საკითხი და მექანიზმის მწყობრში შეყვანა სკკპ XXII ყრილობის თარიღისათვის. ეს მექანიზმი უნდა ყოფილიყო მათი საჩუქარი.

საქართველოს კომუნისტური პარტიის XXI ყრილობაზე, ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, ამხ. ვასილ პავლეს ძე მჟავანაძემ თქვა, რომ ქართველმა მგლინავებმა შექმნეს

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

მსოფლიოში პირველი, სამართულების შემცველი მექანიზმი.

ამ უნიკალური კონსტრუქციის განხორციელების მოკლე ისტორია ასეთია: ხუთი-ექვსი წლის წინათ წამოიჭრა სამართულების შეცვლის მექანიზაციის საკითხი. ცხოვრებამ გადაჭრით მოითხოვა ეს. არ იყო საამქროში ადამიანი, რომელიც არ ფიქრობდა ამაზე. ხუთი თუ ექვსი სხვადასხვანაირი პროექტი არსებობდა, მაგრამ სპეციალისტების აზრით არცერთი არ იმსახურებდა ნდობას.

ოთარ ბლიაძეც უკირკიტებდა ამ საქმეს. საათობით იჯდა, დგანის მუშაობას უთვალთვალებდა.

ხანგრძლივმა დაკვირვებამ და ფიქრმა თავისი შედეგი მოიტანა. ერთ დღეს ოთარი საამქროს უფროსთან შევიდა. ფანქრით გაკეთებული ესკიზი დაუდო წერეთელს მაგიდაზე, საამქროს უფროსმა დიდხანს ათვალიერა ქაღალდი.

ოთარი ღელავდა. ღელავდა იმიტომ, რომ თუმცა თვითონ ღრმად იყო დარწმუნებული იდეის სისწორეში, მაგრამ ვაი თუ შეცდა? რას იტყვის ეს კაცი, რომელთანაც მხოლოდ იმიტომ მოვიდა, რომ მისი ფაქიზი ტექნიკური ალღოსი სჯერა ოთარსაც და ყველას, ვინც იცნობს მას. საკმარისია ამ ადამიანმა თქვას „არა“ და ეჭვს გარეშეა, უვარგისი აღმოჩნდება იდეა. საკმარისია ინტუიციამ უკარნახოს, რომ იდეა სწორია, რომ გზა შემდგომი მუშაობისათვის სწორად არის ამორჩეული.

— ვარგა. მხოლოდ ასე. ნაპოვნია სწორი გზა! — თქვა წერეთელმა.

მაგრამ ნაპოვნი იყო მხოლოდ სქემა მექანიზმისა. დაიწყო რთული, ხანგრძლივი მუშაობის პროცესი. საჭირო იყო მექანიზმის ცალკეული კვანძების გადაწყვეტა და დაპროექტება, გამოგონების ტექნიკური დასაფუძვლება, ნახაზების შექმნა და დეტალების დამზადება.

ამგვარი მექანიზმების განხორციელებაზე წლობით მუშაობენ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები მთელი შტატითა და ტექნიკური ბაზებით და გასაკვირი იმაში არაფერია, რომ ოთარ ბლიაძემ დახმარებისათვის წერეთელსა და ირაკლი ჟორდანიას მიმართა. ახლა ისინი უკვე სამნი იყვნენ, სამი გამოცდილი, მცოდნე, მიზნის მიღწევის სურვილით ანთებული ინჟინერი. საქმე სწრაფად წავიდა წინ. დამზადდა და საფუძვლიანად შემოწმდა ნახაზები, დაიწყო დეტალების კეთება, კვანძების აწყობა-გამოცდა.

მთელმა საამქრომ, მთელმა უზარმაზარმა ქარხანამ გაიგო, რომ მექანიზმი მზად არის. სკეპტიკოსებიც კი ცნობისმოყვარეობით ელოდნენ გამოცდის დღეს. ზოგ მათგანს მკილავი ღამილი და მხარზე ხელის მპატიებლური დათათუნება ამ დღისთვის ჰქონდა შემონახული, ასეთებიც იყვნენ; დიდი უმრავლესობა ღრმად იყო დარწმუნებული მექანიზმის წარმატებაში და წინასწარ ულოცავდნენ ავტორებს გამარჯვებას, გულღიად, სიხარულით, თამამად. მთავარი კი ის არის, რომ თვით გამომგონებლებს სჯეროდათ თავისი ნაშრომისა. არც უფიქრიათ ხალხის დაუსწრებლად გამოცდა. ყველაფერი ათასჯერ იყო შემოწმებული. არ ჰქონდა უფლება მექანიზმს არ გაემართლებია იმედები, არ ჰქონდა უფლება არ ემუშავა ისე, როგორც მოვალე იყო ემუშავა.

ზეინკლებმა და მექანიკოსებმა ათიოდ წუთში დააყენეს დგანზე უნიკალური მექანიზმი. დამსწრეები გაინაბნენ ახალის დაბადებისა თუ დიდი შემოქმედებითი ნაშრომის წყალში გადაყრის მოლოდინში.

ოპერატორმა დგანი ჩართო.

პნევმატიკა, ელექტრო-მოწყობილობა, მექანიკური ნაწილი, ყველაფერი უაღრესი სიზუსტითა და განსაცვიფრებელი რიტმულობით ამოქმედდა. შესრულდა პირველი ოპერაცია, მეორე, მეათე — მექანიზმი საათივით მუშაობს. დამსწრეებმა წინ წამოიწიეს, გარს შემოერტყნენ, ყველას სურდა პირისპირ ენახა, ხელით შეხებოდა, დარწმუნებულიყო, რომ ეს მართლაც ასეა, რომ ერთხელ და სამუდამოდ გამოემშვიდობა დაქანცული მგლინავის ხელი ოთხფუთიან სამართულებს!

გამარჯვება, დიდი გამარჯვება!

მას შემდეგ მექანიზმი პირნათლად ასრულებს თავის მოვალეობას. იგი რამდენიმე სამეცნიერო და დამპროექტებელი დაწესებულების ყურადღების ცენტრშია. უკვირთ, როგორ შესძლო სამმა კაცმა მისი განხორციელება, მყარი სამეცნიერო-კვლევითი ბაზის გარეშე.

სულ მალე თუკი სადმე მილსაგლინავი დგანია, ქართველი ინჟინრების მიერ შექმნილი მექანიზმით აღიჭურვება, ჭკვიანი, მუყაითი მანქანა ათასობით ადამიანს შეუცვლის მძიმე შრომას ავტომატების ჩამრთველი ღილაკებით. ახლო მომავალში მილსაგლინავი დგანები, არამარტო რუსთავში, მთელს ჩვენს სახელმწიფოში, ალბათ მთელს მსოფლიოში ავტომატურად იმუშავებენ.

ავტორებმა თავისი გამოგონება დაპირებისამებრ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობას უძღვნეს.

კარგი საჩუქარია, ღირსეული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიმონ წვერავა

გაზაფხულის სურნელი

მანქანიდან გადმოსვლისას ქალაქში უწინდელივით არავინ დამხვედრია, მაშინვე ჩემი უბნისკენ გავსწიე, პირდაპირ ივანეს ამწვანებულ კარმიდამოს მივადექი. ახალი გათენებული იყო. ეზოში არავინ ჩანდა, ვიფიქრე, ალბათ ძინავთ-მეთქი. აივანზე ფრთხილად ავედი. ფანჯრებიდან ოთახებში შევიხედე, მერე კარებზე დავაკაკუნე, ხმაც არავინ გამცა, აივნიდან ჩამოვედი და ეზოში გავედი. ეფროსინე ბოსტანში კეჟერა ფხალს რგავდა, ვერ დამინახა, არც მე გავეხმაურე, ბოსტნის უკან, თხილის საფრის იქით, ეზოსკენ გავეშურე, გაამარგლი სიმინდი ლურჯად ბიბინებდა.

აი ივანეც, აგერ არ არის! თოხნის. საოცარია პირდაპირ, როგორ მარჯვედ იქნევს თოხს. ვხედავ, შედგა, თავი მაღლა ასწია, სააღრეო ბალის დიდ ხეს მიაპყრო თვალები, ხარბად უყურებს ფოთლებში სიმწიფისაგან ჩაშაქრებულ წითელი ბალის მსხვილ კუნწულებს, უყურებს და მკერდამდის დაფენილ თეთრ წვერებზე ხელს ისვამს.

უცებ ნიავმა დაუბერა და მწიფე კუნწულები ფოთლებიდან საგანგებოდ გამოაჩინა. მოხუცმა ნაბიჯი გადადგა ბლისკენ. ამ დროს ეფროსინეს ხმა გაისმა:

— ივანე, კაცო, მოიხედე, ვინაა ეს ადამიანი, თავზე რომ დაგდგომია.

ამის დაძახება და მოხუცის შემობრუნება ერთი იყო, მწიფე ბლის ტოტის მოსაწევად გაშვერილი ხელი ჰაერში დარჩა აწეული ივანეს და დამინახა თუ არა, იყვირა:

— ეგი შენ ხარ ბიძიკო, ჩამოხვედი, მოგვინახულე? — მამაშვილურად გადავეხვიეთ ერთმანეთს. ამასობაში ეფროსინე გადმოვიდა ბოსტნიდან. მოდიოდა და წელში ჩატანებულ კაბის კალთას ძირს სწევდა, ფერთხავდა და იძახოდა:

— ღმერთო მომკალი, რაფერ ვერ გავიგე თქვენი მობრძანება, ბატონო.

— თვითონ ბატონო, ზედ თვალწინ ჩამოგიარეთ, მაგრამ თქვენ ვერ დამინახეთ.

— დია, ამ დასაფსებ თვალებში სინათლე მართალია კარგახანია დამაკლდა, მაგრამ ასე უსაშველოდ მაინც რამ დამაბრმავა.

გახარებულმა ივანემ თოხს ხელი უშვა, ზოგი რამ მკითხა და მაშინვე მთელი ეზო მომატარა. ბავშვივით მაჩვენებდა სიმინდის თვითეულ ძირს. ზოგს ხელს ავლებდა, დაცვარული ფოთლების შეხება რაღაც განუზომელ სიხარულს ჰგვრიდა. ვუყურებდი მას და სიამოვნების რაღაც მოვარდნილი გრძნობა მეც ერუანტელივით მივლიდა ტანში. ოცდათექვსმეტი წლის წინ კი არა, აგერ, თითქოს მეც მასავით ვთოხნიდი დღეს ამ სიმინდს, მაგრამ მიწასთან ამ მოხუცის შეხება მაინც სულ სხვანაირი იყო, ეგი არ ჰგავდა გლეხის ჩვეულებრივ სიყვარულს მიწისადმი, ბავშვივით უხაროდა, მასზე ფეხს რომ ადგამდა და თოხს იქნევდა მარჯვედ, ეტანებოდა და ევლებოდა ეზოგარემოს.

მინდოდა მეკითხნა მოხუცისათვის სარდიონის, ბაგრატის, ვასოს, ბუხუტის და ყველას ამბები. როცა საამისო დრო ვიხელთე და ისინი მოვიკითხე, ივანემ მიპასუხა:

— მაგათ ნახვასაც მალე მოესწრები, ერთ საათში ყველას ერთად განახვებ!

— როგორ, კრება გაქვთ ამ დილით?

— რატომ, ახლა, ბიძიკო, კრებისათვის დილით კი არა, საღამოსაც აღარ გვცალიან, თავის მოსაფხანი დრო არ გვაქვს, მარგვლა დავიწყეთ, ქალები გათენებიდან დაბინდებამდის ჩაიში არიან, ხომ იცი მაის-ივნისი რანაირი თვეებია ჩვენთვის, კრება კი არა, სამუშაოდან რომ დაბრუნდებიან, საჭმელს მეორე დღისათვის მერე ამზადებენ, შენ ახლა კარგახანია არ ყოფილხარ ჩვენთან და არ იცი რა ამბები მოხდა ჩვენს სოფელში, სარდიონი დიდ ციებ-ცხელებაშია.

— რა მოუვიდა, ცუდი ხომ არაფერი შეემთხვა?

ივანემ თავი მაღლა ასწია, დანაოჭებული სახე კიდევ უფრო დაეძაბა, დამჭკნარი თვალის

---

* „ჩვენი სოფლის სურათებში“ ავტორმა სოციალისტური სოფლის განზოგადებულ, შემკრებ ტიპებთან ერთად ცოცხალი გმირებიც დაგვიხატა. ესენი არიან მიხეილ აბზიანიძე, იზოლდა წოწონავა, სარდიონ კინწურაშვილი, აკაკი ღვაბერიძე, ბაგრატ სულაბერიძე, ვასო ბშველიძე, სარდიონ ქვათელაძე და სოფლის მოსწავლე, ახალგაზრდობა, კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრები.

ვბეჭდავთ რამდენიმე თავს ამ წიგნიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუგები გაეშალა და გაღიმებული სახით მითხრა:

— ჩვენს კოლმეურნეობას სტურუას სახელობის კოლმეურნეობა შემოუერთდა, ახლა ხონის ნახევარი უბნები ჩვენ გვიჭირავს, გავიზარდეთ, გავმრავლდით, ცხენისწყლიდან გუბისწყლამდის გავიწიეთ, თუთის მეურნეობიდან კოდარამდის გავშალეთ მხრები, მერე ხუმრობა საქმეა ასეთი ამბავი? მეორეც, სარდიონამ ერთ დღეს ყველანი ერთად შეგვყარა და როგორც ასეთ დროს სჩვევია, თვალები კინაღამ გადმოუცვივდა, ჯერ ყველას აგვხედ-დაგვხედა მუშტრის თვალით, გულში რა გვედო ისიც კი ამოიცნო, როგორც იტყვიან ჩვენი შესაძლებლობანი აწონ-დაწონა და ამიერკავკასიის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირის მოწოდების საპასუხოდ ახალი, გადიდებული ვალდებულებები გვაკისრებინა, — აქ ცოტა შედგა ივანე, რაღაც თითებზე ჩამოთვალა, შუა თითი ვერაფრით ვერ დაიმორჩილა, ვერ მოღუნა, მთლად გაშეშებული ჰქონდა, მერე გაჯავრებული მოეშვა მას და რაღაც გაიანგარიშ-გამოიანგარიშა, ის ნაფიქრალი თუ ნაანგარიშალი გულიდან რომ ვერ ამოიტანა, ისევ განაგრძო, — ჰო, სარდიონამ ჩვენი სახელით რაიონის მოწინავე მესიმინდეთა თათბირზე განაცხადა, წელს სამას ორმოცდათხუთმეტ ჰექტარზე დავთესავთ სიმინდს, აქედან კვადრატულ-ბუდობრივად ოთხმოცს, ამ ნაკვეთის ოც ჰექტარზე საშუალოდ სამოც ცენტნერს მივიღებთ, ათზე ას ცენტნერს, ხოლო დანარჩენებზე ოც ცენტნერსო, რას იტყვი, შენ, ხომ დიდი საქმეა, ბიძიკო!? — რაღაც თავისებური ბავშვური სიხარულით მომმართა მან.

— უთუოდ დიდი საქმეა.

— ჰოდა, დადის ამაყად ჩვენი სარდიონი. რატომ არ იელის რა, ამისთანა მუშაკაცი ბაგრატ სულაბერიძე რომ უდგას მხარში? უდგას და მერე რაფერ, ახლა იმას არ იკითხავ, მეორე მხარში ვინ უდგას?

— ვინ, ბიძია ივანე?

— იზოლდა წოწონავა, ხომ იცი ვინ არის? აი ისაა, შარშან რომ გითხარი, მაგას ვინ დაეწევა-მეთქი. ჰოდა, ის იზოლდა, ჩაის კრეფაში მსოფლიო რეკორდსმენი, სტურუას სახელობის კოლმეურნეობის შემოერთების შემდეგ ჩვენი წევრი გახდა. ჰოდა, რა უჭირს ჩვენს სარდიონს, აქეთ ბაგრატი და ბუხუტი სიმინდის დარგში და აქით იზოლდა ჩაის დარგში, ამისთანა ხალხი რომ უდგას მხრებში, ივლის ბიჭი სარგადაყლაპულივით, აბა რას იზამს? განა მარტო ბუხუტი და იზოლდა, სხვებიც, უჰ, ვინ ჩამოთვლის. ახლა, აქ ჩემს სახლში ლაპარაკს შევწყვეტ, ყველას ყანებში შეგახედებ, მათი მარჯვენის ნახელავსაც გაჩვენებ!

არა მარტო თავისი სოფლის, არამედ მთელი რაიონის შრომითი ცხოვრების სურათები გადმომიშალა თვალწინ. წელს შვიდასი ჰექტარით მეტი დაუთესავთ.

ივანემ ყველა დამისახელა, ვინც რაიონის სხვადასხვა სოფლებიდან სიმინდის დიდ მოსავალს იღებენ, მათ შორის, სუხჩელ აკაკი ღვაბერიძეზე რომ ლაპარაკობდა, ამ ბერიკაცს ოდნავ მიჭუტული თვალები უცებ გაუფართოვდა, ვეღარ მოითმინა და წამოიძახა:

— იცი ვინ გამოიწვია შეჯიბრებაში აკაკიმ? ვინ და სახელგანთქმული ძუკუ რიგვავა. ძუკუს თუ აჯობა, მერე ვეღარაფერი დააკავებს ცხენისწყლის პირას გაზრდილ სუხჩელ ბიჭს.

— ვითომ გაუჭირდება?

— რა გაუჭირვებს, ბიჭად-ბიჭი კარგია და ხელიც მოსდევს, ზაქარია ღვაბერიძის შვილი არაფერში არ შერცხვება, ჯერ იყო და მამამისი აკვირვებდა ყველას სიმინდის დიდი მოსავლის მიღებით, ახლა შვილი. ის ურჩევნია მამულსა, შვილი რომ სჯობდეს მამასო, ხომ გაგიგონია? ჰოდა ასეა საქმე. მამას კი არა ბარე ორს ჯობნის, ნაჯობნია აბა რა, წარმოიდგინე შენ ახლა ასეთი ამბავი: მისმა ბრიგადამ ოცდაერთიანი ფართობის თვითეულ ჰექტარზე ოცდაჩვიდმეტი ცენტნერი სიმინდი მოიწია, პირადად მან ასსამოცდათორმეტი ცენტნერი. გესმის რამდენია? ხუმრობაა ბიჭო, ამდენი სიმინდის მოწევა, ისიც სუხჩაში, კრიახი მთების ძირში?!

— აბა, აბა.

— გადასარევია პირდაპირ! ეგი რაა, არ იკითხავ წელს რას აპირებს? ესაა მთავარი, ბრიგადა საშუალოდ ერთ ჰექტარზე სამოცდახუთ ცენტნერს მიიღებს, ხოლო პირადად აკაკი ორას ცენტნერს! გაგიგონია ასეთი რამ? ჰოდა ამისთანა კაცი, გამოიწვევდა შეჯიბრებაში ძუკუ რიგვავას, აბა რას იზამდა? მიდი და დაუდექი ახლა შენ მას წინ, სულ დაკოტავებული რომ სდიოს, მაინც ვეღარ დაეწევა ძუკუია მას.

— ფეხით კი არა, ცხენით, ცხენით, ივანე ჩემო.

— თუ გინდა ცხენით და თუ გინდა თვითმფრინავითაც, მაინც ვერ დაეწევა, უძახე შენ ახლა, კრიახი მთების კალთა სუხჩას, ნახავ იმ მთებმა როგორი კალთა დაიბერტყოს კაი კაცის ხელში, ნახავ!...

წასასვლელად რომ ვემზადებოდით, ვიღაცის გაბმული ხმა მომესმა ქუჩიდან:

— ივანე, კაცო, ივანე!

— ე. ნახე ახლა შენ, სარდიონი თუ არ იყოს, — ჩაილაპარაკა ეფროსინემ და კარები გამოაღო.

— შე ქალო, სარდიონას რა უნდა, ამ დილით ქუთაისში უნდა წასულიყო საქონლის საკვების მოსატანად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გეიხედე თუ არა გჯერა, შენი სარდიონე რავა სალდათივით მოიჯგიმება.

ნაძდვილად სარდიონი იყო. ივანე ეზოში ჩავიდა და სარდიონს გაეხმაურა.

— ჩამოდი, კაცო, ჭიშკართან რას უდგიხარ, რავა, დაგავიწყდა ჩემი სახლის კარები თუ?

— მეჩქარება, ბრიგადებში მივდივარ! — და სარდიონმა პირში გაჩრილი ჩიბუხი ისე ააბოლა, გეგონებოდათ ისლით დახურულ სამზადი სახლიდან კვამლი ამოდისო.

— მერე რატომ მირბიხარ, ნელა წადი, შე კაცო, მასე გაქვს საქმე? — ამ ხუმრობაზე ორივეს ერთად წასკდათ სიცილი, მერე ივანემ ხელი ჩაავლო მკლავში, მაგრამ სარდიონი გაუქალიანდა, აღარ ჩამოყვა.

— აბა, რაღას მეძახოდი?

— იმიტომ გეძახოდი, რომ დღეს ბუხუტის ბრიგადასთან შესახვედრად ჩამოდის აკაკი ღვაბერიძე, შეჯიბრებაში იწვევენ ერთმანეთს. კაკომ, როგორც იცი, ძუკუ რიგვავა გამოიწვია, ჩვენ დავავიწყდით, გვერდი აგვიარა, მაგრამ ბუხუტიმ კი უყო სეირი, შეუთვალა, აფხაზეთისკენ რომ გარბიხარ, აქეთ ვერ გვხედავ ხალხს. თუ თვალში გეპატარავებითო. გიწვევ შეჯიბრებაში და აბა ვნახოთ, ვინ უფრო მეტ სიმინდს მოიწევს, შენ თუ მეო, და თან მოიწვია, სადაცაა უნდა მოვიდეს, იმიტომ დაგიძახე, შენც უნდა წამოხვიდე, ხომ წამოხვალ? — რაღაც ბავშვური გულუბრყვილო ტიტინით სთხოვდა მოხუცს თავმჯდომარე.

— შეხვედრა კოლმეურნეობის შენობაში გექნებათ ალბათ?

— არა, პირდაპირ ცხენისწყლისპირას, ბუხუტის ბრიგადის ფართობში!

— ჰოო! — რაღაც მრავალმნიშვნელოვნად დაატანა ივანემ, ეტყობოდა რაღაც გაივლო გულში, მაგრამ რა გაიფიქრა, ესეც საიდუმლოდ დარჩა ჩემთვის.

ივანემ, რაკი ეს ახალი ამბავი შეიტყო, ახლა კიდევ უფრო ღონივრად მოსწია თავისი ბებრული ხელებით და სარდიონი ქაჩავ-ქაჩავით ჩამოიყვანა ეზოში.

მაშ, რა აწვალებდა მოხუცს?

მიდიოდა ივანე ნელა, სულ ნელა როგორც ამ ხნის მოხუცს შეეფერებოდა, ისე მიაბიჯებდა ტაატით, თითქოს მანძილს ზომავსო. ცდილობდა მხნედ ყოფილიყო, რაღაცას თავისთვის ბუტბუტებდა, აქეთ-იქით იმზირებოდა, ერთი კარმიდამოს წინ დიდხანს შეჩერდა.

— ე, ბუხუტის სახლი! — სთქვა და ხელი გაიშვირა. მეც იქითკენ გავიხედე, კოხტად წამოჭიმულ ოდა-სახლის წინ, აბიბინებულ კოინდარში, რომელსაც ირგვლივ მაისის სურნელოვანი ვარდების მთელი საფარი ჰქონდა შემოვლებული, ბაბი ქათმებს მისდევდა.

სოფელს რომ გავშორდით და სიმინდის ყანები გამოჩნდა, მოხუცი გამოცოცხლდა, ამდენხანს თუ გამოზოგვით მიაბიჯებდა, ახლა მოუჩქარა, თვალები გაუფართოვდა, წისქვილის წყალი რომ დაინახა, კიდევ უფრო ამოძრავდა, მდინარის პირას შედგა. დიდხანს ჩასცქეროდა სიღრმეში. რაკიღა ფიქრებში წასული დავინახეთ, ჩვენც გავიტრუნეთ. იგი თვალს არ აშორებდა ლანქერიან, მღვრიე წყალს. უცებ დიდი გაჭირვებით მოიხარა წელში, პეშვით წყალი ამოიღო და გვაჩვენა. ჩვენ უთქმელადაც მივუხვდით მოხუცს, რომ მისი თვალები ხელისგულზე დალექილ შლამს მიეპყრო, თავი მაინც ვერ შეიკავა და სარდიონს უთხრა:

— ხედავ რა შლამია? რომელი ქიმიური სასუქი აჯობებს ამას? — მეტი არაფერი უთქვამს, მივხვდი საით უბიძგებდა სარდიონს, მაგრამ თავმჯდომარეს სად უნდა მიეშვა ეს შლამიანი წყალი, დედის რძესავით რომ შეერგებოდა მიწას. რომელი ფართობი უნდა მოეშლამა, როცა ერთი მტკაველიც არ ჰქონდა დარჩენილი დაუთესავად. ეგებ სამარგელ ყანაში მიშვებას ურჩევდა, მაგრამ სარდიონი ამაზე როგორ დაეთანხმებოდა, წყალი ხომ ლორთქო, ჯერ ფესვებგაუმაგრებელ სიმინდებს ძირს დააფენდა და შლამის ქვეშ დასილავდა?

მაშ, რა აწვალებდა მოხუცს, რა ფიქრებს მოეცვა მისი თავი?

ერთი სურათი დამიდგა თვალწინ წარსულიდან: მაშინ ივანე ბრიგადირი იყო. ერთ წელს, გახურებულ მარგვლისას, ივანემ ამ არხში მოვარდნილი ლანქერი დაინახა.

ყველასათვის ანგარიშმიუცემლად, თავმჯდომარის შეუკითხავად, ბარი დაჰკრა და წყალი თხრიშინ-თხრიშინით მიუშვა სამარგლავ ყანაში.

აგერ, სულ მის თვალწინ, სიმინდის ფოთლებს წყალი სწვდებოდა, ფოთოლს მოიტაცებდა და შიგ ჩასძირავდა, მერე ის ფოთოლი ხელიდან დაუსხლტებოდა, თავს მაღლა წამოჭყოფდა, მაგრამ ისევ რომ მიეძალებოდა წყალი, ნებღებოდა, შეწებებულივით მიეკვრებოდა მის ზედაპირს და შიგ იძირებოდა.

ივანე უყურებდა ამ სურათს და კი არ ღელავდა, სიმინდი დამეღუპებაო, არამედ სიამოვნებით უმზერდა მცენარისა და წყლის ბრძოლას, დაუძლურებულ სიმინდს კი არ შველოდა ფეხზე დამდგარიყო, წყალი მოეკეტა, არამედ წყალს კიდევ უმატებდა.

მეორე დილამდის აღარ მოსცილებია იქაურობას.

შიშინებდა, მიშრიალებდა მღვრიე წყალი სიმინდებში და ყველაფერს იმორჩილებდა, ყველაფერს შლამის ქვეშ აფლობდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მღვრიე წყალმა ყველაფერი თავის ქვეშ მოიქცია და შლამით დაფარა სიმინდი.

ეს რომ თავმჯდომარემ გაიგო, აღარაფერი დააკლო, კინაღამ ხალხის მტრად გამოაცხადა, მაგრამ რაკი ივანე ღრმად იყო დარწმუნებული თავისი გაბედული მოქმედების სისწორესა და გამარჯვებაში, ყველაფერს გაუძლო, ყური აღარ ათხოვა. სამი დღის შემდეგ, როცა მიწა გაშრა, მწკრივად დათესილი სიმინდი ჯვარედინად დააკაპტოვა, შლამიანი მიწა შეანძრია, სიმინდმა თავი წამოჰყო. რაკი ფეხზე წამოსადგომად შეეყენებული სიმინდი დაინახა, აცალა მოღონიერება, წელში გამართვა, მერე წაეშველა, მწკრივებს შორის კულტივატორი გაატარა.

ახლა სიმინდმა მთლად გაინთავისუფლა თავი მიწიდან. და თითქოს წელში გაიმართაო, გახარებული, თავისთავში ღრმად დარწმუნებული ივანე ბრიგადის წევრებით ყანას მოედო და გათოხნა.

სიმინდის ყანამ უცნაურად იფეთქა, ისე აიყარა ტანი და ისე შეაარაღდა სამ-სამი ტაროთი, რომ შიგ შესვლა უჭირდა ივანეს, ხშირ ტყესავით გაუვალი გახდა ყანა.

იმ წელს არცერთს იმდენი სიმინდი არ მოუწევია, რამდენიც ივანეს. თავმჯდომარე დიდხანს სირცხვილით თვალს ვერ უსწორებდა ივანეს.

ის ფართობი სწორედ აგერ, ივანე რომ დაჰყურებს, ეს უნდა იყოს. შეიძლება ეს ამბავი გაახსენდა ივანეს, ფიქრებში რომ წავიდა და მერე სარდიონს ხელის გულებზე დალექილი შლამი უჩვენა.

ვინ იცის, შეიძლება მართლაც ის ამბავი მოაგონდა.

ივანემ დასტოვა ეს ადგილი და ახლა მეორე, უფრო დიდ ფართობს მიაპყრო თვალი. მასზედ სიმინდი უკიდეგანოდ გადაშლილიყო, მოხუცი რაღაც ისეთი განუზომელი სიამოვნებით შესცქეროდა სიმინდის ყოველ ძირს, თითქოს დიდიხანია არ ენახა. ასე გაკვირვებული, დახარებული თვალებით მაშინ არ დაუხედავს ამ ყანებისათვის, როცა მეფის დროს ციმბირიდან გადასახლებული დაბრუნდა, როცა სიმინდის ფოთლები ენატრებოდა, მაგრამ მხოლოდ სიზმარში ნახულობდა.

ივანემ ხელი მოიჩრდილა და უნაპირო ფართობისაკენ გაიხედა. ფართობში, სადაც ჯერ მიწიდან რამდენიმე სანტიმეტრით დაცილებული სიმინდები ბიბინებენ, თხუთმეტი კაცი დელი-დელასა და ოდელიას მძლავრ სიმღერებში თოხნიან. ხოლო ერთი ხანდაზმული, მაღალმაღალი გლეხკაცი მწკრივებს შორის კულტივატორს ატარებს და ხარებს ჰეი-ჰესა და ჰაამორეს ძახილში სწრაფად, მთელი ძალით მიერეკება.

ვიცანი ვინც იყო, როგორ არა, გასულ წელს მასთან არ ვიყავ ამ ადგილას, როცა თვითონ თესავდა სიმინდს მანქანით? დიახ, მივხვდი ვინც იყო, მაგრამ უფროს კაცს ვაცალე, ივანემაც აღარ დააყოვნა და გასძახა:

— ვასილას გამარჯობაა!

— გაგიმარჯოს ივანეე! — ვასოს უფრო ჩაგრძელებული ძახილი გამოუვიდა, ამ ხმაზე მათოხარი ბიჭები ერთი წუთით შედგნენ, გამოგვხედეს და მერე ისევ დასცხეს მიწას, დასცხეს და ბდღვირი აადინეს.

იმ მეხრემ ისე დაიძახა, გაუმარჯოსო, რომ ჩვენთვის არ შეუხედნია, ივანეს ხმა, ცხადია, იცნო, მის ხმას ვინ არ იცნობდა, მერე როცა მათოხრებმა ერთხელ კიდევ გამოგვხედეს და ერთმა იმათგანმა ივანესა და სარდიონის გარდა კარგად მიცნო, თოხი ძირს დააგდო და მეხრესთან მივარდა, ყურში რაღაც ჩასძახა და ჩვენსკენ გამოიქცა, გეგონებოდა კი არ მოდის, არამედ თხრილებზე ხტებაო, მოძუნძულობდა, მაგრამ იმ ახალგაზრდას რაფერ დაასწრებდა, ამიტომ ჯერ ახალგაზრდა მოვიდა, მერე ვასო. მამა და შვილი გახარებული შემოგვეხვია.

— დედაია, რაშია ბატონო საქმე, სულ ყანაში უნდა ვნახოთ ერთმანეთი? ერთი ოჯახში შემოსული დამენახა თქვენი თავი! — ვასომ ჯერ ტილოს წინსაფარზე შეიწმინდა ხელი და მერე ჩამომართვა.

ეს ხომ ის ვასო მშველიძეა, გასულ წელს მოხუც ბაგრატ სულაბერიძესთან ერთად სიმინდის დიდი მოსავლის მოწევით ყველანი რომ გააკვირვა. აქაც ივანემ დამასწრო და რაღაცრაღაცეები ჰკითხა, ვასომ ჩემს წინ მდგარი სარდიონი გვერდზე გასწია და ივანეს პასუხად ხმამაღლა წარმოთქვა:

— მე არ ვიყო ვასილა მშველიძე, თუ აჯამეთი არ დავაყენო ამ ფართობში! — და ხელი გაიშვირა თავისი ბრიგადის ბიჭებისაკენ, მერე განაგრძო — წელს, სიმონ ბატონო, ათი ჰექტარი კიდევ მივუმატე იმ დიდი თათბირის დადგენილების საპასუხოდ — მივხვდი, ვასო ამიერკავკასიის სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანების თათბირს გულისხმობდა, — მე და ჩემმა მეზობელმა, ბაგრატიმ დავთქვით, ასასიანი ვიყოთ, ხომ იცით ბატონო, ასიანი რას ნიშნავს? ას ცენტნერს ჰექტარზე — თვითონვე განმარტა ვასომ და მერე სარდიონს რაღაც წასჩურჩულა, სარდიონმა მაშინვე მითხრა, რასაც სთხოვდა იგი, მაგრამ მე აღარ დავეთანხმე, რომ შემატყო უარზე ვიდექ, მაშინ ივანეს გადაულაპარაკა, რაღაცას ბავშვივით სთხოვდა. ივანე მე მომიბრუნდა და მოხათრებულად მითხრა:

— ბიძიკო, იმ ძელქვას ხომ ხედავ?

— როგორ არა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჰოდა, ვასო გვთხოვს ახლა იმის ძირში წავიდეთ, იქ ჩემი ბრიგადის წევრები მოვლენ და ერთად ვისაუზმოთო, მიხვდი? ამას გვთხოვს ეს ჩვენი ვასო, ეს ჩვენი დუჭულიე, ამ სახელით რომ იცნობდი შენ მას დაცოლშვილებამდე! — მე უარი ვუთხარი, მაშინ ვასო ჩემთან მოვიდა.

— არ გაინტერესებს ჩამოსულ კაცს, რას ვაკეთებთ, შარშანდელის შემდეგ რაფერ ვართ, რას ვაპირებთ? რაფერ დავთესეთ — კავით, ხელით, მანქანით თუ ტრაქტორით? უბრალოდ თუ ბრალიანად? კვადრატულ-ბუდობრივად თუ ისევ ძველებურად? აღარ დაგვხედავთ, აღარ გამაძღებთ თქვენთან ლაპარაკით, ბიჭო? — ეს უკანასკნელი სიტყვა ბიჭოო, რომ მითხრა, საოცრად მომხვდა გულზე.

— როგორ არა.

— აბა, მაშინ ერთი ჩვენიმუხლოთ, ხომ გახსოვს ის ძელქვა, ეგერ ეე, რამდენჯერ დაგვისვენია, ბიჭო, მის ძირში ორივეს თოხნის დროს, არ გაინტერესებს? — უცებ დავეთანხმე.

— წავიდეთ, ახლავე წავიდეთ, თუ არ მოცდებით.

— რა მოგვაცდენს, გათენებული არ იყო, სამუშაოს რომ დავადექით, საჭმელი ხომ უნდა ვჭამოთ, ერთი ხომ უნდა ჩავიმუხლოთ.

— უნდა ჩავიმუხლოთ, აბა რა, — ვუთხარი კიდევ.

— ეს ძელქვა ვის ფართობშია! — კიკითხე მე, მის ქვეშ რომ მოვკალათდით.

— ბაგრატ სულაბერიძის, ბრიგადის, მარა ახლა ხომ ხედავთ, ჩვენ დავიპყარით! — იხუმრა ვასომ და ხელი დასავლეთისკენ გაიშვირა — ეე, ეგერ, წყლის გადაღმა ათი კაცი რომ თოხნის, ბაგრატის რგოლის წევრებია, ხომ არ დავუძახოთ?

მე მომერიდა თქმა, როგორ არ მინდა, ძალიანაც მინდა, დაუძახეთ, თუ არ მოცდებიან-მეთქი. თითქოს ჩემს გულში ჩაიხედაო, სარდიონმა მაშინვე გასძახა:

— ბაგრატაა, მოდიით, მოდიიით!

ხუთ წუთსაც არ გაუვლია, რომ ბაგრატ სულაბერიძე თავისი წევრებით ჩვენთან გაჩნდა.

— ბაგრატ, ბიჭო, იცანი ეს კაცი? — მიმართა ივანემ და ჩემკენ მოათითა — ისედაც ღიმილიანი სახე ბაგრატს სულ ღიმილით დაეფარა.

— რავა არა, ივანე ბატონო, განა პირველად და მეორედ ვხედავ, ლეჩხუმელი კაცი კი ვარ, მაგრამ ამ სოფელში მაშინ გადმოვსახლდი, როცა ეს პატიოსანი ადამიანი ჯერ კიდევ ბიჭი იყო და სკოლაში დადიოდა.

მართლაც, ბაგრატ სულაბერიძეს ბავშვობიდანვე ვიცნობდი.

— აბა, ყმაწვილო, თუ ასეა, მაშინ მოახსენე ამ კაცს, რაფერაა შენი კომპლ... კომპლ... ოოხ... კომპლ — არ იქნა და ვერ მოიგონა ივანემ ის სიტყვა, მაგრამ ამ დროს სარდიონი წამოეშველა.

— კომპლექსური...

— ჰო, კომპლე... კომპლექსური... მექან... მექან... მექან... დასწყევლოს ღმერთმა, რა მეამართება დღეს, ე, ბიჭო მომეხმარე! — მიმართა სარდიონს.

— მე-ქა-ნი-ზა-ცია! — დამარცვლა სარდიონმა.

— ჰო კომპლექსური მექანიზაციის საქმე! — ძლივს გაიმეორა ივანემ, სიცილი ატყდა.

— დამცინით ბატონო ივანე, არა? — თვით ბაგრატს გაეცინა ახლა.

— რავა დაგცინი მარა, მოახსენე, მოახსენე, რა ქენი მაგ შენი კომპლე... კომპლე... მექ... მექ...

— კომპლექსური მექანიზაცია, ბიძია ივანე,— შეახსენა ვასოს ბიჭმა.

— ოო, შენ გეიზარდე ჩემხელა, — და მერე ბაგრატს მიუბრუნდა — კომპლექსური მექანიზაციის ამბავი უთხარი ჰო, თუმცა, ბიჭო, მე შენს მაგიერ ამ დილით ყველაფერი ვუამბე.

— გითხრათ სიმართლე, — დაიწყო ბაგრატმა, — მე ვერც კი წარმომედგინა, ყველაფერს, დახვნა-დათესვას, კულტივაციას, სასუქების შეტანას და რა ვიცი კიდევ რას არა, მანქანით თუ გავაკეთებდით, ივანე კი არ ხუმრობს, მეც მიჭირდა მაგ სიტყვების გამოთქმა, მაგრამ სანამ შევისწავლიდი, ჩვენი სარემონტო-ტექნიკური სადგურის უფროსი, ნესტორ მუშკუდიანი ბავშვივით მამეორებინებდა. ერთ დღეს ჩემთან მოვიდა ნესტორი და მითხრა, შენი რგოლის მთელი ფართობი ამ წესით უნდა დავამუშაოთ და შარშანდელზე მეტი მოსავალი უნდა მივიღოთო, მე გამიკვირდა, შარშან ჰექტარზე სამოცი ცენტნერი სიმინდი მოვიწიე და მეტი რაღა უნდათ-მეთქი.

— ჰო, აბა, მეტი რაღა უნდათ? — დაუდასტურა ვასომ.

— მაგრამ, — განაგრძო ბაგრატმა — ნესტორმა მითხრა, შენ დამიჯერე და აბა ვნახოთ, რამდენი სიმინდი მიიღოო, მეც დავუჯერე, თან მითხრა, მოიწვიე შენი რგოლის წევრებიო. მოვიწვიე. მერე შეგვეკითხა, თქვენ არაფერი არ გაგიგონიათ ტერნოპოლის ოლქის, მელნიცა პოდოლცკის რაიონის კოლმეურნეობის წევრის, ორგზის სოციალისტური შრომის გმირის ევგენია ალექსის ასული დოლინიუკის შესახებო?

— ვისიო?

— დოლინიუკისო, ვასო ჩემო!

— დოლი და ბარაბანი კი ვიცი მარა, დოლინიუკი ვინაა, ბიჭო!

— ვინცაა, ისაა, მოისმინე კაცო, გეტყვი! —

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიმართა ბაგრატმა მეგობარს და განაგრძო — მე ვუთხარი, რაცხა კი მომიკრავს ყური გაზეთებში თქვა მარა, კარგად არ ვიცი-მეთქი.

— მერე რა გითხრა? — ვერ ისვენებადა ვასო, დღეს რაღაც ძალიან ხუმრობის ხასიათზე ჩანდა ეს დინჯი გლეხი.

— დოლინიუკმა სიმინდის დიდი მოსავალი მიიღო კომპლექსური მექანიზაციის სრული გამოყენებითო, იმას უნდა მივბაძოთ ჩვენცო.

— რაო, რაო? როდის იყო, ბიჭო, ქართველ გლეხს ვინმე სიმინდის მოყვანას ასწავლიდა.

— მერე, რა გინდა ამით სთქვა?

— რა მინდა და სხვამ უნდა გვასწავლოს სიმინდის მოყვანა? მეგონა სიმინდის მოყვანა მაინც ვიცოდით და ესეც არ გვცოდნია.

— აბა მოიყვანე მაშინ შენ ჰექტარზე მასაგით ასსამოცი ცენტნერი სიმინდი, იგი, ბიჭო, შენსავით და ჩემსავით თოხს კი არ უბაკუნებს მიწაზე, არამედ ჭკუით, თავით მუშაობს.

— აბა, მე რითი ვმუშაობ?

— ხელით.

— ის?

— ჭკუით, ესე იგი მექანიზაციით, რად გიკვირს, მე რომ ვლაპარაკობ, შენც სანახევროდ მექანიზაციით არ დაამუშავე მიწა? აბა ამდენს ხელით მოერეოდი? იმ ქალმა კი მთლიანად მანქანებით დაამუშავა — და ბაგრატმა განაგრძო — ნესტორმა სთქვა, მაგ შენი ათი ჰექტარის თვითეულ ჰექტარიდან ასი ცენტნერი სიმინდი უნდა მივიღოთო.

— მერე! — ვიღაცამ იკითხა.

— მერე მოგვემაგრა, დაგვეხმარა და მთელი ფართობი ისე დაგვამუშავებინა, რომ სრული მექანიზაციის გამოყენება ყოფილიყო შესაძლებელი.

— კაი დაგემართოს, მარა, თუ ასეა, რატომ თოხნი ხელით?

— ამაში მართალი ხარ, ვასო, ჯერჯერობით უთოხობა არ გამოგვიდის, მთლად მასე არ გვაქვს დალაგებული საქმე.

— კი მაგრამ, ასეთი ვაჟკაცი თუა მაგ შენი მუშკუდიანი, რატომ გასულ წელს ჩვენს ბუხუტის ვერ დაეხმარა, ისეთი ტრაქტორი ვერ უშოვა, ქაჭკნარი რომ ამოეძირკვა?

— ეგ იმას ჰკითხე, მე რა ვიცი! — და ბაგრატმა ისევ განაგრძო — ახლა რომ ფართობი მაქვს, ხუთი ჰექტარი მოვშლამეთ, დანარჩენზე ნაკელი შევიტანეთ, თვითეულ ჰექტარზე ექვსასი კილოგრამი ფოსფორი და ორასი კილოგრამი კალიუმი მოვაყარეთ, თესვის წინ ნიადაგი ერთხელ კიდევ მოვხანით ხუთმეტი სანტიმეტრის სიღრმეზე, რის შემდეგ მიწა სულ მივასწორ-შოვასწორეთ.

— რავა, დათვივით გორავდით თუ?

— არა, ბიჭო, დავფარცხეთ.

— ოო, ასე თქვი! — თვითონვე გაეცინა ვასოს.

— მერე დაკალიბრებული თესლით დავთესეთ კვადრატულ-ბუდობრივად.

— რაი, ბიჭო, რაი, დაკალიბრებულიო?

— ახლა შენ ამიტყდი, პლატონ! — მიმართა სულ ახლა მოსულ პლატონ ყურაშვილს, რომელიც ბაგრატს შეჯიბრებაში ჰყავდა გამოწვეული. პლატონმა თავის ქერა ულვაშებზე ხელი გადაისვა, ჩითის ფაფანაკი ქუდი მაღლა აიწია და მასზე უფრო ქერა სახის ბაგრატს თვალი თვალში გაუყარა, შემომხედე რა ბიჭი ვარ, არ იფიქრო მაჯობოო.

პლატონი, ეს სამოცდაათს გადაცილებული გლეხკაცი, კარგად ხვდებოდა, თუ როგორი საშიში მეტოქე ჰყავდა ბაგრატის სახით, მაგრამ რადგან ხანით თითქმის ტოლები იყვნენ, ლეჩხუმელი გლეხკაცები ტოლს არ უდებდნენ ერთმანეთს.

— ჰო, რა და, დაკალიბრებული, საგანგებოდ შერჩეული თესლი, რაღაც მანქანაში თუ ლაბორატორიაში გატარებული და შემოწმებული, რას მეკითხები, მცდი თუ? — დაუმატა სულაბერიძემ.

— ლაბორატორია არც კი გაუგონია, მაგრამ იმიტომ იყო, რომ ათას ფუთ სიმინდს ვერ იწევდა მამაჩემი ჰექტარზე აი? — ნიშნისმოგებით ჩაილაპარაკა ვასო მშველიძემ.

— აა, ესაა ჩემი რგოლის ამბავი, აწი ვნახოთ რა იქნება, პირობას გავანაღდებთ, რაიონს არ შევარცხვენთ, იმ დიდ სტუმარს, იმ დიდ თათბირზე რომ უთქვამს, იმედი მაქვს ქართველები არ შეირცხვენენ თავსო, არც შევირცხვენთ, ასე არაა, ბიჭებო? — გადახედა ბაგრატმა თავისი რგოლის წევრებს.

— ასეა, ასე, აბა რა! — დაემოწმნენ ყველანი.

ბაგრატი დიდ სტუმარში ხრუშჩოვს გულისხმობდა, ხოლო დიდ თათბირში ამიერკავკასიის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირს. არა მარტო ბაგრატ სულაბერიძე, არამედ ყველა ასე ხმარობს ამ სიტყვას სოფელში.

— აბა, ახლა შენ სთქვი ვასო, რომ ვერ ისვენებდი! — მიაძახეს აქეთ-იქიდან ყველამ. ვასო წამოიმართა, წაღუნული კისერი და თავიც გამართა, განიერი ბეჭები შეარხია, ზომაზე მეტად გრძელი და მოგრეხილი, კეხიანი ცხვირი მოისრისა, მერე სიცილში განაცხადა:

— მე რა უნდა ვთქვა, ბაგრატას სიტყვებს ხომ არ გავიმეორებ, მეც მასეთი მდგომარეობა მაქვს.

— თუ მასე გქონდა შე კაი კაცო საქმე, ბაგრატს რად აუტყდი!

— ვეხუმრებოდი, სარდიონ ჩემო, ვეხუმრებოდი. არა, ისე რომ სთქვას კაცმა, მთლათ მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსავით არ გამიკეთებია, მუშკუდიანის სიტყვა ჩემებურად გადავაკეთე, მაგალითად, როცა იმდენი შლამი დატოვა წყალმა ფართობებში, მაშინ მაგდენი ფოსფორი რათ უნდა, მაგდენი კალიუმი რათ უნდა. შლამსა და ნაკელს ვითომ ფოსფორი აჯობებს? ეგ ხომ დაცდილი მაქვს. ამიტომ ფოსფორს ჯერ მაინც ვერ შევიტან, ვნახოთ, მე თვითონ დავატყობ სიმინდს, უნდა თუ არა სასუქი.

— პირობა? — შეაჩერა სარდიონმა.

— დადებულ პირობას ორივე შევასრულებთ, ასიანი ვართ, ნაღდი ასიანი, ხომ სწორს ვამბობ ბაგრატ?

— არა.

— რატომ? — გაოცდა ვასო მშველიძე.

— დაგავიწყდა შენ, ასიანიც რომ ვართ და ასოციანიც! მე ხომ ჩემზე გაპიროვნებულ ერთ ჰექტარზე ასოცი ცენტნერი უნდა მოვიწიო, შენც ხომ ასე?

— მეც, მეც, აბა რა! — დაუდასტურა ვასომ და თავის შვილს თვალი უყო, იგი მაშინვე წამოხტა და მოტანილ ხორაგს მწვანე ბალახზე დაუწყო გაშლა.

ვასომ გაშლილ სუფრაზე მიგვიწვია.

მართლაც რა შესანიშნავი შეკრება იყო ამ გაფოთლილ, ტოტებგაშლილ ბებერი ძელქვის ქვეშ. მარჯვნივ და მარცხნივ ორ არხში წყალი მიჩქრიალებდა. შუაში ეს ძელქვა შრიალებდა, წყლის ორივე მხარეზე თხმელის საფარი იყო. სუფრა მწვანეზე გაეშალათ.

ბაგრატის რგოლის წევრებსაც მოეტანათ თავიანთი ხორაგი. თამადობა ვასომ იკისრა.

ვასომ ბევრი რამ სთქვა, მის ყოველ სიტყვაში დადებული პირობისადმი ფიცი ჟღერდა. ყველანი სიმინდის დიდ მოსავალზე ლაპარაკობდნენ.

ვასოსა და ამ ადამიანების ხმებში მე მთელი სოფლის მტკიცე გადაწყვეტილება ვიგრძენი, რომ ისინი შარშანდელზე უფრო მეტ მოსავალს მოიწევდნენ.

ძელქვას ესმოდა ყოველივე ეს და ალბათ ამიტომაც იყო, რომ მძლავრად ირხეოდა მისი გაფოთლილი ტოტები.

ყრმა აკვანში

თხუთმეტი ახალგაზრდა სიმინდის ყანას თოხნის. ერთ, მაღალ-მაღალ, შნოიან, განიერ მხარბეჭიან ვაჟკაცს თოხი მხარზე. გაუდვია და ვიღაც ქალს მოყვება. ხეტავ ვინ უნდა იყოს?

— ბაბი! — წამოვიძახე მე და ხმაც მომესმა:

— ჰო, ბაბია, ბაბი! — ეს სარდიონი მიდასტურებდა.

ჯერ ბაბი ამ დილით სახლში დავტოვეთ, ეტყობა მაშინ სადილს უმზადებდა ბუხუტის ბრიგადას. კეთილი და პატიოსანი, ეს ნამდვილად ბაბი გახლავთ, მაგრამ ის ვინაა, დიდი კალათი რომ ჩამოართვა?

— თამარი, თამრიკო! — წამოვიძახე ჩემთვის.

— თამარი, თამარი! — კვლავ დამიდასტურა სარდიონმა.

ეტყობა ბუხუტი მთელი ჯალაბობით აქ ყოფილა. დათო, კაკუნა და ვალა ალბათ იმ მათოხარ ბიჭებში ურევიან. დანარჩენები კი ვინ უნდა იყვნენ? ნუთუ დაქირავებული მუშახელით თოხნის ბუხუტი ყანებს? ან ეგებ შაბათობის ხალხია?

გავიქეცი გულში და მათკენ გავწიე. ამ ფიქრებში რომ ვიყავი, ივანეს ხმა მომესმა:

— ბუხუტი, ბუხუტი!

ამ დროს რაღაც კნავილისებური ხმა შემომესმა. — უი, ჩემი სიკვდილი, ბაღანეა! — ლოყაზე შემოიკრა ხელი ბაბიმ. ამასობაში თამარი აკვნისკენ გაიქცა.

ამის შემდეგ ყველაფერი ნათელი იყო, რაღად უნდოდა კითხვა, რომ ბავშვი ბუხუტის და თამარის იყო და ბავშვის იმ ტირილში ამ ახალი ოჯახის სიხარული და სიცოცხლე იგრძნობოდა.

დიდი მუხისქვეშ მუხის პატარა აკვანი იდგა და შიგ ერთი თვის ყრმა იწვა. აკვანს მარცხენა მხრიდან თამარი გადასწოლოდა, ძუძუს აწოვებდა, რაღაცას ეჩურჩულებოდა. აკვანი კბოდეზე იდგა, თავი ცხენისწყლისკენ ჰქონდა ნიშვერილი, მდინარიდან მონაბერი ნიავი საამოდ ჰქროდა, ჩვილს სახეზე ევლებოდა. ბავშვი პაწია ტუჩებს აცმაცურებდა და თვალს ძლივს ახელდა, ძილი ეპარებოდა. ნიავითა და დედის თბილი რძით დამტკბარი, ისევ ტკბილ ძილში შედიოდა, თვალებს ხუჭავდა.

თამარი აკვანს მაინც არწევდა ნელნელა. მერე, რაკი ღრმად ჩაიძინა ყრმამ, დედამ აკვანი მუხას დიდ ხეს მიადგა.

ხევის ძირში წყარო მოჩუხჩუხებდა. ცხენისწყლის საამო შხუილი, მდინარიდან მონაბერი ქარი, სუფთა ჰაერი და მუხის ტოტებში ფოთლების შრიალი ნანინასავით ეკლებოდა ყრმას. ამაზე უკეთეს ადგილს სად იპოვნიდნენ ბავშვის ჯანმრთელობისათვის?

ივანე ნელი ნაბიჯით მივიდა აკვანთან, ფრთხილად გადახადა ბავშვს სახეზე გადაფარებული თეთრი, ქათქათა ჩითის ნაჭერი. ყრმის მილულულ თვალებს მისი ბებრული თვალებით დიდხანს უყურა და მერე ხმადაბლა ჩაილაპარაკა:

— გეიზარდე ბიჭო, გეიზარდე, დიდი კაცი! — და მოხუცმა ბებერი მუხის განივრად გაშლილ ტოტებს გახედა, მერე ჩვენ მოგვიბრუნდა:

— ძველად, ომიანობისა და მშვიდობიანობის დროსაც ქართველი დედები ბავშვებს შინ არ სტოვებდნენ, ყანაში მიჰყავდათ, აკვანი იქვე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ედგათ და ქმრებს ბრძოლასა და შრომაში ეხმარებოდნენ — ახლა თამარს მიუბრუნდა — კარგი გიქნია, შვილო თამარ, ეს სუფთა ჰაერი, ეს წყაროები, ცხენისწყლის ეს ნიავი დედის რძესავით შეერგება ამ ყრმას, გაგიზარდოს ბუნებამ ხალხის საკეთილდღეოდ! — ლოცვასავით აღმოხდა ივანეს და მეტად კმაყოფილმა ჩვენ გადმოგვხედა. შევამჩნიე, რომ თვალებზე ცრემლი მოსდგომოდა, აღარ გამკვირვებია, იმ ცრემლებში ხომ გამრავლებას მოწყურებული ქართველი გლეხკაცის სიხარულის ნაპერწკლები იფრქვეოდნენ.

რაღაც გულამაჩუყებელი იყო ამ ქვეყნიდან წამავალის, ამ ბებერ შუხასავით მხრებგაშლილი მოხუცისა და ამ ქვეყნად მომავალის, ამ ახალგაზრდა მუხის ყლორტივით ჩვილი ყრმის ერთმანეთთან შეხვედრა.

როცა აქეთ ივანეს ხედავდა და იქით ჩვილ ყრმას, ბუნების უხილავ კანონისაგან შექმნილ ცხოვრების ამ ორ მიჯნას, ორ მზეს, ჩამავალსა და ამომავალს, ბუხუტი ხან მოხუცს გაჰხედავდა და ხან ყრმას. ბავშვის სუნთქვა ყველას გვესმოდა. ახალგაზრდა მამამ ძლივს მოსწყვიტა თვალები ყრმას და ბიჭებისკენ გაიხედა.

— დათო, კაკუნა, ვალაა! — გასძახა თავისი ბოხი ხმით.

მე გულში სიამე ვიგრძენი, ახლა იმათაც ვნახავ-მეთქი და აი კიდეც მათთვის ჩვეული სიმკვირცხლით წამოვიდნენ.

ისინი მორცხვად მიყურებდნენ.

— სწავლა, ბიჭებო? — ვუთხარი მე, რომ ამელაპარაკებინა.

— წელს ვამთავრებ, ბიძია, საღამოს საშუალო სკოლას! — ეს კაკუნას ხმა იყო.

— შემდეგ?

— შემდეგ აი აქ, ამ ფართობში ვიტრიალებ, ეს იქნება ჩემი უნივერსიტეტი და ინსტიტუტიც.

— ყოჩაღ! — დამასწრო ივანემ. მეც წამოვიძახე:

— ყოჩაღ, ბიჭო! — რაღაც უნდა მეთქვა, მგონი შემატყო კაკუნამ და აღარ დამაცალა:

— სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დაუსწრებელი სწავლების მექანიზაციის ფაკულტეტზე მინდა შევიდე! — მორიდებულად თქვა მან.

— შენ, ვალა?

— მე, აგრონომიულზე, ბიძია!

— ყოჩაღ, ბიჭებო! — კიდევ დამასწრო ივანემ.

— შენ, დათო?

— მე ხომ დაუსწრებლად ვსწავლობ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მექანიზაციის ფაკულტეტზე, წელს მეოთხე კურსზე გადავდივარ! — ამან კიდევ უფრო გამახარა. მაშინ მე ბუხუტის მივუბრუნდი.

— ისინი ვინ არიან? — ხელი გავიშვირე მათოხარი ბიჭებისკენ.

— ისინი ჩემი კომუნისტური შრომის ბრიგადის ახალი წევრები არიან. საშუალო ესესაა დაამთავრეს და ერთხმად გადაწყვიტეს სოფელში დარჩენა, კოლმეურნეობაში იმუშაონ, მეც სიხარულით შევხვდი მათ გადაწყვეტილებას და სიამოვნებით მივიღე ყველანი ბრიგადაში. შარშან ხომ ხუთმეტი ჰექტარი მქონდა დასამუშავებლად, წელს ორმოცი გვაქვს, მათზე უკეთესს ვის შემოვიყვანდი ბრიგადაში!

— დიდებულია, დიდებულია! — წარმოვთქვი მე ხმამაღლა.

— ბუხუტი, მათაც დაუძახე! — უთხრა სარდიონმა.

— დოუძახე შვილო, აბა რა! — სთქვა ბაბიმ და შვილს მხარზე ჩამოსდო ხელი. რაღაც ენით გამოუთქმელი დედაშვილური სითბო იგრძნობოდა მათს ურთიერთობაში.

— გიგილო, ხუტუ, ბესუკა, ჟორა, ხიტი, მურმან, კოჟო....

ამ დროს ის ცამეტი ბიჭი, თვალებაბრიალებულნი მოვარდნენ ჩვენთან. ერთმანეთს ხელს უბიძგებდნენ, პირველად შენ მიდი, შენ მიდიო. იმათმა დანახვამ, მათმა შრომითმა პათოსმა და ერთსულოვანმა გადაწყვეტილებამ, დარჩენილიყვნენ სოფელში სამუშაოდ, ძალზე გამახარა.

— მაშ, გადასწყვიტეთ, სკოლიდან პირდაპირ სიმინდის ყანაში მოხვიდეთ, კოლმეურნეობაში დარჩეთ?

— დიახ, გადავწყვიტეთ! — ერთსულოვნად, ხმაშეწყობილად მიპასუხეს. ამ ერთსულოვანმა დაძახილმა ისე შემარყია, მეგონა ჩემი ახალგაზრდობა დამიბრუნდა-მეთქი.

— თან ღაუსწრებლადაც ვისწავლით ბიძია!

— უნდა ისწავლოთ, ბაბუთანებო, უნდა ისწავლოთ! — და ივანემ ზოგს მხარზე დაჰკრა ხელი, ზოგს ნიკაპი აუწია, ზოგს წელზე შემოჰხვია და ზოგს კი ზევით აწეულ ქოჩორში წაავლო. მერე ბუხუტის ერთი გახედა და მკერდამდის დაფენილ წვერებზე ხელი ჩამოისვა, ყური მუხებისა და ცხენისწყლის ხმაურს მიუგდო.

თუ ეს ყანა ზღვაა, მაშინ მე ჩემსას ოკეანედ ვაქცევ!

— წამოდი, ახლა ჩვენს ნახელავს გიჩვენებ! — გვითხრა ბუხუტიმ და წინ გაგვიძღვა. მწვანე კვადრატები რაღაც საოცარი სანახავი იყო, თვითეულ ბუდნაში ჩატოვებული სამ-სამი მცენარე, თითქოს ჩვენს თვალწინ მატულობდნენ სიმაღლეში. გულში ვამბობდი, ამას რას ხედავს ჩემი თვალები-მეთქი, მე საქართველოში ბევრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარგი ადგილის, ბევრი კარგი სიმინდის ყანა მინახავს, მაგრამ ასე საგანგებოდ დარჩეული, ტანაშოლტილი, დამუხლული, ფეროვანი, გულდაგულ მოვლილი არსად არა. არ ვიცი თვალი მატყუებდა, არ ვიცი იმის გამო, რომ სწორედ ასეთი მინდოდა ყოფილიყო ბუხუტის ყანა, რაღაც ზღაპრული სანახაობა იშლებოდა ჩემს თვალწინ. ბუხუტი ახლა ყანებს მეორედ თოხნიდა.

ორმოცი ჰექტარი სიმინდის ყანა ზღვასავით ღელავდა.

ამ ყანის ნახვით მე ხომ გავოცდი და გავოცდი, მაგრამ ივანე სულ შეიშალა ჭკუაზე, დადიოდა შიგ და ხელებს აფენდა. დიდხანს თვალი ვერ მოაშორა. მართალია ის ოხერი წელი ჯერ კიდევ სტკიოდა, მაგრამ მაინც მოიდრიკა და ძირს დაიხარა, ლორთქო სიმინდის წყლიან ღეროს ხელი შეავლო, აუსვა და ჩამოუსვა, მერე ფოთლებს შეეხო სათუთად. წყლით სავსე ფოთლებს ხან სახეზე მიიდებდა, ხან გაღეღილ გულმკერდში ჩაიხუტებდა და მისი შეხებითა და მზერით ვეღარ ძღებოდა, აღარ ცილდებოდა, ათასჯერ რომ ხელი შეახო, მერე ფესვებისკენ ჩააცურა, თითქოს მიწა ეწევაო, სიმინდის ძირში შემოყრილ ფხვიერ მიწაში ჩაჰყო თითები, მიწა გასწი-გამოსწია და სულ ფსკერამდის დავიდა. კიდევ გასწი-გამოსწია ფხვიერი მიწა და ახლა კარგად გამოჩნდა თეთრი და სველი ფესვები, მაგრამ ისე სავსე, როგორც სისხლით გატენილი ძარღვები.

გასულ წელს აქ მხოლოდ ერთი მთავარი არხი ჰქონდათ, ახლა კი შენ დათვლი? ალბათ ვერცერთი მელიორატორი ისე ვერ დაგეგმავდა და ისე მოხერხებულად ვერ გამოიყენებდა წყალთა სარგებლობის სისტემას, როგორც ბუხუტის გამოეყენებინა. ამას ხომ მიხვედრა და ჭკუა უნდოდა.

საიდან შეიძინა წყლის გამოყენების ასეთი დიდი გამოცდილება და ცოდნა ბუხუტიმ, ამ ყოფილმა ბულდოზერელმა, ნაყამირალმა ვაჟკაცმა? ეგებ ლაჯანურჰესში ან ეგებ ყამირზე ყოფნისას? ვეკითხებოდი ჩემს თავს, მაგრამ ახლა ამის გამორკვევას რა მნიშვნელობა ჰქონდა.

ვგრძნობდი, როგორ ლაღობდა მოხუცის გული ამ უჩვეულო, არნახული ყანებით და ბუნების საკვირველებით. ვგრძნობდი, რომ ამ საერთო სიყვარულში ბუხუტისადმი სიყვარული სულ სხვა იყო. უყურებდა იგი შორს აშრიალებულ ტყეებს, ცხენისწყლის ახმაურებულ, ამწვანებულ ხეობას, მაღლა საოცრად მოწმენდილ, ლილისფერ ცას და შიგ ბუხუტის ცეცხლოვან თვალების ციმციმს ხედავდა, მის ახოვან, ჯანმაგარ, ვაჟკაცურ აღნაგობას ხედავდა, მის სულსა და გულს, მის ხასიათსა და ძალას გრძნობდა.

ყოველივე ამას ცაში ყურება რად უნდოდა, აგერ წელამდის ახლად დამუხლული სიმინდის ყანა რომ იყო, იგი ამტკიცებდა ყოველივეს.

მაინც როდის დათესა ამ კაცმა ეს სიმინდი, რომ ასე გაზრდილა, მეორე თოხს უშვრება, სხვები კი ახლა მარგლიან? მე თავს ვიკავებ შეკითხვისაგან, მაგრამ ივანესაც ეს აზრი გასჯდომია გულში.

— ბიძიკო, მითხარი ერთი, როდის ჩაბგდე მიწაში თესლი? გადაბერებული კაცი ვარ, ბევრი აღარ მომეთხოვება, თორემ ახლა კი არ უნდა ვკითხულობდე, ამდენხანაც უნდა მცოდნოდა, მითხარი ამხელა რამ გაზარდა? — ბუხუტის სახე დაეფარა ღიმილით, გაიცინა და ისე მოგვიგო ორივეს:

— თქვენ როგორ ფიქრობთ, როდის დავთესავდი?

— აბა, რა ვიცი შვილო, შენ გვითხარი, მე ახლა დავთარი ამებნა, ამ სიმინდის ყანას რომ ვუყურებ, ვერაფერში ვერ ვერკვევი.

— ეს ფართობი აპრილის პირველ რიცხვებშია დათესილი.

— როგორ, სხვა ფართობიც გაქვთ?

— როგორ არა, წამოდით, გაჩვენებთ! — და მან ამ ფართობის მარჯვნივ გადაგვიყვანა. აქ კი რაღაც სასწაული ვნახეთ: წელამდის კი არა, მკერდამდის გვწვდებოდა სიმინდი. გაკვირვებისაგან ვეღარაფერი ვთქვით. პირველად რომ გვანახა, ეს რაღა იყო, თურმე მთელი ამ ორმოც ჰექტარიანი ფართობის თვალი ეს ყოფილა, აქ სიმინდს უკვე სამი მუხლის გაკეთება მოუსწრია და ისე გადაეშლია ლურჯზე ლურჯი ფოთლები, რომ მთლად მუქ-ლურჯ ფერების ზღვად ქცეულა.

— ეს კი როდის დათესე, ბიძიკო? — იკითხა გაკვირვებულმა ივანემ.

— რომ გითხრა, შეიძლება არ დამიჯეროთ.

— თქვი, თქვი! — იძახდა სარდიონი და იცინოდა, ვითომ არაფერი იცოდა ამ ადგილის დათესვის შესახებ, არ იცოდა კი არა, ერთი ამბავი აუტეხა ბუხუტის, ბიჭო, ნუ მღუპავ, ასე ადრე სიმინდი მიწაში ჩალპებაო.

— ეს ყანა მარტის ხუთმეტშია დათესილი! — გვითხრა ორივეს.

— რას ამბობ, ბიჭო, გაგიჟდი? რაფერ გაბედე, არ შეგეშინდა ცივ მიწაში თესლის ჩაგდება? აღარ დალპა, მაინც ამოვიდა? — აღარ სჯეროდა მოხუცს და თავშეუკავებლად ეკითხებოდა.

— ხომ ხედავთ, აღარ დალპა!

მაშინ ივანე მე მომიბრუნდა და მითხრა:

— ასეთი რამ გაგიგონიათ? გინახავთ? —

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინდოდა მეთქვა, მინახავს-მეთქი, მაგრამ თავი შევიკავე, ისევ ბუხუტის ვაცალე.

— ბიძია ივანე, ჩვენ აწი უფრო ადრე უნდა დავთესოთ სიმინდი.

— მარტზე უფრო ადრე, ბუხუტი?

— არა, თებერვალში კი არა, მაგრამ ზოგი შუა მაისში რომ იწყებს თესვას და ივნისამდის ჩააგრძელებს, ეს აღარ ვარგა, თესვა ყველგან თხუთმეტ აპრილამდის უნდა მოთავდეს. მე საწყალი მამაჩემისაგან გამიგონია: შვილო, ადრე დათესილ სიმინდს არაფერი სჯობია, თუ დროზე მიხედავ, შლამს შეიტან თესვამდის და ადრე გათოხნიო. მთავარია სიმინდმა მიწაში სიმაგრე არ იგრძნოსო, რომ შეატყობ უჭირს ამოსვლა, მიწა ცემენტივით გაბიძგინდა და შიგ ჰაერი აღარ მოძრაობს, მაშინ განდაგან უნდა დააკაპტოვოთ, რომ სიმინდმა სული მოითქვას, ჰაერმა დაუაროს, ფესვები მოიკიდოს და მიწიდან თავი ამოყოსო, მერე რაკი ამოწვერავს, კულტივაცია უყავი და მერე ვერაფერი წაახდენსო, მეც ასე მოვიქეცი. ეს ცდა იყო წელს, მაგრამ მომავალ წელს კი...

— მაგრამ ძალზე სახიფათო ცდა! — შეაჩერა სარდიონმა. ბუხუტის გაეცინა.

— არც ისე, გაბედულება და რისკი ყოველგვარ საქმეშია საჭირო, მომავალ წელს უფრო მეტს დავთესავ ადრე, სხვებმაც უნდა მომბაძონ...

— მაგრ არ მითხრა, თავი მოსაკლავად არ გამიხადო.

— რატომ, შეხედე, რა სიმინდია?

— ეს წელს გაგიმართლა, აბა თოვლი დაცემოდა, მაშინ?

— დაგავიწყდა, რომ დაათოვა?

— როდის, კაცო?

— აღარ გახსოვს, მთლად თოვლის ქვეშ რომ მოექცა ახლად ნათესი? მაგრამ მარტის არეული ხასიათის ამბავი ხომ იცი, მეორე დღეს ისეთი მცხუნვარე მზე გამოვიდა, თოვლის ნასახიც არ დარჩენილა, სულ ჩადნა შიგ, ამბობენ, გამდნარი თოვლის წყალი ძალიან მარგებელია სიმინდისთვისო.

— რომ არ გამოსულიყო მზე?

— მეორე, მესამე დღეს ხომ გამოვიდოდა, კახეთში სიმინდს მარტში თესენ, ვითომ დიდი განსხვავებაა კახეთსა და ქვემო იმერეთს შორის? მე მგონი არც იმდენი. მთავარი მაინც მოვლაა!

— აკაკი ღვაბერიძის ფართობი თუ გინახავთ? — ვუთხარი ბუხუტის და ერთ წუთში წარმოვიდგინე მთის კალთებში, ცხენისწყლისპირას ვიწრო ზოლში გადაშლილი საყანე, რომელსაც მაღალმთიან სოფლების ჟუშკისა და დიდღვაბუნას შუა დიდი ხევიდან გამოსული მდინარე ჟუშკიმელა რწყავს.

— მინახავს! — ბეჯითად განმიცხადა ბუხუტიმ.

— ვიყავი მარტის მიწურულში, სულ ფეხით დავიარე, მერე?

— მერე და სადაცაა თვითონ გაჩნდება ახლა აქ, და ჩვენიც ნახოს, მაგი პირადად მასზე მიმაგრებულ ერთ ჰექტარზე კისრულობს ორასი ცენტნერის მიღებას, ძალზე ბევრია, მაგრამ ახლა ჩვენი იკითხეთ? ჩვენ ამ ორმოცი ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოვიწევთ მაგდენს, მაგი კი...

— ამას ლაპარაკი აღარ უნდა, აა, ეს ფართობი, აა, ჩვენ, აა, თქვენ, მოდით და ნახეთ შემოდგომაზე, მაშინ დარწმუნდებით, ვარ თუ არა ფიცას კაცი! — ეს მითხრა თუ არა, შორს, ნაწისქვილარიდან მანქანების ხმა მოგვესმა, ეს ხმა სულ ახლოვდებოდა, მოიწევდა.

— მოვიდნენ, მოვიდნენ! — გაისმა ბუხუტის ბოხი ხმა. მანქანა მუხებთან დადგა. პირველად რაიკომის მდივანი, მაღალმაღალი, სანდომიანი სახის შუახნის კაცი გადმოვიდა.

— ჩვენი მიხეილი! — წამოიძახა დათომ. მდივანს მასზე უფრო ბევრად მაღალი, მასზე ახალგაზრდა ვაჟკაცი გადმოყვა.

— აკაკი ღვაბერიძე! — გადაულაპარაკა კაკუნამ თავის მეგობარს.

— ეს არის აკაკი, ორასიანი? — გაკვირვებული სახით იკითხა ვალამ.

აკაკი ღვაბერიძეს, რომელსაც წელს ერთ ჰექტარზე ორასი ცენტნერი სიმინდის მიღება ეკისრა, ორასიანს ეძახდნენ, მგონი ეს სახელი ბოლომდის შერჩეს მას.

— იზოლდა წოწონავა! — იყვირა ვალამ, როცა მანქანიდან საშუალო ტანის, ოდნავ ფერმკრთალი სახის გოგონა გადმოვიდა.

იზოლდა წოწონავას გამოჩენამ სხვებზე უფრო მე გამახარა, ჩაის კრეფის ამ სახელგანთქმულ, მსოფლიო რეკორდსმენ ქალს თავისივე პლანტაციაში უნდა ვწვევოდი, იგი გასულ წელს ჩაის კრეფის დროს გავიცანი, ვეღარ შევძელი დავკვირებოდი, მიკვირდა რა აქვს ხელებში-მეთქი, ისე სწრაფად კრეფდა, ხელები კი არა, რაღაც უჩინარი მანქანა წყვეტდა მწვანე დუყებს, ახლა კი ვხედავ, ჩვეულებრივი ხელები ჰქონია, გაშაეებული და მზისაგან დამწვარი, შეიძლება ამიტომ მალავს ხშირად სახელოში, ახლა სულ ახლოს ვხედავ, აგერ მოსულა, აი კიდეც ჩამომართვა ის ხელი, მოსულა, მაგრამ მაინც ვნახავ თავის პლანტაციაში.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

გივი ფანჩულიძე

ბურჟუაზიული და რევიზიონისტული შეხედულებების წინააღმდეგ ლიტერატურასა და ხელოვნებაში

„...მარჯვენა ხელი სწვდება პურს და მიაქვს პირთან, მარჯვენა ხელი უშვებს პურს თეთრ სუფრაზე და სწვდება დანას, მარცხენა ხელი სწვდება ჩანგალს, ჩანგალი ერჭობა ხორცში, დანა ჩამოჭრის ნაჭერს, მარჯვენა ხელი დებს დანას სუფრაზე, მარცხენა ხელს გადააქვს ჩანგალი მარჯვენა ხელში, რომელიც არჭობს მას ხორცის ნაჭერში, ნაჭერი უახლოვდება პირს, პირი იწყებს ღეჭვას, წარმოებს მოკუმშვისა და გახსნის მოძრაობა, რომელიც გამოიხატება მთელ პირსახეზე, ლოყების, თვალებისა და ყურების ჩათვლით. ამავე დროს მარჯვენა ხელი კვლავ იღებს ჩანგალს, გადასცემს მარცხენა ხელს, შემდეგ სწვდება პურს, მერე დანას, მერე ჩანგალს...“

ამ სიტყვების ავტორი ალენ რობ-გრიე „ახალი“ ლიტერატურული სკოლის ერთ-ერთ შემქმნელადაა მიჩნეული. მოტანილი ნაწყვეტი აღებულია რობ-გრიეს რომანიდან „ეჭვიანობა“. რომანი უპერსონაჟოდ და უსიუჟეტოდ — ასეთია ის სიახლე, რომელიც ამ სკოლის წარმომადგენელთა აზრით, იძლევა სინამდვილის ასახვის ჭეშმარიტ საშუალებას. მათი აზრით, ადრინდელი ლიტერატურა მეტნაკლებად ამახინჯებდა სინამდვილეს და მის ყალბ ანარეკლს წარმოადგენდა.

ამავე სკოლის წარმომადგენლის ნატალტ სოროტის აზრით, რეალისტი მწერალი ის კი არ არის, ვინც ობიექტურ სინამდვილეს ასახავს, არამედ ის, ვისაც უნარი შესწევს ასახოს, რაც კი რეალურად წარმოუდგენია. როგორც ვხედავთ, სინამდვილე ნატალტ სოროტის შეხედულებით ხელოვანის აზროვნებაზეა დამოკიდებული და არ წარმოადგენს ობიექტურ რეალობას. „ახალი სკოლის“ წარმომადგენლები უარყოფენ კლასიკურ მემკვიდრეობას, უარყოფენ მატერიალისტური ესთეტიკის ძირითად საფუძვლებს და კვლავ უბრუნდებიან იდეალისტური ესთეტიკის არაერთგზის გადამღერებულ დებულებებს.

ბუნებრივად იბადება კითხვა — შემთხვევითია თუ არა ფრანგ ლიტერატორთა მიერ მსგავსი „სიახლის“ ძიება და, თუ არა, მაშინ რა საფუძველი გააჩნია მას?

რეაქციულ კლასებს არ სურთ რეალური სინამდვილის დანახვა.

ალჟირის ამბები თუ რაკეტული ბაზების მშენებლობა, ხალხის უფართოესი მასების გაღატაკება, მმართველი წრეების მილიტარისტული მისწრაფებანი, პროგრესული ძალების ბრძოლა მშვიდობის, დემოკრატიისა და ხალხის კეთილდღეობისათვის — აი, ცხოვრებისეული სიმართლე.

იმპერიალიზმის იდეოლოგებმა იციან, რომ არ შესწევთ უნარი იბრძოლონ სიმართლის წინააღმდეგ, როცა ხალხი ამ სიმართლეს გრძნობს და მისდამი სიმპატიითაა გამსჭვალული. აქედან გამომდინარეობს პანიკური შიში ცხოვრების სიმართლისადმი, უბადრუკი ცდები — მოატყუონ ხალხი, საქმე ისე წარმოადგინონ, თითქოს კაპიტალიზმმა სახე იცვალა, დაძლია მისთვის დამახასიათებელი წინააღმდეგობანი და ახლა წარმოადგენს ახალ საზოგადოებრივ სისტემას, რომელიც ჰარმონიულად, ყოველგვარი შინაგანი წინააღმდეგობის გარეშე ვითარდება.

რეაქციული ფრანგული ლიტერატურისათვის დამახასიათებელი „სიახლე“ ორგანულად გამომდინარეობს საერთაშორისო იმპერიალიზმის ბუნებიდან, რომლის ძირითადი მიზანია ლიტერატურა და ხელოვნება აარიდოს ჩვენი საუკუნისათვის დამახასიათებელ უდიდეს სოციალურ ძვრებს.

ბურჟუაზიული კრიტიკოსების ძირითადი მიზანია დაამტკიცონ, რომ სოციალისტური რეალიზმის მხატვრულმა მეთოდმა მოსპო ჭეშმარიტი ხელოვნება და ამ მეთოდის მიხედვით

ეროვნული ბიბლიოთეკა

შექმნილი ნაწარმოები არავითარი ყურადღების ღირსი არ არის.

სულ სხვაზე მეტყველებენ ფაქტები; სწორედ ის მწერალი იმსახურებს პროგრესული კაცობრიობის ყურადღებას, რომელმაც სინამდვილე სოციალისტური რეალიზმის მხატვრული მეთოდით ასახა, თავისი შემოქმედება ხალხის ცხოვრებას დაუკავშირა და ხელოვანის მოწოდებად ხალხის ერთგული სამსახური აღიარა. მსოფლიოს ყველა კუთხეში განსაკუთრებული სიყვარულით სარგებლობს სოციალისტური ბანაკის ქვეყნების სწორედ ის ნაწარმოებები, რომლებიც ახალი ადამიანის ცხოვრებას, ახალი საზოგადოების მიღწევებსა და მომავალს ასახავს. სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურის და ხელოვნების გმირები ახალი ადამიანებია, ენერგიული და სიცოცხლით სავსე ადამიანები, რომელთა შემოქმედებითი შრომა კაცობრიობის საუკეთესო მომავლის — კომუნიზმის მშენებლობას ემსახურება. სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების საშუალებით მსოფლიოს მილიონობით ადამიანი ეცნობა იმ გრანდიოზულ მიღწევებს, რომლებიც საბჭოთა ქვეყანამ მოიპოვა, ეცნობა იმ გაბედულსა და გრანდიოზულ გეგმებს, რომლებსაც ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აღმავლობისათვის სახავს კომუნისტური პარტია. საბჭოთა ლიტერატურა და ხელოვნება იმედის გრძნობებს აღვიძებს კეთილი ნების ადამიანების გულში, მათთვის ის ცხოვრების გზის მაჩვენებელია.

თუ რაოდენ დიდია საბჭოთა ლიტერატურისადმი სიყვარული და ყურადღება მსოფლიოს ყველა კუთხეში, ამაზე ნათლად მეტყველებენ შემდეგი ფაქტები. უცხოელი მკითხველის საყვარელი წიგნებია სოციალისტური რეალიზმის მხატვრული მეთოდის ფუძემდებლის მ. გორკის ნაწარმოებები. ასე, მაგალითად, „დედა“ 120-ჯერ და მეტჯერაც იქნა თარგმნილი და გამოცემული მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში. გორკის ნაწარმოებები 1917 წლიდან 1957 წლამდე 2518-ჯერ გამოიცა.

დიდი ყურადღებით და სიყვარულით სარგებლობს ჩვენი ეპოქის შესანიშნავი პოეტის ვ. მაიაკოვსკის ნაწარმოებები, რომლებიც 1945—1957 წლებში 222-ჯერ გამოიცა მსოფლიოს 24 ენაზე.

ადამიანის ძლიერების უსაზღვრო რწმენას ბადებს ნ. ოსტროვსკის ნაწარმოებები, რომლებიც ამავე პერიოდში 155-ჯერ გამოიცა 36 ენაზე. ნ. ოსტროვსკის ნაწარმოებების გმირები მარადიულად ცოცხლობენ მილიონობით ახალგაზრდის გულში, აღფრთოვანებენ მათ თავისი მაგალითით და ამხნევებენ სიძნელეების გადალახვისათვის ბრძოლაში.

ასეთივე დიდი ყურადღებითა და სიყვარულით სარგებლობენ სოციალისტური რეალიზმის დიდოსტატების მ. შოლოხოვის, ა. ფადეევის, კ. ფედინის, ი. ერენბურგის და სხვათა ნაწარმოებები.

ქართველი მწერლების — კ. გამსახურდიას, ლ. ქიაჩელის, კ. ლორთქიფანიძისა და საბჭოთა ხალხების ეროვნული ლიტერატურის სხვა გამოჩენილი ოსტატების სახელები ცნობილია ჩვენი სამშობლოს ფარგლებს გარეთაც. დღეისათვის საბჭოთა ავტორების წიგნების პროდუქციამ საზღვარგარეთ ასტრონომიულ ციფრებს მიაღწია. ჩვენი ლიტერატურა მოკლებული რომ იყოს ესთეტიკურ ღირებულებას, როგორც ამას ბურჟუაზიული იდეოლოგები ქადაგებენ, ასეთ საყოველთაო აღიარებას ვერ მოიპოვებდა.

საერთაშორისო აღიარება, რომელიც საბჭოთა ლიტერატურის, თეატრის, კინოს, მუსიკის, სკულპტურისა და ფერწერის მოღვაწეებმა დაიმსახურეს, შეშფოთებას იწვევს იმპერიალიზმის მესვეურთა წრეებში. ზოგ შემთხვევაში საქმე იქამდეც კი მიდის, რომ რეაქციული ძალები კრძალავენ საბჭოთა ავტორების წიგნების გავრცელებას, საბჭოთა კინოფილმების ჩვენებას ან ცალკეული მხატვრული კოლექტივების გამოსვლას თავიანთ ქვეყნებში. ასე, მაგალითად, სამხრეთ აფრიკის კავშირის მთავრობის ოფიციალურმა ორგანომ „გავერნმენტ გაზეტმა“ ამ უკანასკნელ ხანებში ახალი, რიგით ოცდამეექვსე სია გამოაქვეყნა. აქ ჩამოთვლილია აკრძალული წიგნები. ამ სიაში 179 ნაწარმოებია აღნიშნული და მათ შორის ვ. მაიაკოვსკის ლექსი — „რა ბრის კარგი და რა არის ცუდი?“ ხოლო ფრანკოს რეჟიმისათვის მიუღებელი აღმოჩნდა საბჭოთა ფილმი „დონ-კიხოტი“. იმ დროს, როდესაც საბჭოთა ბალეტის ოსტატებს აღფრთოვანებით ხვდებოდნენ ამერიკელი მაყურებლები, სახელმწიფო დეპარტამენტმა ოფიციალურად განაცხადა უარი, რომ საბჭოთა კავშირის წითელდროშოვან ანსამბლს ამერიკელი ხალხისთვის თავისი ხელოვნება ეჩვენებინა.

რეაქციული ძალების ბრძოლა პროგრესული ლიტერატურისა და ხელოვნების წინააღმდეგ სულ უფრო და უფრო მწვავდება. მწვავდება, ჯერ ერთი, იმის გამო, რომ სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურა და ხელოვნება ეუფლება მილიონობით ადამიანის გონებას და, მეორეც, სულ უფრო და უფრო ნათელი ხდება ბურჟუაზიული ლიტერატურისა და ხელოვნების დეგრადაცია. „ყვითელი ეშმაკის“ ბატონობის სამყაროში ბურჟუაზიული ლიტერატურა და ხელოვნება კრიზისს განიცდის. ვ. ი. ლენინი ცნობილ სტატიაში „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა“ აღნიშნავდა ბურჟუაზიული ლიტერატურის ჩარჩულ ხასიათს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც დამყარებულია ანგარებასა და კარიერიზმზე, რომელიც სამსახურს უწევს „ზედა ფენის ათეულ ათასებს“. ვ. ი. ლენინი მოითხოვდა ახალი, თავისუფალი ლიტერატურის შექმნას, რომელიც კაცობრიობის რევოლუციური აზრის უკანასკნელ სიტყვას გაანაყოფიერებდა სოციალისტური პროლეტარიატის გამოცდილებითა და ცოცხალი მუშაობით, რომელიც მიზნად დაისახავდა მილიონობით და ათეული მილიონობით მშრომელის სამსახურს.

ჩვენს სინამდვილეში ინგლისში იწერება შემდეგი სტრიქონები, რომლებიც ნათელყოფენ, თუ რაოდენ „თავისუფალი და დამოუკიდებელია“ ხელოვანი ბურჟუაზიულ საზოგადოებაში: „ავტორთა უმრავლესობამ კარგად იცის, თუ რა ფასი აქვს მათს დამოუკიდებლობას, როცა მეწარმეთა გავლენა, რომლებიც რეკლამას უკეთებენ თავის პროდუქციას, იმდენად ძლიერია, რომ ისინი კარნახობენ ფორმას ჟურნალისტიკაში. ეს იმიტომ, რომ მათი მფარველობა წყვეტს საკითხს — როგორი სახის ნაწარმოები მისცემს გაზეთს მეტ მოგებას. ლიტერატურის შინაარსი პატრონს უნდა აკმაყოფილებდეს. მეწარმეს სურს, რომ ხუმრობა პრესაში იბეჭდებოდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ის უვნებელია მისთვის და ნაკლებად აღვიძებს აზროვნებას ...მათ არ მოსწონთ სატირა, რომელიც პოლიტიკის საკითხებს ეხება...“ ყიდვა-გაყიდვაზე დაფუძნებულ საზოგადოებაში მწერალს ორი გამოსავალი აქვს — ან თავი დაანებოს წერას, ან თავისი კალამი დაუმორჩილოს დამკვეთს, დაუდგეს მას დაქირავებულ მსახურად.

ბურჟუაზიული ლიტერატურისა და ხელოვნების დაკნინებას ნათელყოფს შემდეგი ფაქტები: „32 მილიონი დაკარგული მაყურებელი“ — ასეთი სათაურით აქვეყნებენ იტალიური გაზეთები წერილებს, რომლებშიც აღნიშნულია კინომაყურებელთა რიცხვის შემცირება. უცხოური ფილმები (რომლებიც თითქმის 72 პროცენტს შეადგენს და რომელთაგან დიდი უმრავლესობა ამერიკული დეტექტივებია) იტალიელი ხალხის სიძულვილს იწვევს. თურქული ჟურნალის „ვარდიკის“ ცნობით მხატვრული ლიტერატურის გამოცემათა საერთო რიცხვი 1945 წლიდან (როდესაც 3585-ს უდრიდა) 1957 წლისათვის 620-მდე შემცირდა. აქედან უმრავლესობა გარყვნილი დეტექტური რომანების თარგმანია.

„მეიკ მანი“ („აკეთე ფული“) — აი ძირითადი მამოძრავებელი ძალა მათთვის, ვინც ხელოვნება გამდიდრების წყაროდ აქცია. ამერიკელმა საქმოსანმა ვიქტორ ჰებერმა 28 ათას დოლარად შეიძინა ტილო, რომელზედაც რენუარის რამდენიმე ეტიუდი იყო. შემდეგ ტილო 8 ნაწილად დაჭრა, თავის სალონში გასასყიდად გამოაფინა და ყოველი ნაჭერი 55 ათას დოლარად შეაფასა.

ცნობილი დასავლეთგერმანელი მწერლის კურტ მარია ხანდერის წიგნი („ღამე შეწყნარების გარეშე“), რომელიც ატომური იარაღის წარმოების წინააღმდეგაა მიმართული, დასავლეთ გერმანიაში არ გამოსცეს, მაშინ, როდესაც მან დიდი მოწონება დაიმსახურა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, უნგრეთში, ჩეხოსლოვაკიასა და სახალხო დემოკრატიის სხვა ქვეყნებში. სამაგიეროდ დასავლეთგერმანელი რევანშისტები ფართო გასაქანს აძლევენ წიგნებს, რომლებიც ომის პროპაგანდას ეწევიან, რომლებიც მშვიდობისა და ხალხის კეთილდღეობის წინააღმდეგაა მიმართული.

ბურჟუაზიულ კრიტიკოსთა აღშფოთება გამოიწვია ცნობილი ფრანგი კინორეჟისორის მარსელ კარნეს ფილმმა „მატყუარები“. ამ ფილმში ასახულია ფრანგი ახალგაზრდობის იმ ნაწილის ცხოვრება, რომელიც თავის სიცოცხლის მიზნად ლოთობას, გარყვნილებასა და ქურდობას სახავს. გამოსტაცე ცხოვრებას რაც შეიძლება მეტი, — აი დევიზი ატომური ფსიქოზით შეპყრობილი ახალგაზრდობისა, რომელიც კარნეს ფილმშია ნაჩვენები.

ყოველივე ზემოთქმული ნათელყოფს, რომ იმპერიალიზმის იდეოლოგებს არ სურთ ისეთი ხელოვნება, რომელიც ცხოვრების სიმართლეს ასახავს, მისი მანკიერი მხარეების წინააღმდეგ იბრძვის, ხალხს უკეთესი მომავლის მოპოვებისაკენ მოუწოდებს.

ერთი მხრივ ცდები „ახალი“ ლიტერატურის და ხელოვნების შექმნისა, რაც ფაქტიურად არაფრით განსხვავდება ადრეული რეაქციული მიმდინარეობებისაგან (თუ არა თავისი გახრწნილების სრულყოფით), მეორე მხრივ — ნამდვილად ახალი, პროგრესული, სოციალისტური ლიტერატურისა და ხელოვნების ძირითადი პრინციპების წინააღმდეგ ბრძოლა, მისი შესანიშნავი მიღწევების დაკნინების ცდა, დამახასიათებელი მოვლენაა თანამედროვე იმპერიალიზმის იდეოლოგიისათვის.

იმპერიალიზმის იდეოლოგთა სამსახურში იმყოფებიან აგრეთვე თანამედროვე რევიზიონისტები, რომლებიც ცდილობენ დაამახინჯონ მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგია საერთოდ, სოციალისტური ესთეტიკის ძირითადი პრინციპები კერძოდ, და თან უსირცხვილოდ აცხადებენ, თითქოს ისინი მარქსიზმის განვითარებისა და დაცვის საპატიო მისიას ემსახურებიან. ამიტომ გასაგებია, რომ საჭიროა დაუცხრომელი ბრძოლა როგორც იმპერიალიზმის აშკარა იდეოლოგების, ისე შენიღბული ყოველი ჯურის რევიზიონისტების წინააღმდეგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასავლეთის გახრწნილი იდეოლოგიის ზეგავლენის შედეგად სოციალისტური რეალიზმის მეთოდისა და ლიტერატურის აღვირახსნილი კრიტიკა, რომელსაც იუგოსლაველი რევიზიონისტები ეწევიან, არაფრით არ განსხვავდება იმპერიალიზმის იდეოლოგთა ცდებიდან. თანამედროვე იუგოსლავური ლიტერატურის შესახებ საყურადღებო ცნობას გვაწვდის იუგოსლაველი კრიტიკოსი ბოლესლავ მიხაილოვიჩი, რომელიც აღნიშნავს „...არასდროს მსოფლიოში არ უწერიათ ასე დახლართულად და უბადრუკად, როგორც დღეს ჩვენთან წერენ... სრულიად ჩვეულებრივ დიალოგში მწერალი, ღმერთმა იცის რატომ, ცდილობს ხელი შეგვიშალოს გავიგოთ, თუ ვინ ლაპარაკობს და რაზე ლაპარაკობს“.

„ახალი რეალიზმი“, „წმინდა ხელოვნება“ იუგოსლაველ მოდერნისტთა ქებათაქების საგანია. მათთვის არ არსებობს ჩვეულებრივი მშრომელი ადამიანი და რეალური სამყარო. მშრომელ ადამიანს არა თუ ასახვის ღირსად, უბრალოდ მკითხველადაც კი არ მიიჩნევენ. შემთხვევითი როდია, რომ მოოდრაგა ბულაცოვიჩმა თავისი მოთხრობების კრებულს „სატანები მოდიან“ ეპიგრამად წარუმძღვარა: „რა არის ადამიანი, რომ მასზე ვიზრუნოთ?“ რასაკვირველია, ასეთი მწერლებისათვის უცხო და მიუღებელია სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურა, რომლის ფუძემდებელი — მ. გორკი, მწერლის უპირველეს დანიშნულებას მშრომელი ადამიანის ცხოვრებისა და საქმიანობის მართებულ ასახვაში ხედავდა, რომელსაც ღრმად სწამდა, რომ სიტყვა „ადამიანი“ ამაყად ჟღერს.

იუგოსლაველი რევიზიონისტები, რომელთა მიზანს კომუნისტური იდეოლოგიის დამახინჯება (ფაქტიურად მისი ძირითადი პრინციპების უარყოფა) წარმოადგენს, ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებში ილაშქრებენ მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის ძირითადი პრინციპების წინააღმდეგ, უარყოფენ სოციალისტური რეალიზმის არსებობას და მის მიღწევებს, უგულებელყოფენ კომუნისტური პარტიის წარმმართველ როლს მხატვრული აზროვნების განვითარების საქმეში.

სოციალისტური რეალიზმის ძირითადი პრინციპების წინააღმდეგ უკანასკნელ ხანებში განსაკუთრებული აქტიურობით ილაშქრებენ რისტო ტოშოვიჩი, დუმან კოსტიჩი, ერვინ შინკო, დიმიტრი მიტრევი და სხვანი. 1958 წლის 25 ნოემბერს იუგოსლავიის მწერალთა ყრილობაზე იუგოსლავიის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე იოსეპ ვიდმარი ცდილობდა დაემტკიცებინა, თითქოს სოციალისტური ქვეყნების ლიტერატურა და ხელოვნება მოკლებულია ყოველგვარ თავისუფლებას, რომ ხელოვანი იძულებულია ისე ასახოს სინამდვილე, როგორც კარნახობენ და როგორც აიძულებენ.

უგულებელყოფდა რა ყოველგვარ ფაქტებს, ვიდმარი ირწმუნებოდა, თითქოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მწერლისაგან მოითხოვს სინამდვილის შელამაზებულ ასახვას და რომ ეგრეთწოდებული უკონფლიქტობის თეორია საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებს თავს მოახვია პარტიამ. ვიდმარის მთელი გამოსვლა იმპერიალიზმის იდეოლოგების მიერ არაერთგზის გადამღერებული ძველი თეზისების გამეორება იყო. ამიტომ გასაგებია, რომ მას „უყურადღებოდ“ არ დაუტოვებია სოციალისტური რეალიზმის მეთოდი, რომელიც, მსგავსად ბურჟუაზიული პროპაგანდისა, პარტიის მიერ „დეკრეტირებულად“ გამოაცხადა.

რევიზიონისტები, ერთი მხრივ, აცხადებენ, რომ სოციალისტური რეალიზმის მხატვრული მეთოდი „დეკრეტირებული“ იყო პარტიის მიერ, რომ მან ხელი შეუშალა მხატვრული აზროვნების განვითარებას, მეორე მხრივ კი სრულებით უარყოფენ სოციალისტური რეალიზმის არსებობას. ვიდმარის აზრით, სოციალისტური რეალიზმის მეთოდი „ლიტერატურული მოაზროვნისათვის გაურკვეველი და სრულიად ჩამოუყალიბებელი მოვლენაა“, რომლის შესახებ „არავის შეუძლია თქვას, რომ ის არსებობს ან რას წარმოადგენს სინამდვილეში“.

ვიდმარს არ მოსწონს საბჭოთა ლიტერატურის მიზანდასახულობა. მისი აზრით, ხელოვანი სრულიადაც არაა მოწოდებული ემსახუროს მშრომელ ადამიანს, თავისი შემოქმედებით ის ყოველგვარი მიზანდასახულობის გარეშე უნდა იდგეს.

პარტიის ხელმძღვანელი როლის უარყოფა, მტკიცება იმისა, რომ თითქოს პარტია ხელს უშლის ხელოვანის თავისუფალ შემოქმედებას, აქცევს მას ვიწრო ჩარჩოში და აიძულებს შექმნას ნაწარმოებები ხელოვანისათვის მიუღებელი საპროგრამო დებულებების საფუძველზე — მარქსისტული იდეოლოგიის მტრებისათვის ახალ მონაჭორს არ წარმოადგენს.

სოციალისტური რეალიზმის პრინციპების უგულებელყოფასთან ერთად იუგოსლაველი რევიზიონისტები ძალას არ ზოგავენ „ახალი“ პესიმისტური და უმიზნო ლიტერატურის შესაქმნელად. ხელოვნებასა და ლიტერატურაში მოდერნიზმისთვის ბრძოლა იუგოსლაველი რევიზიონისტების ძირითადი დევიზია. ისინი ცდილობენ ლენინის იდეების ერთადერთ დამცველად მოგვევლინონ. მათთვის ალბათ გაუგებარია, ან, უფრო სწორად, მათ არ სურთ გაიგონ ვ. ი. ლენინის მითითება:

„მე არ შემიძლია მხატვრული გენიის უმაღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეს გამოხატულებად ჩავთვალო ექსპრესიონიზმის, ფუტურიზმის, კუბიზმისა და სხვა „იზმების“ ნაწარმოებები. მე ისინი ვერ გამიგია, მე არ განვიცდი მათგან არავითარ სიხარულს“ [1]. ლენინი იქვე დასძენდა, რომ ხელოვნების ნაწარმოების ღირსება მდგომარეობს არა იმაში, თუ რას აძლევს იგი „რამდენიმე ასეულს, თუნდაც რამდენიმე ათასეულს მოსახლეობის საერთო რიცხვიდან, რაც მილიონებს შეადგენს. ხელოვნება ხალხს ეკუთვნის. იგი თავისი უღრმესი ფესვებით მშრომელთა ფართო მასების თვით შუაგულს უნდა აღწევდეს. იგი გასაგები და საყვარელი უნდა იყოს ამ მასებისათვის. იგი უნდა აერთიანებდეს ამ მასების გრძნობას, აზრსა და ნებისყოფას, აღაფრთოვანებდეს მათ. იგი მათში მხატვრებს უნდა აღვიძებდეს და ავითარებდეს“ [2].

როგორც ვხედავთ, ვ. ი. ლენინი უარყოფდა იმ „სიახლეს“ ხელოვნებაში, რომელიც ხალხის სამსახურს არ ისახავს მიზნად.

ვიდმარებსა და ტოშოვიჩებს არ მოსწონთ ის ფაქტი, რომ საბჭოთა ლიტერატურა და ხელოვნება სოციალისტური სინამდვილის დამკვიდრებისა და წინსვლისათვის იბრძვის, რომ მათი მთავარი ყურადღება ხალხისკენ არის მიმართული. ტოშოვიჩის აზრით, საბჭოთა ლიტერატურა და ხელოვნება უარყოფს მარქსისა და ენგელსის მითითებას, რომ ხელოვანი ვალდებულია კრიტიკულად ასახავდეს სინამდვილეს. მარქსი და ენგელსი მართლაც მოითხოვდნენ ხელოვანისაგან კაპიტალისტური სამყაროს სინამდვილის კრიტიკულ ასახვას, ბრძოლას იმ მახინჯი მოვლენების წინააღმდეგ, რომლებიც კაპიტალიზმის სინამდვილიდან გამომდინარეობს. ხოლო სოციალისტური რევოლუციის შემდეგ ხალხის სამსახურში ჩამდგარი ლიტერატურისა და ხელოვნების მთავარ დანიშნულებას ახალი ცხოვრების შენებისათვის მხარის დაჭერა წარმოადგენს.

რევიზიონისტებს არ სურთ დაინახონ ის ობიექტური სინამდვილე, რომ თანამედროვე მსოფლიო გაყოფილია ორ ბანაკად, რომ მსოფლიოში არსებობს ორი დაპირისპირებული იდეოლოგია, ერთი მხრივ მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგია, რომელიც ხალხებს უსახავს მშვიდობის, დემოკრატიისა და მთელი კაცობრიობის ნათელი მომავლის გზას, მეორე მხრივ იმპერიალიზმის დრომოჭმული იდეოლოგია, რომელიც ერთი მუჭა რეაქციული ძალების ინტერესების დაცვას ემსახურება.

ადამიანი, რომელიც თანამედროვეობის ამ ობიექტურ რეალობას უარყოფს, არ შეიძლება მარქსისტად, კომუნისტად იწოდოს. რევიზიონისტები კი ასეთ პირობებში ვითომდა რაღაც ახლის ძიების საბაბით უარყოფენ მარქსიზმ-ლენინიზმის ძირითად დებულებებს და იმპერიალიზმის ინტერესების დამცველად გვევლინებიან.

საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების მიღწევების უარყოფა, სოციალისტური რეალიზმის ძირითადი პრინციპების წინააღმდეგ ბრძოლის ცდა პოლონელსა და უნგრელ რევიზიონისტებსაც ახასიათებს. ბევრად როდი განსხვავდება პოლონელი იან კოტი, ან უნგრელი დიორდ ლუკაჩი იუგოსლაველი რევიზიონისტებისგან. ისინიც თავგამოდებით ცდილობენ საქმე ისე წარმოადგინონ, თითქოს საბჭოთა ლიტერატურას ოციანი წლების შემდეგ მნიშვნელოვანი არაფერი შეუქმნია, და ამის მიზეზი ლიტერატურისა და ხელოვნების პარტიული ხელმძღვანელობაა.

მიუხედავად ბურჟუაზიული იდეოლოგიის ლაქიების, რევიზიონისტების ცდისა შეასუსტონ სოციალისტური ლიტერატურისა და ხელოვნების მზარდი გავლენა მსოფლიოს მხატვრული აზროვნების განვითარებაზე, ეს ლიტერატურა და ხელოვნება თამამად იკაფავს გზას მსოფლიოს ყველა კუთხეში და მილიონობით ადამიანების სიყვარულს იმსახურებს.

სულ უფრო და უფრო იზრდება მსოფლიოს პროგრესულ მწერალთა ინტერესი სოციალისტური რეალიზმის მხატვრული მეთოდისა და შემოქმედებითი საკითხებისადმი. მათ მიეძღვნა 1957 წელს ოქტომბერში იტალიაში ჩატარებული მწერალთა კონგრესი, რომელსაც 200-ზე მეტი დელეგატი ესწრებოდა ევროპის 19 ქვეყნიდან.

ცნობილი ჰოლანდიელი პოეტი და კრიტიკოსი იან გრესგოფი სტატიაში „მწერალი და საზოგადოება“ აღნიშნავს: „პატიოსანი და ცხოვრების მართებულად ამსახველი მწერალი ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ყოველთვის შებოჭილია, მისდამი მტრულად არიან განწყობილი მმართველი კლასები. ბურჟუაზია ყოველ ზომებს ხმარობს პროგრესულად მოაზროვნე მწერლის მოსყიდვისათვის, და, თუ ამ მიზანს ვერ აღწევს, ფიზიკურად უსწორდება მას“.

ახლებურად აყენებენ ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებს განთავისუფლებული აზიისა და აფრიკის ქვეყნების მწერლები. მაჰმუდ თეიმურის აზრით ლიტერატურა პოლიტიკის ზემოქმედებას განიცდის, მაგრამ თავისი აქტიური საზოგადოებრივი როლის გამო თვითონაც ახდენს ზემოქმედებას პოლიტიკაზე. არაბეთის ქვეყნების მოწინავე მწერლები ხმას იმაღლებენ მოდერნიზმისა და „ულტრამემარცხენე“ მიმდინარეობის წინააღმდეგ ლიტერატურაში და მწერ-

[1] ლენინი კულტურისა და ხელოვნების შესახებ, გვ. 608.

[2] იქვე, გვ. 608.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ლის მოწოდებას ხალხის ცხოვრებასთან კავშირში ხედავენ. არაბი ლიტერატურათმცოდნე სელიმ ხაიდარა აღნიშნავს: „ხელოვნების პრობლემა მოვალეობის შესრულების პრობლემაა, ქმედების პრობლემაა. ხოლო თეორია „ხელოვნება ხელოვნებისათვის“ იკვებება დამანგრეველი იდეებით. „ხელოვნება ხელოვნებისათვის“ მომხრეები შეგნებულად თუ შეუგნებლად გვიხმობენ მორალური განიარაღებისაკენ, ნაციონალური დაკნინებისაკენ, ესე იგი კაცობრიობის დეგრადაციისაკენ“.

პროგრესული არაბი მწერლები აქტიურად იბრძვიან დეკადენტურ მიმდინარეობათა წინააღმდეგ. „იცოდეთ თქვენი ადგილი, ბატონებო! თქვენი ლიტერატურა არაა არაბული ლიტერატურა, თქვენი ლიტერატურა ყვითელი ფოთოლია ხეზე. მოვა დრო, ის ჩამოვარდება და გაცამტვერდება“, — ამბობს ხანა მინა.

ეჭვგარეშეა, რომ ხალხის სიყვარული და პოპულარობა, რომლითაც ცნობილი ლათინური ამერიკელი რომანისტი ენრიკე ამორიმა სარგებლობს, მისი პროგრესული აზროვნების შედეგია. „სწერო ხალხისათვის — ეს ისეთი სიკეთეა, რომელიც ყველას არ აბადია“. ეს სიტყვები ენრიკე ამორიმას ეკუთვნის. მისივე აზრით, ის მიღწევები და სახალხო მოწონება, რომელიც მისმა უკანასკნელმა ნაწარმოებებმა დაიმსახურეს, შედეგია იმისა, რომ ის უფრო ახლო გაეცნო სოციალისტური რეალიზმის მეთოდს.

ცხოვრების მართებული ასახვა, პროგრესული იდეების თამამი პროპაგანდა, მაღალი მხატვრული ოსტატობა ახასიათებს ჟორჟ სორიას უკანასკნელ პიესას „უცხოელი ქალი კუნძულზე“ და სწორედ ამით იპყრობს ის ხალხის უფართოესი ფენების ყურადღებას, სწორედ ამიტომ იქნა მისი ღირსება აღნიშნული იბსენის პრემიით.

კანადელი მწერალი და პუბლიცისტი დაისონ კარტერი საბჭოთა მწერლებს შემდეგი სიტყვებით მიმართავს: იამაყეთ იმით, რომ თქვენი ნაწარმოებები მსოფლიოს ყველაზე შორეულ კუთხეებში აღაფრთოვანებს ხალხს, თქვენ, სოციალისტური რეალიზმის წარმომადგენლებმა, მეტი ადამიანი დაიხსენით სასოწარკვეთილებიდან, ვიდრე მსოფლიოს ყველა მღვდელმა განვლილი ხუთი ათასი წლის მანძილზე.

ავსტრალიელი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ჯუდა უოტენი აღნიშნავს კულტურის იმ მაღალ დონეს, რომელიც საბჭოთა ხალხისათვის არის დამახასიათებელი. საბჭოთა კავშირში მოგზაურობის დროს, როგორც ჯუდა უოტენი წერს, მას არ შეხვედრია ადამიანი, რომელსაც წიგნების კითხვა არ უყვარდეს. „მე ვკამათობდი მაიაკოვსკის შესახებ ტაქსის მძღოლთან, ვისმენდი მეგარდერობის შენიშვნებს მცირე თეატრის ახალ დადგმებზე, ვნახე რკინიგზელი, რომელიც გულმოდგინედ კითხულობდა შექსპირს და უნებლიეთ გავხდი მოწმე იმისა, თუ ოფიციანტი ქალი ალბერტ კანთან ერთად როგორ განიხილავდა თანამედროვე ამერიკული ლიტერატურის მდგომარეობას“, — იგონებს ჯუდა უოტენი.

საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების მიღწევები, მისი მხატვრული მეთოდის — სოციალისტური რეალიზმის ჭეშმარიტად ახალი ხასიათი და სიცოცხლისუნარიანობა აღიარებული ფაქტია, სოციალისტური რეალიზმის მხატვრული მეთოდი ნაცადი იარაღია არა მარტო ჩვენი ქვეყნის, ან, საერთოდ, სოციალისტური ბანაკის მწერალთა და ხელოვანთათვის, არამედ ის საიმედო იარაღად იქცა კაპიტალისტური ქვეყნების პროგრესული მწერლების ხელში. პაბლო ნერუდა, ლუი არაგონი, ნაზიმ ჰიქმეთი და მრავალი სხვა ხალხის სიყვარულს სწორედ იმით იმსახურებენ, რომ თავიანთი კალმით პროგრესულ იდეებს ემსახურებიან და თავიანთ შემოქმედებაში სოციალისტური რეალიზმის მხატვრული მეთოდი აქვთ მომარჯვებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსუდან კუსრაშვილი

გარნოვის თხზულებათა პუბლიკაცია

გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“ 1960 წლიდან შეუდგა მე-20 საუკუნის ქართული ლიტერატურის კლასიკოსის ვასილ ბარნოვის თხზულებათა სრული კრებულის გამოცემას.

მკითხველ საზოგადოებას არც თუ ასე სრულყოფილი წარმოდგენა აქვს ვ. ბარნოვის მემკვიდრეობაზე, რადგანაც მისი მთლიანად გამოცემა დღემდე ვერ მოხერხდა. 1958 წელს ვ. ბარნოვის დაბადებიდან 100 წლისთავის იუბილეესთან დაკავშირებით დაისვა მისი თხზულებათა აკადემიური გამოცემის საკითხი, ხოლო კრებულის მომზადება დაევალა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტს.

ვ. ბარნოვის ნაწარმოები პირველად დაიბეჭდა 1873 წელს გაზეთ „დროებაში“. ეს იყო ლექსი „ქართველ ქალს“. იმავე გაზეთში 1879 წელს გამოქვეყნდა ვ. ბარნოვის მიერ გადმოკეთებული მოთხრობა „პირველი სკრიპკა“. ამის შემდეგ ვ. ბარნოვი თავს ანებებს ლექსების წერას და პროზაული ნაწარმოებებით მიიკვლევს გზას სამწერლო ასპარეზზე. 1893 წელს, ხანგრძლივი შუალედის შემდეგ, „კვალში“ იბეჭდება მისი ისტორიული მოთხრობა „პატარა ლევანი“, რომელსაც შემდეგ ჩედმიყოლებით მოსდევს რიგი ნაწარმოებებისა. არ დარჩენილა იმ დროის თითქმის არც ერთი ჟურნალ-გაზეთი, რომელშიც ბარნოვს არ მოეთავსებინოს თავისი მოთხრობა ან რომანი; „დროება“, „კვალი“, „ივერია“, „მოამბე“, „მწყემსი“, „ცნობის ფურცელი“, „სახალხო გაზეთი“, „საქართველო“ და სხვ. გულთბილად ხვდებოდნენ ვ. ბარნოვის ახალ-ახალ, უაღრესად ორიგინალურ თხზულებებს. თუმცა მწერალი მუდამ უჩიოდა თავის კალამს და გულისტკივილით ამბობდა: „ეჰ, სიტყვის ბადე ვერა მქონდა იმდენად მსუბუქი, მტკიცე, მოქნილი,რომ მარჯვედ და უკლებლივ ჩამესახა ის ჩვენებები, რომელთაც შევტრფოდი და შევხაროდი. მკრთალნი გამოდიოდნენ კალმის ქვეშ ჩემი ჭრელი ოცნებები, სანატრელი ჩემი სანახავები და... გული მტკიოდა, გული!“

ვ. ბარნოვის თხზულებანი დიდხანს იბეჭდებოდა გაფანტულად ჟურნალ-გაზეთებში. მწერლის სურვილი იყო თავი მოეყარა თავისი ნაწერებისათვის და კრებულების სახით გამოეცა. მაგრამ ამ სურვილის განხორციელება არც თუ ისეთი ადვილი საქმე აღმოჩნდა იმ დროისათვის. მხოლოდ 1920 წელს პირველად გამოვიდა ვ. ბარნოვის თხზულებათა კრებულის ორი ტომი (წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამოცემა). ამ საქმეში აქტიური მონაწილეობა მიიღო თვით ავტორმა.

„თავი მოვუყარე ჩემს ნაწერებს, — აღნიშნავს იგი პირველი ტომის წინასიტყვაობაში, — ცალ-ცალკე გამოვიდნენ ქვეყნად, ჟურნალ-გაზეთებში მიმობნეულნი და მინდოდა ერთად მენახა იგინი ხელიხელს ჩაბმულნი, რომ გამეგო, რა ფხისა ან რა ხმის გამოღება შეუძლიანთ მათ“.

„თხზულებათა“ ორივე ტომი მცირე მოცულობისაა (თითო ტომში შედის ხუთ-ხუთი ნაწარმოები), რის გამოც, ცხადია, მწერლის შემოქმედებაზე სრული წარმოდგენა ვერ გვექმნება.

ვ. ბარნოვის თხზულებათა გამოცემას განსაკუთრებით სერიოზული ყურადღება მიექცა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. 1929 წელს გამოვიდა ვ. ბარნოვის თხზულებათა შედარებით დიდი მოცულობის კრებულები „ტფილისის აჩრდილები“ (თერთმეტი მოთხრობა) და „ვარდფანჯრები“ (თხუთმეტი მოთხრობა).

1930 წელს ქვეყნდება კრებული „სამი რომანი“, რომელშიაც წარმოდგენილია სამი ისტორიული რომანი — „სახიფათო სიყვარული“, „ნათელმოსილნი“ და „ტრფობა წამებული“.

გამომცემლობა „ფედერაციამ“ განიზრახა ვ. ბარნოვის თხზულებათა სრული კრებულის გამოცემა, მაგრამ მხოლოდ ერთი წიგნის — „ფერადფერადის“ გამოქვეყნება მოახერხა 1934 წელს. ამ კრებულში მოთავსებულია 28 მოთხრობა. „მხცოვან ბელეტრისტის სხვა ნაწე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რების გამოცემაც ახლო მომავლის საქმეა. გამომცემლობაც ამ წიგნით იწყებს ამ დიად საქმეს, — ვკითხულობთ კრებულისთვის დართულ წინასიტყვაობაში. — დღეს, როდესაც მწერლობაში მწვავედ დგას საკითხი მაღალხარისხოვან ლიტერატურის შექმნისა, ვ. ბარნოვის ასეთი ვრცელი კრებულის გამოცემასაც დიდი მნიშვნელობა ეძლევა. მთელ რიგ ახალგაზრდა მწერლებსაც შეუძლია მიიღონ გაკვეთილი ვ. ბარნოვის ნაწერებისაგან, თუ როგორი ოსტატობითა და თემისადმი სიყვარულით შესრულებულია ყოველი მოთხრობა ჩვენი მხცოვანი მწერლისა... რომ თანამედროვე მასალებთან მისვლა ისწავლონ ამგვარი სიყვარულით და ასევე სიყვარულით განიმსჭვალონ ცხოვრების ყოველ წვრილმანისადმი“ (ს. ჩიქოვანი — წინასიტყვაობა ვ. ბარნოვის კრებულისა „ფერადფერადი“).

კრებულების გარდა ცალკე გამოცემების სახით იბეჭდებოდა ვ. ბარნოვის ესა თუ ის ნაწარმოები, მეტწილად რომანები („ამქრის მშვენება“ — 1923 წ., „ხაზართა სასძლო“ — 1922 წ., „არმაზის მსხვრევა“ — 1926 წ. და ა. შ.).

ახალი გამოცემული ნაწარმოები ხშირად მახინჯდებოდა გამომცემელთა უყურადღებობის ან მათი აქტიური, თვითნებური ჩარევის გამო. ეს იყო მიზეზი იმისა, რომ ტექსტი ხშირად კარგავდა პირვანდელ სახეს.

ვ. ბარნოვი განსაკუთრებით მწვავედ განიცდიდა გამომცემლობის მიერ ტექსტის დამახინჯებას. იგი დიდ გულისტკივილს გამოთქვამდა ამის გამო და სთხოვდა—ისეთი სახით დაბეჭდეთ ტექსტი, როგორც ავტორი გაწვდითო. ს. და თ. ბარნაველების გადმოცემით, როდესაც რომან „წოდებულნის“ დაბეჭდილი ტექსტი გადასცეს ავტორს, მას ვეღარ უცვნია თავისი ნაწარმოები, ისე იყო გადაკეთებული. ამას ძალიან უმოქმედია ვ. ბარნოვზე, ზედმეტი ნერვიულობისაგან ავად გამხდარა და ერთი კვირის განმავლობაში ფეხზე ვეღარ წამომდგარა. ვ. ბარნოვის ბინაზე დაცულ არქივში ვნახეთ ეს დამახინჯებული ტექსტი, რომელზეც ავტორს წაუწერია: „ნაწარმოები ხელახლად გადაკითხვასა და გასწორებას მოითხოვსო“. მსგავსი მინაწერი აქვს „მოგვთა კალოსაც“.

მწერლის გარდაცვალების შემდეგაც არ შეწყვეტილა მისი ნაწარმოებების გამოქვეყნება. 1939 წელს პირველად სრულად დაიბეჭდა ისტორიული რომანი „დიდი მოურავი გიორგი სააკაძე“ (მანამდე ნაწყვეტების სახით ქვეყნდებოდა), 1947 წელს გამოვიდა კრებული „ისტორიული რომანები“, ხოლო 1948 წელს — რომანების კრებული „ისნის ცისკარი“. იმავე წელს დაიბეჭდა კრებული, რომელიც 21 მოთხრობას შეიცავს და ა. შ.

ვ. ბარნოვის თხზულებანი ყოველთვის მასობრივი ტირაჟით გამოდიოდა. მკითხველს საშუალება ჰქონდა გასცნობოდა მწერლის ცალკეულ მოთხრობას თუ რომანს, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, მთლიან წარმოდგენას ვ. ბარნოვის შემოქმედებაზე ვერც ერთი კრებული თუ წიგნი ვერ იძლეოდა.

აღნიშნული გამოცემებით არ ამოიწურება ვ. ბარნოვის ლიტერატურული მემკვიდრეობა. საქართველოს სსრ სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში დაცულ ვ. ბარნოვისეულ არქივში აღმოჩნდა რამდენიმე ნაწარმოები, რომლებიც დღემდე არ გამოქვეყნებულა. ასეთია მხატვრული პროზიდან „ძვირფასი თვალი“ (1924 წ.), „რაინდის სული“ (1927 წ.), „ბამბის ქულა“ (გადმოკეთებული ფრანგულიდან), „ბურუსი“ (1932 წ.), „ისკანდარი“ (1933 წ.), „საარაკო განძი“ (1924 წ. კარნახით დაწერილი), აგრეთვე მოთხრობა „თებერას დანიშნულიდან“ გაკეთებული დაუმთავრებელი სცენარი „თებერა“.

ავტობიოგრაფიული ნაშრომიდან „სამწუხარო ღიმი“ (1934 წ. კარნახით დაწერილი) ორი მოგონებაა დაუბეჭდავი. უცნობია მკითხველისათვის აგრეთვე მოგონებანი „ოვანეს თუმანიანზე“, ეპისტოლარული მემკვიდრეობა, პირადი წერილები და მთელი რიგი სტატიები გამოჩენილ მწერლებსა და მოღვაწეებზე. ყველა ეს გამოუქვეყნებელი მასალა სრულადაა წარმოდგენილი ვ. ბარნოვის თხზულებათა აკადემიურ გამოცემაში. თავად მწერალს საკუთარ ნაწარმოებთა გამოცემა 20 ტომად ჰქონია ნავარაუდევი, ამჟამად განზრახულია ვ. ბარნოვის ლიტერატურული მემკვიდრეობა ათ ტომად გამოიცეს.

ვ. ბარნოვის თხზულებათა აკადემიური გამოცემა არსებითად განსხვავდება წინა გამოცემებისაგან თავისი სრულყოფილობითა და ხარისხიანობით.

აკადემიურ გამოცემაში უნდა შედიოდეს მწერლის მთელი შემოქმედებითი მემკვიდრეობა. ყველა ნაწერი, რომელიც კი მწერლის კალამს შეუქმნია დამთავრებული თუ დაუმთავრებელი სახით, მხატვრული თუ პუბლიცისტური, თარგმანები, მოგონებები, პირადი წერილები და ა. შ. — ერთი სიტყვით, აკადემიური გამოცემის მთავარი მიზანია შეძლებისდაგვარად გამოაქვეყნოს ჩვენამდე მოღწეული მთელი ლიტერატურული მემკვიდრეობა მწერლისა. არც ეს არის საკმარისი. აკადემიური გამოცემის ძირითადი ამოცანაა მკითხველს წარმოუდგინოს მწერლის შემოქმედება იმ სახით, როგორც სინამდვილეში არსებობდა, როგორსაც ავტორი ქმნიდა. ამისთვის კი საჭიროა ე. წ. „კანონიკური“ ტექსტის დადგენა და მათი გაწმენდა ყოველგვარი დამახინჯებისაგან, რაც თვითნებუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი ჩარევით შეჰქონდათ გამომცემლობებსა და რედაქტორებს. ტექსტებზე მეცნიერულ-ტექსტოლოგიური მუშაობის შედეგად ნაწერები შეძლებისდაგვარად შესწორებულ და დახვეწილ უნდა იქნას, რადგანაც არასწორად წაკითხულსა და გაგებულ ტექსტს მკითხველი ხშირად შეცდომაში შეჰყავს და მცდარ შეხედულებებს უქმნის როგორც ნაწარმოებზე, ისე მწერლის მსოფლმხედველობაზეც. ტექსტის გამართვაში დიდი მნიშვნელობა ეძლევა ავტოგრაფებს, სადაც ნაჩვენებია მწერლის მთელი შემოქმედებითი მუშაობა, და იმ ნაბეჭდ ტექსტებს, რომელთა გამოქვეყნებაშიაც ავტორი იღებდა მონაწილეობას.

ყოველივე ზემოთქმული მხედველობაშია მიღებული ვ. ბარნოვის თხზულებათა აკადემიურ გამოცემაზე მუშაობის დროს. ამას გარდა, ტომებში თხზულებანი დალაგებულია ქრონოლოგიურად. წინა გამოცემებში ნაწარმოებები ერთი პრინციპით არ არის დათარიღებული, ზოგს დაწერის დრო უზის თარიღად, ზოგს დაბეჭდვისა, ზოგი მათგანი საერთოდ უთარიღოდაა წარმოდგენილი, ზოგიც არასწორადაა დათარიღებული. აკადემიურ გამოცემაში შეძლებისდაგვარად გასწორდა ეს უზუსტობანი და დათარიღების ერთი პრინციპი იქნა მიღებული, კერძოდ, ნაწარმოებები დალაგებულია ძირითადად არა დაბეჭდვის, არამედ დაწერის დროის მიხედვით.

პირველ ცხრა ტომში შედის მხატვრული პროზა, ხოლო მეათე ტომში — ლიტერატურულ-კრიტიკული, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, რეცენზიები, ბიბლიოგრაფიული შენიშვნები, წარმოთქმული სიტყვები და ა. შ.

აკადემიური გამოცემის მომზადების დროს გამოყენებულ იქნა ვ. ბარნოვის ყველა ხელნაწერი მასალა, რაც კი მოიპოვება საქართველოს სსრ ლიტერატურის მუზეუმსა და მწერლის ბინაზე დაცულ არქივში.

მწერლის შვილების ცნობით, პირველ ხანებში ვ. ბარნოვი ნაწარმოების დაბეჭდვის შემდეგ მის ხელნაწერებს ხევდა. მეუღლის რჩევით მწერალს გვიან აუღია ხელი ამ საქმეზე. ალბათ ესაა ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი იმისა, რომ ბევრ ნაწარმოებს ავტოგრაფი არ გააჩნია. ჩვენამდე მოღწეულ ხელნაწერთა უმრავლესობიდან კი ზოგი ნაკლოვანია, აკლია თავ-ბოლო ან დაზიანებულია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, აღნიშნულ ხელნაწერთა გამოყენებამ დიდი როლი შეასრულა ტექსტების დადგენაში.

მეტი წილი ნაწარმოებებისა მწერლის სიცოცხლეში რამდენჯერმე არის გამოცემული. მათი გამოქვეყნების დროს ავტორს მრავალი შესწორება შეჰქონდა ტექსტში, თითონვე უკეთებდა კორექტურას, იქვე ხელმეორედ ასწორებდა და ხვეწდა ტექსტს. ამგვარი ცვლილებების შედეგად პირველი ავტოგრაფიდან ბოლო გამოცემამდე (იგულისხმება მწერლის სიცოცხლეში უკანასკნელი გამოცემები) ტექსტი საკმაო ცვლილებას განიცდიდა ენობრივად თუ სტილისტურად. ამიტომ ხელნაწერებთან ერთად ავტორის მიერ უკანასკნელად რედაქტირებული ტექსტების გათვალისწინება აუცილებელი პირობაა ტექსტის დადგენისათვის.

აკადემიური გამოცემისათვის მეტად მნიშვნელოვანია ვარიანტულ სხვაობათა სრულყოფილად წარმოდგენა (მხედველობაში არ არის მიღებული მხოლოდ ორთოგრაფიული სხვაობანი და ისეთი კორექტურული შეცდომები, რომლებიც შინაარსობლივ განსხვავებას არ იძლევა). ვარიანტული წაკითხვების დაწვრილებით ჩვენება ტექსტთან ერთად საშუალებას აძლევს მკითხველს სრული წარმოდგენა იქონიოს მწერლის შემოქმედებითს მეთოდზე, მის მთელ ლიტერატურულ მემკვიდრეობაზე, შემოქმედებითს ლაბორატორიაზე.

ვარიანტულ სხვაობათა შეჯერების საფუძველზე აღნიშნულ გამოცემაში გასწორდა ბევრი ისეთი კორექტურული შეცდომა, რაც წინადადებისა თუ ტექსტის განსხვავებულ გაგებას იძლეოდა. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ წინა გამოცემებში ტექსტი საკმაოდ ხშირად იყო დამახინჯებული სხვა მხრივაც — გამორჩენილი იყო ხოლმე მთელი წინადადებები, აკადემიურ გამოცემაში მსგავსი მოვლენები თავიდან აცილებულია. ამის წყალობით ტექსტი ბევრად უფრო გამართული და გასაგები გახდა.

აკადემიური გამოცემის ყოველ ტომს ერთვის ლიტერატურულ-ისტორიული შენიშვნები და კომენტარები. რადგანაც ვ. ბარნოვის ნაწარმოებში ხშირად იხმარება არქაული და თანამედროვე მკითხველისათვის უცნობი სიტყვები, ყოველ ტომს დართული აქვს ამ სიტყვათა განმარტება.

ამრიგად, ვ. ბარნოვის თხზულებათა აკადემიური გამოცემა ყველაზე სრულყოფილად უნდა ჩაითვალოს წინა გამოცემებთან შედარებით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლეღა შანიძე

რევაზ თარხან-მოურავის გრაფიკა

უკვე რამდენიმე წელია, რაც ჩვენს გამოფენებზე მონაწილეობას იღებს მხატვარი რევაზ თარხან-მოურავი, რომლის ნაწარმოებებიც იზიდავენ მაყურებელს თავისი მკვეთრი ინდივიდუალობით, გამოხატვის თავისებური, განსაკუთრებული მანერითა და შესანიშნავი ოსტატობით.

ჯერ კიდევ 1955 წლის რესპუბლიკურ გამოფენაზე თარხან-მოურავმა საერთო მოწონება დაიმსახურა. მან გამოფინა ცნობილი კუბელი პოეტის ნიკოლას გილიენის ლექსებისათვის შესრულებული ილუსტრაციები. მას მერე ჩვენ ვნახეთ თარხან-მოურავის ნაწარმოებები როგორც გრაფიკაში, ასევე თეატრალური გაფორმების დარგში (თელავის სახელმწიფო თეატრის მიერ დადგმული გარსია ლორკას „სისხლიანი ქორწილი"), მონუმენტური გრაფიკის დარგში (ფრიზის ესკიზი კაფესათვის „მეტრო") და სხვ. მაგრამ თარხან-მოურავი ძირითადად მაინც გრაფიკოსია. მას შესრულებული აქვს როგორც ილუსტრაციები ლიტერატურული ნაწარმოებებისათვის, ასევე დამოუკიდებელი გრაფიკული ფურცლები. ძირითადი მხატვრული დარგი, რომელშიც მხატვარი მუშაობს, არის ორტონიანი — შავი და თეთრი გრავიურა ლინოლეუმზე. თარხან-მოურავმა შექმნა გრავიურების სერიები: ქართული ცეკვები, ქართული სიმღერები, ქართული თამაშობანი (ამ უკანასკნელში ლინოგრავიურის ტექნიკით შესრულებულია მხოლოდ ერთი ფურცელი — „ლაბტი").

პირველი შთაბეჭდილება, რომელიც რჩება თარხან-მოურავის ლინოგრავიურებისაგან, არის არაჩვეულებრივად ინტენსიური ტონისა და კონტრასტული ფერის, შავი და თეთრი ლაქების ერთიანობა. ერთი შეხედვით მისი ნაწარმოებები ძალზე ეფექტურია, მაგრამ მათზე გულმოდგინე დაკვირვებისას ცხადი ხდება, რომ ყოველი დეტალი საგანგებოდაა მოფიქრებული, და „თავისუფალი ხელით" აღტაცება მნახველს ეცვლება დიდი შინაგანი მნიშვნელობისა და მხატვრულ კომპოზიციათა მიზანდასახულობის შეგრძნებით.

ცერული

ჯერ კიდევ პირველ ნაწარმოებებში იჩინა თავი დამახასიათებელმა ხატვის მანერამ, მხატვრულმა „ხელმა", კომპოზიციური აგების თავისებურებამ. გილიენის ილუსტრაციები სრულიად გარკვეულ, ჩამოყალიბებულ მიდგომაზე მეტყველებენ. მხატვარს თავის გრავიურებში თემით განსაზღვრული ილუსტრაციული ამოცანები აქვს, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, მის გადაწყვეტაში ვერსად შევხვდებით თხრობითს ელემენტს — იგი ყოველთვის გადმოცემს ძირითად მარცვალს, საგნის არსს. მაგალითად, გილიენის ლექსების ილუსტრაციებში მხატვარი მიზნად ისახავს გადმოგვცეს, უპირველეს ყოვლისა, გილიენის პოეზიის არსი, მისი სული. იგი არსად არ იძლევა ლექსში აღწერილი ფაქტის ან მოქმედების უშუალო გამოსახვას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლახტი

არამედ ქმნის იმავე განწყობილებას, რომელიც ლექსშია მოცემული. ყოველი ილუსტრაცია მხატვრის მიერ გაგებულია, როგორც დამოუკიდებელი მხატვრული ნაწარმოები, და კავშირი ლიტერატურულ ნაწარმოებთან მიღწეულია განწყობილებითა და მკაფიოდ გამოხატული სოციალური შინაარსით. ეს მეღავნდება ყველგან, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ილუსტრაციის კომპოზიციაში მხატვარს შეაქვს ისეთი შტრიხები, რომლებიც გვაგონებენ გარკვეულ ადგილებს ლექსებიდან (მაგალითად, „ელეგიაში“ ზანგი მიმართავს ღრუბლებს, „იმღერე, ხუან ბიმბაში“ ერთი მიმართავს მეორეს — ადექი და გამომყევიო და ა. შ.), მაგრამ ყველა ეს მომენტი შეფარვითაა მოცემული და არ თხოულობს დამოუკიდებელ დათვალიერებას.

ასევეა შესრულებული „უპერ-ყდა ე. ჰემინგუეის მოთხრობისათვის „ბერიკაცი და ზღვა“, მხატვრის მიერ გადმოცემულია მთელი მოთხრობის ქვინტესენცია: ადამიანი ებრძვის ძალას, რომელიც რამდენჯერმე სჭარბობს მას საკუთარს. კაცის სხეული ნავში პატარა და უსუსურია ტალღებისა და თევზის მასასთან შედარებით, მაგრამ, ამასთანავე, მოხუცის დაძაბულ სხეულში, რომელიც გადმოცემულია ღია ფერის კუთხოვანი ლაქით ლურჯ ფონზე, მის ექსპრესიით სავსე ხელებში, იგრძნობა ფიზიკურად უფრო მცირე, მაგრამ გონიერი ადამიანური ძალა, რომელსაც შეუძლია წინ აღუდგეს სტიქიონურ ძალას. თევზი მხატვარს გამოუსახავს ცხოველისათვის დამახასიათებელი პლასტიკურობით.

თარხან-მოურავის გრავიურები ჩამოყალიბებული, ნათელი კომპოზიციური მიდგომით ხასიათდება. მისი ფურცლები დეკორატიულია, რაც ხაზგასმულია მიზანდასახული სიბრტყობლიობით. მას კომპოზიციების დიდი ლაკონურობა ახასიათებს — აქ გამორიცხულია ყოველივე მეორეხარისხოვანი, რაც უაღრესი დახვეწილობის გრძნობას ქმნის. პერსონაჟების მოქმედების გარეგნული გამოხატულება — ჟესტიკულაცია — მინიმუმამდეა დაყვანილი. მხატვარი სარგებლობს გამოსახვის მხოლოდ შინაგანი ხერხებით, ე. ი. შექმნილი განწყობილებით. მაგალითად, გილიენის ლექსში „ჩემი სამშობლო“ (თარგმანი გ. გოგიაშვილისა) ჩვენ ვკითხულობთ:

...სევდა გეტყობა მწარე ღიმილში.
ჰოი, კუბაო, ჩემებრ ვინ იცნობს
სამოთხისებურ ღიმილის მიღმა
სისხლსა და ცრემლებს,
მწვანე პალმების ღიმილის მიღმა
სისხლსა და ცრემლებს,
შაქრის ლერწმების ღიმილის მიღმა
სისხლსა და ცრემლებს...

მხატვარმა დაინახა ამ ლექსში მისი არსი — კუბელი ხალხის მოლოდინი უკეთესი მომავლისა. ილუსტრაციაში მწვავე მოლოდინის გრძნობა შექმნილია ორი მკაცრად სტატიკური ფი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მე, რეგვენმა პატარძალმა...“

გურით, რომლებიც აქტიურად მოქმედებენ მაყურებელზე.

თარხან-მოურავი თავის კომპოზიციებში უარყოფს ყოველგვარ აქსესუარებს და ტოვებს მხოლოდ მხატვრული გამოსახულების ძირითად ბირთვს. ზოგიერთ ფურცელში ის გვაძლევს გარეშე საგნებისაგან თავისუფალ კომპოზიციებს. ასეთებია ილუსტრაციები გილიენის ლექსებისათვის „ჩემი გოგონა“, „როცა არ ვმუშაობ, მაინც მკლავენ“, სადაც გამოსახულება მოცემულია მკაცრ შავ ფონზე; ასეთივეა „ქართული ცეკვების“ თითქმის ყველა ფურცელი, სადაც არაა არავითარი საგნები, რომლებიც დაახასიათებდნენ გარემოს, და ყველა გრავიურა „ქართული სიმღერების“ ციკლიდან. კომპოზიციის ამგვარი გადაწყვეტა ქმნის საფუძველს მეორე დამახასიათებელი მომენტისათვის თარხან-მოურავის გრავიურებში: ესაა მთელი გამოსახულების პირობითობა, აქსესუარების არარსებობა აცლის გრავიურას კონკრეტულობას და აძლევს მათ განზოგადებულ ხასიათს. ეს საგანგებოდაა ხაზგასმული სიბრტყობლიობითა და მოდელირების არარსებობით.

განსხვავებით ილუსტრაციებისაგან, დამოუკიდებელი შინაარსის მქონე გრავიურებში, კერძოდ, ქართული ცეკვებისა და სიმღერების ციკლების შექმნისას მხატვარი სულ სხვა ამოცანების წინაშე იდგა. მისთვის ჩვეული კომპოზიციური მიდგომით (მაქსიმალური ლაკონიზმი გამოხატვის ხერხებში) აქ თარხან-მოურავი სხვა შედეგს აღწევს. თუ ილუსტრაციებში, რომლებიც უფრო ადრეა შესრულებული, ჰან მონუმენტურ-სტატიკური ფორმები შექმნა, ქართულ სერიებში იგი ქმნის ან მძაფრ დინამიკას („ცეკვები“), ან ისევ სტატიკურ ფორმებს („სიმღერები“), სადაც მკაფიოდ იგრძნობა ქართული სული. ამ გრავიურებში გამოსახულია ნაციონალური ტიპაჟი, გადმოცემულია ეროვნული ხასიათი.

„ცეკვების“ სერიაში მხატვრის ამოცანაა გადმოცეს ქართული ცეკვის მკაფიო და მკვეთრი რიტმი, მისი ჭრავალფეროვნება. თარხან-მოურავი გადმოგვცემს რთულ მოძრაობებს, ვაქკაცურ, მგზნებარე ტემპერამენტს და ამასთანავე იმ კეთილშობილურ დახვეწილობას, რომლითაც ესოდენ განთქმულია ქართული ცეკვები. რიტმიკის სიმდიდრის გადმოსაცემად მხატვარი ყოველ ცეკვას უძებნის თავის საკუთარ, დამახასიათებელ რიტმიკულ ქარგას, რომელიც ერთი შეხედვითაც შესაძლებელს ხდის უშეცდომოდ გამოიცნოთ ცეკვა. ყოველ ფურცელში ჩვენ ვხედავთ ყველაზე დამახასიათებელ მოძრაობებს კულმინაციურ მომენტებში. ზოგჯერ მხატვარი გროტესკამდე მიდის (მაგალითად, „კინტაურში“), მაგრამ ეს ისევ თვით ცეკვის ხასიათითაა ნაკარნახევი. ერთ-ერთ საუკეთესო ფურცელში — „ცერულში“ გადმოცემულია ის ვაქკაცური და ოდნავ გამკენწლავი ხასიათი, რომლითაც გამოირჩევა ეს ვირტუოზული ცეკვა, „ხორუმში“ ცეკვის დაძაბული, მახვილი რიტმი, იგრძნობა ფიგურების სივრცეში განაწილებასა და მათ ურთიერთკავშირში, აგრეთვე მათს ზუსტ მოძრაობებში.

„ცეკვების“ სერიის შემდეგ შესრულებულ „ქართული სიმღერების“ ციკლში ძირითადი შთაბეჭდილება მონუმენტურ-სტატიკური ფორმების ერთობლიობაა. ამ ფურცლებში შთაბეჭ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მოიტაცეს თამარ ქალი...“

ლილება იქმნება კომპოზიციების დიდი ზომით, განზოგადებული ფორმებით, დენადი ხაზებით, და, რაც მთავარია, ძალზე შორეული რემინისცენციებით ფრესკული მხატვრობისა. ეს განსაკუთრებით შეეხება ფურცელს „წაიყვანეს თამარ ქალი“. ამ გრავიურის საერთო გადაწყვეტა (კომპოზიციის ცენტრში მოთავსებული დიდი თეთრი ლაქა — ქალი თეთრ ცხენზე — და მის გარშემო სილუეტურად მოცემული მამაკაცების ფიგურები შავ ცხენებზე) ხაზგასმულად სიბრტყობლივია. კომპოზიციის შექმნისას მხატვარი ბიძგს იღებს სიმღერის შინაარსიდან.

ცნობილი სიმღერა „გუშინ შვიდნი გურჯანელნი“, როგორც ვიცით, შედგება სამი სხვადასხვა ტაეპისაგან:

„გუშინ შვიდნი გურჯანელნი
სანადიროდ წასულიყვნენ,
იქ მოეკლათ თეთრი ტახი,
ხორცი მოემრავლებინათ.
ჩვენ შვიდთა ძმათა ხევსურთა
მთას მტერი გადმოგვეკიდა,
შვიდთა ვესროლეთ შვიდ-შვიდი,
არც ერთი არ მოეკიდა.
ესროლა ბერმა პაპამა,
ჯიხვი რქით გადმოეკიდა.

ყოველ ამ ტაეპს გრავიურაში შეესატყვისება ცალცალკე გამოსახულებანი.

საინტერესოა სიმღერების ციკლში თვით სიმღერის გადმოცემის მომენტები. საერთოდ, ეს გრავიურები შესრულებულია, როგორც ილუსტრაცია სიმღერისათვის. მაგრამ ამასთანა-

მედოლე

ეროვნული ბიბლიოთეკა

„თებრონე მიდის წყალზედა...“

ვე ზოგიერთ ფურცელზე გამოსახულია ხალხი, რომელიც მღერის — მაგალითად, „მე, რეგვენ-მა პატარძალმა“, „ჩვენი მასპინძლის სასახლე“. აქ ილუსტრაციაც არის და ის მოქმედებაც, რაზედაცაა აგებული სიმღერის შინაარსი.

თუ „ცეკვებში“ თვითეული ცეკვის დამახასიათებელი მოძრაობაა მოცემული, „სიმღერებში“ ქართული სიმღერის მელოდიასთან ასოციაციაა მიღწეულია საერთო რიტმული სურათით: ქართული მელოდიის დენადობა და მოქნილობა თითქოს გამოძახილს პოულობს რევაზ თარხან-მოურავის ნახატის დენად ხაზებში. „ცეკვების“ სერიაში მხატვარი ძირითადად ტეხილ, დაწყვეტილ ხაზებს ხმარობს, „სიმღერების“ სერიაში კი ნახატის ხაზის დინება რბილი და ელასტიკურია. ნახატის ეს ახალი თვისება ესტეტიკა ქართული სასიმღერო მუსიკის ხასიათს. როცა უყურებთ თარხან-მოურავის „სიმღერების“ ფურცლებს, ყურეებში მშვენიერი ქართული ჰანგები გიგუგუნეთ, და ამას იწვევს ნახატის რიტმის ბოწყინვალე შესატყვისობა მუსიკალური მოტივის რიტმთან. „სიმღერებში“ აქცენტი მწყობრი ჟღერადობის შეგრძნებაზეა გადატანილი და ეს ხშირად მიღწეულია ხაზების მიმართულებათა განმეორებით. მაგალითად, ოითქმის პარალელურადაა განლაგებული ფეხზე მდგომი კაცების მკლავები ფურცელში „ჩვენი მასპინძლის სასახლე“ და მოისართა ფიგურები ფურცელში „გუშინ შვიდნი გურჯანელნი“. ამგვარად განმეორებული მოძრაობები და პარალელური ფორმები ქართული სიმღერების შეწყობილ ხმოვანებას და მუსიკალური ფრაზის ჩვეულ განმეორებებს, რეფრენებს მოგვაგონებენ.

„სიმღერების“ ციკლი, ისევე, როგორც თარხან-მოურავის ყველა გრავიურა, გადაწყვეტილია განყენებულ ფორმებში. ადგილისა და გარემოებების აღსანიშნავად მხატვარი აქა-იქ ხმარობს საგნების მსუბუქად მომხაზავ ნახატს, იძლევა საგნის ნაწილს, რომლის მიხედვითაც ჩვენ წარმოვიდგენთ მთელს, ასეა მოცემული, მაგალითად, დედაბოძის მოტივი გრავიურებში „მე რეგვენმა პატარძალმა“ და „ჩვენი მასპინძლის სასახლე“, სადაც დედაბოძის პირობითი ნახატის საშუალებით ჩვენ გონებით აღვადგენთ ქართული „დარბაზის“ ინტერიერს. ეს მომენტი — განყენებულად მოცემული დეტალი საერთოს წარმოსადგენად — უწინაც გვხვდებოდა თარხან-მოურავის გრავიურებში, მაგალითად, გილიენის ილუსტრაციების ციკლში.

რევაზ თარხან-მოურავის გრავიურებს შორის თავისი სრულყოფილი შესრულებით ყველაზე მაღლა დგას „ლახტი“. იგი უკვე მეტყველებს ტექნიკის ოსტატურ ფლობაზე. ამ ფურცელში ძველი ქართული და დღესაც ცოცხალი თამაშის არსი შესანიშნავადაა გადმოცემული გრაფიკუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი საშუალებებით. მთელი კომპოზიცია ისეა აგებული, რომ მაყურებლის თვალწინ ფურცელი თითქოს ტრიალებს; ამ შთაბეჭდილებას ხელს უწყობს ცენტრში გამოსახული წრეხაზი და მიწა, რომელიც გადმოცემულია წრიულად განლაგებული ნაკაწრებით. წრეხაზის გარშემო დაფანტული მოთამაშეთა სხეულები უკიდურესად დაძაბულია, მათი მოძრაობა ელვისებურია. მიუხედავად იმისა, რომ „ლახტში" ნახმარია ჩვეული ხერხი, — თეთრი და შავი ლაქების დაპირისპირება, რაც ჩვეულებრივ სიბრტყობლივ ხასიათს ქმნის, — აქ ფიგურებში მოცულობა იგრძნობა. ეს მიღწეულია ფანქრით შესრულებული წინასწარი ესკიზის გულდასმით დამუშავებით. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ გრავიურაში მხატვარმა ამოწურა ფორმის ძიება. თავისი მხატვრული ღირსებებით „ლახტი" ერთი საუკეთესოთაგანია, რაც კი ლინოგრავიურის დარგში შექმნილა.

გარკვეულ ინტერესს იწვევს თარხან-მოურავის გრავიურებში ცალკეული ფიგურების დამუშავება. მარტო მდგომი ფიგურები ყოველთვის ძალზე გამომხატველია. მაგალითისათვის გავიხსენოთ ვაჟის ფიგურა გრავიურიდან „თებრონე მიდის წყალზედა". იგი ნაღდი კახელია— მისი ზანტი მოძრაობა და ტანის მოყვანილობა ამას მოწმობს. ანდა ფურცელი „მედოლე" „ცეკვების" სერიიდან. მთელი თავისი სხეულით, მთელი არსებით მონაწილეობს იგი დაკვრაში — მისი ტანი ირხევა მუსიკის ტაქტის მიხედვით. მაგრამ თარხან-მოურავის გრავიურებში ცალკეული ფიგურების გამომხატველობა თვითმიზნური არ არის. იგი ყოველთვის ემორჩილება საერთო ჩანაფიქრს, საერთო რიტმს. მხატვარი ფიგურებს ძირითადად კონტურით გამოსახავს. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს გილიენის ილუსტრაციებში: „ჩვენი სამშობლო" და „იმღერე, ხუან ბიმბა", სადაც მთელი ნახატი გადმოცემულია სილუეტით, იმ დროს, როცა შიდაფორმა დაუმუშავებელი რჩება. ასე იქცევა მხატვარი იმ შემთხვევაშიაც, როცა გამოსახავს შიშველ სხეულს ან პირისახეს. უნდა აღინიშნოს, რომ ეს უფრო მხატვრის ადრინდელ ნაწარმოებებს ახასიათებს — გილიენის ილუსტრაციებსა და ქართული ცეკვების სერიას, „სიმღერებში" კი, განსაკუთრებით „ლახტში", უკვე სხვაგვარ მიდგომას ვხედავთ. აქ ასევე სიბრტყობლივად გადაწყვეტილ ნახატში უკვე იგრძნობა შიდაფორმის წინასწარი დამუშავება, რის შედეგადაც მთელი თავისი პირობითობის მიუხედავად ფიგურების კონტურები უფრო გამომხატველია და უფრო ზუსტად გადმოცემენ ნატურას.

თარხან-მოურავის მიერ შექმნილი ფორმები განზოგადებული ხასიათის მქონეა. ამასთან ერთად, ნახატი ისეა განაწილებული ფურცელზე, რომ კომპოზიციები მონუმენტურ ხასიათს იღებენ.

თარხან-მოურავის გრავიურები მკაფიოდ გამოკვეთილი სტილისტური ნიშნებით ხასიათდე-



„ჩვენი მასპინძლის სასახლე..."

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ბერიკაცი და ზღვა“

ბა. მისი მხატვრული „ხელი“ თავისებური, ინდივიდუალურია. თარხან-მოურავის ლაკონური კომპოზიციების სიბრტყობლივად აგებული ფურცლები, განყენებულად გადმოცემული სცენები, და, რაც მთავარია, თავისებური ექსპრესიით აღსავსე ფორმები — გამოარჩევს მის ნამუშევრებს მრავალ სხვა ნაწარმოებს შორის.

გრაფიკული თვალსაზრისით მისი გრავიურები აგებულია ფიგურების სილუეტურობისა და ფონთან დაპირისპირების პრინციპით, რაც საერთოდ სიბრტყობლივ ხასიათს ქმნის. ამასთანავე, არის შემთხვევები, როცა ადამიანთა ჯგუფები და მათი ურთიერთკავშირი გაშლილია სივრცეში, რასაც მოწმობს ფიგურებიდან დაცემული ჩრდილები. ამავე დროს ასეთ შემთხვევებში ფონი მოცემულია სრულიად აბსტრაქტულად და განყენებულად (მაგალითად, ცეკვა „ხორუმი“). ასეთი მომენტი შემთხვევითი არაა: მხატვარი ამ წინააღმდეგობის ხერხით აღწევს ყურადღების უდიდეს კონცენტრაციას შინაარსობრივ მხარეზე.

თარხან-მოურავის მიერ შექმნილი ფორმები მკაფიო ნაციონალურ-ეროვნულია, მისი ტიპაჟი, მოძრაობანი, „ქართული ცეკვებისა“ და „სიმღერების“ მდიდარი, მრავალფეროვანი რიტმიკა, ზოგან ძახვილი, ცეცხლოვანი, ზოგან დინჯი და დენადი — კარგად გადმოცემს ეროვნულ ხასიათს.

მხატვრის ნამუშევრები შესრულებულია ტექნიკის ოსტატური ფლობით. მასალის გრძნობა მას საშუალებას აძლევს თავისი კომპოზიციები იმგვარად ააგოს, რომ გამოიყენოს ლინოლეუმის ფიზიკური თვისებები. მისი ნახატი შეესატყვისება ლინოლეუმის ბუნებრივი ნახევების ხაზების ხასიათს. ამის კარგი მაგალითია გრავიურა „ვენეციელა“, რომელიც მთლიანად ფლეთილი ხაზებითაა აგებული. მისი ფონი — „კაკტუსები მთვარის შუქზე“ თითქმის ფეერიულ ეფექტს ქმნის. მასალის ცოდნითაა შეპირობებული ისიც, რომ თარხან-მოურავის გრავიურებს არასოდეს არა აქვს გეომეტრიულად სწორი წიბოები.

მასალის ამგვარ გამოყენებაში მეღავნდება მხატვრის ნიჭი, რომელიც ნახატის გამომხატველობით ძალას მასალისათვის დამახასიათებელ ხაზებში პოულობს (ამ შემთხვევაში — მის მიერ ხმარებული ლინოგრავიურის სპეციფიკაში).

თარხან-მოურავის გრავიურებში გრაფიკამ მიიღო ის თვისებები, რომელთა მიხედვითაც ეს უკანასკნელი გახდა ხელოვნების დამოუკიდებელი დარგი. ახალგაზრდა ქართველ მხატვართა შორის მან პირველმა, მოგვცა სპეციფიკურად გრაფიკული გადაწყვეტანი: მისი ფურცლები არა გრავირებული სურათებია, არამედ სწორედ გრავიურები — გრაფიკა მთელი თავისი სპეციფიკით, თავისი საკუთარი ენით. მისი ელემენტებია: სიბრტყე, ხაზი, ლაქა, თეთრი და შავი ფერების მკაფიო დაპირისპირება.

ასეთი გრავიურების გამოჩენა ახალი მოვლენაა ქართულ საბჭოთა გრაფიკაში. რევაზ თარხან-მოურავის შემოქმედება ღირსშესანიშნავი მოვლენაა ჩვენს მხატვრობაში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პავლე ინგოროყვა

ილია ჭავჭავაძის ორი წერილი

„ცისკრის“ 1961 წლის მარტის ნომერში ჩვენ გამოვაქვეყნეთ ილია ჭავჭავაძის წერილების ერთი ციკლი 1863 წლისა.

ამჯერად ჩვენი საუბრის საგანი იქნება ილიას ორი წერილი:

წერილი პეტერბურგის ქართველ სტუდენტებისადმი, 1897 წლის 5 აპრილისა;

წერილი ნიკო ნიკოლაძისადმი, 1873 წლის 6 დეკემბრისა.

I

წერილი პეტერბურგის ქართველ სტუდენტებისადმი, 1897 წლის 5 აპრილისა.

გაზეთი „ი ვ ე რ ი ა“, ორგანო ილია ჭავჭავაძისა, 1897 წელს ფართოდ გამოეხმაურა ბერძნების აჯანყებას კუნძულ კრიტოსზე ოსმალეთის მფლობელობის წინააღმდეგ, რომელიც მიზნად ისახავდა საბერძნეთის ძველი განუყოფელი ნაწილის კუნძულ კრიტოსის დედა-საბერძნეთთან შეერთებას. ილიამ 1897 წლის დასაწყისში ბერძნების ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას უძღვნა ორი წერილი, რომლებიც დაიბეჭდა „ივერიაში“. პირველი წერილი დაიბეჭდა 10 თებერვალს 1897 წლისა (№ 22), მეორე წერილი 13 მარტს (№ 48).

ბერძნების ბრძოლას კუნძულ კრიტოსის გასანთავისუფლებლად დიდი გამოძახილი ჰქონდა ქართველ სტუდენტობაში.

1897 წლის 27 მარტს პეტერბურგის ქართველმა სტუდენტობამ გამოუგზავნა ილია ჭავჭავაძეს წერილი, რომლითაც ატყობინებდნენ ილიას, თუ რა სახით აპირებს პეტერბურგის ქართველი სტუდენტობა გამოეხმაუროს ბერძნების ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, და სთხოვდნენ ამის გამო რჩევას.

პეტერბურგის ქართველ სტუდენტების ამ წერილს თავში, მისამართის სახით, აწერია ზოგადად — „ივერიის“ რედაქციას“, თუმცა წერილი პირადად ილია ჭავჭავაძესთან იყო გამოგზავნილი. წერილის ტექსტშიაც ილია სახელდებით არსად არ არის მოხსენებული, ცხადია იმის გამო, რათა ილიას მონაწილეობა ზედმეტად და ნიშანდობლივად ხაზგასმული არ ყოფილიყო. (თვით წერილიც, საფიქრებელია, არ იყო ფოსტით გამოგზავნილი, არამედ ჩამოტანილი საგანგებოდ ჩამოსული პირის მიერ [1]). რომ წერილი პირადად ილიასთან იყო გამოგზავნილი, ეს ირკვევა ილიას საპასუხო წერილიდან.

მოგვყავს აქ სრული ტექსტი ქართველი სტუდენტების ამ წერილისა [2].

---

[1] პეტერბურგის სტუდენტობას, როგორც ირკვევა წერილიდან, ამავე საკითხის გამო კავშირი გაუბამთ აგრეთვე რუსეთის სხვა ქალაქების სტუდენტობასთან.

[2] წერილი დაცულია ილიასადმი მიმართული წერილების კოლექციაში, რომელიც ინახება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში (ილიას ფონდში № 225).

ეროვნული ბიბლიოთეკა

22 მარტი, 1897 წ.
პეტერბურღი.

„ივერიის“ რედაქციას.

„კრიტოსი და საბერძნეთი“! გაისმის ერთგან, — „კრიტოსი და ოსმალეთიო“! გაისმის სხვაგან და ბოლო დროს მთლად დედამიწის ზურგი, განათლებულ ევროპიდამ მოკიდებული, მხოლოდ იმის გონებაშია, თუ ერთის მხრით შევიწროებულ, მაგრამ სულით ძლიერთა კრიტოსელთა, მასთან ბერძენთა, და მეორის მხრივ თავხედ და შეუგნებელ ოსმალთა საქმე რით დაბოლოვდება. კრიტოსელნი და ბერძენნი — ეს განუყრელნი ძმანი, რომელთაც ესოდენ დიდი ძალა შესწევთ, რასაკვირველია სულიერი და არა სხვა (თორემ ევროპის ძლიერ სახელმწიფოთა ჯარებს რა გაუმაგრდებოდა?), საგმირო მოედანზედ გამოსულან, ევროპის წინაშე ეროვნული თავისუფლების დროშა აუმართნიათ და საყოველთაოდ აღიარებენ: „ერის თავისუფლებას პატივი ეცით“-ო! ამათ თანაუგრძნობს ევროპის საზოგადო აზრი, ძმურად ხელს უწვდის და გამარჯვებას უნატრის; ამხნევებს და აათკეცებს გმირთა სიყვარულს თავისუფლებისა მიმართ, რომლის პატივიც შეუგნებელმა და ბარბაროსმა ოსმალომ ჯერ არ იცის. მაგრამ საზოგადოების აზრს პოლიტიკის ბორკილი ადევს და ხელ-ფეხი შეკრული აქვს. უკეთესს მდგომარეობაში არც ევროპის სახელმწიფოთა მმართველნი არიან, გარდა ერთისა!.. და ვგონებთ სწორედ ის ერთია მხოლოდ მიზეზი, რომ დღეს დიდი სახელმწიფონი სასაცილო თვალხუჭიანობას თამაშობენ. იმავე დროს-კი საზოგადოების აზრი, სინიდისი და სამართლიანობა მოსვენებას არ აძლევენ! ერთი სიტყვით, დღეს მთელი ევროპის თანაგრძნობა მიმართულია საბერძნეთისაკენ, რომელიც ეროვნულს პრინციპს, შევიწროებულ ერთა თავისუფლებას საქკეყნოდ აღიარებს და მაგალითს გვიჩვენებს, თუ თავგანწირვა და სიკვდილი როგორ უნდა ამ საქვეყნო მადლის სადიდებლად.

დიდს სახელმწიფოებს, რომელთაც ერთის დამთქნარებით შეუძლიათ საბერძნეთის მიწასთან გასწორება, ამ საზარელს ვეშაპთ ბრძოლის საქმეებში, არ უშინდებიან ბერძნები და წარბშეუხრელად იმეორებენ: „ერი ერს ან არა და სიკვდილი“-ო! შემკრთალნი მთავრობანი ამ სამართლიანის მცნების წინაშე მორცხვენით ღუნავენ თავს და ჯერჯერობით მხოლოდ უაზროდ აფათურებენ ხელებს; კრთიან, მაგრამ სულ სხვა მიზეზით... აზრი საზოგადოებისა უკვე ცნობილია და ამ აზრს უერთდება ყველა, ვის ყურამდის კი კრიტოსის შვილების ამბავს მოუხწევნია. ამ დიდებულს ხმას ერთა თავისუფლებისას ბანს აძლევენ ყველა ისინი, ვინც კრიტოსელთაებრ სხვის უღლისა ქვეშ ქედს იხრიან. მაგრამ მოვა დრო და ევროპა სულ სხვა სამართლის გზას დაადგება და აღიარებს ერთა თავისუფლებას.

ამის [გამო] პეტერბურგის ქართველმა სტუდენტებმა გარდავწყვიტეთ: გავუგზავნოთ ბერძნებს (ათინელს სტუდენტობას) თანაგრძნობის წერილი ან დეპეშა და ამით ნათელ ვჰყოთ, რომ ჩვენთვისაც ისე ძვირფასია თავისუფლება, როგორც კრიტოსელებისათვის. მაგრამ ჯერჯერობით არაფერი გაგვიგზავნია, რადგან გვსურდა დაგკითხებოდით, თუ თქვენ რა აზრის ბრძანდებით ამ საგნის შესახებ, და მეორეც უკეთესი იქნებოდა მთლად ყველა ქართველი სტუდენტებისაგან გაგზავნილიყო ასეთი თანაგრძნობის წერილი. ჩვენ სტუდენტებისაგან პასუხს მალე შევიტყობთ; გთხოვთ თქვენც ნუ დაგვიგვიანებთ პასუხს. ამასთანავე გვაცნობეთ, რა მოსაზრებით იხელმძღვანელებთ საგნის გადაწყვეტის დროს. ეს ჩვენთვის აუცილებელი საჭიროა.

ამასთან გიგზავნით პირს იმ წერილისას თუ დეპეშისას, რომელიც განზრახულია გაიგზავნოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვენი ღრმად პატივისმცემელი პ[ეტერბურ]გის ქართველი სტუდენტობა.
პასუხი ამ ადრესით: СПБ, Екатерингофский пер. 15, кв. 6, ვიქტორ კალანდაძეს".

სამწუხაროდ ჩვენ დღემდე არ მოღწეულა პირი თვით იმ წერილისა, რომელიც განზრახული იყო გაეგზავნათ ათინელი სტუდენტებისათვის.

*

ზემოთმოყვანილი წერილი ილია ჭავჭავაძისადმი, და ათენელ სტუდენტთათვის გასაგზავნი წერილის ტექსტი, მიღებული ყოფილა პეტერბურგის ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს სხდომაზე.

1897 წელს პეტერბურგის ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს თავმჯდომარე იყო სამსონ ფირცხალავა, შემდეგ ცნობილი პუბლიცისტი (წერდა ფსევდონიმით „ს ი ტ ყ ვ ა"). გამგეობის მდივანი იყო ვიქტორ კალანდაძე (წერილის ბოლოს ამ უკანასკნელის მისამართი არის ნაჩვენები პასუხისათვის).

ს. ფირცხალავას არქივში მოიპოვება ჩანაწერი განსვენებული მწერლისა ზემოთმოყვანილი წერილის გამო:

„ეს წერილი ჩემი დაწერილია და ჩემის ინიციატივით გაიგზავნა. მე მაშინ ჩვენი სათვისტომოს გამგეობის თავმჯდომარე ვიყავი. ს. ფირ[ცხალავა]".

(ს. ფირცხალავას იმავე ჩანაწერში აღნიშნულია, რომ „კალანდაძე გამგეობის მდივანი იყო").

ირკვევა ამასთან, რომ ქართველ სტუდენტობას ზემოთმოყვანილი წერილი გამოუგზავნია როგორც ილია ჭავჭავაძისათვის, ისე მეორე ქართული პოლიტიკური ორგანოს „კვალის" ხელმძღვანელის გიორგი წერეთლისათვის.

პეტერბურგის ქართველი სტუდენტობის ამ წერილზე პასუხი გაუციათ, როგორც ილია ჭავჭავაძეს, ისე გიორგი წერეთელსაც.

ს. ფირცხალავას არქივში მოიპოვება შემდეგი ჩანაწერი ილია ჭავჭავაძის და გიორგი წერეთლის საპასუხო წერილების გამო:

„ეს წერილი [პასუხი ილია ჭავჭავაძისა] და გ. წერეთლის პასუხიც მე მქონდა და მერე კი წ.-კ. საზოგადოებას გადავეცი. — ილია რომ გარდაიცვალა, მის ქაღალდებში აღმოჩნდა წერილის შავი. ს. ფ[ირცხალავა]".

ს. ფირცხალავა თავის მოგონებებში, რომელიც მწერალს თავის სიცოცხლის უკანასკნელ წლებში დაუწერია (მოგონებების ხელნაწერი ტექსტი დაცულია საქართველოს სალიტერატურო მუზეუმში L — 10735), გადმოგვცემს უფრო დაწვრილებითს ცნობებს ამ ამბების გამო. ავტორი ამ მოგონებებში წერს:

„1897 წელს საბერძნეთის და ოსმალეთის ომი ატყდა, რამაც ჩვენში ერთნაირი იმედები გამოიწვია — საერთაშორისო გართულების, რუსეთის ომში ჩარევის, მისი პოლიტიკური წყობილების დანგრევის, ცვლილებების. გავაკეთეთ საბერძნეთის დროშა, მოვიწვიეთ სათვისტომოს კრება (მე გამგეობის თავმჯდომარე ვიყავი მაშინ) თანაგრძნობის გამოსაცხადებლად **საბერძნეთისათვის**. მივედით დელეგაცია საბერძნეთის ელჩთან, — იმან გვირჩია, თანაგრძნობის დეპეშას თქვენ თვითონ ნუ გაგზავნით, ეს სახიფათოა თქვენთვის, მე გადავცემ პირადად ჩემს მთავრობას თქვენს თანაგრძნობასო. ამ ჩვენი განზრახვის გამო წერილებით შეეკითხეთ ი. ჭავჭავაძეს („ივერია") და გ. წერეთელს (წერილი ჩემი დაწერილი იყო). პასუხი მივიღეთ. გ. წერეთელი მოკლედ გვწერდა: თქვენი — ახალგაზრდების — გული მუდამ იქ უნდა იყოს, სადაც ბრძოლაა თავისუფლებისათვისო. ილიამ კი ვრცელი ბარათი გამოგვიგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზავნა: გვიწონებდა განზრახვას, მაგრამ გვაფრთხილებდა, ქართველებს საკუთარი საქმე გვაქვს, ამისთვის უნდა შევინახოთ თავი, მოვემზადოთო. ეს წერილები მე წ-კ. საზოგადოებას გადავეცი, როცა მის მდივნად ვიყავი. ი. ჭავჭავაძე რომ გარდაიცვალა და მე წ-კ. საზოგადოების გამგეობის დავალებით ჩავიბარე მისი თბილისის ბინის ნივთები, აღმოჩნდა შავი ილიას გამოგზავნილი წერილისა. შავი და თეთრიც ახლა საქართველოს მუზეუმში უნდა ინახებოდეს".

ამრიგად წერილის ის დედანი, რომელიც ილიას ქართველი სტუდენტებისათვის გაუგზავნია, და აგრეთვე გიორგი წერეთლის წერილის დედანი, ს. ფირცხალავას წერა-კითხვის საზოგადოებისათვის გადაუცია.

წერა-კითხვის საზოგადოების ხელნაწერთა კოლექციაში (რომელიც ამჟამად დაცულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში) არ მოიპოვება ილიას წერილის ის დედანი, რომელიც გაეგზავნა პეტერბურგის ქართველ სტუდენტობას (შენახულა მხოლოდ შავი წერილისა, რომელიც აღმოჩნდა ილიას ხელნაწერებში); ამ კოლექციაში არ მოიპოვება აგრეთვე არც გიორგი წერეთლის წერილის დედანი.

რა ბედი ეწია მათ?

ილიას ტრაგიკული დაღუპვის შემდეგ ვალერიან გუნია თავის ჟურნალ „ნიშადურში", როგორც ცნობილია, აქვეყნებდა მასალებს ილია ჭავჭავაძის შესახებ და კერძოდ ილიას წერილებსაც. წერა-კითხვის საზოგადოებიდან ვალერიან გუნიასათვის გადაუციათ გამოსაქვეყნებელად ილიას წერილი ქართველი სტუდენტებისადმი, როგორც ირკვევა თვით დედანი ამ წერილისა (და მასთან ერთად, ჩანს, გადაუციათ აგრეთვე გიორგი წერეთლის წერილიც). ვალერიან გუნიამ ილიას წერილი დაბეჭდა თავის ჟურნალში 1908 წელს № 59 (გიორგი წერეთლის წერილის ტექსტი ვალერიან გუნიას აღარ გამოუქვეყნებია).

ამის შემდეგ ხელნაწერი დედანი ილიას წერილისა (და მასთან გიორგი წერეთლის წერილის დედანიც) როგორც ირკვევა, რედაქციაში დარჩენილა.

უფრო გვიან დედანი ორივე წერილისა ქუთაისში მოხვედრილა. გიორგი წერეთლის წერილის დედანი ამჟამად დაცულია ქუთაისის საისტორიო არქივში. ქუთაისშივე აღმოჩნდა აგრეთვე ილიას წერილის დედანი, რომელიც ამჟამად შემოვიდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში (ილიას ფონდი № 499).

ამრიგად, ჩვენს დრომდე მოღწეულია ილიას წერილი ორი ვარიანტით:

1) წერილის პირველი შავი, რომელიც ს. ფირცხალავამ იპოვა ილიას ხელნაწერებში (და რომელიც ამჟამად დაცულია საქართველოს სალიტერატურო მუზეუმში).

2) წერილის საბოლოო ტექსტი, რომელიც გაეგზავნა პეტერბურგის ქართველ სტუდენტებს (რომლის ტექსტი პირველად დაბეჭდა ვალერიან გუნიამ 1908 წელს, და რომლის ხელნაწერი დედანი, თვით ილიას ავტოგრაფული ხელნაწერი, ამჟამად ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება).

წერილის ეს ორი ვარიანტი, — პირველი შავი წერილისა და წერილის საბოლოო ტექსტი — განსხვავდება ერთმანეთისაგან. ილიას წერილზე ბევრი უფიქრია და გადაწერის დროს წერილის ტექსტი გადაუმუშავებია და შეუვსია.

წერილის საბოლოო ტექსტში ილიას ჩაუწერია შემდეგი ანდერძი ქართველი სტუდენტებისადმი:

„გიყვარდეთ თქვენი ქვეყანა და ამ სიყვარულს ანაცვალეთ ყოველისფერი".

ეროვნული ბიბლიოთეკა

*

ამ წინასწარ განმარტებათა შემდეგ ვბეჭდავთ ილიას წერილს, მის საბოლოო ტექსტს, როგორადაც იგი წარმოდგენილია ილიას ავტოგრაფში და რა სახითაც იგი გაეგზავნა პეტერბურგის ქართველ სტუდენტებს.

აღსანიშნავია, რომ ამ წერილის ტექსტი, რომელიც პირველად ვალერიან გუნიამ გამოაქვეყნა 1908 წელს, გადავიწყებულ იქმნა. მას შემდეგ ილიას ეს წერილი რამდენჯერმე დაიბეჭდა, მაგრამ არა საბოლოო ტექსტის მიხედვით, არამედ წერილის პირვანდელი შავის მიხედვით, რომელიც განსხვავდება წერილის საბოლოო, უფრო სრული რედაქციიდან.

აღსანიშნავია ამასთან, რომ წერილის არც 1908 წლის პუბლიკაცია არის უნაკლო. (ასე, მაგალითად, 1908 წლის ნაბეჭდში გამოტოვებულია სათარიღო მინაწერი, რომელიც მოიპოვება ხელნაწერ დედანში. ამას გარდა არის აგრეთვე ზოგიერთი ტექსტუალური განსხვავება 1908 წლის ნაბეჭდი ტექსტისა ხელნაწერ დედანთან შედარებით, ზოგი ადგილი ხელნაწერისა არა სწორად ამოკითხულია. გამოტოვებულია სიტყვები და სხვ.)

მოგვყავს სრული ტექსტი ილიას წერილისა ილიას ავტოგრაფული ხელნაწერის თანახმად.

წერილი პეტერბურგის ქართველ სტუდენტებისადმი

5 აპრილი, 1897 წ.
ქ. ტფილისი.

მოწყალეო ბატონებო, მე დიდ პატივად მიმაჩნია, რომ თქვენ ინებეთ და ჩემი სარჩიელი მოითხოვეთ. გთხოვთ მიიღოთ ჩემგან უუგულითადესი მადლობა ამნაირ, ჩემ მიერ არადამსახურებულ პატივის-ცემისათვის. ხოლო ეს-კი უნდა მოგახსენოთ, რომ თქვენმა წერილმა ორ ცეცხლ შუა დამაყენა. ერთის მხრით ყოვლად პატიოსანი გულთა-ძვრა თქვენი დამიდგა თვალწინ, გულთა-ძვრა საქვეყნო, გულთა-ძვრა ბრწყინვალე და დიდებული, რომლის ღაღადის წინაშე აღტაცებით და სასოებით მუხლი უნდა მოიდრიკოს ყოველმა რიგიანმა კაცმა. მე მივხვდი და ვიწამე, რომ ამ კეთილშობილებით აღსავსემ გულთა-ძვრამ აღმოგიშობათ სურვილი ქება-დიდებით და ლოცვა-კურთხევით მიჰმართოთ ჩაგრულთა, რომელთაც თავი გამოიდეს ხსნისათვის. ძნელია პატიოსანი კაცი გაუმაგრდეს ამ მშვენიერსა და ყოვლად თავმოსაწონებელს გულთა-ძვრას, და განსამხნევებელად, თუ ხელი არა, გული მაინც მიაწოდოს შორიდამ დიდებულ საქმისათვის თავგამოდებულთა, რომელთაც ხელის ღონე არ შესწევს ძლიერებას გულისას. კაცთა საუბედუროდ, დღევანდელი დღე მუშტისაა, ძალა ჰხნავს აღმართსა. მით უფრო საქებ-სადიდებელია უღონო ჩაგრულთა მოქმედება. მე არ ვეჭვობ, რომ დრო მოვა და თავისუფლება და სამართალი, რომლის სახელით დღეს ბერძენი გამოდის, დაემჯობინება მთელ სპა-ლაშქარსა და წინაშე მათთა ხმას გაიკმენდს თოფი და ზარბაზანი. აქ არის ყოვლად-მხსნელი ღონე და სასოება ადამიანისა და ამის მაგალითს დღეს თვალწინ გვიყენებს ერთი მუჭა ერი საბერძნეთისა. შეიძლება-ღა ამაზე უდიდესი მაგალითი! არ მიკვირს, რომ ამის მნახველს ქართვლის სტუდენტობას გული ანთებია თანაგრძნობით, კვნესით შეჰნატრის ბერძენს და ლოცვა-კურთხევას უთვლის. ძნელია კაცმა ამ მხურვალე და ბრწყინვალე გრძნობას ადამიანისას, ასეთის პატიოსან გულთა-ძვრისაგან მოვლინებულს, ცივი ანგარიში დაუყენოს წინ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ, რაკი პატივი დამდევით და ჩემი აზრი მოითხოვეთ, არ შემიძლიან ამ ცოვა ანგარიშს არ მივცე თავი და ჩემი გულთ-ნადები არ მოგახსენოთ გულახდილად. ჩვენი მშობელი ქვეყანა ყველა სხვა ქვეყანაზე ჩვენთვის უფრო საფიქრებელი და საზრუნველია. აქ არავისის ძრახვას და საყვედურს არ ვერიდები. ჩემი მრწამსი ეს არის. ადამიანი ასეა გაჩენილი: თავისიანს უფრო ჰრჩეობს, ვიდრე სხვას. თქვენ ჩემზედ უკეთ მოგეხსენებათ, — რა ხართ თქვენ, უმაღლესის სწავლისათვის გადახვეწილნი ქართველნი, ჩვენის ავ-ბედიანის ქვეყნისათვის. მთელი სასოება ჩვენის ქვეყნისა თქვენზეა დამყარებული. ჩვენი ხვალე, ჩვენი მერმისი თქვენა ხართ. თქვენ რომ თქვენი პირდაპირი საქმე არ შეგასრულებინონ და ამის გამო შესაფერის სწავლა-ცოდნით და განათლებით არ მოუხვიდეთ თქვენს ქვეყანას, ვისისა-ღა იმედზე დარჩეს? აშკარაა, იგი რაც თქვენს პატიოსანს გულს მოუწადინებია, არ მოეწონება ვისაც ჯერ არს და ვაი თუ გეზიანოთ რამე. თქვენი ზიანი, თქვენი შეფერხება, ჩვენი ქვეყნის ზიანი და შეფერხებაა. გარდა ამისა, დღეს გაფიცხებული დავიდარაბა აგვიჩნდა — და ამ დროს რომ მიზეზი რამ მივცეთ, მთავრობა ჩვენზე ავის თვალით მოახედონ, ჩვენი საქმე დიდ ხიფათში ჩაგვივარდება, თუ მთლად არ დაგვეღუპება. თქვენ მიერ განზარხული თუ ასრულდა, საიდუმლოდ არ დარჩება. დიდი შიშია, რომ ჩვენმა მტრებმა ჩვენდა თავში საცემლად არ გამოიყენონ, აი სად და სით უფრინავთ ქართველებს გონებაო.

განსაცდელი და საფრთხე დიდია. განა საფიქრებელი არ არის, რომ თქვენი ბედი და, მაშასადამე, ბედი თქვენის ქვეყნისა, ამ საფრთხესა და განსაცდელში არ ჩავარდეს! ბერძნებს თქვენი თანაგრძნობა, რა თქმა უნდა, იამებათ, მაგრამ ბევრს არას არგებს. მაგ თანაგრძნობას ხელში დასაჭერი და გამოსაყენებელი სიკეთე არა მოსდევს რა, გარდა გულთა-ძვრის და გულთა-თქმის გარედ გამოფენისა და, მაშასადამე, საკუთარის თავის კმაყოფისა.

კიდევ მოგახსენებთ, მე მესმის მთელი პატიოსნება და კეთილშობილება თქვენ მიერ მოწადინებულისა. არც თავის დღეში ეჭვი არა მქონია, რომ ჩვენს ყმაწვილკაცობას გული არ ერჩოდეს, არ ეძროდეს ყოველ პატიოსნურ საქმისათვის. მაგრამ რა ვქნათ? ბედმა ამისთანა დღეში ჩაგვაგდო, რომ ჩვენის სიკეთისაგან სხვისთვის ვერ გავწირავთ ვერარას, ყოველივე ჩვენი კეთილი ჩვენს ქვეყანას უნდა მოვახმაროთ და ამისათვის ყველა სხვა წყურვილი უნდა მოვიკლათ. ნუ მიწყენთ, რომ მოგახსენოთ ჩემით კი არა, ჩემისა და თქვენის ქვეყნის სახელითა: სასწავლებლად წასულხართ, ისწავლეთ, ცოდნა შეიძინეთ, ჯერ ხანად ნურც აქეთ გადიხევთ, ნურც იქით, მარტო სწავლა-ცოდნას შეალიეთ თქვენი დღენი და თქვენი სურვილნი და ამ ორის უუძლიერესის ფარ-ხმალით მოდით და ეპატრონეთ თქვენდა მოსავს ქვეყანასა, რომელსაც ჯერ სხვა სავედრებელი თქვენს წინაშე არა აქვს-რა და რომელიც ამ გზით მოიღის თქვენგან ხსნასა და ბედნიერებასა. ქვეყანა ამითი კი არ არის უბედური, რომ ღარიბია, არამედ იმითი, რომ მცოდნე, გონება-გახსნილი, გულ-განათლებული კაცები არა ჰყავს. აი თქვენი თავი რად გვიღირს ასე ძვირად, და სიძუნწეში ნურავინ ჩამოგვართმევს, რომ სხვისთვის არც ერთის თქვენგანის თმის ბეწვსაც ვერ ვიმეტებთ. თქვენ თქვენის ქვეყნისათვის ხართ საჭირონი. იქნება დამძრახოთ და მაინც კი ვიტყვი, რომ იქ, საცა ერთი მხრით სამშობლოა და მეორე მხრით სხვა, სხვას მარტო ნამეტანობისაგან უნდა მიეცეს. ნამეტანობამდე, ჩვენდა საუბედუროდ, ჯერ შორსა ვართ, და რაც ჩვენთვის საკმარიც არ არის, ჩვენთვისვეა საჭირო და იგი მარტო ჩვენს სამშობლოს უნდა გამოვუზოგოთ და შევწიროთ. აქ დიდად მოსარიდებელია მცირეოდენი განსაცდელიც კი, რომელიც თქვენს სწავლა-ცოდნის წყურვილს წყაროს დაუშრობს. თუ აქ ჩემი წინასწარ-ხედვა განსაცდელისა ცდომაა, ისევ სჯობია კაცი განსაცდელის ხედვაში შესცდეს, ოღონდ მოერიდოს-კი, იმიტომ რომ თვალწინ მიდგა ჩვენი საწყალი ქვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყანა, უკაცურობით ღონემიხდილი და ჯანმიღებული. უთქვენობა რომ ძვირად არ უჯდებოდეს ჩვენს ქვეყანას, არ ამოგიფრთხობდით გულიდამ მაგ პატიოსანს გულთა-თქმას. შიში განსაცდელისა აქ საბუთია და სამართლიანი. გიყვარდეთ თქვენი ქვეყანა და ამ სიყვარულს ანაცვალეთ ყოველისფერი.

„საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს კარგისა მამაცისაგან“...

ეს არის ჩემი რჩევა, რჩევა თქვენის ქვეყნის შვილისა.

ილია ჭავჭავაძე

ილიას ამ დიადი წერილის გამო, რომელიც განათებულია სამშობლოს სიყვარულის ელვარებით, ჩვენ შეგვიძლია აღარ გავაგრძელოთ სიტყვა. იგი თვით მეტყველებს.

დასასრულ დაგვრჩენია აღვნიშნოთ, რომ საბერძნეთის მხარეზე მებრძოლთა შორის ქართველი მოხალისენიც ყოფილან. გაზეთ „ივერიაში“, 1897 წლის 30 ივნისის ნომერში (№ 121) მოხსენებულია ორი ქართველი მოხალისე, რომელთა სახელი მოხვედრილა ევროპულ პრესაში. გაზეთ „ივერიის“ დასახელებულ ნომერში ვკითხულობთ:

„გაზეთების სიტყვით, საბერძნეთში თავისუფალ მეომართა შორის 2 ქართველიც ყოფილა: ე. შევარ[დ]ნაძე და ციკლიძე“.

აქ მოხსენებულია, როგორც აღვნიშნეთ, მხოლოდ ის პირნი, რომელთა სახელები მოხვედრილა ევროპულ პრესაში.

ვინ იყვნენ ეს ორი კეთილშობილი ახალგაზრდა, ერთა თავისუფლების საქმისათვის მებრძოლნი, — მათ შესახებ ცნობები ვერ მოვიძიეთ.

II

ილიას წერილი ნიკო ნიკოლაძისადმი

1873 წლის 6 დეკემბრისა.

მეორე წერილი ილიასი მეოთხედი საუკუნით უფრო ადრინდელია ზემოთ დაბეჭდილ წერილთან შედარებით. იგი ეკუთვნის სამოცდაათიანი წლების დასაწყისს, 1873 წელს, და მიმართულია ნიკო ნიკოლაძისადმი.

1860-იანი წლების ბოლოს და 1870-იანი წლების დასაწყისში ქართულ პუბლიცისტიკაში გაიელვა ნიკო ნიკოლაძის ბრწყინვალე ტალანტმა.

მაგრამ ნიკო ნიკოლაძეს, რომელსაც ილია ჭავჭავაძემ სამართლიანად უწოდა „მდუღარე ადამიანი“, ჰქონდა თავის რთულ სალიტერატურო გზაზე რამდენიმე ტეხილი.

1873 წელს, ნიკო ნიკოლაძემ, ევროპაში გამგზავრების წინ, გაზეთ „დროებაში“ გამოაქვეყნა წერილი „მშვიდობით, მშვიდობით“. რომ მკითხველმა გაითვალისწინოს ამ წერილის შინაარსი, მწერლის სულის-კვეთება, მოგვყავს მისი დასაწყისი:

„მშვიდობით, მშვიდობით!

„ხვალ-ზეგ მე ხელახლა ვტოვებ „დროების“ ნიადაგი თანამშრომლობის უმადურ და მომბეზრებელ ღვაწლს. მკითხველს თავს როდიღა მოაწყენს ჩემი ნაწერის კითხვა, და მსმენელს — ჩემ პიროვნებაზე, ნაწერზე და ხასიათზე სჯის მოსმენა. სხვა, უფრო ახალგაზრდა და გულლმობიერი მწერლები ახალ საგნებზე და მოვლენებზე წერა-ბეჭდვას და ბაასს გამართავენ, და ყველაფერს, რაც კი აღაშფოთა ან შეარყია ჩემმა ნაწერმა, მიყრუების და დავიწყების მალამო წაეცხება...

„როგორც მკვდრისათვის, ჩემთვისაც დადგება ჯერ მოსვენებული და პირუთვნელი სჯის, და შემდეგ, მალე, ძლიერ მალე, სრული მივიწყების დრო. დაღა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლული, დაქანცული, ილაჯ-გაწყვეტილი ვტოვებ მე ჩვენი მწერლობის ასპარეზს და ჩვენი სამშობლოს ჰაერს. სრული ბედნიერებით ვეთხოვები ყველას, ვისაც ვძულვარ ან უყვარვარ, ვესალმები ყველას, ვინც მებრალება ან მიყვარს, და მტერ-მეგობარს ნეტარებით ვეუბნები — მშვიდობით, მშვიდობით.

„შავი ზღვის ზამთრის ქარიშხალი, ევროპის აღელვებული ცხოვრება, ახალი წრე, ძველი მეგობრები, მეც მალე დამავიწყებენ აქაური უთავბოლო ბრძოლის დაღალულობას"...

*

ასეთი ხასიათისაა ნიკო ნიკოლაძის ეს წერილი (სრული ტექსტი წერილისა იხ. გაზეთი „დროება", 1873 წ., 16 ნოემბერი; ნიკო ნიკოლაძის რჩეული ნაწერების კრებული, 1932 წ. ტ. II, გვ. 107 — 110).

წერილი ხელმოწერილი იყო ნ. ნიკოლაძის საყოველთაოდ ცნობილი ლიტერატურული ფსევდონიმით „ნ. ს კ ა ნ დ ე ლ ი".

ნიკო ნიკოლაძის ეს წერილი „მშვიდობით, მშვიდობით" არ იყო წუთიერი აფეთქება. ნიკო ნიკოლაძე ამის შემდეგ ორი წლის მანძილზე მართლაც ჩამოშორდა ქართულ პრესას.

როდესაც გაზეთ „დროებაში" 1873 წლის 16 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნდა ნიკო ნიკოლაძის წერილი, ილია ჭავჭავაძე არ იყო საქართველოში, იგი ამ დროს რუსეთში იმყოფებოდა, პეტერბურგს.

როგორც კი ილია ჭავჭავაძე გაეცნო „დროებაში" დაბეჭდილს ნიკო ნიკოლაძის წერილს, ილიამ პეტერბურგიდან მაშინვე სასწრაფოდ მოსწერა წერილი ნიკო ნიკოლაძეს (6 დეკემბერს).

მოგვყავს ილიას წერილის ტექსტი (მისი ავტოგრაფული ხელნაწერის მიხედვით)[1].

ეს წერილი ილიასი არის წერილი ერის ნამდვილი ბელადისა.

*

წერილი ილიასი ნიკო ნიკოლაძისადმი

ძმაო ნ ი კ ო! წავიკითხე შენი გამოსალმება, — წავიკითხე, მაგრამ წაკითხული აქამდისაც არ მჯერა. ნუთუ მართლა შენ დაჰსწერე ის, რასაც შენი არ უსახელო სახელი აწერია ქვეშ? ნუთუ მართლა შეუშინდი ჭიაჭუებს და იმათს ბზუილზე გაფრთხი? მე იმოდენად შენ პატივსა გცემ, რომ იმის დაჯერება არ მინდა, რასაც შენ ეგრე გაცხარებით გვაჯერებ. არ დავიჯერებ, რომ შენისთანა საიმედო კაცი მაგისთანა სულმოკლეობამ დაიბრიყვოს. მე მგონია, რომ ეგ ფელეტონი წუთიერის მღელვარების შედეგია და არა დამჯდარის გონების დასკვნა. წუთიერის მღელვარებით გატაცება შენისთანა მდუღარე კაცის თვისებაა. მარტო ამით თუ გავამართლებ შენს ფელეტონს, თორემ სხვა გასამართლებელი არა აქვს რა.

ვის ესალმები და რას ესალმები? სად მიხვალ, სად? იქაო, ამბობს შენი ფელეტონი, საცა უკეთესი ცხოვრებაა. არა, ერთი მითხარ, მაგას ლუარსაბ თათქარიძე კი ვერ იზამდა. ვითომ რა არის მანდ საკვირველი? არაფერი, გარდა ერთისა: მანდ საკვირველი ის არის, რომ შენისთანა კაცი ბრძოლას ექცევა და თბილ ოთახში აპირობს

[1] ავტოგრაფი დაცულია ნიკო ნიკოლაძის არქივში, საქართველოს სახელმწიფო რესპუბლიკურ საჯარო ბიბლიოთეკაში.

წერილი პირველად გამოაქვეყნა, ზოგიერთი კუპიურით, ს. ხუნდაძემ (იხ. ჟურნალი „მნათობი", 1933 წ. № 8 — 9, გვ. 283 — 284). ს. ხუნდაძის დაბეჭდილ ტექსტში არაა მოყვანილი წერილის ბოლო მინაწერი (პეტრე უმიკაშვილისადმი მიმართვა) და აგრეთვე წერილის სათარიღო ტექსტი. ხოლო წერილის ზუსტ თარიღს, როგორც ქვევით დავინახავთ, მნიშვნელობა აქვს ზოგიერთი გაურკვეველი ისტორიულ-ლიტერატურული საკითხების ამოსახსნელად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაგორ-გადმოგორებასა. მერე იცი, რა კბილი ჩავარდება იმ რაზმს, რომელშიაც შენ ფალავანად გვეგულებოდი, ყველას, ვინც კი შენი თანაზიარი იყო. ჯერ რიგიანი ბრძოლაც არ გამართულა და შენ კი ეხლავე გინდა თავს უშველო. ეგ ვერაფერი ძალგულოვნობაა. განა წინადვე არ იცოდი, რომ მაგ გზაზედ, რომელსაც შენ დაადეგ, ათასი ვაივაგლახი, ბეზღი, ცილი, ლანძღვა და თრევა დაგხვდებოდა ჯილდოდ შენის შრომისა და მოღვაწეობისა? ეგ ამბავი არ ახალია, ძველია. ვითომ რად გიკვირს, რომ მოსალოდნელი მოვიდა და რად არ გიხარიან, რომ იმოდენა ძალი გქონია, რომ მკვდრებიც კი ააყაყანე. მეტი რა გინდა? ძალიან ჰყარსო, სჩივი შენ. მძოვრი ყოველთვის ყარს, და მაშინ უფრო, როცა სადგისს წასჩხვლეტ. დავიჯერო, რომ ესე ყოველი შენ წინადვე არ გცოდნოდეს? და თუ იცოდი, ესეთი მოულოდნელი რა დაგხვდა მაგ უმადურს ეკლიანს გზაზედ, რომ როგორც მხთალი ისე გაგაფთხო? ექცევი რას და ვისა? შენს ქვეყანას, შენს შრომას, შენს მეგობრებს და თანამოზიარეთა. ნუთუ კაცობა იყოს ეგე? რას შვრები, რასა? შენ მაგით ისეთს სირცხვილს იღებ თავზედ, რომ ვეღარაფრით ჩამოირეცხავ შემდეგში. პირმოთნეობაში ნუ ჩამომართმევ, — და შენ მე პატივსა გცემდი როგორც ნიჭიანს, რიგიანს, გამბედავს და დაუშრომელს მოღვაწესა, როგორც კაცსა, რომელზედაც კაცური-კაცის თვალი იმედით შეჩერდებოდა და რომელთანაც დამეგობრება და ერთად უღელში შებმა სახარბიელოა.

თუმცა ჩვენ „შემთხვევისა გამო სხვისა და სხვისა“ ერთმანეთი ისე არ გაგვიცნია, რომ სული სულში გაგვეყაროს, მაგრამ იმოდენად კი გიცნობ, რომ არ დავიჯერო იგი ცილი, რასაც შენს თავს ეგრე მოურიდებლად და წინდაუხედავად შენვე ჰსწამებ. ვითომ შენ ეგ იყო, რასაც შენი ფელეტონი, შენდა საუბედუროდ, ამბობს!.. არა და ათასჯერ არა! შენ ჩემს თვალში მაინც ისეთი კაცი ხარ, რომლის გულშიაც კაცი, თუ მონახავს, მადანს იპოვის, — და ამის გამო აი რას გთხოვ:

თუ მართლა გიყვარს ის, რისთვისაც ეგრე თამამად და უშიშრად იღვწოდი, თუ ის ყოველიფერი, რითაც შენ მოსაწონი ხარ, ქარის მოტანილი არ არის, ნუ აღასრულებ მას, რასაც გვიქადი. დარჩი მაგ უბედურს ქვეყანაში; მაგრე სამარცხვინოდ ბოლოს ნუ მოუღებ მას, რაც ეგრე რიგიანად შენ თითონვე დაიწყე. დარჩი და იშრომე, — და მხოლოდ ის გქონდეს ხსოვნაში, რომ მარტო უბედურთ უნდათ შველა და არავის სხვასა; კვლავ მოჰკიდე ხელი შენს პატიოსანს საქმეს და შენ, ჩვენს მოძმეს, ცოტაოდნად წაბარბაცებულს, ვაპატიებთ წუთიერ სისუსტეს და ხელმოკლეობას და თვით შენს შეურაცხმყოფელს ფელეტონს დავიწყებას მივცემთ. თუ ამას არ იქმ, მაშინ გეტყვით: ეჰ, ქარის მოტანილი ყოფილხარ და დეე ქარმავე წაგიღოს; გეტყვით ამას, მაგრამ გულში კი ერთი ძარღვი ჩაგვწყდება.

თუ შენ ის სკანდელი ხარ, როგორიც იყავი, მაშინ მიხვდები, რა სურვილი და რა გრძნობა მაწერინებს ამ წერილსა. დასასრულ ამასაც გეტყვი, რომ ქართველი გამოსალმების დროსაც ერთ მშვენიერს სიტყვას ხმარობს: „გამარჯვებითო“. მაგრამ ამ სალამს გამოთხოვებისას თავის დღეში არ აღირსებს მას, ვინც ბრძოლიდან გარბის: იმას „მშვიდობითო“ ეტყვიან. მსურს, რომ შენ ისე მოიქცე, რომ შეგვეძლოს შენთვის თქმა: „გამარჯვებით“ და არა „მშვიდობით“.

ილია ჭავჭავაძე.

6 დეკემბერი [1873წ.], პეტერბურგი.

На Караванной улице д. № 18, кв. № 7.

[წერილის თავში:]

პეტრე! ეს წერილი ნიკოლაძეს გარდაეცი მიღებისავე უმალ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*

იმისათვის, რომ სწორად იყვეს გაშუქებული ილიას ამ წერილთან დაკავშირებული საკითხები, აქ საჭიროა შევჩერდეთ ერთ წერილზე, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთ „დროებაში“ ამავე ხანებში, ოდნავ გვიან, 1873 წლის 28 დეკემბერს, ხელმოწერით „ჩვენ უჩინონი“.

ისიც აგრეთვე ეხება ნიკო ნიკოლაძის წერილს „მშვიდობით, მშვიდობით“.

ქართულ ლიტერატურაში, ნ. ნიკოლაძის ლიტერატურული მემკვიდრეობის ცნობილი მკვლევარის ს. ხუნდაძის შემდეგ, განმტკიცებულია შეხედულება, რომ ამ წერილის ავტორია ილია ჭავჭავაძე [1]. მაგრამ ეს შეცდომაა.

აღსანიშნავია, რომ თვით ნიკო ნიკოლაძეც ამავე აზრისა ყოფილა, ვითომც ავტორი ამ წერილისა ილია იყო.

ნიკო ნიკოლაძის არქივში დაცულია შავი ამ წერილისა, რომელიც გაზეთ „დროებაში“ დაიბეჭდა ხელმოწერით „ჩვენ უჩინონი“. კონვერტზე, რომელშიაც ინახება ეს შავი, წარწერილია ნიკო ნიკოლაძის ხელით:

„ადრესი, რომელიც 1873 წლის ბოლოს გამომიგზავნეს პეტერბურგის სტუდენტებმა (შავი, ილიას ხელით ნაწერი) გადმომცა 1887-ში ილიკო ბახტაძემ“.

საკმარისია გადავიკითხოთ ეს წერილი (ხელმოწერილი „ჩვენ უჩინონი“) და დაკვირვებულის თვალით შევადაროთ იგი ილიას წერილს, რათა სრულიად უეჭველი გახდეს, რომ ეს წერილი არ არის ილიას დაწერილი.

თუ რა გზით წარმოიშვა შემცდარი შეხედულება, ვითომც ავტორი ამ წერილისა ილია იყვეს, ვის მიერ, როდის და რა ვითარებაში დაიწერა ეს წერილი, და რაში მდგომარეობდა აქ ილიას მონაწილეობა (ილიასთვის მხოლოდ გაუცვნიათ წერილი, ილიას აქ ზოგი რამ არ მოსწონებია და შესწორება ურჩევია), — ამის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი.

ჯერ კი გავეცნოთ თვით ტექსტს ამ წერილისას, რომელიც ხელმოწერილია „ჩვენ უჩინონი“. მოგვყავს იგი სრულად, იმ სახით, როგორადაც გამოქვეყნდა გაზეთ „დროებაში“ 1873 წლის 28 დეკემბრის ნომერში.

*

წიგნი რედაქტორთან

„დროების“ 45 N-ში ჩვენ წავიკითხეთ ფელეტონი უფ. სკანდელისა *, რომლითაც ის სამუდამოდ თუ არა, გვარიანი ვადით მაინც ეთხოვება ჩვენს სამშობლოს და ჩვენს ლიტერატურას. ის თავს ანებებს თავის ნამცეცა მტრებს, თავის პაწაწინა წინააღმდეგებს და მიეშურება იქით, სადაც შეეძლება ხელახლავ თავის ძველ ამხანაგებში გაბმა, სადაც სულს მოიბრუნებს ახალს უფრო რიგიანს და უფრო განათლებულს საზოგადოებაში და სადაც გულიდან გადაიყრის ჩვენს ქვეყანაზედ ზრუნვასა და ფიქრს.

ყოველი პირი, ვისაც ჩვენი ახლანდელი ლიტერატურისათვის თვალყური უდევნებია და ვისაც უფ. სკანდელის სტატიები უკითხავს, ის შეამცნევდა, რომ სკანდელმა დიდი ღვაწლი და შრომა დასდვა ჩვენს ლიტერატურას და სცდილობდა

---

[1] იხ. ს. ხუნდაძე, ჟურნალი „მნათობი“, 1933 წ. № 8-9, გვ. 283. — წერილს ხელმოწერით „ჩვენ უჩინონი“ აგრეთვე მიაკუთვნებენ ილია ჭავჭავაძეს (ს. ხუნდაძეზე დამყარებით) შრომაში „ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია“, ტ. II, 1952 წ., გვ. 247.

* „სკანდელი“, როგორც მოვიხსენეთ, საყოველთაოდ ცნობილი ლიტერატურული ფსევდონიმი იყო ნიკო ნიკოლაძისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაეღვიძებინა ჩვენი მიძინებული საზოგადოება, სცდილობდა მიექცია მისი ყურადღება საზოგადო საქმეებზედ. ყოველი ამგვარი პირი ამ ფელეტონის წაკითხვის შემდეგ კითხულობს: რა არის მიზეზი, რომ უფ. სკანდელი ასე უცბად თავს ანებებს თავის ამდენს სასარგებლო შრომას. როგორც ამ ფელეტონიდან სჩანს, აი ეს მიზეზი. უფ. სკანდელს სწყენია, რომ ზოგიერთნი იმის ნაცარქექია მოპირდაპირენი აშკარა და პირდაპირი ბრძოლის მაგიერ მოჰყოლიან ცილისწამებას, საზოგადოებაში ყაყანს, რომ უფ. სკანდელი და მისი თანამოაზრენი გაიძვერანი, მტაცებელნი და თავის სარგებლობის მაძიებელნი არიანო.

მართლა რომ გასაშტერებელია. ნუთუ როცა უფ. სკანდელი ლიტერატურის ასპარეზზედ გამოდიოდა, ნუთუ როცა ის საზოგადო საქმეს ხელსა ჰკიდებდა, — ამისთანა წინააღმდეგობას არ მოელოდა? როდის, ან რომელ ქვეყანაში მომხდარა, რომ საზოგადო საქმეში გართულს კაცს, საზოგადოების რიგიანს გზაზედ დაყენების მოცადინეს მრავალი სულმდაბალი მტერი არ გამოსჩენოდეს? ვისაც პატიოსანი საქმის სამსახური ძვალ-რბილში გასჯდომია, ის, უეჭველია, ამგვარ პირთ ცილისწამებას ყურსაც არ ათხოვებს და თავის საკეთილო აზრს უფრო მტკიცედ დაადგება. საზოგადოების მომეტებული ნაწილი სწორედ რომ ამ უსინდისო გვამთაგან იყოს შემდგარი, რომელთაც უფ. სკანდელი იხსენებს, მაინც იმავე საზოგადოებაში ისეთნი პირნიც მოიპოვებიან, რომელთაც შეეძლებათ თანაუგრძნონ ხეირიანს და საზოგადოებისათვის სასარგებლოს განზრახვასა. უფ. სკანდელი უარს ვერ იტყვის, რომ ჩვენში ამგვარნი პატიოსანნი პირნი არიან.

მაშ რა გვეთქმის ამისთანა კაცზედ, რომელიც ჯერ კარგ აზრებს ავრცელებდა ხალხში და მერე კი უცებ ჰკრა ფეხი და თავი მიანება ყოველისფერს, რისთვისაც უწინ შრომობდა? ცხადია, რომ ეს ადამიანი ან სულმოკლე უნდა იყოს, ან უწინდელი იმის შრომა მხოლოდ თავის გამოსაჩენი ბაქი-ბუქობა ყოფილა.

უფ. სკანდელი ამბობს, რომ ჩემს სამშობლოს თავს ვანებებო და მივდივარ იქ, სადაც ჩემს უწინდელს მეგობრებს შევეყრები, ახალ წრეში გავებმები და ზნეობით და ჭკუით განვითარებულს საზოგადოებაში ფეხს ჩავდგამო. იქ ჩვენებურს იქ მყოფს ახალგაზრდობას დავუხატავო, რა რიგად სამზღვარ-გარეთელი საზოგადოება საქართველოს საზოგადოებაზედ მაღლა სდგასო. ოსტატი მაშინ არის საჭირო, როცა სწავლა გვჭირია რისამე. მაშ რა საჭიროა უფ. სკანდელის ქადაგება ჩვენი და საზღვარგარეთელ საზოგადოების შუა განსხვავებაზედ? დარწმუნებული უნდა იყვეს უფ. სკანდელი, რომ ყოველმა მოსწავლე ახალგაზრდამ კარგად იცის ისა, რისაც სწავლებას ის უპირობს, მაგრამ ისიც ყველამ კარგად იცის, რომ პატიოსანი აზრის და მიმართულების პირნი ჩვენში უფრო საჭირონი არიან, ვიდრე საზღვარგარეთ.

თუ ეს უგვარო საქციელი და ასე წინდაუხედავად საქმისათვის თავის დანებება უფ. სკანდელს გულდაჯერებით განუზრახავს და წუთის გულის აფეთქება არ არის, მაშინ ჩვენდა სამწუხაროდ პირდაპირ შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ თავიდანვე იგი სულით და გულით არ ჩასჭიდებია იმ საქმეს, რომლისთვისაც ის ისე გაცხარებული იბრძოდა და რიგიანადაც იბრძოდა.

თუ ხსენებული ფელეტონი დამჯდარის გონებით მოსაზრულია, მაშინ ჩვენც გულუმტკივნელად გამოვეთხოვებით უფ. სკანდელს და ვეტყვით: „მაშ თუ ეგრეა, მშვიდობით და მშვიდობით!“.

ჩვენ უჩინონი

პეტერბურღი, 8 დეკემბ. 1873 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*

სტილი იმ წერილისა არ არის ილიას სტილი. ფრაზის წყობა, თვით ლექსიკონიც კი, არაა ილიასეული.

ხოლო თავისი შინაარსით, საერთო ხასიათით, ეს წერილი (ხელმოწერილი „ჩვენ უჩინონი") არსებითად დაშორებულია ილიას წერილს.

პათოსი ილიას წერილისა სულ სხვაა, ილიას წერილი, როგორც ვთქვით, ეს არის ნამდვილი წერილი ერის ბელადისა, აღბეჭდილი მაღალი, უკომპრომისო პრინციპიალობით, მაგრამ ამავე დროს იგი გამსჭვალულია უდიდესი პატივისცემით ნიკო ნიკოლაძისადმი, აქ არის სრული და ღირსეული დაფასება ნიკო ნიკოლაძის წარსული ღვაწლისა. აქ ყოველ სტრიქონში ისმის მღელვარება და გულისტკივილი ერის მეთაურისა იმის გამო, რომ ერის მებრძოლ მოწინავე რაზმს არ გამოაკლდეს ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო წევრი.

წერილი ხელმოწერილი „ჩვენ უჩინონი" სულ სხვაა. ჯერ ერთი, არსებითად განსხვავდება საერთო ტონი. ამას გარდა ამ წერილს საფუძვლად უდევს ნიკო ნიკოლაძის თვით წარსული მოღვაწეობის ერთგვარად ნეგატიური შეფასება. „ჩვენ უჩინონი" ეჭვს გამოსთქვამენ იმის შესახებაც კი, იყო თუ არა გულწრფელი ნიკო ნიკოლაძე თავისი წარსული მოღვაწეობის დროს, ხომ არ იყო ნიკო ნიკოლაძის მთელი წარსული საქმიანობა უბრალო თავისი გამოსაჩენი ხმაური. „ჩვენ უჩინონი" წერენ:

> „მაშ რა გვეთქმის იმისთანა კაცზედ (ე. ი. ნიკო ნიკოლაძეზედ), რომელიც ჯერ კარგ აზრებს ავრცელებდა ხალხში და მერე კი უცებ ჰკრა ფეხი და თავი მიანება ყოველისფერს, რისთვისაც უწინ შრომობდა? ცხადია, რომ ეს ადამიანი ან სულმოკლე უნდა იყოს, ან უწინდელი იმისი შრომა მხოლოდ თავის გამოსაჩენი ბაქი-ბუქობა ყოფილა".

ილიას წერილი პირდაპირია, ამასთან სასტიკი, და თუ გნებავთ შეუბრალებელიც კი, მაგრამ ილია დიდად აფასებდა ნიკო ნიკოლაძის წარსულ ღვაწლს, ილია მღელვარებით მოუწოდებდა თავის თანამებრძოლს განეგრძო თავისი სახელოვანი ბრძოლა, და ილიას ცხადია არ შეეძლო ნ. ნიკოლაძის წარსული შრომა, მით უმეტეს ამ დროს, მოენათლა ამ სიტყვებით — „თავის გამოსაჩენი ბაქი-ბუქობა".

ვინ არიან ეს „ჩვენ უჩინონი", რომლებიც ბევრად უფრო შეურიგებელნი არიან ნიკო ნიკოლაძის მიმართ, ვიდრე ილია ჭავჭავაძე; როდის, რა ვითარებაში, რა წრეში არის დაწერილი ეს წერილი?

ნიკო ნიკოლაძის წერილმა, როგორც ეს მოსალოდნელი იყო (და როგორც ეს ჩანს „დროების" სარედაქციო განცხადებიდან, იხ. „დროება", 1873, N 400) — დიდი გამოხმაურება გამოიწვია საზოგადოებაში. მას საზოგადოების სხვადასხვა წრეები სხვადასხვა რიგად შეხვდნენ.

ამ წერილს დიდი გამოხმაურება უნდა ჰქონოდა და ჰქონია კიდეც ქართველ სტუდენტობაში.

როგორც მოხსენებული გვქონდა, როდესაც გამოქვეყნდა ნიკო ნიკოლაძის წერილი (გაზეთ „დროების 1873 წლის ნოემბრის ნომერში) ილია რუსეთში იმყოფებოდა.

ილიას, რომელიც 1873 წელს საზოგადო საქმეების გამო იყო წასული რუსეთში, ხანგრძლივად მოუხდა იქ დარჩენა (1873 წლის ზაფხულიდან 1874 წლის გაზაფხულამდე). ამ დროს ილია დაუმეგობრდა რუსეთში მყოფს ვანო მაჩაბელს და მათ ერთად თარგმნეს შექსპირის „მეფე ლირი". თარგმანზე ილია და ივანე მაჩაბელი მუშაობდნენ 1873 წლის ნოემბერსა და დეკემბერში და დაასრულეს 1874 წლის 1 იანვარს.

სწორედ ამ დროს, 1873 წლის დეკემბრის დასაწყისში, მიღებულ იქმნა

პეტერბურგში გაზეთი „დროება“ ნიკო ნიკოლაძის წერილით. ილიამ სასწრაფოდ დაწერა წერილი ნ. ნიკოლაძისადმი 6 დეკემბერს და გამოგზავნა თბილისში პეტრე უმიკაშვილთან; ილია წერდა პეტრე უმიკაშვილს:

„პეტრე, ეს წერილი ნიკოლაძეს გარდაეცი მიღებისავე უმალ“.

ილიამ თავისი წერილი, ცხადია, გააცნო თავის მეგობარს ვანო მაჩაბელს, რომელთანაც ერთად იგი თარგმნიდა „მეფე ლირს“ და რომელსაც იგი ყოველდღე ხვდებოდა.

ვანო მაჩაბელი ამ დროს პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლობდა, მასთან დაკავშირებული იყო პეტერბურგის ქართველი სტუდენტობა, და ილიას მიერ წერილის გაგზავნა ნიკო ნიკოლაძესთან ცხადია გაიგო ქართველი სტუდენტობის ფართე წრემ.

ქართველი სტუდენტობა, რომელიც ასე გულმხურვალედ ეკიდებოდა ქართულ საზოგადო საქმეებს, ბუნებრივია უნდა გამოხმაურებოდა ნიკო ნიკოლაძის წერილს და გამოხმაურებია კიდეც.

ქართველ სტუდენტობას შეუდგენია კოლექტიური წერილი „დროების“ რედაქციისადმი ნიკო ნიკოლაძის წერილის გამო, ხელმოწერით „ჩვენ უჩინონი“. წერილი დაწერილია 8 დეკემბერს (თარიღი აღნიშნულია წერილის მინაწერში), ე. ი. ორი დღის შემდეგ, რაც ილიამ დაწერა და გამოგზავნა თბილისში თავისი წერილი ნიკო ნიკოლაძისადმი.

ვინაიდან ილია ამ დროს პეტერბურგში იმყოფებოდა, სტუდენტობა ცხადია ამ წერილს გააცნობდა ილიას, და გაუცვნიათ კიდეც.

ჩვენ დრომდე მოღწეულა თვით ის დედანი წერილისა, რომელიც ქართველ სტუდენტებს გაუცვნიათ ილიასათვის. ეს დედანი წერილისა შემდეგ მოხვედრილა ილია ბახტაძის ხელში და 1887 წელს (ე. ი. 15 წლის შემდეგ წერილის დაწერისა) ილია ბახტაძეს გადაუცია ნიკო ნიკოლაძისათვის; ეს დედანი, როგორც მოხსენებული გვქონდა, ამჟამად დაცულია ნიკო ნიკოლაძის არქივში.

რომ ეს დედანი არის სწორედ ის ხელნაწერი, რომელიც ქართველ სტუდენტებს წაუკითხავთ ილიასათვის, მტკიცდება იმის მიხედვით, რომ ამ დედანზე არის მინაწერები ფანქრით ილია ჭავჭავაძის ხელით.

თვით ტექსტი წერილისა დაწერილია მელნით, უცნობი ხელით. წერილში რამდენიმე სიტყვა შესწორებულია და ჩამატებული მელნითვე, იმავე უცნობის ხელით.

ამავე დროს, როგორც აღვნიშნეთ, წერილში არის რამდენიმე შესწორება და დამატება, ჩაწერილი ფანქრით, ილია ჭავჭავაძის ხელით.

აშკარაა, სტუდენტებს მიუტანიათ და წაუკითხავთ ილიასათვის უკვე დამზადებული, მელნით გადაწერილი ტექსტი. ხოლო შესწორებანი, რომელიც ილიას მიერ ფანქრით არის მიწერილი წერილის მელნით გადაწერილ ტექსტში, ცხადია ჩანიშნულია ილიას მიერ სტუდენტებთან შეხვედრისას და აზრთა გაზიარების დროს.

შედარება მელნით გადაწერილი ძველი ტექსტისა და ილიას მიერ ფანქრით შეტანილი შესწორებებისა გვიჩვენებს, რომ ილია არ ეთანხმებოდა სტუდენტობას ზოგ რამეში; სტუდენტობა ნიკო ნიკოლაძის მიმართ უფრო შეურიგებლად ყოფილა განწყობილი. ეს ჩანს შემდეგიდან. ერთი ადგილი წერილისა თავდაპირველ დედანში (მელნით გადაწერილ ტექსტში) ასე იკითხებოდა:

„თუ ეს... საქმისათვის თავის დანებება უფ. სკანდელს გულდაჯერებით განუზრახავს და წუთის გულის აფეთქება არ არის, მაშინ, ჩვენდა სამწუხაროდ, პირდაპირ შეგვიძლია ვთქვათ, რომ თავიდანვე იგი სულით და გულით არ ჩასჭიდებია იმ საქმეს, რომლისთვისაც ის ისე გაცხარებული სჯიდა და ბაასობდა“.

ილიას წაუშლია სიტყვები „ს ჯ ი დ ა დ ა ბ ა ა ს ო ბ დ ა“ და მის მაგიერ ჩაუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერია: „იბრძოდა და რიგიანადაც იბრძოდა“.

ეს რასაკვირველია სულ სხვაა. თუ სტუდენტობა ეჭვს გამოსთქვამდა, რომ ნიკოლაძის საქმიანობა სინამდვილეში შესაძლოა იყოო მხოლოდ „თავის გამოსაჩენი ბაქი-ბუქობა“, რომ ნიკოლაძე მხოლოდ „გაცხარებული სჯიდა და ბაასობდა“-ო, ილია ჭავჭავაძე არწმუნებს სტუდენტობას, რომ ნიკო ნიკოლაძე „იბრძოდა და რიგიანადაც იბრძოდა“.

სტუდენტობა დასთანხმებია ილიას ამ შესწორებას, და იმ უცნობ პირს, რომლის ხელითაც გადაწერილია წერილი, ილიას ფანქრით ჩანიშნული ტექსტი მელნით ჩაუწერია წერილში (იქვე გაირჩევა ილიას ხელით ფანქრით ნაწერი ტექსტი).

წერილის ამავე ნაკვეთის დასაწყისი უცნობი გადამწერელის მიერ თავდაპირველად ასე ყოფილა დაწერილი: „თუ ეს უგვარო საქციელი და ასე უცბად თავის დანებება უფ. სკანდელს გულდაჯერებით განუზრახავს...“ შემდეგ წერილის იმავე უცნობ გადამწერს სიტყვა „უცბად“ გადაუსწორებია ასე: „ურცხვად“ („ასე ურცხვად საქმისათვის თავის დანებება“). ცხადია ილიას არ მოეწონებოდა ასეთი უხეში და უმართებულო გამოთქმა. „დროებაში“ დაბეჭდილ ტექსტში სიტყვა „ურცხვად“ შეცვლილია და მის მაგიერ იკითხვის: „წინდაუხედავად“ („ასე წინდაუხედავად საქმისათვის თავის დანებება“). ეს შესწორებაც, ცხადია, ილიას სიტყვიერი რჩევის შედეგია.

ილიასვე ეკუთვნის წერილის ბოლო წინადადება. წერილი პირველ ვარიანტში (სტუდენტების ტექსტში) ასე თავდებოდა:

„თუ ეს... საქმისათვის თავის დანებება წუთის გულის აფეთქება არ არის, მაშინ ჩვენდა სამწუხაროდ პირდაპირ შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ თავიდანვე იგი სულით და გულით არ ჩასჭიდებია იმ საქმეს, რომლისთვისაც ის ისე გაცხარებული სჯიდა და ბაასობდა, მაშინ ჩვენ გულდაჯერებით გვეთქმის: მშვიდობით, მშვიდობით!“.

ილიამ, ჯერ ერთი, როგორც მოვიხსენეთ, გამოთქმა „სჯიდა და ბაასობდა“ შესცვალა შემდეგნაირად: „იბრძოდა და რიგიანადაც იბრძოდა“; ხოლო ამის მომდევნო ბოლო ფრაზა (დაწყებული სიტყვიდან „მაშინ“ ვიდრე სიტყვამდე „მშვიდობით“) ილიას გადაუხაზავს, ჩაუწერია იქვე ფანქრით მისი შემცვლელი ტექსტის რამდენი ვარიანტი და საბოლოოდ წერილის დაბოლოებისათვის შემდეგი სახე მიუცია.

„თუ უფ. სკანდელის ფელეტონი დამჯდარის გონებით მოსაზრულია, მაშინ ჩვენც გულუმტკივნელად სამუდამოდ გამოვესალმებით უფ. სკანდელს და ვეტყვით: მაშ თუ ეგრეა, მშვიდობით და მშვიდობით!“.

ამგვარი დაბოლოება წერილისა გაუზიარებია სტუდენტობას და ასეთი დაბოლოებით დაიბეჭდა წერილი გაზეთ „დროებაში“.

ასეთია ისტორია ამ წერილისა, რომელიც ხელმოწერილია „ჩვენ უჩინონი“.

ეს წერილი, ამრიგად, ეკუთვნის არა ილიას, როგორც დღემდე ფიქრობდნენ, არამედ პეტერბურგის ქართველ სტუდენტობას. ილიასთვის მხოლოდ გაუცვნიათ ეს წერილი; ილიას აქ ზოგი რამ არ მოსწონებია (არ მოსწონებია ტონი, არ მოსწონებია ნიკო ნიკოლაძის წარსული მოღვაწეობის ნეგატივური შეფასება) და შესწორება ურჩევია.

*

დასასრულ დაგვრჩენია შემდეგი აღვნიშნოთ:

ილიას 1873 წლის 6 დეკემბრის წერილმა უეჭველია გავლენა იქონია ნიკოლაძეზე. ნიკო ნიკოლაძე ყოველთვის სთვლიდა ილიას ერის ბელადად.

ორი წლის შემდეგ, როდესაც ნიკო ნიკოლაძე ისევ დაუბრუნდა ქართულ პრესას, მან ქართველ მკითხველს მიმართა წერილით „სალამი“. აქ იგრძნობა დიდი გულისტკივილი იმის გამო, რომ მას მოუხდა ერთხანად დაშო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებოდა თავის თანამებრძოლთ... („რა დაუბოლოებელ საუკუნედ მიმაჩნდა მე თითოეული დღე ამ ორი წლისა," — გულისტკივილით ამბობს იგი ამ წერილში).

ნიკო ნიკოლაძისათვის ჩვეული ბრწყინვალებით არის დაწერილი ეს წერილი. მოგვყავს ნიკო ნიკოლაძის ამ წერილის დასაწყისი:

*

„ჩემო მკითხველო, ჩემო ძველო და ძვირფასო მეგობარო, ძლივს არ მეღირსა შენთან ხელახლავ შეყრა, შენთან საუბრის გამართვა და მუსაიფი! ერთი დრო იყო, რომ ჩვენ ერთმანეთს ვსცნობდით, როცა ერთმანეთი გვიყვარდა, როცა ჩვენ ხშირად, თითქმის შეუწყვეტლად ვმუსაიფობდით. ის დრო გაჰქრა დიდიხანია. ორ წელიწადზე მეტია აგერ, რაც ჩვენ ერთმანეთისათვის ხმა არ გაგვიცია. რომ იცოდე, რა დაუბოლოვებელ საუკუნედ მიმაჩნდა მე თითოეული დღე ამ ორი წლისა! ახლა, როცა ჩვენი უმძრახობა თავდება, როცა ჩვენ საუბარს ვმართავთ, ისევ უწინდლურად ვიცნობთ ერთმანეთს, თუ არა, ისევ გვიყვარს ერთი მეორე, თუ ჩვენს შორის ის ძაფები დასწყდნენ, რომლებიც ჩვენ გულებს აერთებდნენ?

...მას აქეთ, რაც მე ჩემ თავს ვიცნობ, მე ერთი წადილის მეტი არა მქონია, ერთი ღმერთის გარდა სხვისთვის თაყვანი არ მიცია... მე შენ მიყვარდი, შენ მწამდი, შენ გემსახურებოდი ავად თუ კარგად, როგორც შემეძლო, როგორც ჭკუა მიჭრიდა... მე დამივლია მთელი ევროპა და ბევრ ჩინებულ ქვეყნებში ვყოფილვარ, ბევრ აღმტაც საზოგადოებაში გამიტარებია თვეები, მაგრამ ყოველგან და ყოველთვის, სადაც კი ვყოფილვარ, ერთი საგანი მქონია: შენთვის დამზადება, შენთვის სამსახური, შენი სარგებლობა... იმის მაგიერ, რომ იქაურს ცხოვრებას მივებირე და სხვასავით დამევიწყა ჩვენი — ქვეყანა, ჩვენი — ხალხი, მე ნიადაგ შენზე ვფიქრობდი, რომ სადმე, როგორმე, სადაც კი ვყოფილიყო, შენთვის ცოტაოდენი სარგებლობა მაინც მომეტანა..." („დროება", 1873 წ., № 25).

*

წინამდებარე წერილი ამაზედ გვქონდა დასრულებული, ამ სახით წავიკითხეთ იგი ქართველ მწერალთა წრეში (და ამ სახითვე მოვათავსეთ იგი სარედაქციო შენიშვნებში ილიას თხზულებათა X ტომისა, რომელიც ამ ახლო ხანში გამოქვეყნდება).

მას შემდეგ ქუთაისის სამხარეთმცოდნეო მუზეუმში, სადაც ვმუშაობდით XIX საუკუნის ქართულ სალიტერატურო-საისტორიო წყაროებზე, მოპოვებულ იქმნა ახალი მასალა, რომელიც ეხება წერილს, ხელმოწერილს „ჩ ვ ე ნ უ ჩ ი ნ ო ნ ი", და რომელიც ახალ შუქსა ჰფენს XIX საუკუნის 70-იანი წლების საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიის ზოგ მხარეს.

ზემოთ ჩვენ გამოთქმული გვქონდა მოსაზრება, რომ წერილი, ხელმოწერით „ჩ ვ ე ნ უ ჩ ი ნ ო ნ ი", რომელიც დაიბეჭდა გაზეთ „დროებაში" 1873 წელს (28 დეკემბერს) და რომელსაც ილია ჭავჭავაძეს მიაწერდნენ, არ ეკუთვნის ილია ჭავჭავაძეს, არამედ წარმოადგენს კოლექტიურ წერილს პეტერბურგის ქართველი სტუდენტებისა.

ამჟამად აღმოჩნდა დოკუმენტი, რომელმაც ეს მოსაზრება დაადასტურა.

როგორც ცნობილია, თვითმპყრობელობის დროს არსებობდა წესი, რომ როდესაც ცენზურა მოითხოვდა რედაქციისაგან ცნობას, თუ ვინ არიან ფსევდონიმის ქვეშ ამოფარებული მწერლები, რედაქცია ვალდებული იყო ეცნობებია მათი ვინაობა, წინააღმდეგ შემთხვევაში წერილის დაბეჭდვის ნებას არ მისცემდნენ (ხოლო ყალბი ცნო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის მიწოდების შემთხვევაში ორგანოს აკრძალავდნენ). ამიტომაც ავტორები, რომლებიც ფსევდონიმის ქვეშ წერდნენ, აცნობებდნენ ხოლმე რედაქციას თავის ვინაობას.

როდესაც ავტორებს სტატიისას, რომელიც ხელმოწერილია „ჩვენ უჩინონი", გამოუგზავნიათ პეტერბურგიდან „დროების" რედაქციაში ეს სტატია, თან გამოუყოლებიათ წერილიც, სადაც გახსნილი იყო მათი ფსევდონიმი „ჩ ვ ე ნ უ ჩ ი ნ ო ნ ი". ეს წერილი დღემდე გადარჩენილა; იგი ჩვენ ვიპოვეთ კირილე ლორთქიფანიძის არქივში, რომელიც დაცულია ქუთაისის სამხარეთმცოდნეო მუზეუმში (К—1051). კირილე ლორთქიფანიძე 1873 წლის ბოლოს გაზეთ „დროების" რედაქტორის მოვალეობას ასრულებდა და ეს წერილი მას შემოუნახავს თავის ქაღალდებში.

აი რა სწერია ამ წერილში, რომელიც თან ხლებია სტატიას ხელმოწერით „ჩ ვ ე ნ უ ჩ ი ნ ო ნ ი"; მოგვყავს მისი ტექსტი სრულად:

*

„რედაქციასა ვთხოვთ ეს შენიშვნა[1] შეუცვლელად დაბეჭდოს. თუ საჭიროა შეტყობა, ვინ არიან ეს „უჩინონი", ჩვენ ჩვენ თავს ჩამოვთვლით:

ე. იოსელიანი,
ლ. ჩერქეზი[შვილი],
ნ. ხუდადოვი,
კ. ნაცვლიშვილი,
გ. ზდანოვიჩი,
რ. ფავლენიშვილი,
ვ. ვართანოვი,
ის. ქიქოძე,
იოს. ქიქოძე,
ი. კოპაძე,
მ. ყიფიანი,
ქ. ფურცელაძე,
დ. ფურცელაძე,
დ. ნაზარი[შვილი],
ს. კანდელაკი,
ა. გამყრელიძე,
ი. წეროძე,
ა. მირზაშვილი და
ი. მაჩაბელი.

თუ ცენზორი ამ სტატიის ავტორს მოიკითხავს, რომელიც გსურდეთ ამ ჩამოთვლილებში, ის წარუდგინეთ".

*

ამრიგად დასტურდება, რომ სტატია კოლექტიურია. სტატიის ავტორები არიან პეტერბურგელი სტუდენტები.

ხოლო დიდად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ავტორები შეადგენენ ერთს გარკვეულ ჯგუფს სტუდენტებისას, — ისინი არიან რევოლუციონერი სტუდენტობა, ხალხოსნები. თითქმის ყველა მათგანი პროფესიონალი რევოლუციონერები იყვნენ.

გასაგებია ამის შემდეგ შეურიგებლობის ის სული, რომლითაც აღბეჭდილია მათი წერილი.

უაღრესად საყურადღებოა ამასთან ის გარემოება, რომ ამ რევოლუციონურ სტუდენტობას საჭიროდ დაუნახავს თავისი სტატია გაეცნოთ და შეეთანხმებინათ ილია ჭავჭავაძისათვის. ცხადია ისინი ილია ჭავჭავაძეს ახალი თაობის წინამძღოლად სთვლიდნენ.

რომ რევოლუციონური სტუდენტობა ილია ჭავჭავაძეს ახალი თაობის ბელადად აღიარებდა, დასტურდება ჯერ თუნდაც იმის მიხედვითაც, რომ მათ თავისი ფსევდონიმი აუღიათ ილიას ლექსიდან (სახელწოდება „ჩ ვ ე ნ უ ჩ ი ნ ო ნ ი" აღებულია ილიას ცნობილი ლექსიდან „პასუხის პასუხი", რომელიც ახალი თაობის პასუხს წარმოადგენდა ძველი თაობის მიმართ).

გავეცნოთ ამის შემდეგ, ვინ არიან ეს „უჩინონი".

ეს „უჩინონი" არც ისე უჩინონი არიან. ისინი არიან დიდად საჩინო წევრები ქართული ხალხოსნური მოძრაობისა.

[1] ე. ი. სტატია, ხელმოწერით „ჩვენ უჩინონი".

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეგნატე იოსელიანი (1846—1926), რომელიც პირველად არის მოხსენებული სიაში, იყო ქართველი ხალხოსნების ბელადი 70-იან წლებში. ხალხოსანი მწერალი სოფრომ მგალობლიშვილი აღნიშნავს, რომ ეგნატე იოსელიანი იყოო „ჩვენი მიმართულების ლიდერი, გზის და მიმართულების მაჩვენებელი“[1].

მეორე ხალხოსანი — შიო დავითაშვილი გადმოგვცემს, რომ ეგნატე იოსელიანს ქართველი ხალხოსნები „რევოლუციის პატრიარქს“ უწოდებდნენ[2].

1873 წელს ეგნატე იოსელიანი იყო პეტერბურგის სამიწათმოქმედო ინსტიტუტის ბოლო კურსის სტუდენტი; იგი იყო მეთაური პეტერბურგის ქართველ ხალხოსანთა ჯგუფისა. შემდეგ, 1875 წელს, იგი კავშირშია მოსკოვში მყოფ გიორგი ზდანოვიჩთან, რომელიც ამ დროს ხელმძღვანელობს „სრულიად რუსეთის სოციალურ - რევოლუციურ ორგანიზაციას“. 1876 წელს ეგნატე იოსელიანი ჩამოვიდა საქართველოში და სათავეში ჩაუდგა ქართულ ხალხოსნურ მოძრაობას. 1876 წლის 8 ოქტომბერს იგი დაპატიმრებულ იქმნა. გაასამართლეს 1878 წელს და გადაასახლეს ჯერ აღმოსავლეთ ციმბირში, შემდეგ ურალში. გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ მეორედ გადაასახლეს 1883 წელს სემიპალატინსკის ოლქში. საქართველოში დაბრუნდა 1885 წელს.

გიორგი ზდანოვიჩი — მაიაშვილი (1855 — 1917) — გამოჩენილი ქართველი რევოლუციონერი 70-იანი წლებისა. ხალხოსანი. 1873 წელს იგი იყო პეტერბურგის სამხედრო-სამედიცინო აკადემიის სტუდენტი. 1874 წელს იგი გადადის მოსკოვში და აარსებს სხვა რევოლუციონერებთან ერთად „სრულიად რუსეთის სოციალურ-რევოლუციურ ორგანიზაციას“, რომელშიაც ქართველებს წამყვანი როლი ეკუთვნოდათ. 1875 წ. გიორგი ზდანოვიჩი ხდება ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელი.

გიორგი ზდანოვიჩი დააპატიმრა მთავრობამ 1875 წლის 19 სექტემბერს. 1877 წელს იგი გაასამართლეს „ორმოცდაათთა“ ცნობილ პროცესზე, რომელზეც გიორგი ზდანოვიჩმა ბრწყინვალე რევოლუციური სიტყვა წარმოსთქვა. სასამართლომ მას კატორღა მიუსაჯა. 1877 — 1883 წლებში გ. ზდანოვიჩი კატორღაშია, ციმბირში; შემდეგი წლები იგი გადასახლებაშია, ციმბირშივე. საქართველოში დაბრუნდა 1889 წელს. მას შემდეგ იგი საქართველოში ეწევა პუბლიცისტურ მოღვაწეობას (მაიაშვილის ფსევდონიმით).

აღსანიშნავია, რომ გიორგი ზდანოვიჩმა, როდესაც იგი ჯერ კიდევ კატორღაში იმყოფებოდა, გამოუგზავნა ილია ჭავჭავაძეს 1882 წელს თავისი ცნობილი წერილი სათაურით „წერილი ჩვენ საზოგადოებრივ მოღვაწეთა მიმართ“, რომელიც მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენს ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიისა, და რომელიც ილიამ დაბეჭდა „ივერიაში“ (1882 წ. №№ 7—8 და 9).

ანთიმოზ გამყრელიძე (1854—1894)— აგრეთვე გამოჩენილი რევოლუციონერი 1870-იანი წლებისა. ხალხოსანი. 1873 წელს იყო სტუდენტი პეტერბურგის სამხედრო-სამედიცინო აკადემიისა. 1874 წელს გადმოდის მოსკოვში და მუშაობს „სრულიად რუსეთის სოციალურ-რევოლუციურ ორგანიზაციაში“, რომლის ხელმძღვანელიც 1875 წლიდან გიორგი ზდანოვიჩი — მაიაშვილი იყო. დააპატიმრეს 1875 წელს. გაასამართლეს 1877 წელს „ორმოცდაათთა“ ცნობილ პროცესზე და მიუსაჯეს კატორღა. 1877 წლიდან — 1889 წლამდე იგი ციმბირშია. 1889 წელს დაბრუნდა საქართველ-

[1] იხ. ს. მგალობლიშვილი, მოგონებანი, 1932 წ., გვ. 73.

[2] იხ. შიო დავითაშვილი, ხალხოსნური მოძრაობა საქართველოში, 1933 წ. გვ. 53.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოში, მაგრამ მეორედ დააპატიმრეს და ისევ ციმბირში გადაასახლეს. 1894 წელს დაავადმყოფებული ჩამობრუნდა საქართველოში და ჩამოსვლის დღეებშივე გარდაიცვალა [1].

მიხეილ (მიშო) ქაიხოსროს ძე ყიფიანი (1849—1917). ქართული ხალხოსნური მოძრაობის ერთ-ერთი მთავარი ხელმძღვანელი. (სოფრომ მგალობლიშვილის სიტყვით, ეგნატე იოსელიანის გვერდით, „მეორე ლიდერი ხალხოსნური მოძრაობისა ჩვენში იყო მიხეილ (მიშო) ყიფიანი“)[2]. 1873 წელს იგი იყო პეტერბურგის ტექნოლოგიური ინსტიტუტის სტუდენტი, წევრი ქართველ ხალხოსანთა პეტერბურგის ჯგუფისა. 1875 წელს ჩამოდის საქართველოში, გადადის სამუშაოდ ქუთაისში და ისიდორე ქიქოძესთან ერთად აარსებს აქ ხალხოსნურ-რევოლუციონურ ორგანიზაციას. 1876 წლის ოქტომბერში იგი დააპატიმრეს და გადაასახლეს ციმბირში (ჯერ დასავლეთ ციმბირში, შემდეგ გადაიყვანეს ურალზე, ორენბურგში). 1880 წელს დაბრუნდა საქართველოში. 1883 წელს ხელახლა დააპატიმრეს და გადაასახლეს (ხალხოსნებთან სტეფანე ჭრელაშვილთან და ალექსანდრე ნანეიშვილთან ერთად) ჯერ დასავლეთ ციმბირში, ხოლო შემდეგ გადაიყვანეს ყაზახეთში (სემიპალატინსკის ოლქში). საქართველოში ჩამობრუნდა 1887 წელს[1].

ისიდორე ქიქოძე — 1873 წელს პეტერბურგის სამხედრო-სამედიცინო აკადემიის სტუდენტი. ხალხოსანი. 1875 წელს ჩამოდის საქართველოში და მიხეილ ყიფიანთან ერთად არის ხელმძღვანელი ქართველ ხალხოსანთა ქუთაისის რევოლუციური ორგანიზაციისა. 1876 წლის ოქტომბერში, როდესაც დააპატიმრეს მიხეილ ყიფიანი, მთავრობის აგენტებმა ვერ შესძლეს ისიდორე ქიქოძის შეპყრობა, მან მოახერხა საზღვარგარეთ გაქცევა. მას შემდეგ არა ერთგზის დაბრუნებულა საქართველოში არალეგალურად.

იოსებ ქიქოძე (1846 — 1922) — 1873 წელს პეტერბურგის სატყეო ინსტიტუტის სტუდენტი, წევრი ქართველ ხალხოსანთა პეტერბურგის ჯგუფისა.

რომან ფავლენიშვილი (1854—1877) — 1873 წელს პეტერბურგის სამხედრო-სამედიცინო აკადემიის სტუდენტი. ხალხოსანი. 1876 წელს გამორიცხეს აკადემიიდან სტუდენტთა გამოსვლებში მონაწილეობის გამო და გამოასახლეს პეტერბურგიდან. საქართველოში ჩამოსვლისას, იმავე 1876 წლის ოქტომბერში, იგი დააპატიმრეს როგორც წევრი ქართველ ხალხოსანთა ორგანიზაციისა. მოკვდა განმარტოებულ პატიმრობაში მყოფი, დაჭლექებული, 1877 წელს.

---

[1] ანთიმოზ გამყრელიძის ოჯახში დაცულია გადმოცემა: როდესაც ციმბირიდან დაბრუნებული ავადმყოფი ა. გამყრელიძე, ქუთაისზე გამოვლით, ნათესავთა თანხლებით, მოდიოდა თავის სოფელში რაჭაში, ნაქერალის ქედზე ასულს გადმოუხედავს თავის სოფლისაკენ — სიტყვებით „ძლივს არ მეღირსა სამშობლოში დაბრუნება“-ო, და იქვე ნაქერალის ქედზე გარდაცვლილა (გადმოგვცა თამარ მაჭავარიანმა და ა. გამყრელიძის დისწულმა ვასილ ჯაფარიძემ, რომელიც ამჟამად ცოცხალია, ღრმად მოხუცებული).

[2] სოფრომ მგალობლიშვილი, მოგონებანი, გვ. 75, 73.

[1] გადასახლებაში მიხეილ ყიფიანს ახლდა მისი მეგობარი, შესანიშნავი ქართველი ქალი ელისაბედ ალექსანდრეს ასული შარვაშიძე (აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის მიხეილის ძმისწული, რომელმაც გადასახლებაში მიმავალ მიხეილ ყიფიანზე ჯვარი დაიწერა ქუთაისის ციხეში 1883 წელს, თან გაჰყვა სემიპალატინსკის ოლქში, ხოლო ვეღარ აიტანა გადასახლება და 1887 წელს გარდაიცვალა ჭლექით სემიპალატინსკის ოლქის ქალაქ უსტ-კამენოგორსკში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლევან ჩერქეზიშვილი — 1873 წელს სტუდენტი პეტერბურგის ტექნოლოგიური ინსტიტუტისა. ხალხოსანი. საქართველოში ჩამობრუნების შემდეგ დაპატიმრებულ იქმნა 1876 წელს, როგორც წევრი ქართველ ხალხოსანთა ორგანიზაციისა. განმარტოებულ პატიმრობაში ჰყავდათ ექვს თვე ნახევარი. შემდეგი მისი ბედი უცნობია.

ისიდორე წეროძე — 1873 წელს ახალი დამთავრებული ჰქონდა კიევის საველერინარო ინსტიტუტი, მსახურობდა პეტერბურგის მაზრაში; იყო წევრი ქართველ ხალხოსანთა პეტერბურგის ჯგუფისა. 1877 — 1878 წლებში იგი საქართველოში იმყოფება. შემდეგ ისევ ბრუნდება რუსეთში სამედიცინო სწავლის გასაგრძელებლად. რუსეთში ყოფნის დროს მას მოელოდა დაპატიმრება, როგორც ხალხოსნური ორგანიზაციის წევრს, მაგრამ მოასწრო დამალვა და საზღვარგარეთ წასვლა. გარდაიცვალა ემიგრაციაში, პარიზში, 1885 წელს.

კონსტანტინე ნაცვლიშვილი — 1873 წელს პეტერბურგის ტექნოლოგიური ინსტიტუტის პირველი კურსის სტუდენტია. ამ დროიდანვე ებმება ხალხოსნურ მოძრაობაში. 1876 წლის ოქტომბერში, როდესაც გაცემულ იქმნა ქართველ ხალხოსანთა რევოლუციური ორგანიზაცია, კ. ნაცვლიშვილი სამართალში იყო მიცემული, როგორც ხალხოსნური ორგანიზაციის წევრი.

ქაიხოსრო ფურცელაძე — 1873 წელს პეტერბურგის სამხედრო-სამედიცინო აკადემიის სტუდენტი იყო (დაამთავრა 1874 წელს). ცნობილი ხალხოსანი.

დავით ფურცელაძე (ძმა ქაიხოსრო ფურცელაძისა) — ხალხოსანი. 1873 წელს პეტერბურგშია. 1876 წლის ოქტომბერში, როდესაც გაცემულ იქმნა ქართველ ხალხოსანთა რევოლუციური ორგანიზაცია, დავით ფურცელაძე დააპატიმრეს და განმარტოებულ პატიმრობაში ჰყავდათ წელიწად-ნახევარი. გაასამართლეს 1878 წელს. პატიმრობიდან გაანთავისუფლეს 1879 წელს, რის შემდეგ პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა.

ნიკო ხუდადოვი (1850 — 1907) გორელი ქართველი. 1873 წელს სტუდენტი პეტერბურგის სამხედრო-სამედიცინო აკადემიისა. 70-იან წლებში ახლო მონაწილეობას იღებდა ხალხოსნურ მოძრაობაში.

დიმიტრი ნაზარიშვილი (1854—1927) — 1873 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი. ხალხოსანი. შემდეგ სცემდა ხალხოსნური მიმართულების გაზეთს „შრომა“, რომელიც გამოდიოდა ქუთაისში 1881—1883 წ. წ.

•

ვინ იყვნენ სიაში მოხსენებულნი დანარჩენნი „უჩინონი“ — ი. კოპაძე, ვ. ვართანოვი და ა. მირზაშვილი — ცნობები არ მოგვეპოვება. ყველა ისინი, საფიქრებელია, ხალხოსნები იყვნენ. კერძოდ, მირზაშვილის შესახებ დაცულია ცნობა, რომ იგი 1873—4 წლებში პეტერბურგში ცხოვრობდა, ეკუთვნოდა გიორგი ზდანოვიჩის ჯგუფს და რომ მირზაშვილი — «вследствие политической неблагонадежности был подчинен надзору полиции» [1].

*

აღსანიშნავია, რომ ივანე მაჩაბელი სტუდენტობის დროს, 1873 წელს, ხალხოსანთა წრესთან ყოფილა დაკავშირებული.

ეს ცხრამეტი „უ ჩ ი ნ ო ნ ი“, როგორც ირკვევა შეადგენდა ერთს მჭიდ-

[1] იხ. Деятели революционного движения в России, био-библиографический словарь, М. 1929—1932, т. II, семидесятые годы, вып. 3, გვ. 931.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდ დაკავშირებულ ჯგუფს, ერთ ორგანიზაციას. წერილში შემთხვევით არ არის აღნიშნული, რომ — „თუ ცენზორი ამ სტატიის ავტორს მოიკითხავს, რომელიც გსურდეთ ამ ჩამოთვლილებში ის წარუდგინეთ“-ო.

წერილი, როგორც გამოირკვა, კოლექტიურია. საფიქრებელია, რომ მთავარი ამ ცხრამეტ თანასწორ „უ ჩ ი ნ ო თ ა“ შორის იყო ეგნატე იოსელიანი, რომელიც პირველად არის დასახელებული სიაში და რომელსაც ხალხოსნები „რევოლუციის პატრიარქს“ უწოდებდნენ. წერილის შედგენაში ახლო მონაწილეობა მიუღია ივანე მაჩაბელს. როგორც ხელის შედარებიდან გამოირკვა, ის დედანი წერილისა, რომელიც დაცულია ნიკო ნიკოლაძის არქივში, ივანე მაჩაბლის ხელით არის გადაწერილი. ივანე მაჩაბლის ხელითვეა ხაწერი წერილი, სადაც ჩამოთვლილია 19 „უჩინონი“.

*

ასეთია ისტორია ამ წერილისა, რომელიც ხელმოწერილია „ჩვენ უჩინონი“.

ახლად დადგენილი ფაქტები, ამრიგად ახალ ფურცელს გადაგვიშლის სამოცდაათიანი წლების ქართული საზოგადოებრივი მოძრაობის ისტორიიდან.

ქართველი რევოლუციონური ახალგაზრდობა, ქართველი ხალხოსნები, ამ დროს ჯერ კიდევ „უ ჩ ი ნ ო ნ ი“, რომლებიც ახლად გამოდიოდნენ სამოღვაწეოდ საზოგადოებრივ ასპარეზზე, ახალი თაობის წინამძღოლად ილიას სთვლიდნენ და თავის ბელადად აღიარებდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევგენი ხარაძე

ასტრონომთა მსოფლიო ფორუმზე

ასტრონომია საბუნებისმეტყველო მეცნიერების დარგია, რომელიც შეისწავლის და იკვლევს დიდი სამყაროს — კოსმოსის მოვლენებსა და სხეულებს: მზეს, მთვარეს, ცთომილებს, ვარსკვლავებს, გალაქტიკებსა და სხვ. ეს ერთერთი უძველესი მეცნიერებაა, რომლის განვითარების დონე ყოველთვის ყოფილა ერთგვარი საზომი საზოგადოების განვითარებისა, რამდენადაც ამ მეცნიერებას ყოველთვის ჰქონია და ახლაც აქვს დიდი პრაქტიკული, ფართო თეორიული და შემეცნებითი მნიშვნელობა.

ჩვენს ეპოქაში ასტრონომია სწრაფად ვითარდება, შეითვისებს რა გამოკვლევის ახალს მათემატიკურ და ფიზიკურ მეთოდებს, ემყარება რა ახალი ტექნიკის გამოყენებას. მისი პრაქტიკული როლიც მატულობს. კოსმოსური სივრცის დაპყრობის ერაში კი ასტრონომია სრულიად განსაკუთრებულ მნიშვნელობას მოიპოვებს.

ასტრონომიისათვის, როგორც საბუნებისმეტყველო მეცნიერებისათვის, დამახასიათებელია მისი დასამზერი და გამოკვლევის ობიექტების განუზომელი სიმრავლე და მათი გაბნეულობა მთელს ცაზე: ასეულ ათასობით და მილიონობით ვარსკვლავები და გალაქტიკები აღრიცხულია ვარსკვლავიერ რუკებზე; ბევრი მათი თვისება და მახასიათებელი უკვე შესწავლილია, უფრო მეტი კი — ჯერ კიდევ გამოსაკვლევია. ეს რუკები მოიცავს მთელს ცას, მთლიან ცის სფეროს, რომლის ყოველი წერტილი როდი მოჩანს დედამიწის ყოველი პუნქტიდან. ჩვენ — ზომიერი სარტყელის მცხოვრებნი — ვხედავთ ცის მთელს ჩრდილოეთ ნახევარსფეროს და მხოლოდ ნაწილობრივ — სამხრეთის ნახევარსფეროს. მაშასადამე, დაკვირვება-შესწავლისათვის მიუწვდომელი გვრჩება სამხრეთის ცის მრავალი ობიექტი, რომელთა შორის არის ისეთები, რომლებიც ამავე დროს მეტად დიდ ინტერესს წარმოადგენს. მეორე მხრით, ჩვენ, ჩვენს ცაზე, მრავლად ვხედავთ და შევისწავლით ისეთ საინტერესო და მნიშვნელოვან ობიექტებს, რომლებიც მიუწვდომელია ჩრდილოეთით მდებარე ობსერვატორიებისათვის. ამასთანავე ანგარიშგასაწევია ის, რომ ზოგი მოვლენის შესწავლა ეფექტურია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას განუწყვეტლივ ვაკვირდებით. ასეთებია, მაგალითად, მზის ატმოსფეროში და ზედაპირზე წარმოშობილი მოვლენები, რომელთა ღრმა შესწავლას დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. მაგრამ აღებული პუნქტიდან მზეზე დაკვირვება შეიძლება მხოლოდ მისი ამოსვლიდან მის ჩასვლამდე. აღებულ ადგილზე ჩასვლის შემდეგ, მზე სხვა ქვეყნებში მოჩანს, სხვა ქვეყნების დამკვირვებლებისათვის არის მისაწვდომი. მაშასადამე, იმისათვის, რომ მოხერხდეს მზეზე განუწყვეტელი დაკვირვების წარმოება, საჭიროა დაკვირვებას აწარმოებდნენ თანმიმდევრობით სხვადასხვა ქვეყნები, რომლებიც დედამიწის ზურგის სხვადასხვა ადგილას მდებარეობენ. თითქოს მზე „გადაიცემოდეს“ დაკვირვება-შესწავლისათვის ერთი ქვეყნიდან მეორეში ისე, როგორც ესტაფეტი.

ამგვარად, ასტრონომიული ობიექტების სიმრავლე და გაბნეულობა მთელს ცაზე და მოვლენების სპეციფიკა თავისთავად მოითხოვს სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობას, საერთაშორისო სამეცნიერო კოოპერაციას. თუმცა მეცნიერების ყოველი დარგის წარმატებისათვის ხელისშემწყობია საერთაშორისო თანამშრომლობა, ასტრონომიისათვის ეს თვისება განსაკუთრებით გარდუვალია და თვით ასტრონომიული კვლევის მეთოდოლოგიაშია ჩანერგილი. ეს გარემოება თითქმის ყოველთვის აღიბეჭდებოდა ასტრონომიის ისტორიულ განვითარებაზე, ხოლო ჩვენს საუკუნეში, მეცნიერების განვითარების თანამედროვე დონეზე იგი კიდევ უფრო მეტად მკაფიოდ გამოიხატება.

უკვე თითქმის 40 წლის წინათ ჩამოყალიბდა საერთაშორისო ასტრონომიული გაერთიანება —

ეროვნული ბიბლიოთეკა

კავშირი, რომელიც 1922 წლიდან ყოველ სამ წელიწადში ერთხელ ჰკრებს სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებს საერთაშორისო ყრილობებზე. ამ ყრილობებზე წარმოებს მეცნიერული დისკუსიები, ხდება განვლილი მუშაობის შეჯამება და ახალ ამოცანებზე სამუშაოდ თანამშრომლობის დაგეგმვა. ასეთი ყრილობები შეიკრიბა უკანასკნელ პერიოდში 1952 წელს ქ. რომში, 1955 წ. — ქ. დუბლინში (ირლანდია), 1958 წელს — საბჭოთა კავშირის დედაქალაქ მოსკოვში, წელს კი — ქ. ბერკლიში, ამერიკის შეერთებული შტატების კალიფორნიის შტატის ქალაქ სან-ფრანცისკოს მახლობლად.

ეს 11-ე ყრილობა იყო, რომელიც მიმდინარეობდა 15-დან 24 აგვისტომდე. მასში მონაწილეობდა 35 სახელმწიფოს ათასზე მეტი წარმომადგენელი. საბჭოთა კავშირიდან ყრილობაზე წარიგზავნა ოცდახუთმეტი ასტრონომი, მათ შორის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის 4 თანამშრომელი — ასტრონომი: ნ. კალანდაძე, თ. მეგრელიშვილი, თ. რაზმაძე და ამ სტრიქონების ავტორი.

ოცდაათზე მეტი სახელმწიფოს წარმომადგენელმა მეცნიერებმა მიიტანეს აქ, ასტრონომთა საერთაშორისო ფორუმზე თავთავიანთი წვლილი: ახალი აღმოჩენები, გამოკვლევები, ახლად გამოქვეყნებული შრომები და სხვ. ათი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა სამეცნიერო დისკუსიები როგორც პლენარულ, ისე სექციურ სხდომებზე. ყრილობაზე გამოაშკარავდა ის, რაც ყველაზე უფრო მეტად აქტუალურია დღეს ასტრონომიულ მეცნიერებაში. თავისთავად ცხადია, რომ ეს პირველ რიგში ის გამოკვლევებია, რომლებიც უშუალო კავშირშია ადამიანის მიერ კოსმოსის სივრცის ათვისებასთან, მაშასადამე, ახალი ფიზიკური მოვლენების შესწავლაა დედამიწის მახლობელ კოსმოსურ სივრცეში.

დედამიწის ხელოვნური თანამგზავრების, კოსმოსური რაკეტების, საპლანეტთაშორისო ავტომატური სადგურებისა და თანამგზავრი-ხომალდების მეშვეობით უკანასკნელი 3-4 წლის მანძილზე ჩატარებულმა გამოკვლევებმა, მეტადრე საბჭოთა კავშირში წარმოებულმა მუშაობამ, მიიყვანა მეცნიერება სრულიად ახალ აღმოჩენამდე: დედამიწას, ჩვენთვის ცნობილი ატმოსფეროს გარდა, გარს აკრავს ატმოსფეროს გარე ფენებზე უფრო შორს განვრცობილი ერთგვარი შარავანდედი, რომელიც შედგენილია მზის წიაღიდან გამოფრქვეული ელექტრონებისა და პროტონებისაგან. ეს ნაწილაკები დიდი ენერგიის მატარებელნი არიან და მათი დიდი თავმოყრის ზონაში — ბიოლოგიურად მავნენი ცოცხალი ორგანიზმისათვის. ამ ნაწილაკების თავმოყრას იწვევს დედამიწის მაგნიტური ველის ზემოქმედება. ამ ფოვლენაში ნათლად ჩანს, თუ რა ძაბიდრი კავშირია დედამიწასა და მზეს შორის, დედამიწის ატმოსფეროში მიმდინარე პროცესებსა და მზეზე განვითარებულ მოვლენებს შორის, მიუხედავად იმისა, რომ ამ ორ სხეულს შორის მანძილი 150 მილიონ კილომეტრს აღწევს. ამ მოვლენაში იმის მოწმობაცაა, რომ დედამიწის ახლო გარემოს საკმარისად სრულად შესწავლა შეუძლებელია კოსმოსის შორეული სხეულების შესწავლისაგან მოწყვეტით; კოსმოსური მოვლენების კვლევას არა მარტო თეორიულ-მეცნიერული, არამედ აგრეთვე დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს. კერძოდ, აუცილებელია დედამიწის ზემოთაღნიშნული რადიაციული შარავანდედის ანუ სარტყელის ფორმის, მასში ნაწილაკების სიმკვრივისა და მათი მოქმედების ინტენსივობის განაწილების ყოველმხრივი შესწავლა, რათა დადგინდეს მომავალი კოსმონავტების შორეული ფრენის საიმედო ტრასები და გამომუშავებულ იქნას მავნე რადიაციისაგან დაცვის სანდო ხერხები.

საბჭოთა ასტრონომების მოხსენებებს შორის დიდი ინტერესი გამოიწვია ცნობამ იმის შესახებ, თუ როგორია დედამიწიდან ორი მილიონი კილომეტრის მანძილზე სივრცის ელექტრომაგნიტური მდგომარეობა; ეს ცნობა მოპოებულია 1961 წლის აპრილში პლანეტა ვენერას მიმართულებით გაშვებული კოსმოსური რაკეტის მეშვეობით. ასევე ცხოველი ინტერესით შეხვდა ყრილობა ასტრონომიული ობიექტების იმ ახალ ფოტოგრაფიებს, რომლებიც მიიღეს საბჭოთა ასტრონომებმა ყირიმის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში ახლახან დადგმული დიდი რეფლექტორის საშუალებით.

ყრილობა გაიხსნა ერთი კვირით გვიან მას შემდეგ, რაც საბჭოთა გმირმა კოსმონავტმა გერმანე ტიტოვმა ბრწყინვალედ დაამთავრა დედამიწის ირგვლივ თავისი ჩვიდმეტი შემოფრენა. თავისთავად ცხადია, რომ ამ შესანიშნავი გამარჯვების შთაბეჭდილებანი მეფობდნენ ასტრონომიული კონგრესის უკლებლივ ყველა მონაწილეებზე; ი. გაგარინისა და გ. ტიტოვის სახელები აღტაცებული საუბრების ღცვლელ საგანს წარმოადგენდა; საბჭოთა სახელმწიფოს მეცნიერებისა და ტექნიკის მაღალი პრესტიჟი ახალსა და ახალ აღიარებას პოულობდა; ხოლო კონგრესზე მყოფი საბჭოთა დელეგაციის წევრთა განცდებს პატრიოტული სიამაყის გრძნობა ემატებოდა.

ყრილობის დიდ სამეცნიერო პრობლემას წარმოადგენდა ე. წ. გალაქტიკები, მათი წარმოშობა-განვითარების საკითხები. ცნობილია, რომ ასტრონომიული სამყაროს სხეულები ცალკე, იზოლირებულ ერთეულებს კი არ წარმოადგე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნენ, არამედ — ოჯახებსა და სისტემებში გაერთიანებულ კრებულებს. ასე, მაგალითად, დედამიწა და მისი მსგავსი პლანეტები — ვენერა, მარსი და სხვანი — ჰქმნიან პლანეტების სისტემას, ე. წ. მზის ოჯახს. ვარსკვლავები მრავალ შემთხვევაში ჯერადნი არიან, ე. ი. წარმოადგენენ ორი ან რამდენიმე ვარსკვლავის ორგანულად გაერთიანებულ სისტემებს. მაგრამ ეს მცირერიცხოვანი სისტემებია და თვითონ არიან სხვა უფრო დიდი სისტემის შემადგენელი ელემენტები.

ასეთ დიდ სისტემას ჰქმნიან შეუიარაღებელი თვალით ხილვადი ათასობით ვარსკვლავები, მძლავრ ტელესკოპებში ცალ-ცალკე ხილვადი მილიონობით ვარსკვლავები, აგრეთვე ისინიც, რომლებიც შედარებითი შეჯგუფებისა და დიდი დაშორების გამო ცალ-ცალკე განურჩევადნი არიან და თვალისათვის ერთიანდებიან თითქოს ერთ ფონში, თითქმის ერთს მთლიან ზოლად და ჩვენს თვალს კარგად ცნობილი „ირმის ნახტომის“ სახით წარმოუდგებიან. ეს უკანასკნელი მკაფიოდ მოჩანს ზაფხულის ცაზე, რომელზედაც იგი, მკრთალი მარგალიტისებრი სინათლით მოციმციმე, ფართო რკალივით არის გადაჭიმული. საჭვრეტი იარაღების — ტელესკოპების მეშვეობით გამოირკვა, რომ „ირმის ნახტომი“ უწყვეტი ზოლი კი არაა, როგორც იგი წარმოგვიდგება, არამედ უამრავ ცალკეულ ვარსკვლავთა ერთობლიობას წარმოადგენს. მასში ვარსკვლავები იმდენად მრავლადაა, იმდენად ხშირია და თანაც ისეა დაშორებული ჩვენგან, რომ სათითაოდ ვერ ვარჩევთ ყოველ მათგანს და ერთიანი მბრწყინავი ზოლის სახით გვეხატება. სინამდვილეში ეს ვარსკვლავები ერთიმეორისაგან დიდად დაშორებულია. სახელდობრ, მანძილები მათ შორის ათასობით მილიარდი კილომეტრებია! და აი ყველა ეს ვარსკვლავები — ირმის ნახტომის ზოლში თავმოყრილი და ცალ-ცალკე გაბნეული — ჰქმნიან ერთ მთლიან ვარსკვლავთ სისტემას, რომელსაც ირმის ნახტომის სისტემას ან გ ა ლ ა ქ ტ ი კ ა ს უწოდებენ.

ჩვენი მზეც თავისი პლანეტებითურთ გალაქტიკას ეკუთვნის; მზე ვარსკვლავთა ამ სისტემის ერთ-ერთი რიგითი წევრია და არც განსხვავდება საერთო ფიზიკური ბუნებით სხვა ვარსკვლავებისაგან. ჩვენი დედამიწაც, როგორც მზის ოჯახში შემავალი წევრი, გალაქტიკის სივრცეშია და მას ეკუთვნის. აი რატომ ვამბობთ გალაქტიკაზე, რომ იგი ჩვენი ვარსკვლავთ სისტემაა.

მთლიანად, გალაქტიკის სისტემა წარმოგვიდგება როგორც ვარსკვლავთა უზარმაზარი კრებული სამყაროს სივრცეში. მას ვეება დოლაბის მსგავსად შებრტყელებული ფორმა აქვს. ვარსკვლავთა რაოდენობა მასში ას მილიარდს აღემატება, ხოლო სივრცე, რომელიც მას უკავია, იმდენად დიდია, რომ სინათლის სხივი მისი ერთი კიდიდან მეორემდე გარბენას ასი ათასამდე წელიწადს ანდომებს, გადის რა ყოველ წამში 300 ათას კილომეტრს!

გალაქტიკა, როგორც საერთო თვისებებით გაერთიანებული ციური სხეულების ერთობლიობა, როგორც ერთი მთლიანი ვარსკვლავთ სისტემა, ადამიანის წარმოდგენაში პირველად მხოლოდ ამ უკანასკნელი ორი საუკუნის განძილზე ჩამოყალიბდა. ეს მოხდა, ძირითადად, ინგლისში ჰერნელის, რუსეთში პულკოვოელი ასტრონომის სტრუვეს და სხვა უფრო გვიანდელი მკვლევარების დაკვირვება-გამოკვლევების შედეგად. ჩვენს დროში კაცობრიობისათვის ცნობილია არა მარტო ზომები, ვარსკვლავთ რაოდენობა, მზის ადგილი გალაქტიკაში, არამედ აგრეთვე გალაქტიკის აგებულების, მოძრაობისა და განვითარების ზოგადი კანონზომიერებანიც.

მაგრამ ასტრონომიული სამყარო გალაქტიკის სივრცით არ შემოიფარგლება. თუმცა ეს სივრცე იმდენად უზარმაზარია, რომ სინათლის სხივი მას მხოლოდ ასი ათას წელში განსჭოლავს კიდით კიდემდე, მაინც ჩვენს დროში ადამიანი ახერხებს მისი საზღვრების გაღმა გახედვას, შეუდარებლად უფრო შორს, ღრმად შეჭრას უსასრულო სამყაროს კიდევ უფრო შორეულ სივრცეებში, — შეჭრას თვალითა და გონებრივი შეცნობის უნარით. ის უდიდესი მანძილი კოსმოსში, რომელზედაც უძლიერესი ტელესკოპით შეიარაღებული თანამედროვე მეცნიერების თვალი წვდება, თითქმის ორი მილიარდი სინათლის წლით გამოიხატება. მაშასადამე, ადამიანი-მკვლევარის გარშემო მისაწვდომი სივრცე განისაზღვრება დიამეტრით, რომლის სიგრძე 3-4 მილიარდი სინათლის წელია, ამ მანძილს სხივი გაივლის 3-4 მილიარდ წელიწადში. ასეთი სივრცის მოცულობა ათეულობით ათას მილიარდჯერ მეტია, ვიდრე ჩვენი გალაქტიკის მოცულობა!

მაგრამ რას ვხედავთ ამ ვეება სივრცეში, ჩვენი გალაქტიკის გარეთ? თანამედროვე ტელესკოპებით მასში აღმოვაჩენთ ასეული მილიონობით ისეთსავე ვარსკვლავთ სისტემებს, როგორსაც ჩვენი გალაქტიკა წარმოადგენს, ე. ი. აურაცხელ სხვა გალაქტიკებს. გარეგნულად ისინი მნათ წერტილებს კი არ წარმოადგენენ, არამედ მცირე ზომის მნათ „ლაქებს“. როცა ჩვენი საუკუნის ოცდაერთ წლებში მწყობრში ჩადგა გიგანტური თანამედროვე ტელესკოპი, მაშინ იქნა დადგენილი, რომ ეს „ლაქები“ სინამდვილეში ვარსკვლავთ კრებულებია. თითოეული ასეთი გალაქტიკა, ჩვენი გალაქტიკის მსგავსად, მთელ ვარსკვლავიერ სამყაროს წარმოადგენს, ასეული მილიარდი ვარსკვლავით „დასახლებულს“. თითოე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ული მათგანის სიდიდე ასეული ათასი სინათლის წლით განისაზღვრება, ხოლო მანძილები ორ მეზობელ გალაქტიკებს შორის — მილიონი და მეტი სინათლის წლებით.

მაშასადამე, ირმის ნახტომის სისტემა ანუ ჩვენი გალაქტიკა ერთადერთი ვარსკვლავთ სისტემა როდია სამყაროს უსასრულო სივრცეში, არამედ მისგან უზარმაზარ მანძილებზე გაფანტულია აურაცხელი სხვა ამგვარი სისტემები. სამყაროს ის ვეება სივრცე, რომლის დაკვირვება-შესწავლა ძალუძს დღეს ადამიანს, „დასახლებულია“ გალაქტიკებით მსგავსად იმისა, როგორც კუნძულებით — ოკეანე.

ამ „დიდი სამყაროს“ სივრცეებში გავრცელებული მატერიის, განვითარებული მოვლენებისა და არსებული კანონზომიერებების შესწავლა ჩვენს დროში შესაძლებელი გახდა დიდი ტელესკოპებისა და სამეცნიერო კვლევის სხვა საშუალებათა გამოყენებით, ჩვენი გალაქტიკის შიგნით მიმდინარე მოვლენების შესწავლის საფუძველზე, გალაქტიკის შესახებ დღეისათვის მრავლად დაგროვილი ფაქტების ანალიზის მიხედვით. ამავე დროს „დიდი სამყაროს“ კანონზომიერებათა მიკვლევა დღესდღეობით ყველაზე უფრო მკვიდრ საფუძველს მოგვცემს ბუნებაზე მთლიანი მატერიალისტური მსოფლმხედველობის შემდგომი დამუშავებისათვის. ასეთ პირობებში, ბუნებრივია, რომ გალაქტიკების სამყარო ანუ, როგორც ამბობენ, მეტაგალაქტიკა ჩვენი დროის ასტრონომიის ფორპოსტია. ისიც ბუნებრივია, რომ ამ დარგში ახალი სიტყვა საბჭოთა ქვეყნის ასტრონომებმა თქვეს, დიდი თეორიული და შემეცნებითი მნიშვნელობის წვლილიც მათ შეიტანეს. დიდი მნიშვნელობის იყო მოსკოველი ასტრონომის პროფესორის ბ. ვორონცოვ-ველიამინოვის მოხსენება გალაქტიკების მის მიერ შენიშნულ თვისებებზე. ფართო ინტერესი გამოიწვია ყრილობის პლენარულ სხდომაზე წაკითხულმა აკადემიკოს ვ. ამბარცუმიანის ვრცელმა ლექციამ, რომელშიაც ჩამოყალიბებული იქნა ახალი შეხედულებანი ახლა არა ვარსკვლავების წარმოშობაზე, არამედ უკვე მათი უზარმაზარი სისტემების — გალაქტიკების წარმოშობა-განვითარების ზოგად თვისებებზე! ეს ერთობ გბედული ამოცანაა, მაგრამ დღეს შეიძლება მოეკიდოს მას ხელი იმის გამო, რომ თანამედროვე დიდი ტელესკოპები, რომელთა რიცხვი სულ უფრო და უფრო მრავლდება მსოფლიოს ქვეყნებში, კერძოდ, საბჭოთა კავშირშიაც, და ახალი ტექნიკური საშუალებანი, როგორიცაა, სხვებს შორის რადიოტელესკოპებიც, მრავლად აგროვებენ დაკვირვებულ ფაქტებს. ხოლო ფაქტები კი, თუ სწორად გამოიყენება, ჰკვებავს ახალს, ჭეშმარიტებასთან უფრო მეტად მიახლოებულ წარმოდგენებს.

კონგრესის უკანასკნელ საერთო კრებაზე მიღებულ იქნა რეზოლუციები რიგ სამეცნიერო-საორგანიზაციო საკითხებზე. მათ შორის ღირსია დაწვრილებით აღვნიშნოთ ის, რომელიც შეეხებოდა ე. წ. უესტ ფორდის პროექტის განხორციელების აკრძალვას. ამერიკული ინსტიტუტების ამ პროექტით დედამიწის ხელოვნური თანამგზავრების მეშვეობით უნდა ატყორცნილ ყოფილიყო რამდენიმე ათასი კილომეტრის სიმაღლეზე ლითონის წვრილი ნემსების მასა, რომელიც შემდეგ განიბნეოდა და თანდათანობით შემოეელებოდა დედამიწას ერთგვარი ლითონური სარტყელის სახით. ასეთი სარტყელი ხანგრძლივი დროით იარსებებს და რადგანაც წინასწარ შეუსწავლელია მისი მოქმედება და გავლენა, კერძოდ, მნათობების ბუნებრივ გამოსხივებაზე, შესაძლებელია, რომ ზიანი მიაყენოს გამოკვლევებს, რომლებიც მომავალში იწარმოებს დღევანდელთან შედარებით უფრო მგრძნობიარე აპარატურით. უესტ ფორდის ექსპერიმენტი მოკლებულია მეცნიერულად საკმაოდ დასაბუთებულ ნიადაგს და უფრო მეტად სამხედრო მნიშვნელობის ავანტიურას წარმოადგენს, ვიდრე კოსმოსის სივრცის მშვიდობიანი შესწავლის გზაზე გადადგმულ ნაბიჯს. ამიტომ იყო, რომ კონგრესის ათასზე მეტმა მონაწილემ, რომელთა შორის სამასორმოცდაათამდე თვით ამერიკელი მეცნიერები იყვნენ, ერთხმად მიიღო რეზოლუცია, რომელიც მოუწოდებდა ხელი აეღოთ აღწერილი პროექტის განხორციელებაზე.

ახლა ვიცით, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალურმა ორგანიზაციებმა უგულებელყვეს მეცნიერთა ხმა და აუშვეს სამი ათასი კილომეტრის სიმაღლეზე ცილინდრი, რომელსაც უნდა მოებნია კოსმოსის სივრცეში რამდენიმე ასეული მილიონი ცალის რაოდენობით სპილენძის წვრილი ნემსი. ასეთი მოქმედება, რა თქმა უნდა, ხელს არ უწყობს მშვიდობიან საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობას. მართალია, ამერიკელების ეს ექსპერიმენტი საბოლოოდ ჩაიფუშა, ნემსების გაბნევა ვერ განხორციელდა, მაგრამ მათი დანაშაული ზნეობრივად ისევე მძიმე რჩება.

კონგრესის მონაწილეთ, გახსნის დღეს, ვრცელი სიტყვით მიმართა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის სახელით მისმა მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში სტივენსონმა, რომელმაც ცოტა როდი ილაპარაკა საერთაშორისო თანამშრომლობის აუცილებლობაზე, მაგრამ მისი მთავრობის საქმე სიტყვას დაშორდა აღწერილ კონკრეტულ შემთხვევაშიაც. სტივენსონის სიტყვა ძირითადად პოლიტიკური ხასიათისა იყო და ამავე დროს ერთობ ტენდენციური — !საერთა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შორისო დაძაბულობის მიზეზების სხვის თავს მოხვევის ცდით. სამაგიეროდ, სტივენსონს არ შეეძლო მსოფლიოს ასტრონომთა წინაშე არ ეღიარებინა კოსმოსის ათვისება-შესწავლაში საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის განმაცვიფრებელი გამარჯვებანი.

ყრილობის დღეებში გამართულ იქნა სპეციალური ასტრონომიული გამოფენა, რომელიც შედგებოდა ისტორიულ განყოფილებისაგან, თანამედროვე ობსერვატორიების აღწერითი ნაწილისაგან და სხვ. ასტრონომიული ლიტერატურის გამოფენაც მას ერთვოდა. გამოფენის მნახველი შეხვდებოდა აქ, ისტორიულ განყოფილებაში, 1188 წლით დათარიღებული, საქართველოს მუზეუმში დაცული ძველი ქართული ხელნაწერის „ასტრონომიული ტრაქტატის" რამდენიმე ფურცლის, მათ შორის ტყუპების, ქალწულისა და მშვილდოსნის მშვენივრად შესრულებული ფერადი ნახატების რეპროდუქციებს. ამ ექსპონატს ხნოვანებით ტოლი არ ჰყოლია. თანამედროვე განყოფილებაში გამოფენილი იყო აბასთუმნის ობსერვატორიაში მომუშავე ე. წ. ბენისკური ტელესკოპის ფოტოსურათი. ამ ტიპის ტელესკოპები ჯერ ნაკლებად გავრცელებულია ამერიკისა და ევროპის ქვეყნებში. ასტრონომიული ლიტერატურის განყოფილებაში მნახველი შეხვდებოდა აბასთუმნის ობსერვატორიის მორიგი შრომების ტომსა და აგრეთვე ე. წ. გალაქტიკური ბნელი ნისლეულების ატლასს. ბნელი ნისლეულები უზარმაზარი სიდიდის კოსმოსური მტვრის ღრუბლებია, რომლებიც უხვად არის გავრცელებული ჩვენს გალაქტიკაში, მეტადრე ირმის ნახტომის გასწვრივ. ამ ნისლეულების მთლიანი აღრიცხვა, სისტემატიზაცია, რუკებზე წარმოდგენა შეასრულა 1960 წელს ჯ. ხავთასმა აბასთუმნის ობსერვატორიაში. ახლა ეს ატლასი გავრცელებულია და იხმარება საბჭოთა და უცხოურ ასტრონომიულ ობსერვატორიებში. გამოფენის ინსტრუმენტულ განყოფილებაში ჩვენი ყურადღება მიიპყრო იმ ტელესკოპის მაკეტმა, რომელიც საგანგებოდ მზადდება პრინსტონის უნივერსიტეტში (აშშ) იმისათვის, რომ აშვებულ იქნას ბალონით 25-30 კილომეტრის სიმაღლეზე — ატმოსფეროს მკვრივი ფენების გარეთ და იქედან წარმოებდეს ცის მნათობების ფოტოგრაფირება, რაც საშუალებას მისცემს შეისწავლონ მნათობების ე. წ. ულტრაიისფერი გამოსხივება, რომელიც ატმოსფეროს ქვედა ფენების სიმკვრივისა და დამტვერიანების გამო ვერ აღწევს დედამიწის ზედაპირზე მყოფ დამკვირვებლის თვალამდე. აღნიშნული ტელესკოპი საშუალო ოპტიკური სიმძლავრისაა, მისი მთავარი სარკის განივი 90 სანტიმეტრია. ეს საკმაოდ გაბედული წამოწყებაა, რომლის განხორციელებას ამერიკელები მხოლოდ 1963 წლისათვის ვარაუდობენ.

ყრილობის დახურვის შემდეგ შემოვიარეთ და დავათვალიერეთ რამდენიმე იქაური დიდი ასტრონომიული ობსერვატორია. ცნობილია, რომ კალიფორნიაში განლაგებულია სამთო ასტრონომიული ობსერვატორიები, რომლებიც გამოირჩევა კარგი ბუნებრივი პირობებით და უმძლავრესი ტელესკოპებით. ჩვენთვის — აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის თანამშრომლებისათვის ისინი განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენენ. ამერიკის მთის ასტრონომიულ ობსერვატორიებს თავისი ისტორია აქვთ. ჯერ კიდევ ორნახევარი საუკუნის წინ ნიუტონს გამოუთქვამს მოსაზრება, რომ ასტრონომიული დაკვირვება მაღალი მთის პირობებში, ჰაერის მეტი გამჭვირვალობისა და სხვა პირობების გამო, უფრო ნაყოფიერი უნდა იყოს. ამ მოსაზრებისათვის ჯეროვანი ყურადღება არ მიუქცევიათ და იგი, საერთოდ, დავიწყებას მიეცა. 1880 წელს კალიფორნიაში, ჰამილტონის მთაზე, ზღვის დონიდან 1200 მეტრის სიმაღლეზე, გაიმართა პირველი მთის ასტრონომიული ობსერვატორია, მაგრამ ეს შემთხვევით მოხდა, რამდენადაც ვინმე ჯეიმს ლიკმა — უზომოდ გამდიდრებულმა ამერიკელმა საქმოსანმა — მოისურვა საკუთარი თავის უკვდავსაყოფად ძეგლი დაედგა დიდი ტელესკოპის სახით მთის მწვერვალზე. როცა, შემდგომში, ჰამილტონის მთაზე მთელი ობსერვატორია ამუშავდა, მალე გამომჟღავნდა მთის ატმოსფერული რეჟიმის უპირატესობანი. ამის შემდეგ შემთხვევით ადგილებში ახალი ობსერვატორიების აგებაზე ხელი აიღეს და ყოველთვის წინასწარ იკვლევენ სხვადასხვა ადგილის ატმოსფერულ პირობებს, გამჭვირვალობას, სიწყნარეს, ცის მოწმენდილობასა და სხვა თვისებებს, ვიდრე აირჩევენ უმეტესად ხელსაყრელ ადგილს. შემდგომში კალიფორნიაში მოეწყო ორი სხვა კარგად შეიარაღებული ობსერვატორია უილსონისა და პალომარის მთებზე, ზღვის დონიდან 1700 მეტრის სიმაღლეზე. ერთ მათგანში დადგმულია ტელესკოპი—გიგანტი. მისი მთავარი სარკე, რომელიც ძირითად როლს ასრულებს შორეული და მკრთალი კოსმოსური სხეულების გამონასახის მიღებაში ფოტოგრაფიულ ფირფიტაზე, ხუთმეტრიანია დიამეტრით. ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანის თვალთან შედარებით მას მილიონჯერ უფრო დიდი უნარი აქვს დანახვისა. ეს გიგანტი—ტელესკოპი, რომელიც 530 ტონას იწონის, ამავე დროს ადვილად ბრუნავს ორი ღერძის ირგვლივ, ამნაირად მთელი ცის ნებისმიერ წერტილში მიიმართება და ვარსკვლავთ ნელ მოძრაობას ცაზე მშვიდად და ხანგრძლივად „მიყვება", როცა ხდება ცის ერთობ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შორეული და მკრთალი ობიექტების ფოტოგრაფირება.

დიდი სიამოვნებით ვიგონებთ კალიფორნიის მთის ასტრონომიულ ობსერვატორიებში მგზავრობას, ოკეანის დონიდან მაღალი მთის კალთებზე აღმართ-აღმართ მიმართულს ნაკეცგზას, სუბტროპიკული მცენარეულობის წიწვნართან თავისებურ ნარევს, ქვევით — დაბლობებში ჩაწოლილს ნისლს, ხოლო ზემოდან — მოწმენდილს ლურჯცას. ბუნებაში ბევრი რამ მოგვაგონებდა ჩვენს მშობლიურ მხარეს, ჩვენი ობსერვატორიის გარემოს: მთები, ტყე, ლურჯი ცა...

აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის ისტორიაც აგრეთვე დაკავშირებულია თანამედროვე ასტრონომიის მოთხოვნილებასთან — წარმოებდეს ასტრონომიული დაკვირვებები იქ, სადაც საამისოდ უმეტესად ხელსაყრელი პირობებია. ჯერ კიდევ წარსული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში შემთხვევით გარემოებათა გამო აბასთუმანში ორი ზამთარი გაატარა ცნობილმა რუსმა ასტრონომმა ს. გლაზენაპმა. პატარა ტელესკოპით იგი ერთგვარ ასტრონომიულ დაკვირვებებს ეწეოდა, ზომავდა რა კუთხურ მანძილებს ორჯერადი სისტემების შემადგენელ ვარსკვლავთა შორის. ატმოსფეროს დიდმა გამჭვირვალობამ და სიწყნარემ, რაც ვარსკვლავთ ოპტიკური გამონასახების კარგ ხარისხს უზრუნველყოფს, შესაძლებლობა მისცა ს. გლაზენაპს გაეზომა ჯერადი სისტემების მჭიდროდ მდებარე შემადგენელთა შორის ისეთი მცირე კუთხური მანძილები, რომლებიც ჩვეულებრივ პირობებში იმგვარი ტელესკოპებისათვის მიუწვდომელია. ს. გლაზენაპმა გამოაქვეყნა თავისი დაკვირვებების შედეგები, რომლებმაც უმალვე მიიპყრო ყურადღება. იმ დროის გამოჩენილი ამერიკელი ასტრონომი ბერნჰამი წერდა, რომ „გლაზენაპის დაკვირვებები გადაჭრით გვიჩვენებს, რომ თბილისის (იგულისხმებოდა აბასთუმანი — ე. ხ.) მდებარეობა შესანიშნავად ხელსაყრელია ასტრონომიული მუშაობისათვის... არცერთ ობსერვატორიას ევროპაში არა აქვს ესოდენ ხელსაყრელი მდებარეობა, და ძნელი იქნებოდა დაგვესახელებია სადმე სხვაგან ასეთი, გარდა ობსერვატორიისა ჰამილტონის მთაზე, კალიფორნიაში, სადაც ატმოსფერული პირობები ასევე ხელსაყრელია... უეჭველია, რომ რუსეთის მთავრობა უზრუნველყოფს მისთვის შესაძლებლობას ჩაატაროს აბასთუმანში დაწყებული სამუშაო უფრო მძლავრი ინსტრუმენტების მეშვეობით“...

მოწინავე რუს მეცნიერთ არაერთხელ აღუძრავთ საკითხი აჭარა-იმერეთის მთების კალთებზე, აბასთუმნის მახლობლად დიდი ასტრონომიული ობსერვატორიის გამართვის შესახებ. მაგრამ მეფის მთავრობის რეჟიმის პირობებში ვერ განხორციელდებოდა იდეა დიდი სამეცნიერო დაწესებულების დაარსებისა რუსეთის იმპერიის ცენტრის დაშორებით, პერიფერიაზე. აბასთუმანში ასტრონომიული ობსერვატორიის გამართვა შესაძლებელი გახდა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს, როცა ხალხის შემოქმედებითმა ძალებმა გაიღვიძა და თანმიმდევრული განხორციელება იწყო სხვადასხვა სამეცნიერო და კულტურულმა წამოწყებამ საბჭოთა კავშირის სხვა ხალხებთან მეგობრობისა და თანამშრომლობის ვითარებაში. აბასთუმნის ობსერვატორია პირველი მთის ასტროფიზიკური ობსერვატორიაა საბჭოთა კავშირში, ამ მხრივ მან პიონერული როლი შეასრულა და მნიშვნელოვანი სამსახური გაუწია საბჭოთა კავშირის ასტრონომიულ მეცნიერებას.

...ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტი ჩვენ ორჯერ გადავსერეთ თვითმფრინავით: აღმოსავლეთ ნაპირებიდან დასავლეთისაკენ და უკან. მეტად მრავალფეროვანია მისი ბუნება, ლანდშაფტები; 4-5 საათის განმავლობაში ფრენის დროს თქვენ ხედავთ ჰაერიდან ხან ვრცელ უდაბნოებს, ხან მდიდარი მცენარეულობით შემოსილ მთებს; ურწყავ, მწირ მიწებს და დამუშავებულ ფართობებს; თოვლით დაფარულ მწვერვალებს და სუბტროპიკული მცენარეებით გაშენებულ დაბლობებს. დაბლა, ავტომანქანით მოგზაურობისას თქვენს ყურადღებას იპყრობს პირველ რიგში კარგად მოპირკეთებული ფართო გზები, ავტომანქანების უჩვეულო სიმრავლე და ხიდები, — შესანიშნავი საინჟინერო ნაგებობანი. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით შესამჩნევია კალიფორნიაში, რომლის ქალაქ სანფრანცისკოში თქვენ მოგიხდებათ გაიქროლოთ 12 კილომეტრის სიგრძის ხიდზე. მაგრამ შეჩერდით ქალაქში; სასტუმროს ოთახში თქვენს განკარგულებაშია ტელევიზორის ეკრანი, რომელზედაც შეგიძლიათ იხილოთ 6-8 არხით გადაცემული სხვადასხვა პროგრამა და სულ მალე იმედგაცრუებული დარჩებით: საოცრად ერთნაირია, უგემოვნო, უაზრო ის მრავალრიცხოვანი კინოსურათები, რომელთაც ზედიზედ გადმოცემენ ადრე დილიდან გვიან ღამემდე; გაუთავებელი მკვლელობები, მოურიდებელი ცემატყეპა მამაკაცისა თუ ქალისა საკვირველი ერთფეროვნებით მეორდება სურათიდან სურათში. ამასთანავე კინოფილმში შიგ და შიგ ჩართულია სარეკლამო გადმოცემები, რომლებიც უმრავლეს შემთხვევებში ასევე უსიამოვნო გრძნობების აღმძვრელი და მომაბეზრებელია; სარეკლამო გადმოცემის ავტორი არც გარეგნულ სიმახინჯეს ერიდება და რაღაც ფანტასტურ დეგენერატიულ სახეებს წარმოადგენს, არც ბგერით დისონანსებს და უეცრად ბრახა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრუხითა და წივილით აგიკლებთ, ოღონდ კი მიიპყროს მაყურებლის ყურადღება ერთი წამით მაინც, რათა მოასწროს და გადმოსძახოს ეკრანიდან, რომ ამა და ამ ფირმის მიერ წარმოებული, მაგალითად, კბილების საწმენდი ფხვნილი საუკეთესოა.

ქალაქებში ყოველ ათ თეთრკანიანზე ერთს მაინც შავკანიანს შეხვდებით. თვალში გეცემათ, რომ შავკანიანებზე მოდის ყველაზე უფრო მძიმე სამუშაო: მეეზოვე თუ დამლაგებელი, ტვირთმზიდავი თუ ლიფტიორი უთუოდ შავკანიანია.

მაგრამ საბჭოთა მოქალაქეებისადმი მეგობრული ინტერესი ყველას — როგორც თეთრკანიანებს, ისე შავკანიანებს — ერთნაირად ეჩნეოდათ. რაც შეეხება ამერიკელ მეცნიერ-ასტრონომებს, რომელთანაც ხშირი შეხვედრები, საქმიანი თუ თავშესაქცევი საუბრები გვქონდა, მათი ჩვენდამი დამოკიდებულებაც სავსე იყო თანამეგობრობისაკენ მისწრაფებით, ინტერესით, ჩვენი სახელმწიფოს მეცნიერების პატივისცემით.

მართლაც, ყველაზე მეტად უცხოელების ყურადღებას ჩვენი მეცნიერების მიღწევები იპყრობდა, რომელთ უმეტესად მკაფიო გამოხატულება ჩვენ ადამიანთა მიერ წარმოებულ კოსმოსურ ექსპერიმენტებშია. ჩვენ ვიცით, რომ იმ გზაზე, რომლითაც მოწინავე საბჭოთა მეცნიერება ვითარდება, ახლო მომავალი კიდევ უფრო მეტს და უფრო მეტად განსაცვიფრებელ გამარჯვებებს მოგვიტანს; ამის საწინდარია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის მიერ მიღებული კომუნისტური პარტიის პროგრამა, რომლის მიხედვით წარმოებული გმირული შრომა მიიყვანს ჩვენს ხალხს კომუნიზმის იდეალების განხორციელებამდე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩვენი ავტორები

გივი გეგეჭკორი

1962 წელს, უპირველეს ყოვლისა, მინდა გამოვცე ჩემი ლექსების პირველი წიგნი. ვისაც ლექსების პირველი წიგნი, და საერთოდ პირველი წიგნი გამოუცია, ის დამეთანხმება, რომ ეს არც თუ ისე ადვილი საქმეა...

წიგნში მხოლოდ ამ უკანასკნელ სამ წელიწადში დაწერილ ლექსებს შევიტან. შევა აგრეთვე ის ახალი ლექსებიც, რომლებიც წელს დავწერე და ჯერ არ გამომქვეყნებია.

ძალიან ბევრი რამის დაწერაზე ვოცნებობ, მაგრამ ამ ოცნებების გამხელა მეშინია, ვაი თუ მხოლოდ ოცნებებად დარჩეს...

ნოდარ გურეშიძე

დავწერ იმაზე, რაზედაც აქამდეც ვწერდი: სიყვარულზე, მეგობრობაზე, ჩვენი ბუნების ხილამაზეზე, ჩვენს შესანიშნავ, გმირ ადამიანებზე.

ჩვენი ეპოქის უმნიშვნელოვანეს დოკუმენტში — კომუნისტური პარტიის ახალ პროგრამაში გამოხატულია კაცობრიობის ყველაზე საუკეთესო იდეალები, ყველაზე სანუკვარი მისწრაფებანი.

ჩვენი ეპოქა, საოცარ გარდაქმნათა და ცვალებადობათა ეპოქა, ატომისა და კოსმოსის ათვისების ეპოქა, ისეთი სწრაფი წინსვლითა და შთაბეჭდილებებითაა აღსავსე, რომ შემოქმედი უაღრესად შრომისმოყვარე და ოპერატიული უნდა იყოს, რომ არ ჩამორჩეს მას.

ვამზადებ და მომავალ წლისათვის „საბჭოთა მწერალში“ გამოვცემ ახალი ლექსების წიგნს. „ცისკარში“ გამოვაქვეყნებ ახალ ლექსებს. განზრახული მაქვს დავწერო პოემა ჩვენი ახალგაზრდობის ცხოვრებაზე და ვცადო ჩემი ძალები პროზის დარგშიაც.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მერაბ ელიოზიშვილი

რა თქმა უნდა, დავწერ იმას რასაც ვფიქრობ. ჯერჯერობით ისევ ჩემ სცენარს („გზებსა და გზაჯვარედინებს") ჩავკირკიტებ. ფილმს უკვე იღებენ, მაგრამ მაინც ჩავკირკიტებ, პირველია და არ მინდა შევრცხვე. ხან გზას მივდევ შალაშინით, ხანაც გზაჯვარედინს, ვნახოთ რა გამოგვივა.

— ჰა? — გაჩერდება ხოლმე წამით, ხანაც შეტით, კითხვის ნიშანწამოკიდებული ფიქრი.

— ჰო! — გამოჩნდება პასუხი, და ფიქრი ისევ გზას გაუყვება.

ყაზბეგში იყო კინოექსპედიცია, მეც იქ ვიყავი. ახალ სასტუმროში ვცხოვრობდით ასამდე კაცი. ეს კაცში ცხოვრება მომიწევს ბარე ერთ წელიწადს. ესი სხვადასხვა ხასიათი, სხვადასხვა ასაკი, დურგლიდან მოყოლებული და რეჟისორით დამთავრებული. ისე როგორ გამიწყრება ღმერთი, რომ ამოდენა ორომტრიალიდან ხელცარიელი გამოვიდე და ერთი ტილო არ შემოვახვიო საქმეში გართულ კინოს ხალხს.

ვფიქრობ ერთ პატარა კომედიაზე: პატარა ზღვისპირა ქალაქი, დიდი ხასხასა პალმები, თეთრი გემები. თითქმის ყველაფერი რიგზეა, ყველა თავის საქმეს მისდგომია. ერთ მშვენიერ დღეს ქალაქი შეიპყრო სიზარმაცის ავადმყოფობამ, სამსახურში გასულები ამთქნარებენ, ზეზეულა სთვლემენ ან მაგიდებზე იძინებენ. საქმეს თავი მიანებეს და ძილს მიეცნენ. დღისით იძინებენ, ღამით ღვიძავთ.

კომედია სიზარმაცისა და ყოყოჩობის წინააღმდეგ.

ამის შემდეგ კიდევ ერთი ამბავი დიდ სიყვარულზე, და მერე...

მუხრან მაჭავარიანი

მინდა დავწერო ახალი (ამავე დროს კარგი) ლექსები. (როგორც ხედავთ, სურვილი არა მაქვს ურიგო!). რაზე დავწერ არ ვიცი, რადგან ეს დამოკიდებულია არა მარტო ჩემზე, არამედ ყველაფერ იმაზე, რაც ხვალ, ზეგ, მაზეგ და ა. შ. შემემთხვევა ჩემი ცხოვრების გზაზე და რის დანახვასაც შევძლებ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თენგიზ მირზაშვილი

გამომცემლობა „ნაკადულმა“ გამოსცა ჩემი „მთათუშეთი“.

ქართლში გაკეთებული ეტიუდების მიხედვით ვამთავრებ სურათების ციკლს. პარალელურად ვმუშაობ დიდ პანოზე „დღეობა მთაში“. მოფიქრებული და დაწყებული მაქვს რამდენიმე ფერწერული პორტრეტი და ნატურმორტი. ვმუშაობ გრაფიკაშიც. მომავალში კვლავ სიამოვნებით შეასრულებ ილუსტრაციებს ჟურნალ „ცისკრისათვის“.

საერთოდ წინასწარ წერა იმაზე, თუ რას დავხატავ მომავალში, ძალზე მიჭირს. წერაზე უფრო ხატვა მემარჯვება. იქნებ ისეთი სურათები გავაკეთო, რომელზეც წინასწარ არასოდეს მიფიქრია.

თამაზ ნატროშვილი

ახლახანს დავამთავრე მოთხრობა „შორეული სვანეთი“. იგი წარმოადგენს ახალგაზრდა კაცის ცხოვრებიდან ამოგლეჯილ ნაწყვეტებს ერთი წლის მანძილზე, შემოდგომიდან შემოდგომამდე. არ ვიცი, როგორი გამოვიდა მოთხრობა. სტენდალის არ იყოს, თავში უფრო კარგია წერა, ვიდრე ქაღალდზე. მით უმეტეს მისთვის, ვინც პირველ ნაბიჯებს ადგამს მწერლობაში. მოთხრობის გმირებს ჰქვიათ ნოდარი და ნანა. ალბათ არც არის საჭირო შინაარსის წინასწარ მოყოლა. რაც შეეხება მომავლის გეგმებს, ისინი ბევრია და შევეცდები მათ განხორციელებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შოთა ნიშნიანიძე

მთელი წელი ვიმუშავე ცნობილი რუსი პოეტის — იაროსლავ სმელიაკოვის ლექსების თარგმანზე, რომელიც უკვე დასაბეჭდად მოამზადა გამომცემლობა „ნაკადულმა“.

წელს და გაისად გამოვაქვეყნებ ლირიკული ლექსების ორ ახალ წიგნს. ამჟამად კი ერთგვარ შემოქმედებით გადახალისებას განვიცდი: დავიწყე ერთდროული მუშაობა დიდი ხნის წინათ მოფიქრებულ პოემებზე.

ერთ-ერთ პოემაში მინდა ვაჩვენო ახალგაზრდა მხატვრის რთული და საინტერესო ცხოვრების გზა, რომლის პოვნაში და დამკვიდრებაში მნიშვნელოვან როლს ითამაშებს სამამულო ომის ყოფილი მონაწილე, ამჟამად კი სწავლული პიროვნება. პოემის იდეური მახვილი მიმართული იქნება ჩვენი ახალგაზრდობის ერთი ნაწილის ცხოვრებაში ფეხმოკიდებული მავნე გადმონაშთების წინააღმდეგ. მთავარ მოქმედ პირს დაუპირისპირდება ამ წრიდან გამოსული მოდარდიმანდო ფუქსავატი ახალგაზრდა, რომელიც ერთგვარ ღროებით წარმატებებსაც კი აღწევს ცხოვრებაში. საერთოდ პოემა კონტრასტებზე იქნება აგებული. ამიტომაც დავარქვი „ორი ნაპირი“. არც მეორე პოემის სათაურია შემთხვევითი — „მებორნის ნოველები“. მისი ცალკეული თავები ასახავს გმირის ბიოგრაფიულ მომენტებს, აიგება ნოველის პრინციპზე და ერთ კომპოზიციურ მთლიანობას შეუქმნის. ასეთი არჩევანი საშუალებას მომცემს ერთდროულად დავამუშავო სხვადასხვა თემა, ვაჩვენო როგორ ცვლილებებს განიცდის გმირის ხასიათი არსებული მდგომარეობებისდა მიხედვით. და ამასთან მხატვრულად გადავჭრა შიშის, გმირობის, სინდისის, სიყვარულის, პატრიოტიზმის და სხვა ზნეობრივი კატეგორიების საკითხები. პოემა დიდ ფსიქოლოგიურ დატვირთვას მოითხოვს და ეს უფრო მიორკეცებს მომთხოვნელობისა და პასუხისმგებლობის გრძნობას.

ამ ამოცანების წარმატებით გადაჭრის შემთხვევაში შევუდგები რუსი ახალგაზრდა პოეტების თარგმნას. რა თქმა უნდა, ვეცდები სიტყვა და საქმე ერთი მქონდეს.

ზურაბ ნიჟარაძე

1. დაწყებული მაქვს ექვსი პორტრეტი და არცერთი არა მაქვს დამთავრებული.

2. პირველ რიგში, სანამ შთაბეჭდილებები ცოცხალია, იტალიაში გაკეთებული ჩანახატების მიხედვით ვაპირებ რამდენიმე კომპოზიციის შესრულებას (ფერწერა ლითოგრაფია...), რომლებსაც ჟურნალ „ცისკარშიაც“ დავბეჭდავ.

3. მინდა დავწერო დიდი ტილო კახელი კოლმეურნეების ცხოვრებაზე (მეჭურჭლეებზე, მევენახეებზე).

კვლავაც დიდი სიამოვნებით გავაფორმებ „ცისკარში“ მოთავსებულ მხატვრულ ნაწარმოებებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გოგი ოჩიაური



წელს ძირითადად გრაფიკაში ვმუშაობდი. გავაკეთე ილუსტრაციები ვაჟა-ფშაველას ლექსებისათვის. ვმუშაობ მხატვრად ფილმზე, რომელსაც გურამ რჩეულიშვილის მოთხრობა „ალავერდობის“ მიხედვით იღებენ. შევასრულე რამდენიმე პორტრეტი.

ვაპირებ ბარელიეფების გაკეთებას ხეში. მინდა დავასურათო გ. მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“. კვლავ სიამოვნებით ვითანამშრომლებ ჟურნალ „ცისკარში“.

ოტია პაჭკორია

განზრახული მაქვს დავწერო წერილების ციკლი რომანის განვითარების შესახებ. ამ წერილებზე ძირითადი ყურადღება გამახვილებული იქნება ქართული პროზის, კერძოდ ქართული რომანის განვითარების პერსპექტივებზე.

გამოვაქვეყნებ წერილებს ჩვენი ახალგაზრდა შემოქმედების ახალ ნაწარმოებებზე და ლიტერატურულ ეტიუდებს სერვანტესზე, სტენდალზე, დოსტოევსკიზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ედიშერ ყიფიანი

ხალხით სავსე ავტობუსი (ან ქუჩა).

შორეული ნაცნობი (ხანდახან ახლობელიც):

— ოჰ, გამარჯობა შენი!

— გაგიმარჯოს!

— როგორა ხარ... როგორაა საქმეები!

— არა უშავს...

— რას წერ ახლა, რაზე მუშაობ?

ვგრძნობ, როგორ ვწითლდები, თითქოს ვპატარავდები, ვიკუმშები უხერხულობისაგან, ქურდულად ვაპარებ თვალს მგზავრებისაკენ — ხომ არ გაიგონეს ჩემი ნაცნობის შეკითხვა, ხომ არ იყურებიან ჩემსკენ, რაღაცეებს ვბურტყუნებ გაუგებრად და ელვისუსწრაფესად ვცვლი ლაპარაკის თემას.

გულში კი ვფიქრობ: „შე კაი კაცო, რატომ მარცხვენ ამდენ ხალხში?! ამაზე საამაყო შეკითხვა არ არსებობს მწერლისათვის. ეს შეიძლება ჰკითხო ჩვენს გამოჩენილ მწერლებს... მე კი... მე რატომ მეკითხები, დარწმუნებული ვარ, არც გაინტერესებს მაინცდამაინც...“

შეიძლება ვინმემ ეს გადამეტებულ თავმდაბლობად ჩათვალოს, მაგრამ მე ასე მგონია — როცა მწერალი რაიმე, მნიშვნელოვანს შექმნის, როცა მისი ნაწარმოები საქვეყნოდ გახმაურდება, მხოლოდ მაშინ ეძლევა მორალური უფლება სჯეროდეს, რომ ხალხი თვალყურს ადევნებს მის საქმიანობას, რომ მკითხველს ნამდვილად აინტერესებს, კიდევ რას შექმნის საქვეყნოდ გახმაურებული ნაწარმოების ავტორი, კიდევ რითი გაამდიდრებს ჩვენს ლიტერატურას.

მე ვოცნებობ, დავწერო მოთხრობები და რომანები, სადაც ნაჩვენები იქნება საბჭოთა ადამიანების, საბჭოთა ახალგაზრდობის დიდი სულიერი სიმდიდრე და მრავალფეროვნება, მაღალი მორალური თვისებები — ჯერ არნახული, ჯერ არ გაგონილი! და მინდა დავწერო ისე რომ ყველა დაინტერესდეს, რას შევქმნი კიდევ მომავალში!

ნოდარ ჩხეიძე



მე და ჩემმა მეგობარმა ახლახან ვთარგმნეთ თენსინგ ნორგეის წიგნი „ევერესტზე“. დავწერე სერგო კლდიაშვილის, ნოდარ დუმბაძის და მუხრან მაჭავარიანის ლიტერატურული პორტრეტები. ამჟამად ვწერ წერილებს ახალგაზრდა პოეტებსა და დღევანდელ ქართულ ლექსზე. მათ დაემატება ადრე გამოქვეყნებულიც და ასე გაჩნდება ალბათ დიდი ხნის ნაოცნებარი წიგნი „დღევანდელი ქართული პოეზია“.

ვამთავრებ მუშაობას ოთხი პოეტის პორტრეტზე (ხუან რამონ ხიმენესი, ფედერიკო გარსია ლორკა, გაბრიელა მისტრალი, პაბლო ნერუდა).

ჟურნალ „ცისკრისთვის“ ვწერ რეცენზიას მერაბ ელიოზიშვილის მოთხრობების წიგნზე.

ძალიან მინდა დავწერო ვახტანგ ონიანის ფერწერასა და გრაფიკაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტარიელ ჯანტურია

წინასწარ თითქმის არასოდეს არ ვიცი, რას დავწერ. დაბეჯითებით ლაპარაკი მხოლოდ სურვილებზე შემიძლია. სურვილი კი, როგორც ყოველთვის წელსაც ბევრი მაქვს. ვიტყვი ერთ მათგანზე.

ახლა ხშირად ქვეყნდება საზღვარგარეთული შთაბეჭდილებები. თუ სამშობლოს მოშორებული კაცის განცდები ასე საინტერესოა, მაშინ კიდევ უფრო საინტერესო უნდა იყოს განცდები კაცის, რომელიც არა თუ სამშობლოს, არამედ მთელ დედამიწასაა მოშორებული. მეც ძალიან მინდა დავწერო ამ კაცის ფიქრი, ვნებები, წუხილი, სიხარული (ალბათ ერთგვარი შიშის გრძნობაც).

ეს ჯერ მარტო სურვილია, და თუ მაინც ვლაპარაკობ ამაზე, მხოლოდ იმისათვის, რომ ჩემივე სიტყვებით დავალებულმა უფრო გულმოდგინედ ვიმუშაო.

მომავალ წელს, გარდა ლექსების წიგნისა, მინდა გამოვცე მხატვრული ნარკვევების პატარა კრებული.

მაქვს ახალი ლექსები.

რეზო ჭეიშვილი

გასულ წელს დავწერე რამდენიმე მოთხრობა. წელს გამომცემლობა „ნაკადული" ცალკე წიგნად გამოუშვებს ჩემი მოთხრობების კრებულს. კრებულში მოთხრობებთან ერთად შევიტან რომანის ნაწყვეტს.

ამჟამად კინოსტუდია „ქართულ ფილმში" ვმუშაობ ორ სრულმეტრაჟიან სცენარზე. პირველი — „სამი ასული", რომელიც დაწერილია გ. აბაშიძის პიესის „მოგზაურობა სამ დროში" მოტივების მიხედვით, თითქმის მზადაა წარმოებაში ჩასაშვებად. ამ სცენარზე ჩემთან ერთად მუშაობს ახალგაზრდა პოეტი ემზარ კვიტაიშვილი.

მეორე სცენარი „ციცინათელა" (სათაური ჯერჯერობით პირობითია) დაიწერა პოლიკარპე კაკაბაძის ნაწარმოებების მიხედვით.

სცენარების დასრულების შემდეგ განზრახული მაქვს დავწერო პიესა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თამაზ ჭილაძე

რასაც მე ქვემოთ ჩამოვთვლი. რა თქმა უნდა, ჯერ მხოლოდ სურვილებია და მეტი არაფერი, მაგრამ იქნებ მათმა დასახელებამ ნაწილი მაინც შემასრულებინოს...

1962 წელს მინდა გამოვცე ახალი ლექსების კრებული,

დავამთავრო დიდი მოთხრობა, რომელსაც პირობითად „შუადღეს“ ვუწოდებ,

დავწერო წერილები რუსთველსა და ბარათაშვილზე,

დავამთავრო წიგნი გალაკტიონ ტაბიძეზე,

დავწერო წერილები ახლგაზრდა მხატვრების შემოქმედებაზე...

გიორგი ხუხაშვილი

1961 წელი ჩემთვის ნაყოფიერი იყო. დავამთავრე დრამა-ლეგენდა „ზღვის შვილები“, რომელსაც რუსთაველის სახელობის თეატრში დგამს რეჟისორი მიხეილ თუმანიშვილი. პიესას გაეცნო საბჭოთა კავშირის კულტურის სამინისტროს თეატრალური განყოფილება და ალმანახ «Современная драматургия»-ს რედაქცია. მოიწონეს. მომავალ წელს ალბათ ერთდროულად მომიწევს შეხვედრა მოსკოვის მაყურებლებთან და მკითხველებთან. რეჟისორ მ. თუმანიშვილთან ერთად ვწერ კინოსცენარს „ზღვის შვილების“ მიხედვით. პარალელურად ვმუშაობ თბილისელი ახალგაზრდობის ცხოვრების ამსახველ დრამაზე რეჟისორ ლილი იოსელიანთან ერთად. გამოდის ჩემი კრიტიკული წერილების მეორე კრებული „მწერალი და დრო“. მომავალი წლისათვის განზრახული მაქვს დავიწყო ბიოგრაფიული რომანის წერა გალაკტიონ ტაბიძეზე. ეს ჩემი დიდი ხნის ოცნებაა, „შავი სამუშაო“ მასალების შეგროვებისა ძირითადად დავამთავრე. დანარჩენი მომავალი ხანგრძლივი შრომის ამბავია. ვნახოთ რა გამოვა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლაშა ჯანაშია

ვმუშაობ IV — VI საუკუნეების საქართველოს ისტორიის საკითხებზე. უნდა ითქვას, რომ ეს მეტად საინტერესო ეპოქაა, რადგან სწორედ ამ დროს ხდება ფეოდალური წყობილების გამარჯვება ჩვენში. ამჟამად ვსწავლობ ამ პერიოდის სომხურ ისტორიოგრაფიას. ჩვენი ოდინდელი მეზობლების, სომხების ძველმა ისტორიკოსებმა ბევრი საყურადღებო ცნობა შემოგვინახეს საქართველოს შესახებ. წელს ალბათ გამოვა ჩემი წიგნი, რომელიც მიძღვნილია V ს. სომეხ ისტორიკოსის ლაზარ ფარპეცისადმი. ძველსომხურ ისტორიოგრაფიაზე მუშაობას ვაპირებ კიდევ რამდენიმე წლის განმავლობაში.

პარალელურად ვსწავლობ ქართულ ისტორიოგრაფიასაც, განსაკუთრებით მის ისეთ მნიშვნელოვან ძეგლებს, როგორიცაა „მოქცევაჲ ქართლისაჲ", ლეონტი მროველისა და ჯუანშერის თხზულებები.

მასალა ბევრია. იგი არაერთ ისტორიკოსს ეყოფა. ასევე სამუშაოც.

განზრახული შრომიდან რამდენიმე ნაწყვეტს ჟურნალ „ცისკრის" ფურცლებზე გამოვაქვეყნებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავსტრია

დიდი შეტევა ავსტრიის კინოკრიზისის წინააღმდეგ

ამ მოკლე ხანში კინოფირმა „ოტო დიურერ პროდუქციონი" ვენაში დაიწყებს ახალი ფილმის გადაღებას ავსტრიელი მწერლის რაიმუნდის ცხოვრებაზე. მის შემქმნელებს სურთ მოახდინონ რეაბილიტაცია ავსტრიული კინოხელოვნებისა, რომელიც უკანასკნელი წლების ხალტურულმა, უგემოვნებო ფილმებმა კრიზისამდე მიიყვანეს. ფილმის სცენარს ამთავრებს შვეიცარიაში მცხოვრები ავსტრიელი მწერალი ფრიც ჰოხვალდერი, რეჟისორად მიწვეულია ლეოპოლდ ლინდბერგი. იგი უმთავრესად რეჟისორობს თეატრში (ვენისა და ზალცბურგის საქალაქო თეატრები). ლინდბერგს გადაღებული აქვს რამდენიმე ფილმი, მათ შორის რამდენჯერმე პრემირებული შვეიცარიული ფილმი „უკანასკნელი შანსი", რომელშიც ლინდბერგი დიდი გამომსახველობით გვიხატავს გერმანელ და ავსტრიელ ლტოლვილ ებრაელთა ბედს.

ოტო დიურერის ფირმისთვის ჯერჯერობით ღიად რჩება ამ ფილმში მთავარი როლის შემსრულებლის საკითხი. თავდაპირველად რაიმუნდის როლში სურდათ ოტო ფიშერი, რაზედაც მან თავის დროზე თანხმობაც განაცხადა. ამჟამად, როგორც ჩანს, ოტო დიურერი ამ როლში ამჯობინებს თეატრის მსახიობს იოზეფ მაინრადს; ამავე დროს დიურერი იძულებულია ანგარიში გაუწიოს საზღვარგარეთის, და პირველ რიგში დასავლეთ გერმანიის კინობაზარს, სადაც ფიშერი გაცილებით უფრო ცნობილია, ვიდრე მაინრადი. ფილმში ცენტრალური ადგილი დაეთმობა რაიმუნდისა და ტერეზა კრონეს ურთიერთობას. ამ უკანასკნელისა და რამდენიმე სხვა როლისა-ი ვისაც ჯერ საბოლოოდ არ შეურჩევიათ მსახიობები. დიურერს აქაც სურს უარი თქვას ცნობილ კინოვარსკვლავებზე და მოიზიდოს თეატრის მსახიობები, პირველყოვლისა კი ისინი, რომლებიც რაიმუნდის პიესებში გამოირჩევიან ნიჭიერი თამაშით. ფილმში იქნება სცენები რაიმუნდის ნაწარმოებებიდან („გლეხი მილიონერი", „მფლანგველი" და სხვ.). ავსტრიის ამ უდიდესი ფილმის პროექტის განსახორციელებლად დიურერის ფირმა უკვე ერთი წელია აწარმოებს მოსამზადებელ სამუშაოებს და გადაღებაც მალე დაიწყება.

დიურერის ფირმა პარალელურად მუშაობს ფრანკ ვედეკინდის „ლულუს" ეკრანიზაციისთვის. ფილმს გადაიღებს რეჟისორი როლუ ტილე. სცენარზე მუშაობა უკვე დაამთავრა ჰერბერტ რაინეკერმა. ლულუს როლს შეასრულებს ნადია ტილერი. სხვა მთავარ როლებში იქნებიან ჰანს ლიტარი, შარლ რენიერი და მარიო ადოლფი. ეს იქნება ფართოეკრანიანი ფერადი ფილმი.

კინოფირმა „საშა" იწყებს შტრაუსის „ღამურას" ახალ ეკრანიზაციას. სატუსაღოს დარაჯის როლს ფილმის გერმანული ვარიანტისთვის შეასრულებს ჰანს მოზერი, ხოლო საზღვარგარეთისთვის განკუთვნილი ვარიანტისთვის — ფრანგი კომიკოსი ფერნანდელი. ცოლ-ქმარ ეიზენშტაინების როლში იქნებიან კატერინა ვალენტი და პეტერ ალექსანდერი.

ავსტრიული ფილმის საუკეთესო ტრადიციების განგრძობას აპირებს აგრეთვე ცნობილი რეჟისორი გეზა ფონ რადვანი. მას სურს შექმნას საზოგადოების გამაკრიტიკებელი ფილმები; სცენარები ან თვით მისი დაწერილია, ანდა შექმნილია მის მიერ მიწოდებულ თემებზე. რეჟისორი ამაოდ დაეძებდა პროდიუსერებს; იგი ამჟამად საკუთარი სახსრებით აპირებს მათ გადაღებას. ეს იქნება იაფი ფილმები, რომლებშიც არ ითამაშებენ ცნობილი კინოვარსკვლავები.

აშშ

ჯარისკაცი სლოვიკი, ეიზენჰაუერი და ჰოლივუდი

ამ 17 წლის უკან გენერალ ეიზენჰაუერის ბრძანებით (იგი მაშინ ამერიკის არმიის გენერალური შტაბის უფროსი იყო) სიკვდილით დასაჯეს რიგითი ჯარისკაცი სლოვიკი. ეს არ იყო უსამართლობის ერთადერთი შემთხვევა, ამიტომ „სლოვიკის საქმე" მალე მიივიწყეს.

მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ ამ საქმით დაინტერესდა ცნობილი ამერიკელი ჟურნალისტი და მწერალი ვილიამ ბრედფორდ ჰეი, ის დაინტერესა ამ რიგითი ჯარისკაცის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხოვრებამ, მისმა ოჯახმა და, ბოლოს, მისმა პროცესმა. სწორედ იმ დროს ეიზენჰაუერი თეთრ სახლში აპირებდა შესვლას, მაგრამ ჰეი ამას არ შეუშინდა, მან გამოსცა წიგნი — „რიგითი ჯარისკაცის სლოვიკის სიკვდილით დასჯა", რომელსაც დიდი წარმატება ხვდა.

შემდეგ ყველაფერი მიწყნარდა და მკვდარი ჯარისკაცი ხელს არ უშლიდა პრეზიდენტს მის საქმიანობაში, სანამ ჰოლივუდში ვიღაცამ არ მოიფიქრა ამ ნაწარმოების ეკრანიზაცია. ამერიკულ გაზეთებში გაჩნდა ცნობები, რომლებშიც იტყობინებოდნენ, რომ ფრენკ სინატრამ მიიღო უფლება გადაიღოს „რიგითი ჯარისკაცი სლოვიკის სიკვდილით დასჯა", რომ მას სურს თვით ითამაშოს მთავარი როლი, რომ ალბერტ მალცი უკვე მუშაობს სცენარზე, რომ მალე დაიწყება გადაღება. ამ ცნობამ სამხედრო სამინისტროსა და ეიზენჰაუერის შეშფოთება გამოიწვია და მათ ფილმის ავტორებს დევნა დაუწყეს. სინატრამ ბოლოს და ბოლოს ფარხმალი დაყარა. „სლოვიკი" აღარ გადაუღიათ, მაგრამ ამას წინათ ჰოლივუდმა განაცხადა: „ჯორჯ სტევენსონმა ფრენკ სინატრასაგან შეისყიდა ვილიამ ბრედფორდ ჰეის „რიგითი ჯარისკაცი სლოვიკის სიკვდილით დასჯის" გადაღების უფლება და გადაღება 1962 წლის დამდეგს დაიწყებაო".

ამჯერად ესაა მოკლე ცნობა, დაწვრილებით კი ჯერ არაფერი ვიცით; ყოველ შემთხვევაში, არ ვიცით, რა ხდება კოლიერს იქით. ან რას იტყვის ამაზე დღევანდელი სამხედრო სამინისტრო.

„ᲠᲝᲖᲔᲜᲑᲔᲠᲒᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ"

ნიუ-იორკში „კოლუმბია ბროდკასტინგი" (რადიომაუწყებლობისა და ტელეხედვის კომპანია) იღებს დოკუმენტურ ფილმს, რომელიც შორს სცილდება ტელეხედვის ფარგლებს და საზოგადოების დიდ ინტერესს იწვევს. ესაა ფილმი — „როზენბერგის საქმე".

1953 წელს, ეტელ და ჟიულ როზენბერგებს ჯაშუშობა დასწამეს და სიკვდილი მიუსაჯეს. ყალბი „დამამტკიცებელი საბუთებით ბრალი დასდეს „ატომურ ჯაშუშობაში" და სინგ-სინგის სიკვდილმისჯილთა საკანში მოათავსეს. მაშინ პრეზიდენტის პოსტი ტრუმენს უკავია. იგი შეცვალა ეიზენჰაუერმა, რომელმაც დააგვირგვინა ეს საქმე — შეწყალების თხოვნა უარყოფილი იქნა ეიზენჰაუერის პირადი ხელმოწერით. მაგრამ „როზენბერგის საქმეზე" უფრო ბინძური იყო „დუმილის შეთქმულ ებ ა" ამ საქმის გარშემო. როზენბერგების „წერილი სიკვდილმისჯილთა საკნიდან" გამოაქვეყნა მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანამ, გარდა ამერიკ ი ს ა. ყველა ამერიკულ გაზეთს აკრძალული ჰქონდა ამ სასამართლო მკვლელობის ხსენება. მას შემდეგ ამ საქმის ხსენებაც კი აკრძალული იყო. ამჟამად მდგომარეობა შეიცვალა. მის ეკრანიზაციას ხელი მოჰკიდა დ. ვასერმანმა, რომელმაც ამ თემაზე შექმნა სცენარი. „კოლუმბია ბროკასტინგმა" განაცხადა, რომ იგი ამ საქმეს ეკრანზე გადაიტანს, თუმცა ბევრისთვის, არასასიამოვნო იქნება ამ ამბის გახსენება და ბევრი მაღალი თანამდებობის პირი განრისხდება. ფილმი მალე გამოვა ეკრანზე.

ᲯᲘᲚᲓᲝ ᲞᲝᲕᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ნიუ-იორკის ეროვნული ხელოვნების ფონდის დირექტორმა კარლტეი სმიტმა ამას წინათ ჟურნალ-გაზეთებში მოათავსა განცხადება, რომლის ხედვითაც ხსენებული ფონდი 5.000 დოლარს პირდება საჩუქრად იმას, ვინც აღმოაჩენს მეორე მსოფლიო ომის დროს მუზეუმებიდან და კერძო კოლექციებიდან დაკარგულ ძვირფას ხელნაწერებს. კერძოდ, დასახელებულია შემდეგი ნაწარმოებები: ვაგნერის ოპერები — „ვალკირია", „მფრინავი ჰოლანდიელი" და „რაინის განძი"; ბეთჰოვენის VII და IX სიმფონიები; მოცარტის ოპერები — „ჯადოსნური ფლეიტა", „ფიგაროს ქორწინება" და „სერალიდან მოტაცება" (მეორე აქტი).

ᲛᲐᲠᲙ ᲢᲕᲔᲜᲘᲡ ᲐᲜᲓᲔᲠᲫᲘᲡ ᲓᲐᲠᲦᲕᲔᲕᲐ

ცნობილი ამერიკელი მწერლის მარკ ტვენის ანდერძის თანახმად მისი მემუარები უნდა გამოქვეყნებულ ი ყ ო გარდაცვალებიდან მხოლოდ 500 წლის შემდეგ. ამას წინათ მარკ ტვენის ქალიშვილმა ერთ-ერთ ამერიკულ ჟურნალს შესთავაზა ხსენებული მემუარების გამოქვეყნება. ამან საყოველთაო განცვიფრება გამოიწვია. როდესაც შეეკითხნენ, რატომ არა სცემ პატივს მამის უკანასკნელ ნებასურვილსო, მან მშვიდად მიუგო: „მამაჩემი აუცილებლად შესცვლიდა თავის გადაწყვეტილებას; თავის სიცოცხლეში მას არაერთხელ ჩაუდენია ესო". როგორც შვეიცარიული გაზეთი „შვაიცერ ილიუსტრირტე ცაიტუნგი" წერს, მემუარების ყველაზე უფრო განსაცვიფრებელი ფურცლ ებ ი რელიგიას ეხება.

„ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲒᲠᲫᲔᲚᲘ ᲓᲦᲔ"

ჰოლივუდის კინოკომპანია „ფოკსს" განზრახული აქვს გადაიღოს ფილმი — „ყველაზე გრძელი დღე" — ფილმი შეეხება 1944 წლის 6 ივნისს მოკავშირეთა ჯარების გადმოხტომას საფრანგეთის ნაპირებზე. ამ ფართოეკრანიანი ფილმის რეჟისორად მიწვეულია დარილ ზანუკი, ხოლო ერთ-ერთ მთავარ როლს შეასრულებს კურტ იურგენსი. ფილმი მოიცავს

ოთხ თემას და თითოეულ მათგანს შექმნის შესატყვისი ქვეყნის გადამღები ჯგუფი თავისი რეჟისორის მეთაურობით. მოწვეულნი არიან მრავალი ცნობილი მსახიობები. ფილმის პრემიერა განზრახულია 1963 წლისათვის.

ჰემინგუეის ცხოვრება ეკრანზე

ამერიკული კინოკომპანია „ცენტფოკსი" შეუდგა ფილმის გადაღებას ერნესტ ჰემინგუეის ცხოვრების შესახებ. ფილმის სახელწოდება იქნება „ახალგაზრდა კაცის თავგადასავალი". მთავარ როლებს ასრულებენ რიჩარდ ბეიმერი და მერი ასტროი. რეჟისორია მარტინ რიტი. ფილმის ეკრანებზე გამოშვება განზრახულია ამ წლის ბოლოსთვის.

ტელეხედვის პრემიები

კინომატოგრაფიაში ოსკარის პრემიის მსგავსად ამერიკაში არსებობს ტელეხედვის პრემია — ემის პრემია. წელს ეს პრემია როლის საუკეთესო შესრულებისათვის მიეკუთვნა მორის უვანსს და ჯუდიტ ანდერსონს, რომლებმაც ითამაშეს მთავარი როლი სატელევიზიო დადგმაში — შექსპირის „მაკბეტში". კაბარეს საუკეთესო არტისტის პრემია მიენიჭა ფრედ ასტერს, ხოლო საბავშვო პროგრამებში მონაწილეობისათვის — ლეონარდ ბერნსტაინს.

გულგარეთი

ახალი მხატვრული ნაწარმოებები

ბულგარელ პროზაიკოსთა მიერ შარშან გამოქვეყნებულ ნაწარმოებთა ძირითადი თემაა ბულგარელი ხალხის გმირული წარსული, მისი ბრძოლა ფაშიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ და ბულგარეთის თანამედროვე ცხოვრება. ახალგაზრდა მწერლის ტოდორ მანოვას რომანი — „სიკვდილი არ არის" ეხება მეშახტეთა ცხოვრებას ბულგარეთის ერთ-ერთ ქალაქში. ავტორმა რამდენიმე წელი გაატარა თავის გმირებს შორის, გაეცნო მათს ცხოვრებას და შრომის პირობებს. მისი ნაწარმოები სავსეა ცოცხალი და ზუსტი პორტრეტებით.

არმანდ ბარუკი რომანში — „კანონისგან განკიცხულნი" გვიამბობს ებრაელთა ბედზე მეორე მსოფლიო ომის დროს, როცა ბულგარეთის ფაშიზირებულმა პარლამენტმა მიიღო ე. წ. „ნაციის დაცვის კანონი". ახალი ბულგარული პროზის განვითარების მაჩვენებელია ახალგაზრდა ნიჭიერი პროზაიკოსების ახალ-ახალი სახელების გამოჩენა. დამსახურებული ყურადღება მოიპოვა ცოცხლად დაწერილმა ნოველამ — „ქვაფენილზე", რომლის ავტორია მილჩო რადევა. კრებულებში— „დღისით და ღამით" და „ანკეტა" მოთავსებულია ახალგაზრდა პროზაიკოსების გეორგ მარკოვის, ნევენა სტეფანოვას, ბრიგიტა იოზიფოვას, ნიკოლა ტიხოლივას ნიჭიერად დაწერილი მოთხრობები.

გერმანია

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა

თეატრალური ცხოვრება

გდრ-ს თეატრთა უმეტესობა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ხელახლა აშენდა. ქვეყნის კულტურული ცხოვრების ცენტრში — ბერლინში ამჟამად მუშაობს 22 საოპერო, მუსიკალური და დრამატიული თეატრი, მათ შორის ისეთი საქვეყნოდ ცნობილი კოლექტივები, როგორიცაა ბერლინის სახელმწიფო ოპერა და ბერლინის ანსამბლი ელენ ვეიგელის ხელმძღვანელობით. მსოფლიო კლასიკოსების—ევრიპიდეს, შექსპირის, ლესინგის, კლაისტის, ჰაუპტმანის, შოუს, გეორგ კაიზერის, ჩეხოვის, გორკის და კომპოზიტორების—გლიუკის, ვერდის, პუჩინის, ჩაიკოვსკის, ვაგნერის, ოფენბახის, დესაუს ნაწარმოებთა გვერდით ბერლინის თეატრების პროგრამაში შეტანილია აგრეთვე თანამედროვე ნიჭიერ გერმანელ დრამატურგთა და კომპოზიტორთა ნაწარმოებები

ებრაული ქრონიკა

გდრ-ს და გფრ-ს პროგრესულმა კომპოზიტორებმა ერთობლივად დაწერეს მუსიკალური ნაწარმოები, რომელსაც ეწოდება „ებრაული ქრონიკა": მათი მიზანი იყო გამოეთქვათ პროტესტი ახალნაციონალისტური გამოსვლების წინააღმდეგ. ამ „ქრონიკის" ტექსტი დაწერა იენს გერლახმა, ხოლო მუსიკა ბორის ბლეხერმა, კარლ ამადეუს ჰარტმანმა, ჰ. ვ. ჰენცემ, რ. ვაგნერმა და პაულ დესაუმ. ნაწარმოები დაწერილია კამერული ანსამბლისათვის, მცირე ორკესტრისათვის და ბარიტონისა და კონტრალტოს სოლოსათვის.

წამებულთა ხსოვნისადმი

ცნობილმა დრამატურგმა ჰედა ცინერმა დაწერა ახალი პიესა — „რავენსბრუკის ბალადა", რომელიც ეძღვნება რავენსბრუკის საკონცენტრაციო ბანაკში დაღუპულ 29 ათას სხვადასხვა ეროვნების ქალის ხსოვნას. პიესა დიდი წარმატებით მიდის ბერლინის სახალხო თეატრის სცენაზე.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა

გფრ-ს ფილმები არ დაუშვეს...

კინომრეწველობის წარმომადგენლებმა დიდი ხმაური ასტეხეს იმის გამო, რომ ვენეციის ტრადიციული კინოფეს-

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ტივალის ჩამტარებელმა კომისიამ უარი განაცხადა ეჩვენებინა ფესტივალზე თუნდაც ერთი ფილმი იმ ხუთი ფილმიდან, რომლებიც წარადგინა დასავლეთ გერმანიამ; სჩივიან აგრეთვე იმასაც, რომ ფესტივალის საერთაშორისო ჟიურში არ შედიან მათი წარმომადგენლები.

მაგრამ ფესტივალის დირექციას თავისი საფუძველიც გააჩნია საამისოდ: იმ დროს, როცა ყველა ქვეყანამ წარმოადგინა მაღალმხატვრული იდეურ-სოციალური კრიტიკით აღსავსე, ანტიფაშისტური ან ანტისაომარი ფილმები, გფრ-მ წარადგინა საშუალო ხარისხის სურათები და მათ შორის ორი — წამქეზებლური ფილმი — „გაქცევა ბერლინში" და „ეშმაკი ბალალაიკას უკრავს".

თუ რას ფიქრობენ იტალიაში (და არა მარტო იტალიაში) ბონის მიერ ინსპირირებულ ფილმებზე, აშკარად გამოჩნდა შარშან, როცა გფრ-ს ფილმებს აქ განუწყვეტელი სტვენით ხვდებოდნენ. აქედან ვენეციის კინოფესტივალის დირექციამ საჭირო დასკვნები გამოიტანა. წელს ვენეციაში (პროდიუსერთა საერთაშორისო გაერთიანების წესდების შესაბამისად) დაშვებული იქნა მხოლოდ ის ფილმები, რომლებიც ემსახურება ხალხთა შორის ურთიერთგაგებას („საშინელი სამსჯავრო", „შენ არ უნდა მოჰკლა", პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, საბჭოთა კავშირის და სხვათა ანტიფაშისტური ფილმები).

ᲔᲠᲘᲮ ᲙᲔᲡᲢᲜᲔᲠᲘ — ᲜᲝᲑᲔᲚᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲘᲡ ᲚᲐᲣᲠᲔᲐᲢᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘᲐ

ცნობილი გერმანელი მწერალი, 62 წლის ერიხ კესტნერი წამოყენებულია ნობელის პრემიის ლაურეატობის კანდიდატად ლიტერატურის დარგში. ე. კესტნერი, როგორც წერს შვედური გაზეთი „დაგენს ნიუხეტერი", თანამედროვე მწერალთა შორის უდიდესი სატირიკოსია. მისი ნაწარმოებები თარგმნილია კულტურული კაცობრიობის ყველა ენაზე. მისი სბავშვო წიგნები — უდიდესი აღმზრდელობითი შინაარსის გარდა — ბავშვთა დღევანდელი თაობისათვის ყველაზე უფრო საინტერესოდაა დაწერილი. ხოლო მისი წიგნები სამარცხვინო ბოძზე აკრავს დღევანდელი საზოგადოების ყველა ნაკლს. გაზეთ „დი პრესსესთვის" მიცემულ ინტერვიუში მან განაცხადა: ჩემი ნაწარმოებების წარმატებას უთუოდ იმას უნდა ვუმადლოდე, რომ არასოდეს არ ვცდილვარ მკითხველის განცვიფრებასო. ნობელის პრემიაზე წარმოდგენილია მისი ომის დროინდელი დღიური.

ᲕᲝᲜᲙᲝᲜᲒᲘ

ᲩᲐᲠᲚᲘ ᲩᲐᲞᲚᲘᲜᲘᲡ ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲝᲑᲐ

ჩარლი ჩაპლინი გაემგზავრა ჰონკონგში, სადაც წარმოებს მისი ახალი ფილმის მოქმედება. ფილმს, რომელშიც მონაწილეობს ჩაპლინის უფროსი ვაჟი, გადაიღებენ ლონდონში, და ჩაპლინის სიტყვით, ძალზე ორიგინალური იქნება და ძალზე ძვირი დაჯდება.

ᲕᲘᲔᲢᲜᲐᲛᲘ

ᲗᲔᲐᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

ვიეტნამის დედაქალაქში მოქმედებს ექვსი თეატრი. თეატრების რეპერტუარი, ნაცვლად ადრინდელი კლასიკურ-ფეოდალური, ცხოვრებისგან მოწყვეტილი პიესებისა, მოიცავს ევროპელი დრამატურგების მრავალ რეალისტურ ნაწარმოებს. აქ იდგმება, მაგალითად, გოგოლის „რევიზორი", ტრენევის „ლიუბოვ იაროვაია", ჩეხოვისა და შექსპირის პიესები.

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ

ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲤᲘᲚᲛᲘ — „ᲕᲔᲡᲢ ᲡᲐᲘᲓᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ"

დეკემბერში ლონდონის კინერამა-კინოში შედგება პრემიერა მუსიკალური ფილმისა — „ვესტ საიდის ისტორია", რასაც დიდ მოვლენად თვლიან კინოხელოვნებაში. ფილმის რეჟისორი და პროდიუსერია რობერტ ვაიზი, მუსიკა ეკუთვნის ლეონარდ ბერნშტაინს. სურათი ნაჩვენები იქნება აგრეთვე მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, რომლებთანაც ვაიზს უკვე დადებული აქვს ხელშეკრულება.

ესაა ძალზე დრამატიულად გადმოცემული ამბავი ნიუიორკის თანამედროვე ახალგაზრდობის ცხოვრებიდან. ორი ახალგაზრდა ქალ-ვაჟის ცოტა ხნის წინ ჩასახული სიყვარული ტრაგიკულად მთავრდება. „სადმე ამქვეყნად ხომ უნდა იყოს ჩვენთვისაც მიწის ნაჭერი"... მღერის ახალგაზრდების გუნდი. ისინი დევნილებად გრძნობენ თავს, მათი ცხოვრება მეტწილად ქუჩაში მიმდინარეობს. ისინი ყრმობის წლებიდანვე იწყებენ ცხოვრებას დევიზით: „ადამიანი ადამიანისთვის მგელია". ფილმში საინტერესოა აგრეთვე ქორეოგრაფიული სცენები. ჯეროომ რობინსმა შექმნა თანამედროვე ყაიდაზე გააზრებული ცეკვები, რომლებიც ლეონარდ ბერნშტაინის შესანიშნავი მუსიკის წყალობით დინამიურობას იძენენ და გადმოგვცემენ მოქმედების მთელს ტრაგიკულობას. როლებს ასრულებენ ნატალია ვუდი, რიჩარდ ბეიმერი, რიტა მორენო, ჯორჯ ჩეკირსი ტეკერ სმიტი და სხვა ახალგაზრდა ნიჭიერი მსახიობები. რეჟისორმა შეგნებულად აუქცია გვერდი კინოვარსკვლავებს, რათა მაყურებლის ყურადღება მიექცია ამ თანამედროვე რომეო და ჯულიეტას ამბავზე და

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა რომელიმე ცნობილ მსახიობზე.

„უორკშოპი“ დაიხურა

მძიმე ფინანსური მდგომარეობის გამო დაიხურა ლონდონის პროგრესული თეატრი „უორკშოპი“, რომელიც მდებარეობს ისტენდში, მუშათა რაიონში. ისევე, როგორც კოვენტ ბარდის საოპერო თეატრი და სედლერს უელსის საბალეტო დასი, უორკშოპის თეატრიც თავის ხარჯზე ცხოვრობდა და სახელმწიფოსაგან არავითარ დახმარებას არ იღებდა.

იტალია

ანტიფაშისტური გამოფენა

რომის სურათების გალერეა დელ ობელისკოში მოეწყო გამოფენა სახელწოდებით — „ნაციზმის ოპოზიცია“. აქ გამოფენილი ყველა სურათი, რომელთა ავტორები არიან კენვიცი, გროსი, კლიო, ბაუმეისტერი, პიკასო, გუტუზო და სხვა მხატვრები, შეიქმნა როგორც პროტესტი ნაციზმის წინააღმდეგ.

XVI საუკუნის მესსები

კოპენჰაგენის კონსერვატორიის დირექტორმა კნუდ იეპენსენმა მილანის ამბროზიანას ერთ-ერთ საწყობში აღმოაჩინა კომპოზიტორ პალესტრინის ათი მესსა, რომლებიც 1580 წელს მიეკუთვნება.

კუბა

ახალი პიესა

კუბელი მწერალი ქალის ვიდელინ რივეროს პიესა — „ასე თქვა ფიდელმა“ დიდი წარმატებით დაიდგა ამას წინათ ჰავანაში მუშურ-გლეხური დრამატიული წრეების ფესტივალის მსვლელობისას. პიესაში ასახულია შაქრის პლანტაციების მუშათა ცხოვრება, მათი ბრძოლა ხამშობლოს გათავისუფლებისა და ახალი ცხოვრების შესაქმნელად.

ესპინოზას განცხადება

ცნობილმა კინორეჟისორმა ი. გ. ესპინოზამ ამას წინათ კუბას კინოს განვითარების პერსპექტივების შესახებ განაცხადა: „რევოლუციის გამარჯვების შემდეგ კუბას კინემატოგრაფია იძულებული იყო ყველაფერი თავიდან დაეწყო. კუბას ფილმის განვითარება პრაქტიკულად იწყება 1958 წლიდან. ამ დროიდან დღემდე გადაღებულია 60 მოკლემეტრაჟიანი და 4 სრულმეტრაჟიანი სურათი. უახლოესი წლებისთვის გათვალისწინებულია 10 მხატვრული და 80 დოკუმენტური და მოკლემეტრაჟიანი ფილმის გამოშვება ყოველწლიურად.

მექსიკა

სერგეი ეიზენშტაინის კლუბი

მექსიკა არ ივიწყებს დიდ საბჭოთა კინორეჟისორს, რომელმაც მთელს ქვეყნიერებას აჩვენა მექსიკისა და მისი ადამიანების სილამაზე და სიდიადე. ამას წინათ მეხიკოში ჩამოყალიბდა სერგეი ეიზენშტაინის სახელობის კინოკლუბი. თავისი პირველი სხდომა ახალგაზრდა კლუბმა მიუძღვნა იმის შეფასებას, თუ რა უდიდესი განძი იყო მთელი დედამიწის კინემატოგრაფიისათვის ეიზენშტაინის შემოქმედება, რომელიც დღემდეც ზეგავლენას ახდენს კინოხელოვნებაზე.

აკრძალული თემა

ტრავენის რომანის მიხედვით გადაღებული მექსიკური კინოფილმი, „თეთრი ვარდი“, უკვე ორჯერ იქნა დასახელებული როგორც კანდიდატი ბერლინისა და ვენეციის მსოფლიო კინოფესტივალზე, მაგრამ ორივე შემთხვევაში ფილმი კონკურსზე არ წარადგინეს იმ მოტივით, რომ დაუმთავრებელიაო. მაგრამ ცნობილია, რომ სინამდვილეში მიზეზი სხვაა — ამერიკელი ნავთის მაგნატები უკმაყოფილონი არიან, ვინაიდან ტრავენმა თავის რომანში სასტიკად გაამათრახა ისინი.

საფრანგეთი

პირველი პარიზული ფოტოგრაფიები

საფრანგეთის ფოტოგრაფთა საზოგადოებამ მოაწყო გამოფენა — „პარიზი პირველი ფოტოგრაფების თვალით“. გამოფენაზე თავმოყრილია მეტად საინტერესო მასალა — 1840-1880 წლების 200-ზე მეტი ფოტოგრაფია, რომლებიც გასაოცარი სიზუსტით გადმოგვცემენ არა მხოლოდ ქალაქის გარეგნულ სახეს, არამედ იმდროინდელი ადამიანების ცხოვრებასაც. იმათთვის, ვინც იცის, რა ტექნიკურ პირობებში ხდებოდა მაშინ ფოტოგადაღებანი, მიხვდება თუ რა მაღალ ტექნიკურ დონეზე დგას ეს ფოტოსურათები. ეჭვი არაა, რომ პარიზელმა ფოტოგრაფებმა კარგი მაგალითი მისცეს თავიანთ კოლეგებს სხვა ქვეყნებში, სადაც გულმოდგინე ძებნა-შეგროვების მეოხებით შეიძლება აღმოჩნდეს წარსულის ამსახველი მრავალი ძვირფასი ფოტოები.

ჯერაც არ გაუხსნიათ...

ლუვრის მუზეუმის სარდაფებში ჯერაც გაუხსნელი აწყვია ასი წლის უკან ეგვიპტიდან ჩამოტანილი ყუთები, რომლებშიც ინახება ფარაონთა დროინდელი ექსპონატები. მთელი ამ ხნის განმავლობაში მუზეუმის მესვეურებმა და განათლების სამინისტრომ ვერ გამონახეს დრო და სახსრები, რათა გამოეფინათ ეს ძვირფასი ექსპონატები. და ეს მაშინ, როცა კოლონიური მტაცებლური ომებისთვის ყოველდღიურად მილიარდობით ფრანკი იხარჯება!

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვლავ კლასიკოსები

„ძველიდან შეიძლება ახლის დამზადება", — ეს დევიზი საკმაოდ პოპულარულია მრავალი ქვეყნის კინოხელოვანთა შორის. წელს ეს გეზი კლასიკოსებზე განსაკუთრებით შეინიშნება საფრანგეთის კინემატოგრაფიაში.

რეჟისორი ალექსანდრე ასტრიუკი იღებს ფილმს გუსტავ ფლობერის „გრძნობათა აღზრდის" მიხედვით. მთავარ როლს ასრულებს ჟან-ჟაკ ბრიალი, ხოლო სოფი არნუს როლს ანუკ ემე; კლოდ შაბროლი გადაიღებს ფილმს „ჰამლეტის" საფუძველზე, რომლის სახელწოდება იქნება „ოფელია"; არც „ქალი კამელიებით" დაუვიწყნიათ, — ამჯერად დიუმას ამ ნაწარმოებს გადაიღებს მარსელ კარნე; ახალგაზრდა რეჟისორი ანდრე ვერსინი ხელს ჰკიდებს უფრო ძველ მასალას — მისი ფილმის გმირი იქნება ძველი იტალიელი პოეტი ჰორაციუსი; ჟან კოქტომ დაამთავრა „ტრისტან და იზოლდას" ეკრანიზაცია; კლუზომ „მანონი" შემოსა ომისშემდგომდროინდელ ტანსაცმელში; ჟიულ დასენი რასინის „ფედრაზე" აპირებს მუშაობას, ხოლო ნორბერტ კარბონო უკვე იღებს ვოლტერის „კანდიდს"; კლოდ ლარა უკვე მერამდენეჯერ იღებს დიუმას „გრაფ მონტე-კრისტოს", ბერნარ ბორდიე კი ასევე მერამდენეჯერ „სამ მუშკეტერს". ამ უკანასკნელის შესახებ იუწყებიან, რომ იგი თავისი ბრწყინვალებითა და შესანიშნავი რეჟისურით დაჩრდილავს ამავე სახელწოდებით ადრე გამოშვებულ ყველა სურათს; ვიქტორ ჰიუგოს „რუი ბლაზს" იღებს ჟერარ ოური.

„დიადი საიდუმლო"

ესაა ახალი ფილმი შორეულ გალაქტიკაზე, პრეისტორიულ გამოუცნობ მოვლენებსა და დედამიწაზე სიცოცხლის წარმოშობაზე. მაგრამ ეს არ არის ფანტასტიკური რამ, — ესაა დოკუმენტური ფილმი. პარიზში მას „ამ წლის უდიდეს სენსაციას" უწოდებენ.

სურათის იდეა აღმოცენდა ამ ორი წლის უკან. ახალგაზრდა ესპანელმა რეჟისორმა-დოკუმენტალისტმა ჟერარ კალდერონმა, როცა წაიკითხა რაიმონ კარტიეს სტატიების ციკლი, გადაწყვიტა ვადაეღო სამ სერიად ფილმი დედამიწის წარმოშობისა და ევოლუციის შესახებ. სტატიების ავტორი დათანხმდა დაეწერა სცენარი. ფილმს მთელი წელიწადი იღებდნენ დედამიწის სხვადასხვა ნაწილებში და ოკეანის სიღრმეებში. ფილმზე მუშაობაში მონაწილეობა მიიღო მრავალმა ცნობილმა მეცნიერმა. როგორც „პარი მატჩი" წერს, ეს არის ჩვენი დროის ერთ-ერთი ყველაზე ორიგინალური დოკუმენტური ფილმი.

6 52/35

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 60 კაპ.

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ

„ЦИСКАРИ"

ИЗДАТЕЛЬСТВО

„САБЧОТА МЦЕРАЛИ"